საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
29 დეკემბერი, 2010 – 18 იანვარი, 2011
№48 (91)
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

**გაზეთის ამ ნომერთან ერთად საჩუქრად მიიღებთ საეკლესიო კალენდარს**



## 2010 წელი მთავრდება, 2011 წლის გეშინოდეთ, ხალხო!.. 4



## მავნეთა შემოსევა

**რატომ მფარველობენ ამერიკელი მართლმადიდებლები «აფხაზეთის ეკლესიას» და რა სურთ ქართველ რესპუბლიკელებს**

## ცრულიბერალები ცხოვრების წესებს გვიდგენენ 12



## New-Mestia და — 15 მილიონი ჯიბეში 14



## 2010 წელს გაკულაკებული ბიზნესმენები 8

## ბურჯუაზიის ამაოება 10



## სააკაშვილს და მამათმავლებს აშშ-ის სენატში ერთი ლობისტი ჰყავთ... 17

## ამღერებული შადრევნები და სულშეხუთული მგზავრები 20

# ვარდოსნების ნარინჯისფერი მომავალი

**„ვიკილიკსის“ გამოქვეყნებულ დოკუმენტებს თუ ვენდობით, ამერიკამ საქართველოს შეიარაღებაზე უარი თქვა.**
**საქართველოს ვიცეპრემიერს, ევროპისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრ გიორგი ბარამიძეს თუ ვენდობით, „რუსეთის პროტესტის მიუხედავად, საქართველო უკრაინული შეიარაღების შესყიდვას გააგრძელებს“, — ასე განუცხადა მან უკრაინულ ჟურნალს „ექსპერტ უკრაინი“.**



2008 წლის 8 აგვისტომდე უკრაინა საქართველოს იარაღით მომარაგებაში ერთ-ერთი ლიდერი იყო, მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ (მათ შორის უკრაინის პრეზიდენტიც) შეიცვალა. წესით და რიგით, უკრაინის ახალ პრეზიდენტს ძველთან საერთო, სახელის (ვიქტორი) გარდა, არაფერი უნდა ჰქონოდა. ამდენად, გაუგებარია, ან უკრაინის თავდაცვის მინისტრი რატომ იტკიებს თავს საქართველოსთან იარაღით ვაჭრობით, ან გიორგი ბარამიძე რატომ იგდებს თავს შარში ყოველმხრივ საშიში, სახიფათო, საეჭვო ბიზნესის გაშლა-გაფართოებით უკრაინასთან, სადაც 14 დეკემბერს დააპატიმრეს **გარემოს დაცვის ყოფილი (ტიმოშენკოსდროინდელი) მინისტრი გიორგი პილიპჩუკი.** მის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მოტივი: სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, რამაც მძიმე შედეგები გამოიღო.

ასევე **დააკავეს** უკრაინის **შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი იური ლუცენკო.** მასაც ბრალად ედება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

სპეცსამსახურის წარდგინებით, დაპატიმრებულია სახელმწიფო საბაჟო სამსახურის ყოფილი უფროსი, „უკრაინის ნავთობგაზის“ ხელმძღვანელის ყოფილი პირველი მოადგილე და კიევის რეგიონული საბაჟოს ხელმძღვანელის ერთ-ერთი მოადგილე.

ჩეხეთში ინტერპოლის ხაზით დაკავებულია **ეკონომიკის ყოფილი მინისტრი ბოგდან დანილიშინი.**

**და რაც ყველაზე დამაფიქრებელი და, უთუოდ, სახიფათოცაა უკრაინიდან იარაღის ქართველი შემსყიდველებისთვის, ციხეში იმყოფება უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოვალეობის ყოფილი შემსრულებელი ვალერი ივაშჩენკო, რომელიც კორუფციაშია ეჭვმიტანილი.**

კორუფცია, მოგეხსენებათ, ცალმხრივი დანაშაული არ არის. კორუფციონერობა კრიმინალური გარიგებაა. დიდი მიხვედრა არ სჭირდება იმას, თუ რა სახის კორუფციაზე შეიძლება ლაპარაკი თავდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებით.

ასე რომ, ჯერჯერობით უკრაინაში მაინც გამოიძიებენ იარაღით უკანონო ვაჭრობის შავ-ბნელ საქმეებს... დადგება დრო, საქართველომდეც მოაღწევს ამ გამოძიებათა სუსხი და გაუყვებიან გზას ციხისკენ აქაური ვარდყვავილოვანნი ისევე, როგორც დღეს ნარინჯისფერთა ოდიოზური ფიგურები.

ამ ფონზე ყოფილი პრემიერმინისტრის — იულია ტიმოშენკოს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა სავსებით ლოგიკური იყო. მას ბრალად წაუყენეს, რომ მთავრობის თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში იგი პირადი მიზნებისთვის იყენებდა სახელმწიფო სახსრებს, მაშინ, როცა მსოფლიოში ფინანსურეკონომიკური კრიზისი მძვინვარებდა. ამჟამად ქალბატონი იულია შინაპატიმრობაშია და გარეთ გამოსვლა სწორედ მაშინ შეეძლება, როცა გენერალურ პროკურატურაში დასაკითხად დაიბარებენ.

იტალიური „La Republica“ კი აქვეყნებს წერილს, რომელშიც ხაზგასმითაა ნათქვამი: **„ტიმოშენკო შეშფოთებულია იმით, თუ რა გულგრილ დამოკიდებულებას იჩენენ მისი შესაძლო დაკავების მიმართ დასავლელი ლიდერები, რომლებიც თავის დროზე „ნარინჯისფერ რევოლუციას“ დიდი ენთუზიაზმით უჭერდნენ მხარს“.**

ეს კარგი გაკვეთილი უნდა იყოს ჩვენი ხელისუფლებისთვის — ნებისმიერ მინისტრს, ყოფილ თუ მოქმედ პრემიერს, ერთი სიტყვით, რეჟიმის ყველა მსახურს უნდა ახსოვდეს — **როგორც კი „სახელისუფლო იმუნიტეტი“ გამოეცლებათ, ამათთვის თავს არავინ გადადებს.**

**გაითვალისწინეთ, თქვენი ჯერიც დადგება და შეშფოთებამ ტიმოშენკოს რა უშველა, თქვენ რომ რამე გარგოთ?!**

**არმაზ სანებლიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## გაფრაზებული



**ილია მეორე,**
**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:**

ადამიანების გონებას სჭირდება ვარჯიში. გონება უნდა ავარჯიშოს თითოეულმა ჩვენგანმა ფიქრით, წიგნების კითხვითა და ბრძნული აზრების დამახსოვრებით... ბიბლიაში ვკითხულობთ: „გულიდან გამოდის კეთილიცა და ბოროტი აზროვნებაც". გამომდინარე აქედან, ადამიანს გააჩნია ორი აზროვნება: მცირე, ანუ ტვინისმიერი და დიდი, ანუ გულისმიერი... ჩვენი აზროვნება ფიზიკურ სხეულზე არაა დამოკიდებული. მეცნიერების თქმით, ჩვენი აზროვნება სულზეა დამოკიდებული.

*„მედიანიუსი"*



**მიხეილ სააკაშვილი,**
**საქართველოს პრეზიდენტი:**

საქართველოს შეიარაღებული ძალები ყველაზე მაღალი ნდობის მქონე სახელმწიფო ინსტიტუტია საქართველოში და მოსახლეობასთან მას ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ავტორიტეტი აქვს მსოფლიოს შეიარაღებულ ძალებს შორის. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან არაფერი ისე შეუცნობლად არ გამოხატავს ამ ფორმის მატარებლის დამსახურებასა და პატივისცემას, როგორც სახალხო მხარდაჭერა და ხალხის მხრიდან ასეთი სიყვარული.

*president.gov.ge*



**ედუარდ შევარდნაძე,**
**ექს-პრეზიდენტი:**

გასაგებად განაცხადა მედვედევმა, სააკაშვილს არ დაველაპარაკებიო. ახლა ჭკვიანი კაცი მის ადგილზე გადადგებოდა და თანამდებობას დაუთმობდა ისეთ ადამიანს, ვისაც რუსეთი დაელაპარაკება. ჩემი აზრით, რუსეთს ოკუპირებული საქართველო არ სჭირდება. რაც სჭირდებოდა, აფხაზეთი და ოსეთი, განსაკუთრებით აფხაზეთი, უკვე მიიღო და ისევ და ისევ ჩვენი შეცდომების წყალობით. ახლა ამ ტერიტორიების დასაბრუნებლად ისევ რუსეთი გვჭირდება. მათთან საუბარი, ურთიერთობის აღდგენა ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ასეთ სიტუაციაში, თუ რუსეთის ხელისუფლება ჩემთან საუბარზე უარს განაცხადებდა, მე, სააკაშვილის ადგილზე, გადავდგებოდი.

*„ასავალ-დასავალი"*



**ზურაბ ქაფიანიძე,**
**საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი:**

ამ ჭირიანების ხელში მე საზეიმოს ვერაფერს ვხედავ. მეზიზღება ის ტაშფანდურები, რომლებსაც ესენი აწყობენ. ვიღაც იტყვის, მაშ, რა ვქნათ, ახალ წელს არ შევხვდეთო? დიახ, შევხვდეთ, მაგრამ ნაკლები ღრიანცელით, ნაკლები ტუშ-ტუშ-ტარამ-ტარამის ძახილით, რადგან ქვეყანას, რომელმაც ცხინვალი, აფხაზეთი და კოდორი დაკარგა, წესით, არ უნდა ემრავალჟამიერებოდეს!

*„ასავალ-დასავალი"*



**თამაზ წივწივაძე,**
**მწერალი, კრიტიკოსი და პუბლიცისტი:**

კეისრის ბედი ჩვენს პრეზიდენტს ღმერთმა აშოროს, მაგრამ ახალი წლის ღამის 12 საათი ჯერ არ დამდგარა და გამორიცხული სულაც არაა, წლევანდელი საახალწლო ზეიმი ვანო მერაბიშვილმა ან გიგა ბოკერიამ მოგვილოცოს!.. ანდა, სულაც — ჩიორა თაქთაქიშვილმა!..

*„კვირის ქრონიკა"*



**ლადო პაპავა,**
**ექსპერტი:**

ყველას კარგად გვახსოვს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს გაპიარებული ე. წ. 50-თვიანი პროგრამა. ის დღემდე არავის უნახავს, რადგან ეს დოკუმენტი რეალურად არ არსებობს. წარმოუდგენლად მიმაჩნია, ასევე, ანტიინფლაციურ პროგრამაზე საუბარი. მსგავს პროგრამებს არც ერთ ქვეყანაში არ წერენ. საქმე რეალურად ისაა, რომ ცალკე მთავრობამ და ცალკე ეროვნულმა ბანკმა საკუთარი საქმიანობა სწორად უნდა წარმართონ, ქვეყანას კი არა ანტიინფლაციური, არამედ ეკონომიკური განვითარების პროგრამა სჭირდება, რომელიც სადღეისოდ არ აქვს.

*„პირველი"*

# რა გველის 2011 წელს?

**როგორი იქნება საქართველოსთვის 2011 წელი? თუ დღეისთვის გამოკვეთილი ტენდენციების მიხედვით ვიმსჯელებთ, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ წინ, 2010 წლის მსგავსად, დიდად სახარბიელო არაფერი გველის. მაგრამ თუ შევეცდებით მომავალი წლის პროგნოზის ერთი წინადადების ჩარჩოში მოქცევას, ის, სავარაუდოდ, შემდეგნაირად ჩამოყალიბდება: გაისად ჩვენ კვლავ მოგვიწევს საზღაურის გადახდა იმ ილუზიებისთვის, რომლებშიც 2003-2008 წლებში ვცხოვრობდით.**



## სიღარიბე, უპირველეს ყოვლისა

**რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ერთ-ერთი ყველაზე დამაჯერებელი პროგნოზი 2011 წელთან დაკავშირებით სათაფლიის ნაკრძალში ჩატარებულ მთავრობის გასვლით სხდომაზე მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა: „არ მინდა, ჩვენი ხალხი მოვატყუოთ. ინფლაციური პროცესები გაძლიერდება".**

თუ ჩვენ ათვლის წერტილად სააკაშვილის მიერ ამავე გამოსვლაში აღწერილ ვითარებას ავიღებთ: **„ჩვენს ხალხს ყოველდღიურად „კბენს" ფასები", შეგვიძლია ძალიან დიდი ალბათობით ვივარაუდოთ, რომ მომავალ წელს ფასები ხალხს არა მხოლოდ „დაკბენს", არამედ „შეჭამენ".**

იმის განცდა, რომ მდგომარეობა გაუსაძლისია, ბევრ ადამიანს მომავალი წლის პირველსავე კვარტალში დაეუფლება. იანვარ-თებერვალი გათბობასთან დაკავშირებული ხარჯების გამო, ისედაც ძნელი გადასატანი პერიოდია; ამას მგზავრობის საფასურის და წყლის ტარიფის გაზრდა დაემატება. რაც შეეხება კომუნალური გადასახადების ადმინისტრირების ერთიანი სისტემის შემოღებას, ხელისუფლება ჯერაც ორჭოფობს, რადგან ეს მოსახლეობის უკიდურეს გაღიზიანებას გამოიწვევს. ამის გამო შეიძლება გაჩნდეს ვარაუდი, რომ ამ საქმეს ზამთრის ბოლოსკენ ან გაზაფხულზე მოსალოდნელი პოლიტიკური გამწვავების დასრულებისთვის გადადებს. თუმცა, ჩემი სუბიექტური მოსაზრება თუ გაინტერესებთ, ვფიქრობ, ეს ცვლილება უფრო მალე, შემჭიდროებულ ვადებში განხორციელდება.

საგადასახადო კოდექსის ახალი ნორმების ამოქმედებას ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში ციებ-ცხელება მოჰყვება, მაშინაც კი, როდესაც ის იდეალურთან მიახლოებულია, რასაც საქართველოს შემთხვევაში ნადვილად ვერ ვიტყვით. ამასთანავე, **სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ფრიად არარეალისტურად გამოიყურება და, დღევანდელი გადასახედიდან, სეკვესტრი გარდაუვალი ჩანს, თუმცა ხელისუფლების მოწადინებას — „მაქსიმუმი ამოიღოს" — ადგილი აუცილებლად ექნება. პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ მიმავალი წლის დაწყებისთანავე მცირე და საშუალო ბიზნესი სერიოზული წნეხის ქვეშ მოექცევა; ბევრი ადამიანი, სავარაუდოდ, იძულებული გახდება, ბიზნესს თავი დაანებოს, რაც უკმაყოფილოთა რიცხვს, რასაკვირველია, გაზრდის.**

სააკაშვილის ხელისუფლება, ცხადია, ითვალისწინებს, რომ საზოგადოებაში მისთვის არასასურველი განწყობები გაძლიერდება და მათ განეიტრალებას, სავარაუდოდ, შემდეგი მეთოდებით შეეცდება:

**ა) „ორთქლის გამოშვება" სატელიტი ორგანიზაციების მეშვეობით; ჩვენ, ალბათ, ვიხილავთ სოციალური თემატიკის აქტიურ ექსპლუატაციას ფრიად საეჭვო ფიგურების მიერ;**

**ბ) საზოგადოების ყურადღების გადატანა სხვა თემებზე, საინფორმაციო „ბომბების" პერმანენტული შემოგდების გზით, რომელსაც „მოდელირებულ ქრონიკის" მსგავსი ფსიქოლოგიური ეფექტი ექნება;**

**გ) წესრიგის დამყარების, კორუფციასთან ბრძოლის შთაბეჭდილების შექმნა, „კეთილი მეფის და ცუდი ვაზირების" სიუჟეტის გამოყენება;**

**დ) აქტიური საინფორმაციო კამპანია, რომლის მთავარი მიზანი იქნება, ვითარება ისე წარმოაჩინოს, რომ მთავრობა სოციალურ პასუხისმგებლობას იზიარებს და სიღატაკეს სრული სერიოზულობით ებრძვის (იქნება პენსიონერთა ოჯახებში სიარული, უმნიშვნელო ბონუსების დარიგება, ცრემლის ღვრა და ა.შ.), რაც სავსებით ლოგიკურია, რადგან ყველა მოქალაქე როდი გაეცნო 2011 წლის ბიუჯეტს, რომლიდანაც ნათლად გამომდინარეობს, რომ ხელისუფლებამ ხსენებული პასუხისმგებლობა პრაქტიკულად მოიხსნა. ყოველივე ეს, სავარაუდოდ, 2011 წლის პირველი კვარტლის ერთ-ერთ მთავარ თემად იქცევა.**

ერთი პუნქტი დღის ამ წესრიგიდან, ალბათ, უმჯობესია, ცალკე გამოვყოთ. სააკაშვილის ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ რადიკალურმა ოპოზიციამ მოსახლეობის მზარდი უკმაყოფილება საკუთარი მიზნებისთვის არ გამოიყენოს; თუმცა ამ მიმართულებით საქმე, ალბათ, არა იმდენად ტაქტიკური, არამედ სხვა, სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტასთან გვექნება. **გაისად რადიკალური ოპოზიციის განეიტრალება, სააკაშვილის ჯგუფისთვის 2012-13 წლებში ხელისუფლების გახანგრძლივების** (ამას კი მისი გადაფორმატება სჭირდება) **ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას წარმოადგენს.** მარტივად რომ ვთქვათ, იმ მომენტისთვის, როდესაც ხელისუფლებას ბაგირზე გავლა მოუწევს, არ უნდა დარჩეს არავინ, ვინც, თეორიულად მაინც, შეიძლება ხელი ჰკრას, თუნდაც ეს საფრთხე მეტწილად წარმოსახვითი იყოს.

## ბიჭებს ცრემლების არ სჯერა

**2011 წელი, საკმაოდ დიდი ალბათობით, რადიკალურ ოპოზიციაზე გადამწყვეტი შეტევის, ერთგვარი პოლიტიკური „ზაჩისტკის" წელი გახდება, უპირველესად, ეს ნინო ბურჯანაძეს და მის პარტნიორ ორგანიზაციებს შეეხება. როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები ამ მიმართულებით?**

პირველ ეტაპზე, რომლის დაწყებას ბევრი არაფერი აკლია, ხელისუფლება, სავარაუდოდ, შეეცდება, ნინო ბურჯანაძესა და მის გარშემო გაერთიანებულ ძალებს საზოგადოებასთან კომუნიკაციის საშუალებები მაქსიმალურად შეუზღუდოს. ამასთანავე, ის შეეცდება ამ ბანაკში შიდა განხეთქილების პროვოცირებას და ხელს შეუწყობს მასზე სხვა ოპოზიციური ჯგუფების საინფორმაციო თავდასხმას, იქნება ეს ლევან გაჩეჩილაძე და „ქართული პარტია" თუ ირაკლი ალასანია თავისი მოკავშირეებით. ყოველივე ამის მიზანი შეიძლება არა მხოლოდ მოწინააღდეგის დასუსტება იყოს...

**ვინაიდან ამ შეტევის ობიექტი პოლიტიკურ და საზოგადოებასთან ურთიერთობის ტექნოლოგიებში, ხანდახან ძლიერ მოიკოჭლებს, მან შეიძლება ვერ გასცეს ადეკვატური პასუხი ამ გამოწვევებს და შეექმნას მყარი შთაბეჭდილება, რომ ყოველ ახალ დღეს მისთვის საოპერაციო სივრცის შეზღუდვა და მის ხელთარსებული რესურსების შემცირება** ▶

## მოკლედ

### გაჩეჩილაძის ვალი

**იმ ინფორმაციით გულაჩუყებულმა კახა კუკავამ, რომლის მიხედვითაც ლევან გაჩეჩილაძე 2007 წლის ნოემბრის მოვლენების დროს, რამდენიმე მილიონის მიღების სანაცვლოდ, მოლაპარაკებებს აწარმოებდა ხელისუფლებასთან, „თავისუფალი საქართველოს" ლიდერმა კახა კუკავამ გაჩეჩილაძის ოჯახის ფინანსური მდგომარეობის შესახებ სპეციალური რელიზი გამოაქვეყნა.** კუკავა გაჩეჩილაძეების ოჯახის იურისტია და იცის, რომ 2005-2009 წლებში გაჩეჩილაძეების ოჯახის მიერ აღებულია შემდეგი სასესხო ვალდებულებები: 2007 წელს შვედეთის მოქალაქე ფრედერიკ პოლსენისგან 2 მილიონი აშშ დოლარი; 2009 წელს სს „ტაო პრივატ ბანკისგან" — 160 ათასი; 2005 წელს „თი ბი სი ბანკისგან" — 300 ათასი და 200 ათასი აშშ დოლარი.

### ბურჯანაძე პატრიარქს შეხვდა

**ნინო ბურჯანაძე საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, ილორის წმიდა გიორგის ეკლესიაში მომხდარი ფაქტების შესახებ დეტალური ინფორმაცია გამოაქვეყნოს.** ამის შესახებ მან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-სთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. „დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერმა უწმინდესს რუსეთის პატრიარქ კირილთან და სხვა მაღალი რანგის შეხვედრების შესახებ უამბო. ბურჯანაძის თქმით, რუსეთის პატრიარქმა ბრძანა, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის საზღვრები რუსეთის მხრიდან არ გადაიხედება, რუსეთის ეკლესია პატივს სცემს ქართველ ხალხს და მათ ინტერესებს.

### მიწის გადასახადი იზრდება

**საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, იანვრიდან მიწის გადასახადი გაიზრდება. ახალი ტარიფი ჰექტარზე 50-150 ლარია და ის მიწის მოსავლიანობის მიხედვით განისაზღვრება. თუმცა გაურკვეველია, რა მექანიზმით დადგინდება, როგორ მოსავალს იძლევა ესა თუ ის ნაკვეთი.** კოდექსის 204-ე მუხლის მიხედვით, სათიბებსა და საძოვრებზე 1,5-20 ლარამდე ტარიფი წესდება, სხვა მიწებზე კი — 50-დან 100 ლარამდე. ამასთან, ადგილობრივ თვითმმართველობას შეუძლია ეს თანხა 50-დან 150 ლარამდე გაზარდოს. ამა თუ იმ ტერიტორიის გადასახადი იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რა რაოდენობისა და ხარისხის მოსავალი შეიძლება მოიყვანოს მასზე გლეხმა.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# წავა თუ არა სააკაშვილი 2011-ში? ყველა ობიექტური წინაპირობა და ლოგიკა გვიბიძგებს პასუხისკენ — «არა, არ წავა».

◀ მოაქვს. ასეთ სიტუაციაში საპროტესტო აქციების აგორებასთან დაკავშირებით, ის შეიძლება შემდეგ დასკვნამდე მივიდეს: „რაც მალე, მით უკეთესი". **თუ რადიკალური ოპოზიცია პროტესტის „უკანასკნელ ტალღას" სათანადო მომზადების გარეშე ააგორებს, ამ სიტუაციისგან „მოდელირებულ", წარუმატებელი „ბიშკეკის" მიღება ხელისუფლებისთვის მხოლოდ ტექნიკის საქმე იქნება.**

ეს მოვლენათა განვითარების ძალზე მძიმე სცენარია, რომელიც, სამწუხაროდ, შეიძლება ბევრ პოლიტიკურ ძალას აწყობდეს, რადგან მას პოლიტიკური სივრცის მათთვის სასურველი გადაფორმატება მოჰყვება. ჩემი სუბიექტური შეფასებით, მსგავსი პროცესების განვითარების ალბათობა საკმაოდ დიდია. ნებისმიერ შემთხვევაში, რადიკალურ ოპოზიციას მთელი ძალისხმევის მობილიზება დასჭირდება იმისთვის, რომ, ერთის მხრივ, არ წამოეგოს პროვოკაციას, და, ამასთანავე, საკუთარი მიზნების მიღწევაზე უარი არ თქვას.

**აქ ჩვენ მთავარ კითხვას მივუახლოვდით: წავა თუ არა სააკაშვილი 2011-ში? ყველა ობიექტური წინაპირობა და ლოგიკა გვიბიძგებს პასუხისკენ — „არა, არ წავა".**

თუმცა იმ შემთხვევაში, თუ ამ პლანეტაზე არ იქნებოდა არაფერი, რაც ერთი შეხედვით არალოგიკური და ირაციონალურია, მასზე ცხოვრებას აზრი, ალბათ, არც ექნებოდა. მხოლოდ ერთი გარემოება აღვნიშნოთ: **არც აშშ და არც რუსეთი, სავარაუდოდ, არ გააკეთებს არაფერს იმისთვის, რომ სააკაშვილის ხელისუფლებიდან გაშვებაში განმსაზღვრელი როლი შეასრულოს, ეს საკითხი ისევ ქართული საზოგადოების გადასაწყვეტი იქნება.**

მომავალ წელს სააკაშვილის ხელისუფლება, ალბათ, შეეცდება, რომ საერთაშორისო ასპარეზზე „გადატვირთვის" წესების მიხედვით ითამაშოს. სარისკო გამოხდომების რაოდენობა, რომელსაც ადგილი 2009-10 წლებში ჰქონდა, სავარაუდოდ, შემცირდება. ანტიმოსკოვური რიტორიკა შენარჩუნდება, თუმცა რეალურ კონფრონტაციაზე ორიენტირებულ ნაბიჯებს, ალბათ, არ უნდა ველოდოთ. ეჭვგარეშეა, რომ ოფიციალური თბილისი მოხსნის ყველა წინაღობას რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრების გზაზე. რაც შეეხება რეგიონში სტაბილურობის დამატებითი გარანტიების შექმნას, ის ყველანაირად შეეცდება, ხელი არ მოაწეროს დოკუმენტს ძალის გამოუყენებლობის შესახებ ბაგაფშისა და კოკოითის მთავრობებთან, თუმცა დიდი ალბათობით, შექმნის რაღაც ჰიბრიდულ დოკუმენტს, ცალმხრივ პირობას, რომელსაც საერთაშორისო სტრუქტურებს დაუგზავნის.

**2011 წლის თავდაცვის ბიუჯეტი წინა წლებთან შედარებით, კიდევ უფრო შემცირებულია. ეს ტენდენცია, როგორც ჩანს, მომავალ წლებშიც შენარჩუნდება. ამასთანავე, სააკაშვილი მომავალი წლის განმავლობაში შეეცდება, „მშვიდობის მტრედი" განასახიეროს. სავარაუდოდ, შემოდგომისთვის დღის წესრიგში შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის შემცირების საკითხი დადგება.**

ამავე დროს, ხელისუფლება შეეცდება, დაამტკიცოს, რომ არმიის ბრძოლისუნარიანობას ზრდის და ამისთვის, ალბათ, რაიმე ახალ, „ბრჭყვიალა" შეიარაღებას შეიძენს, რომელსაც აღლუმზე გვიჩვენებენ.

ეჭვგარეშეა, რომ საქართველო გააგრძელებს მონაწილეობას ავღანეთის მისიაში, მიუხედავად იმისა, რომ მდგომარეობა ამ ქვეყანაში, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გართულდება და ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებულ რიტორიკაზე უარს არ იტყვის. თუმცა არანაირ პროგრესს ამ მიმართულებით მომავალ წელს არ უნდა ველოდოთ. სიტყვამ მოიტანა და ბარემ სხვა ბანალური ჭეშმარიტებები ჩამოვთვალოთ: **უსაფრთხოების ვაკუუმის გამო პროგრესი არც ინვესტიციების შემოდინების თვალსაზრისით გვექნება, ჟენევის მოლაპარაკებები ისეთივე უნაყოფო დარჩება, როგორც 2010-ში და დასავლეთის ქვეყნები საქართველოს გამო რუსეთზე ზეწოლას არ გააძლიერებენ.**

წელიწადი ისევ დასავლელი პოლიტიკოსების გამოსვლებსა და რეზოლუციებში არარსებული ქვეტექსტების ძიების ნიშნით ჩაივლის: „ამან ეს თქვა", „იმან ეს იგულისხმა", „ქართული დიპლომატიის მორიგი გამარჯვება" და ასე შემდეგ.

„პროგრესულ კაცობრიობას" მომავალ წელს ჩვენთვის ნაკლებად ეცლება და მისი ყურადღების ცენტრში, სავარაუდოდ, შემდეგი პრობლემები მოექცევა: ევროს ზონის კრიზისი და დეზინტეგრაციის საფრთხე ევროკავშირში, სამხედრო-პოლიტიკური დაძაბულობა კონფლიქტის ზღვარზე აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, კერძოდ კორეის ნახევარკუნძულზე (გლობალური ფინანსების თვალსაზრისით ორივე პროცესი სხვა არაფერია, თუ არა აღნიშნული რეგიონებიდან შეერთებულ შტატებში კაპიტალების „გაქცევის" ხელშეწყობა, რაც მისთვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს). დამატებით პრობლემებს (ენერგომატარებლების და, ზოგადად, ტვირთების გადაზიდვა) ევროკავშირისთვის და ჩინეთისთვის შექმნის დაძაბულობის ზრდა ადენის და სპარსეთის ყურეების ზონაში, კერძოდ კი იემენის და ირანის გარშემო.

**გაჩნდება თუ არა „დიდი ხანძრის" ახალი კერა ევრაზიის შუაგულში?** იგულისხმება შესაძლო ისლამური რევოლუცია პაკისტანში ერთობლიობაში ავღანეთიდან კოალიციის ჯარების გასვლასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც შეიქმნება კონტინენტური მასშტაბის დესტაბილიზაციის ზონა, რომელიც ევრაზიის ყველა დიდი სახელმწიფოს, უპირველესად, ჩინეთსა და რუსეთს დააზარალებს. **სავარაუდოდ არა, მაგრამ მოვლენათა ამ სცენარით განვითარების კონტურები, ალბათ, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთება.** თუმცა თავი დავანებოთ გლობალურ საქმეებს და გლობუსზე ისევ ჩვენს მოკრძალებულ ადგილს დავუბრუნდეთ.

## ერთი მედლის ორი პოლუსი

**ვინაიდან სააკაშვილის ჯგუფის მთავარი საზრუნავი 2001-ში ხელისუფლების შენარჩუნების წინაპირობების, შექმნა იქნება, მისი წარმომადგენლები დარტყმის განხორციელებას, შესაძლოა, კიდევ ერთი მიმართულებით შეეცდებიან. ზოგიერთ მათგანს პარანოიდულად ეშინია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ფიქრობენ, რომ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მისი გავლენა უნდა შეასუსტონ. 2012-13 წლების საპასუხისმგებლო პერიოდის წინ მათი მხრიდან ამ აზრის აკვიატება სავსებით ლოგიკური (მათი გადასახედიდან) ჩანს.**

წლის დასაწყისშივე, ალბათ, უნდა ველოდოთ, ჩვეული, დისკრედიტაციაზე ორიენტირებული კამპანიის მორიგი ტალღის აგორებას, თუმცა შესაძლოა, ამ შემთხვევაში მას ყურადღების გაფანტვის ფუნქცია ექნეს, ხოლო მთავარი დარტყმა სხვა მიმართულებით მეტ-ნაკლებად მოულოდნელად განხორციელდება. ეს ძალზე ფაქიზი თემაა და ზედმეტი დაკონკრეტება ამ შემთხვევაში მიზანშეწონილი არ არის. **უბრალოდ, ის გარემოება აღვნიშნოთ, რომ ამ ჰიპოტეტური გეგმის ავტორების წინაშე, სავარაუდოდ, შემდეგი ამოცანა იდგება: მაქსიმალურად დაასუსტონ ეკლესია, მაგრამ ისე, რომ ამან განრისხებული მრევლის გაერთიანება არ გამოიწვიოს.** ამას ვერაფერს დავამატებთ, გარდა იმისა, რომ საფრთხე დიდია და არაფერი, მათ შორის, ყოვლად წარმოუდგენელი რამ არ უნდა გამოვრიცხოთ.

2011 წლის შემოდგომა, სავარაუდოდ, პოლიტიკური სპექტრის ორპოლუსიან მოდელზე (სააკაშვილი-ალასანია) გადაწყობას დაუკავშირდება. იქნება ბევრი ხმაური, თუმცა მნიშვნელოვანწილად ეს დაპირისპირება წარმოსახვითი იქნება, როგორც „მოქკავშირი"-„აღორძინების" ბატალიები 1999 წლის არჩევნების წინ. იმ მომენტისთვის, როგორც უკვე ვთქვით, ხელისუფლება, სავარაუდოდ, რადიკალური ოპოზიციის „ზაჩისტკას" მოახდენს. **ირაკლი ალასანია და მისი მოკავშირეები კი 2012 წლის არჩევნებისთვის მზადებას უფრო ადრე დაიწყებენ, ვიდრე ეს ქართველ პოლიტიკოსებს სჩვევიათ.**

უკვე მომავალ წელს, განსაკუთრებით შემოდგომაზე, ისინი ახალი პოლიტიკური (საარჩევნო ბლოკის კონსოლიდაცია) და მედია-პროექტების განხორციელებას შეეცდებიან. აგრეთვე, შემოდგომაზე, პოლიტიკურ ასპარეზზე, სავარაუდოდ, გაჩნდება ახალი გაერთიანება (დღეს დაუდასტურებელი ინფორმაციით ფორმირების პროცესშია), რომელიც შეეცდება, მზარდი ანტიდასავლური განწყობა გამოიყენოს და საკუთარი პროგრამა კონსერვატიზმის, ზომიერი ნაციონალიზმისა და რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების იდეებზე ააგოს. შექმნილი სიტუაციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მისთვის მთავარი პრობლემა მხარდამჭერების მობილიზება კი არა, სტარტი, პოლიტიკურ სივრცეში შესვლა იქნება.

**რასაკვირველია, ყოველივე ზემოთქმული მხოლოდ ვარაუდია. არსებული ტენდენციების მიუხედავად, მოვლენები შეიძლება სულ სხვაგვარად განვითარდეს; განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ბოლოს და ბოლოს დავიჯერებთ, რომ საკუთარი მომავლის განსაზღვრა თვითონვე შეგვიძლია.**

**დიმიტრი მონიავა**

## მოკლედ

### „შავ სიაში" უსტრატეგიოდ

**„სქაი ჯორჯიას" პრეზიდენტის — გიორგი კოდუას განცხადებით, „ქართულ ავიაბაზარზე არსებული სიტუაცია არაპროფესიონალიზმისა და სტრატეგიის არქონის შედეგია", რის გამოც გამორიცხული არაა, საქართველოს სამოქალაქო ავიაცია სულ მალე ევროკავშირის „შავ სიაში" აღმოჩნდეს.** კოდუას განმარტებით, ეს მნიშვნელოვნად დააზარალებს ქართულ ბაზარზე მოღვაწე ავიაკომპანიებს, რომლებიც ევროპის ქვეყნებში ვეღარ იფრენენ. „საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტს ტურიზმის სფეროს განვითარება თუ წარმოადგენს, უნდა გვესმოდეს, რომ ტურისტები ცხენებით არ დადიან და ავიაბაზრის განვითარებაა აუცილებელი", — განაცხადა კოდუამ.

### ხიდაშელი უგულავას წინააღმდეგ

**თბილისის ადმინისტრაციულმა სასამართლომ დედაქალაქის მერის — გიგი უგულავას წინააღმდეგ „რესპუბლიკური პარტიის" წევრის, თინა ხიდაშელის სარჩელის განხილვა დაიწყო.** ხიდაშელმა დედაქალაქის მერიას და უშუალოდ გიგი უგულავას ინფორმაციის გასაიდუმლოების გამო უჩივლა. კერძოდ, საქმე ეხება „თბილისის წყალსა" და „აუთდორ.ჯის"-თან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობას. თინა ხიდაშელი მერიისგან აღნიშნულ დოკუმენტაციას, რამდენიმე თვეა, უშედეგოდ ითხოვს. ხიდაშელის თქმით, აღნიშნულ კომპანიებსა და დედაქალაქის მერიას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები მან არაოფიციალურად მოიპოვა.

### ხელშეკრულება დამტკიცდა

**აშშ-ის კონგრესმა რუსეთთან სტრატეგიული შეტევითი იარაღის შემდგომი შემცირების შესახებ ახალი ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა.** ხელშეკრულების რატიფიკაციის სასარგებლოდ ხმა 71 სენატორმა მისცა, 26 — წინააღმდეგი იყო. უკანასკნელ დრომდე გაურკვეველი იყო, დაამტკიცებდა თუ არა დოკუმენტს სენატი. მასში სენატორებმა რამდენიმე შესწორება შეიტანეს. ერთ-ერთი შესწორება აშშ-ის პრეზიდენტისაგან ქვეყნის ბირთვული ტრიადის მოდერნიზაციის ვალდებულების დადასტურებას მოითხოვს; მეორე კი რუსეთთან მოლაპარაკებებში ტაქტიკური ბირთვული შეიარაღების დისპარიტეტის გაუქმებას ითვალისწინებს.

## გამონათქვამები



**სოსო ცისკარიშვილი,**
**ექსპერტი:**

თუ რაიმე ფაქტი და სამხილი არსებობდა, რომელიც დანაშაულის ტოლფასია და ამაზე დუმს ვინმე, ეს დანაშაულია და დღევანდელი სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება. როდესაც ქუთაისში წვრილ მოვაჭრეებს აპატიმრებენ იმისთვის, რომ 50 ლარი მიუცია სახელმწიფო მოხელისთვის საკუთარი ინტერესების გასატარებლად, მაშინ თუ ვინმე მართლა მილიონებს აძლევდა სხვას საკუთარი ინტერესების დასაცავად, ის ადამიანები რატომ არ არიან დაპატიმრებულები? ანუ, ძვირფასო ხელისუფლებავ, გასაკეთებელი კიდევ ბევრი გაქვთ – უმრავლესობა დაჭერილია, ახლა საკუთარ თავს მიხედეთ, რომელია თქვენში დასაჭერი?

*presage.tv*



**ირინა სარიშვილი,**
**მოძრაობა „იმედის" ლიდერი:**

ოპოზიციაში ვინმეზე კომპრომატების მოძიება ძნელი არაა. ვისაც რაღაც არ ახსოვს, ხელისუფლება გაახსენებს. სირცხვილის გრძნობა მაინც და მაინც არც ხელისუფლებას აქვს და ამით დიდად არც ოპოზიციაშია ვინმე შეწუხებული. ამიტომ, თუ რამე გამორჩა ოპოზიციას, შეახსენებენ, ხელშეუხებელი არავინ დარჩება.

*„ვერსია"*



**ნინელი ჭანკვეტაძე,**
**მსახიობი:**

ჩვენი ქვეყნის პირველ პირს თეატრი არ უყვარს და სპექტაკლზე იძინებს ხოლმე. ამიტომაც მისი გარემოცვიდან არავინ დადის თეატრში. თქვენ წარმოიდგინეთ, ვისაც ეს პირადად ეხება და ევალება, ისიც კი არ დადის.

ხელისუფლება სერიოზულ ძალას ფლობს. დიდძალი ფულიც აქვთ, მათი მოქმედება ბინძურ ძალაზე, ძალადობაზეა დაფუძნებული და ყველანაირად ცდილობენ, რომ ჩვენნაირი ადამიანების იმედგაცრუება გამოიწვიონ.

*„ყველა სიახლე"*



**კახა ბაინდურაშვილი,**
**ფინანსთა მინისტრი:**

თუკი აქამდე ადმინისტრირება საგადასახადო ინსპექტორებზე იყო დამოკიდებული, რომლებიც აპარატების მუშაობას ყოველდღიურად ადგილზე ამოწმებდნენ, ახლა ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით ეს აპარატები შემოსავლების სამსახურის ცენტრალურ აპარატს დაუკავშირდება და, შესაბამისად, საგადასახადო ინსპექტორებს ქუჩაში სირბილი აღარ მოუწევთ.

*„პირველი"*



**კახა კუკავა,**
**მოძრაობა „თავისუფალი საქართველოს" ლიდერი:**

საინტერესოა, რაღაც პარაშუტებზე ფულის გათეთრებასა და სააკაშვილთან გარიგებებზე ახლა, 2010 წლის ბოლოს, რატომ ლაპარაკობს ბადრი ბიწაძე. რასაც ის ყვება, ორგანიზებული დანაშაულის ფაქტია. ბადრი ბიწაძის მონათხრობი მეტყველებს, რომ ეს ხალხი მთლიანად არის ჩართული ამ ორგანიზებულ დანაშაულში.

*„კვირის პალიტრა"*



**გია ხუხაშვილი,**
**ექსპერტი:**

ვერც ხელისუფლება და ვერც ოპოზიცია, რომელიც პრაქტიკულად აღარ არსებობს, ვერ პასუხობს ქვეყნის ძირითად პრობლემებს. შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური ელიტა ღრმა კრიზისშია, რაც სამომავლოდ ცუდ ფონს ქმნის.

*„პირველი"*



**სოსო შატბერაშვილი,**
**ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი:**

ღმერთმა დამიფაროს, რომ ჩემს ოჯახში მეკვლედ მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი ან მზარდი ბოროტება გიგა ბოკერია მოვიდეს.

*„ასავალ-დასავალი"*

29 დეკემბერი, 2010 წელი — 18 იანვარი, 2011 წელი. №48 (91)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# 2010 წელი მთავრდება, 2011 წლის გეშინოდეთ, ხალხო!..

**ახალი წლის მოახლოებასთან ერთად სახელისუფლო არხებიდან გეომეტრიული პროგრესიით მომდინარე „ნაციონალური პროპაგანდის" ერთ პროცენტს მაინც თუ დავუჯერებთ, ქვეყანაში ყველაფერი იმდენად კარგად და სტაბილურადაა, რომ რიგით მოკვდავებს ისღა დაგვრჩენია, „ღვთის მადლით ვახშამგადაგორებული" ლუარსაბ თათქარიძისეული კმაყოფილებით ყოველ ცისმარეს „ვარდოსანთა მამამთავრის" ქებათა ქება წარმოვთქვათ. კონკრეტულად რატომ? თუნდაც იმიტომ, რომ ყველაფერი, რითაც დღეს ჩვენი ქვეყანა „პირველად" და „როგორც არასდროს" ამაყობს, თურმე მისი და მისი გარემოცვის მეოხებით გაკეთებულა.**



**ასე მაგალითად: როგორც ამასწინათ თავად „ნაცმოძრაობის მამამ" სათაფლიის გამოქვაბულიდან ზეზვას გამოხედვით გვაუწყა, მარტო 2010 წლის „მიღწევებით", ადამიანის უფლებების, მედიის თავისუფლებისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, უკვე თვით დემოკრატიის აკვნად წოდებულ ამერიკასა და საფრანგეთსაც ვუტოლდებით,** ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით კი ისეთი შედეგები გვქონია, რომ **სინგაპურსა და დუბაიში თურმე კაცთა მოდგმის საუკეთესო ექსპერტებს, ეკონომისტებსა და, გნებავთ, მეტაფიზიკოსებსაც დღემდე ვერ ამოუხსნიათ, თუ როგორ შეძლო საქართველომ ესოდენ გამაოგნებელი ეკონომიკური საოცრების მოხდენა ასეთ მცირე დროში.**

მოკლედ, ბევრი რაღა გავაგრძელო და, როგორც ჩანს, 2010 წელი მართლა „იბერიის გაბრწყინების" წელი ყოფილა, მხოლოდ ერთია, უმადურ და გაუმაძღარ ქართველ ხალხს არ სურს რეალობის დანახვა და ხელისუფლების ყველა სიკეთეს ბოროტებით პასუხობს. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, ისე კი ნათქვამია, ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი, რომელშიც სიმართლის მარცვალი არ არისო...

რამდენად წარმატებული იყო 2010 წელი საქართველოსთვის პოლიტიკის, დიპლომატიის, ეკონომიკისა და სხვა, ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მიმართულებებით, ამაზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიო" საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანებს დაუკავშირდა.

## ნანა კაკაბაძე: ყველაზე მეტი უკუსვლა ქვეყანამ განიცადა სწორედ ადამიანის უფლებების თვალსაზრისით...

**ნანა კაკაბაძე, უფლებადამცველი:**

— სამწუხაროდ, ეს წელი ყველაზე მეტად აღსანიშნავი იყო იმით, რომ ამ წელს თვალსაჩინო ხდებოდა, უკვე საკანონმდებლო დონეზე, ადამიანის, როგორც პიროვნების, თავისუფალი ინდივიდის დაკნინება და ისეთი კანონის მიღება, რომლებიდანაც ნათლად ჩანს, რომ მმართველი გუნდის ძალაუფლების ზრდასთან ერთად სულ უფრო მცირდება მოქალაქეთა უფლებები — დაწყებული საქართველოს კონსტიტუციიდან, დამთავრებული სისხლის სამართლისა თუ სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით, ყველაფერი სწორედ ამაზე მიუთითებს. **თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დღეს ქვეყანაში რეალურად არ არსებობს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი სასამართლო, ნათელი ხდება, რომ შეზღუდული უფლებების ფარგლებშიც კი, რასაც ჯერ კიდევ გვიტოვებს ეს ხელისუფლება, თავის დაცვა და რაიმე სამართლიანობის მიღწევა, ფაქტობრივად, შეუძლებელია.**

მოკლედ, არ მინდა, ვინმემ გადაჭარბებაში ჩამომართვას, მაგრამ ამ წელს, ყველა სხვა მიმართულებებთან შედარებით, ყველაზე მეტი უკუსვლა ქვეყანამ განიცადა სწორედ ადამიანის უფლებების თვალსაზრისით... მე, როგორც ამ დარგის სპეციალისტს, ამაზე არაერთხელ მისაუბრია და მინდა, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეს უკუსვლა მიმდინარეობს ძალიან სწრაფად და იმისთვის, რომ ეს პროცესი შეჩერდეს, საჭიროა ბრძოლა და მეტი აქტიურობა. მე საზოგადოების აქტიურობას ვგულისხმობ და, თუ ამას შევძლებთ, მაშინ ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ გვექნება ობიექტური სასამართლო, მიუკერძოებელი და ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებადი ომბუდსმენი, თავისუფალი მედია, სამართალდამცავი სტრუქტურები, ჯანსაღი საარჩევნო გარემო, კოდექსი, კონსტიტუცია და ა.შ. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, როგორც გითხარით, ეს პროცესი, ბუნებრივია, გაგრძელდება და საბოლოოდ, ამ რეჟიმის წყალობით, მივალთ იქამდე, რომ ერთ მშვენიერ დღეს საქართველო გახდება ერთი დიდი საპყრობილე, სადაც ყველანი ვიქნებით პატიმრები და არავის არანაირი უფლებები არ გვექნება...



## მანანა ნიკოლეიშვილი: 2010 წელი იყო ქართული განათლების სისტემის ტრაგედიისა და კატასტროფის, პირქვედამხობის წელი

**მანანა ნიკოლეიშვილი, „განათლების ლიგის" პრეზიდენტი:**

— ის, რაც დღესდღეობით ჩვენს განათლების სისტემაში ხდება, სხვა არაფერია, თუ არა მიზანმიმართული ნგრევა და, სააკაშვილის სიტყვებით რომ ვთქვა, ჩამოშლა იმისა, რასაც ჭეშმარიტი ცოდნა და განათლება ჰქვია. საერთოდ, ნგრევა ორნაირია, — ერთია, როცა მიზნად ისახავ უკეთესის აშენებას, და მეორეა, როცა ანგრევ იმისთვის, რომ, უბრალოდ, მოსპო. **ამათი მიდგომა და დამოკიდებულება განათლებისადმი სწორედ მოსპობისკენ არის მიმართული და ეს ჩანს კიდეც: უმაღლეს სასწავლებლებში განათლების დონე კატასტროფულად დაეცა, სკოლებში კი საერთოდ ისეთი გარემო და პირობებია შექმნილი, რომ ბავშვებს უკვე აღარ უნდათ გაკვეთილებზე შესვლა.**

სხვათა შორის, ამასწინათ საატესტატო გამოცდების ტესტირება ჩაატარეს და ვერ წარმოიდგენთ, რა შედეგები აჩვენა — მოსწავლეთა ოთხმოცდაათ პროცენტზე მეტმა ზღვარიც ვერ გადალახა და ჩაიჭრა. ყველაზე დაბალი ქულები მიიღეს ქიმიაში, მათემატიკაში, ფიზიკასა და ქართულ ენაში, ყველაზე მაღალი კი — ინგლისურში. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ **დიმიტრი შაშკინი, რომელიც მითქვამს და, კვლავ ვიმეორებ, არის ბნელეთის მოციქული, ბრწყინვალედ ასრულებს სააკაშვილისა და მის დასავლელ მფარველთა დავალებას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ უნდა განადგურდეს ქართული მეცნიერებაც, სკოლაც, უმაღლესი სასწავლებლების და, ზოგადად, განათლებაც.** ამის ნათელი მაგალითია თუნდაც იმავე ე. წ. მანდატურების შეყვანა სკოლებში, რომლებიც „ჩაშვების ინსტიტუტს" ქმნიან და რომლებმაც ამ „ინსტიტუტის" მომსახურე პერსონებად უნდა გაზარდონ ბავშვები.

ასევე, ამის ნათელი მაგალითია ის, რომ პედაგოგებს აბსოლუტურად უმიზეზოდ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, ათავისუფლებენ სამსახურიდან, რომ სახელმძღვანელოები არის აბსოლუტურად უვარგისი და რაღაც გაუგებარ სტანდარტებსა თუ მოთხოვნებს მორგებული, რომ მთლად დაანგრიეს და შეცვალეს პროფგანათლების სისტემა, გააუქმეს და გაავერანეს ათას ორასზე მეტი სკოლა და ა. შ.

ჰო, მართლა, ამათი რეფორმების მთავარი და, მე ვიტყოდი, დამაგვირგვინებელი ეტაპი იყო გაურკვეველი განათლებისა და ორიენტაციის არაპროფესიონალი ინგლისურენოვანი ხალხის ჩამოყვანა საზღვარგარეთიდან, რომლებსაც, მე პირადად, პედაგოგებს ვერ ვუწოდებ; და, ასევე, მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ისიც, რომ ჩვენმა ძვირფასმა პრეზიდენტმა პირდაპირ გამოგვიცხადა, ინგლისური ჩვენი მეორე სახელმწიფო ენა უნდა გახდესო, რაც, ჩემი აზრით, მთავარ მიზნად, ქართული ენის დაკნინებასთან ერთად მომავალში, მისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის გაუქმებისთვის ხალხის შემზადებასაც ისახავდა მიზნად.

ერთი სიტყვით, შაშკინისეული რეფორმების წყალობით, შეგვიძლია, „ვიამაყოთ", რომ **2010 წელი იყო ქართული განათლების სისტემის ტრაგედიისა და კატასტროფის, პირქვედამხობის წელი და დღეს თუ ამ ყველაფერს ვხედავთ და განვიცდით მხოლოდ ჩვენ — ამ სფეროში ჩახედული ადამიანები, ხვალ და ზეგ ამას იგრძნობს სრულიად ქართველობა;** მხოლოდ ერთია, — მაშინ უკვე, შეიძლება, ძალიან გვიანი იყოს და ამიტომ მინდა, მივმართო ამ ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს, სტუდენტს, მოსწავლეს, მშობელს, აბიტურიენტს — აბსოლუტურად ყველას, ნუ დახუჭავთ თვალს იმაზე, რაც თქვენს თვალწინ თქვენი და თქვენი შვილების, თქვენი მომავლის საზიანოდ ხდება, თორემ ამათ რეფორმებს საითაც მივყავართ, ეს არის გზა, რომელიც ძალიან მოკლეა და რომელიც სულ მალე ისეთ უფსკრულში გადაგვჩეხავს, საიდანაც შეიძლება ვერასოდეს ამოვიდეს ეს ქვეყანა.



## როლანდ ჯალაღანია: წლევანდელი წელი იყო აბსოლუტურად წარუმატებელი და უსიცოცხლო, სტაგნაციის წელი

**როლანდ ჯალაღანია, გაზეთ „ილორის" მთავარი რედაქტორი:**

— იმის სრულყოფილად განხილვა და, მით უმეტეს, შეჯამება, თუ რა მდგომარეობა გვაქვს დღესდღეობით ქვეყანაში, ვთქვათ, მედიისა და საერთოდ სიტყვის თავისუფლების თვალსაზრისით, არა მგონია, კომენტარის ფორმატში შესაძლებელი იყოს. მაგრამ საერთოდ **თუ გავიხსენებთ, ხელისუფლების დანაშაულებებსა და იმ უკანონო, მე ვიტყოდი, ვანდალურ ქმედებებს, რაც ამათ ბოლო პერიოდში განახორციელეს, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ წლევანდელი წელი იყო აბსოლუტურად წარუმატებელი და უსიცოცხლო, სტაგნაციის წელი.**

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს, როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური, პოლიტიკური და ყველა სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებითაც და, რაც ყველაზე მეტად მაფიქრებს, სამომავლოდაც არაფერი ჩანს ისეთი, რისი იმედიც შეიძლება გვქონდეს. ისე, არაერთხელ მითქვამს და კვლავ ვიმეორებ, რომ **ყველა ის პრობლემა, რომლებზეც ჩვენ ვსაუბრობთ, საბოლოოდ თავს იყრის ერთ ადამიანში — მიხეილ სააკაშვილსა და მის უგუნურ პოლიტიკაში და მგონი, დროა, ერთხელ და სამუდამოდ შევიგნოთ, რომ სანამ მას არ მოვიშორებთ, არაფერი ამ ქვეყანას არ ეშველება...**

**ჯაბა ჟვანია**

P.S. დარწმუნებული ვარ, რაც წინამდებარე პუბლიკაციის შესავალში „ნაცმოძრაობის ბელადზე" წაიკითხეთ, ხუმრობად ჩათვალეთ და, შესაბამისად, სერიოზულად არ აღიქვით. მაგრამ, სამწუხაროდ, იმედი უნდა გაგიცრუოთ და გითხრათ, რომ ცდებით. გასულ კვირას, 24 დეკემბერს, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" „ოქროს პერგამენტის" 2010 წლის ლაურეატების ცერემონიალი გაიმართა, სადაც, რაოდენ დაუჯერებლადაც უნდა მოგეჩვენოთ, ნომინაციაში „წლის პოლიტიკოსი" გამარჯვებულად სწორედ მიხეილ სააკაშვილი დასახელდა. არ ვიცი, ამით გაგახარებთ თუ დაგამწუხრებთ, მაგრამ, თავის მხრივ, ეს ფაქტი ერთადერთ რამეზე მეტყველებს — „ნაცმოძრაობის მამამთავარს" შიდაპოლიტიკურ ასპარეზზე არათუ სერიოზული კონკურენტი, არამედ ფორმალური მეტოქეც კი არ ჰყავს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ხელისუფლებაში ყოფნა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც, უვადოა... რეალობა ასეთია და, ვისაც ამის დანახვა არ სურს, ვურჩევ, თვალში ნაცარი შეიყაროს...

# ზურაბ ხუციშვილი: სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ქართულ ჯარს წვრთნიან კომპანია MPRI-ის დაქირავებული ინსტრუქტორები

**2010 წლის განმავლობაში მომხდარ რეზონანსულ საშინაო და საგარეო სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე მოვლენებს აფასებს სამხედრო ექსპერტი ზურაბ ხუციშვილი.**



**— ბატონო ზურაბ, რამდენად აქტიური და ნაყოფიერი იყო ეს წელიწადი ქართული ჯარისთვის?**

— მე ვწუხვარ ქართული ჯარის დღევანდელი მდგომარეობით. მთელი წლის განმავლობაში ქართული ჯარის მომზადების თვალსაზრისით რაიმე ქმედითი ნაბიჯი არ გადადგმულა. ერთ რამეს გეტყვით, რამდენად შოკისმომგვრელიც უნდა იყოს ეს ნათქვამი. ჩვენი ხელისუფალი ტრაბახობს, რომ ჩვენს ჯარს ამერიკელები წვრთნიან. **მე, როგორც სპეციალისტი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს ასე არ არის. საქართველოში „მოღვაწეობს“ ამერიკული, ფრანგული, ბრიტანული, ებრაული კერძო, ვიმეორებ, კერძო, სამხედრო კომპანიები. ყველაზე ძლიერი კერძო სამხედრო კომპანია, რომელიც საქართველოშია, არის MPRI -MILITARY PROFESSIONAL RESOURCES INCORPORATED, ანუ სამხედრო პროფესიონალური რესურსების კორპორაცია. მათ იქირავებენ ნავთობკომპანიები (მაგალითად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი) და სხვადასხვა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ობიექტები, რათა ამ დაქირავებულმა ჯარებმა მოახდინონ მხოლოდ და მხოლოდ მათი დაცვა. მეტი სხვა მისია ასეთ ჯარს არ ეკისრება.**

**საქართველოს ბიუჯეტიდან იცით, რამდენს უხდიან მაგ ეგრეთ წოდებულ სამხედროებს? პირდაპირ გეტყვით; წოდებისა და თანამდებობების მიხედვით გაცემული დღიური ხელფასი 250-დან 1000 დოლარამდეა.**

რაც შეეხება ავღანეთში წასულ ქართველ სამხედროებს. ავღანეთიდან საიდუმლოდ გამოდის უზარმაზარი რაოდენობის ურანის მადანი, რომლის ტრანსპორტირების უსაფრთხოებასაც ქართველი სამხედროები უზრუნველყოფენ. კაცმა არ იცის, რა დონის დასხივებას იღებენ ჩვენები. დასხივების მძიმე შედეგი რამდენიმე წლის შემდეგ გამოჩნდება.

სამწუხაროდ, ავღანეთში მყოფი ქართული ჯარის მზარდი კონტიგენტი საბრძოლველად არ მზადდება. **რისთვის დაიღუპნენ ჩვენი ბიჭები? იბრძოდნენ და იმიტომ? არა, ისინი ნაღმზე აფეთქდნენ. მე ვიბრძოდი ავღანეთში, დივერსიულ-სადაზვერვო ჯგუფის მეთაურად ყანდაღარის ოლქში. უშუალოდ ქალაქ ხოსტასთან გვქონდა შეტაკება მაშინდელ ალ ქაიდასთან. ავღანეთში საბჭოთა ჯარის ყოფნისას ქართველები რეალურად იბრძოდნენ. უკან დაბრუნებულები კი ნამდვილი მებრძოლი პიროვნებები**

## ავღანეთიდან საიდუმლოდ გამოდის დიდი რაოდენობით ურანის მადანი, რომლის ტრანსპორტირების უსაფრთხოებასაც ქართველი სამხედროები უზრუნველყოფენ

**იყვნენ. დღეს ავღანეთში ქართველ ჯარისკაცებს არანაირი საცეცხლე კონტაქტი და საბრძოლო გამოცდილება არ აქვთ.**

**— გვერდს ვერ ავუვლით 2010 წელს საქართველოში მომხდარ აფეთქებათა სერიას, სპეცოპერაცია „ენვერს“ და რუსი ჯაშუშების გამოაშკარავებას სხვადასხვა ქვეყანაში...**

— ძირითადი და საინტერესო ჩემთვის იმის გარკვევა იყო, თუ როგორ მოხდა ამერიკის საელჩოსთან აფეთქება ისე, რომ სათვალთვალო კამერამ იქ ვერაფერი დააფიქსირა. ვინ დაიჯერებს იმას, რომ თანამგზავრიდან არ უთვალთვალებენ ამერიკის საელჩოს და მის მიმდებარე ტერიტორიას. ცალკე საუბრის საგანია ის ასაფეთქებლები, ტელევიზიით რომ აჩვენეს. მე უამრავი ამფეთქებელი და ასაფეთქებელი ნივთიერება მინახავს — ჰექსოგენი, ტროტილი, პლასტიტი. მაგრამ, რაც აჩვენეს, მსგავსი არც მინახავს. საყურადღებოა მათი აბსურდული მონაჩმახიც, რომ ჭილიბის (იგივე კოლცოს) გამოძრობისა და ხელყუმბარის გადაგდების შემდეგ დამყოვნებელი 30-40 წუთის განმავლობაში იწვოდა. ეს ხომ სრულიად წარმოუდგენელია. უფრო კარგად რომ აგიხსნათ, დამყოვნებელი დაახლოებით 4 სანტიმეტრის სიგრძისაა. ჭილიბის გამოძრობის შემდეგ ზამბარა მოქმედებს დამრტყმელ ნემსაზე, ნემსა ურტყამს ამაალებელ კაფსულას, რომელიც ანთებს




**რუკაზე აღნიშნული წერტილები ასახავს კერძო სამხედრო კომპანია MPRI-ს მოღვაწეობის ადგილებს**

დამყოვნებელს და ხელყუმბარის გადაგდების შემდეგ იქ მიდის უკვე დრო, რომელიც 3-დან 4 წამამდეა. საინტერესოა, რამხელა დამყოვნებელი იყო, რომ ამდენი ხანი იწვოდა. ეს ხომ აბსურდია.

**ვის რაში სჭირდებოდა მიგდებული კედლის აფეთქება. რომ აფეთქებ, მიდიხარ რისკზე, რაღაცით ხომ უნდა იყოს გამართლებული ეს მოქმედება?! ნამდვილი ტერორისტული აქტი ამერიკის საელჩოსთან 1998 წელს ტანზანიის ქალაქ დარ-ეს-სალამში მოხდა; ასევე, სუდანის დედაქალაქ ხართუმში, რასაც სხვათა შორის საელჩოს თანამშრომლების დიდი მსხვერპლი მოჰყვა. აქ კიდევ მიგდებულ კედელს აფეთქებ და რუსეთს აბრალებ?!**

**— ბატონო ზურაბ, 2010 წელი საქართველო-ირანის ახალი კავშირების დამყარების წლადაც შეიძლება მივიჩნიოთ. უვიზო რეჟიმის შემოღებამ ხომ არ შეიძლება გაამარტივოს კონტრაბანდული იარაღით ვაჭრობა 2011 წელს?**

— როგორც ვიცით, ირანი ფორსირებულად ქმნის ჯერჯერობით მშვიდობიან ატომურ ელექტროსადგურებს. ამ ფონზე საქართველოს ტერიტორიაზე არის რადიაქტიური სახიფათო ნივთიერებების მიმოქცევა. ბოლო დროს ჩატარებული სპეცოპერაციები ამის ნათელი დადასტურებაა — ამოღებული კონტრაბანდული ურანი. **უვიზო რეჟიმი და მიმოსვლა ასეთ ქვეყანასთან, როგორიც ირანია, თავისთავად ხელს შეუწყობს კონტრაბანდული რადიაქტიური ნივთიერებებით ვაჭრობას.**

მაგრამ აქ მეორე მხარეცაა. ვთქვათ, მიიღო ირანმა ეს ბირთვული საწვავი, ბირთვულ ამფეთქებლებს, ეგრეთწოდებულ კრიო ტრონებს, საიდან მიიღებს? **ცნობისთვის, კრიოტრონებს ქმნის იტალია და მესამე ქვეყნებში მხოლოდ აქედან იყიდება. ხოლო იტალიიდან როგორ მოხდება მისი შესყიდვა, ამაზე საუბარს ყველა ერიდება. ეს ინფორმაცია მე მიღებული მაქვს ისრაელიდან, დადასტურებული მაქვს რუსეთიდან და ამერიკიდან.**

ისრაელმა, ბირთვული იარაღის არაოფიციალურმა მფლობელებმა — პაკისტანმა და ინდოეთმა მიიღეს ეს კრიოტრონები იტალიიდან და ახლა რიგში დგას ირანი. აქ მილიარდებზეა საუბარი. მართალია, დამზადება ძვირი ჯდება, მაგრამ ათასჯერ უფრო მეტ მოგებას ხედავენ. ისე წავიდა საქმე, რომ იტალიაში ხდება ეს ყველაფერი.

**სრულიად შესაძლებელია, რომ საქართველოც აქტიურად ჩაერთოს ამ მეტად სახიფათო საქმეში და ერთ-ერთ სატრანზიტო ქვეყნადაც კი მოვიაზროთ.**

**— როგორი რეაქცია ექნება ამერიკას ამ ყოველივეზე, ანუ საქართველო-ირანის შესაძლო დაახლოება ამ კუთხით ხომ არ გამოიწვევს ამერიკის აღშფოთებას?**

— საქმე ისაა, რომ ჯერჯერობით ამერიკას ამ საკითხზე არანაირი — არც დადებითი და არც უარყოფითი რეაქცია არ აქვს. მაგრამ გავიხსენოთ 1982 წელი, როდესაც უზარმაზარი სკანდალი ატყდა ეგრეთ წოდებული ირანგეიტის (**Irangate**) გარშემო. მაშინ განტევების ვაცად გამოძებნეს ამერიკის თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველოს ვიცე-პოლკოვნიკი ოლივერ ნორტი. რისთვის? ის იარაღს ყიდდა ირანისთვის. ზუსტად მაგ პერიოდში იყო ირანის მმართველი აიათოლა რუჰოლა ჰომეინი.

აქ საუბარია დიდ ფულზე, რომლის გამოც უკან არავინ დაიხევს. **დღეს ამერიკა აპვირდება, რომ ირანს შესაძლოა გაუფუჭდეს ურთიერთობა რუსეთთან. შესაბამისად, ამ ეტაპზე მისთვის უკეთესია საქართველოსა და ირანის „დაძმაკაცება“, რათა ირანმა თავისი გავლენა იქონიოს საქართველოზე და უარყოფითი რეაქციები გამოიწვიოს შემდეგ რუსეთის წინააღმდეგ. ამერიკა თავის მოგებას ხედავს ამ საკითხში. ჯერ ჩუმადაა და, რა იქნება მომავალში, ამას დრო გვიჩვენებს.**

**— ბატონო ზურაბ, 2010 წელი შეძრა „ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებულმა საიდუმლო მასალებმა. ამის შესახებ ბევრი დაიწერა და ითქვა მსოფლიოში. თქვენ როგორ შეაფასებთ ამ ორგანიზაციის საქმიანობას, რამდენად სანდო, სარწმუნო იყო გავრცელებული უამრავი საიდუმლო დოკუმენტი?**

— ჩემი დაკვირვებით, ეს ორგანიზაცია ან შექმნილია, ან „მჭიდრო კონტაქტები“ აქვს ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან. საეჭვოა, 250 ათასი საიდუმლო საბუთის ასე მარტივად ხელში ჩაგდება შეძლებოდა რომელიმე ორგანიზაციას. ეს ასე არ ხდება. დაზვერვის გარდა, ამ ინფორმაციას ვერავინ ვერ ჩაიგდებს ხელთ.

**— ვერც ჰაკერი?**

— არა მგონია. მაგრამ თუ მოახერხებდა, მაშინვე დაიჭერდნენ მას. თან ისე მალე, რომ ვერ შეძლებდა მის გამოქვეყნებას. მე, ჩემი ძირითადი სპეციალობიდან გამომდინარე, მახსენდება ერთი მაგალითი. **საბჭოთა კავშირში იყო რაკეტა „სატანა“, რომელიც მიფრინავდა საკონტინენტთაშორისო მანძილზე. ათი ბირთვული ქობურა ჰქონდა და ჰაერში იშლებოდა. მათთან ერთად დამატებით ასი ცრუ ქობურა მიფრინავდა. შესაბამისად, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები ველარ არჩევდნენ, რომლისთვის ესროლათ. იგივე შეიძლება ვთქვათ „ვიკილიკსის“ მასალებთან დაკავშირებით. ამდენი საიდუმლო მასალიდან შეიძლება მხოლოდ ღირებული და უტყუარი ათი იყოს და მე საიდან გავიგო, რომელია ასეთი?! მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, დავუცადოთ, რომელი მასალა გამოიწვევს რეზონანს.**

მომიტევეთ, მაგრამ მე 250 ათასიდან ვერ გამოვარჩევ ყველაზე რეზონანსულს.

ესაუბრა
**ოთარ დალაქიშვილი**

## საეჭვოა, 250 ათასი საიდუმლო საბუთის ასე მარტივად ხელში ჩაგდება შეძლებოდა რომელიმე ორგანიზაციას. ეს ასე არ ხდება. დაზვერვის გარდა, ამ ინფორმაციას ვერავინ ვერ ჩაიგდებს ხელთ

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# გია ხუხაშვილი: თოვლის ბაბუა ემიგრაციაში გაუშვეს და თბილისში, როგორც უცხოელი საახალწლო ინვესტორი, სანტაკლაუსი მოგვევლინა

**ხელისუფლება ხშირად აპელირებს, რომ მილიონები, რომლებიც გზებისა თუ სასტუმროების მშენებლობაზე იხარჯება, საქართველოს ეკონომიკას ააყვავებს, რომ საგადასახადო პოლიტიკა ქვეყანაში ბიზნესს განავითარებს, რომ მთავარი ორიენტირი სამუშაო ადგილების შექმნა და მოსახლეობის დასაქმებაა. რეალურად რა გაკეთდა ქვეყანაში მიმდინარე წელს და როგორი იქნება მომავალი წლები ეკონომიკის კუთხით, ეკონომიკის ექსპერტი გია ხუხაშვილი გვესაუბრება.**





— წელს განცხადებების დონეზე ეკონომიკაში პოზიტივი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, სისტემური ცვლილებების თვალსაზრისით, მე შეცვლილი არაფერი მინახავს. 2010 წელს, ეკონომიკური თვალსაზრისით, უარყოფითად ვაფასებ, იმიტომ, რომ **ეკონომიკურ მატებასთან კი არა, უფრო ეკონომიკური პროცესის შეკუმშვასთან გვაქვს საქმე.** ფასების ინდექსი, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, მკვეთრად გაიზარდა, რამაც სოციალური ფონი კიდევ უფრო დაამძიმა. მომავალი წლიდან იწყება ვალების გადახდა, ვალების მომსახურება აქტიურ ფაზაში გადადის, ქართული ეკონომიკა კი ამის შანსს ვერ იძლევა.

**— რა მნიშვნელოვანი ფაქტორები იყო წელს ქართულ ეკონომიკაში?**

— ფასების ზრდა, ანუ ის ფაქტორები, რასაც ფართო სოციალურ ფონებთან პირდაპირი კავშირი აქვს, ყველაზე მწვავედ გამოჩნდა. საქართველოს მოქალაქეებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი არის ფასების ზრდა, კომუნალური გადასახადების ზრდა, ზოგიერთ შემთხვევაში — ანტიკონსტიტუციური ნაბიჯები ამ მიმართულებით; მაგალითად, რამდენიმე კომპანიის მიერ ერთობლივი სადამსჯელო ღონისძიებების ჩატარება. სამწუხაროდ, **ხელისუფლება ამ შემთხვევაში უფრო მონოპოლისტების ლობისტად გვევლინება, ვიდრე თავისი მოქალაქეების უფლებების დამცველად, რაც მისი კონსტიტუციით დაწესებული ფუნდამენტური მოვალეობაა.** ეს არის პრობლემების სპექტრი, თუმცა ეს არ არის ახალი პრობლემები. შეიძლება ითქვას, არაფერი შეცვლილა, უბრალოდ, ფონი კიდევ უფრო დამძიმდა. წლის ბოლოს მივიღეთ სურათი, როცა საშუალო სტატისტიკური ქართველი სრულფასოვნად ვერ იზეიმებს ახალ წელს.

**იმდენად აგდებული დამოკიდებულებაა ბიზნესთან და საერთოდ საქართველოს მოქალაქეებთან, რომ მხოლოდ უცხოელს ეძლევა აშკარა უპირატესობა ნებისმიერ საქმეში. სამართლიანად თუ უსამართლოდ ხელშეუხებელია ნებისმიერი ტიპის კონკურენციაში.** ყველაფერი დააგვირგვინეს იმით, რომ თოვლის ბაბუა ემიგრაციაში გაუშვეს და თბილისში, როგორც უცხოელი საახალწლო ინვესტორი, სანტაკლაუსი მოგვევლინა. თოვლის ბაბუა აღარ არსებობს, არის მხოლოდ სანტაკლაუსი, რომელიც ახალი წლის ქართულად მოლოცვის ნაცვლად გვეუბნება: — ჰელოუ!

**— წელს შეიქმნა მნიშვნელოვანი უწყება — აღსრულების ბიურო, დაამძიმა თუ არა სოციალური ფონი და როგორ იმუშავა ამ უწყებამ?**

— ჩვენ ვართ უნიკალური ქვეყანა, იმიტომ, რომ დებიტორი, მოვალე, ხშირ შემთხვევაში, თვითონ არის დაზარალებული და ხელისუფლება უარს აცხადებს პასუხისმგებლობაზე თავის მოქალაქეებთან ერთად. **ბევრი ადამიანი გადახდის უუნარო გახადა პოლიტიკურმა რისკებმა, რომლებიც 2008 წელს შეიქმნა. მანამდე ბევრ ადამიანს ჰქონდა სამუშაო, საკრედიტო პოლიტიკა იყო ბევრად უფრო ლოიალური, გარკვეული პერსპექტივები ჩანდა. ამ ფორსმაჟორის, ანუ ომის შემდეგ, ძალიან ბევრი ადამიანი იქცა გადახდის უუნაროდ.** ხელისუფლება არ ინაწილებს ამ ადამიანებთან ერთად აღებულ ვალდებულებებზე პასუხისმგებლობას და ისინი მიუგდო კრედიტორებს საჯიჯგნად აღსრულების ბიუროს მეშვეობით. ვფიქრობ, ეს არ არის სამართლიანი, იმიტომ, რომ ადამიანები გადახდის უუნარო გახადა პოლიტიკურმა შეცდომებმა, რომლებიც ხელისუფლებამ ჩაიდინა და რის გამოც ეს ადამიანები დარჩნენ სამუშაოს გარეშე.

> **კარგი გზებიც კარგია, სასტუმროებიც კარგია, მაგრამ ეს არის ეკონომიკის განვითარების ირიბი ხელშემწყობი გარემოებები. ფულმა უნდა დაიწყოს ეკონომიკაში ბრუნვა და არა მიწაში ჩაიდოს**



**— წლევანდელი წელი გამორჩეული იყო წვრილ ბიზნესზე შეტევებითაც.**

— ეს არ არის ახალი ამბავი. ბიზნესზე შეტევები, მრავალი წელია, მიმდინარეობს. ჩვენთან გადასახადის გადამხდელთან არის მომხმარებლური დამოკიდებულება. **ერთ წრეზე ერთსა და იმავე ხალხს ხომ არ „გაპარსავენ“, ამიტომ ახალ და ახალ ბიზნესსეგმენტებს უტევენ.** ადრე თუ ეს იყო შედარებით მსხვილი ბიზნესი, იგი მთლიანად ინტეგრირდა ხელისუფლებაში და ხელშეუხებელი გახდა ან, უბრალოდ, მათგან ამოსაღები აღარაფერია. როდესაც გაქვს მუდმივი მოთხოვნილება ფულზე, ვილაცისგან ხომ უნდა ამოიღო ის?

**— წელს, ასევე, განხორციელდა მასობრივი შემცირებები სახელმწიფო უწყებებში, რა გავლენა იქონია ამან სოციალურ ფონზე?**

— სოციალური ფონის დამძიმება. ფასები გაიზარდა, პენსიების ინდექსაცია არ მოხდა, ამან დაამძიმა პენსიონერების მდგომარეობა. გარდა ამისა, უფრო მეტი ადამიანი დარჩა უმუშევარი, ანუ შემოსავლის გარეშე, ვიდრე იყო შარშან. კერძო სექტორმაც განიცადა დანაკარგები ამ მხრივ. დასაქმებულთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა, იმ ფონზე, რაც იყო საარჩევნო ლოზუნგი, ეს მდგომარეობა ღიმილის მომგვრელი ხდება, მწარე ღიმილის, ოღონდ. ქვეყანაში სოციალური ფონი არის კრიტიკული.

**— საქართველოს ხელისუფლება ხშირად აპელირებს, რომ მრავალმილიონიანი პროექტები ხორციელდება — გზების დაგება, სასტუმროების მშენებლობა, ეს არ აისახება ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაზე?**

— ეს ყველაფერი არის კარგი, მაგრამ ეს არ არის პირდაპირი ინვესტიცია. რა თქმა უნდა, ამას აქვს მნიშვნელობა, **კარგი გზებიც კარგია, სასტუმროებიც კარგია, მაგრამ ეს არის ეკონომიკის განვითარების ირიბი ხელშემწყობი გარემოებები. ფულმა უნდა დაიწყოს ეკონომიკაში ბრუნვა და არა მიწაში ჩაიდოს.** უნდა შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები. ამის ნაცვლად მთელი რესურსები იდება მიწაში, ეს ფული ეკონომიკური ბრუნვიდან ამოდის და ჩვენ ვიღებთ ძალიან ლამაზ გზებს, მაგრამ არაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ამ ლამაზ და კარგად გაკეთებულ გზებზე იყოს ეკონომიკური აქტივობა, ანუ მანქანები მოძრაობდნენ და აწარმოებდნენ რაღაც საქმიანობას, ეს არის პრობლემა.

**— თქვენ ახსენეთ, რომ 2011 იქნება მძიმე, ვალების გადახდის თვალსაზრისით.**

— 2011 არ იქნება კატასტროფულად მძიმე, თუმცა დაიწყება ვალების გადახდა, ამ მხრივ ბევრად უფრო მძიმე იქნება 2012 წელი.

**— წელს საკმაოდ მძიმე სოციალური ფონია, შეიძლება საქართველოს ელოდეს ამაზე მძიმე წლები?**

— სამწუხაროდ, კი. ჯერჯერობით ისე ჩანს, რომ შემდეგი წელი კიდევ უფრო მძიმე იქნება, ვიდრე 2010.

**— პროექტები, ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში არ ახდენს დადებით გავლენას?**

— ძალიან ხშირად ხელისუფლება ცდილობს, საწინააღმდეგო მიმართულებით იმოძრაოს. დილას რომ გამოაცხადებ, რომ ახალი ეკონომიკური პოლიტიკაა და მე უნდა ვეფერო ბიზნესმენებს, საღამოს კი ბიზნესის მიმართულებით აბსოლუტურად საწინააღმდეგო ქმედებებს ჩაიდენ, რაზე შეიძლება საუბარი?! ეს ყველაფერი ნდობაზეა დამყარებული. ერთია, რას აცხადებენ და მეორე — რა სახეს იღებს ის ქმედებებში.

**— რომ შევაჯამოთ, რა იყო ყველაზე დადებითი და უარყოფითი ქართულ ეკონომიკაში წელს?**

— არაფერი მახსენდება ძალიან მნიშვნელოვანი, რაზეც შეიძლება ვისაუბრო. **ყველაზე მნიშვნელოვანი, მაგრამ, სამწუხაროდ, უარყოფითი, ეკონომიკური თვალსაზრისით, იყო ის, რომ დასრულდა ქვეყანაში ბაზრის მონოპოლიური სეგმენტაცია, რამაც საბოლოო ჯამში მოგვცა ფასების მკვეთრი მატება** (არამარტო ამ მიზეზით, სხვა მიზეზებიც იყო), **რამაც სოციალური ფონი მკვეთრად დაამძიმა.** ბოლო ორისამი თვის განმავლობაში რაც ხდება, ეს წარმოუდგენელი რამაა, ფასები ძალიან მკვეთრად გაიზარდა და ხელფასებისა და პენსიების ინდექსაცია არ მომხდარა.

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

## მოკლედ

### მინისტრების საშინაო დავალება

**ორი კვირის წინათ პრეზიდენტმა მინისტრებს დაავალა, ინფლაციური პროცესებისგან მოსახლეობის დასაცავად პროგრამები წარმომიდგინეთო, გასულ კვირას კი ამ პროგრამების ბედი მოიკითხა.** საშინაო დავალება ყველაზე კარგად პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა შეასრულა და მესტიაში გამართულ მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტს მოახსენა, მოქალაქეებს ელექტროენერგიის 20-20-ლარიანი ვაუჩერები დავურიგოთო. გილაურის თქმით, მთავრობამ ინფლაციისგან თავდაცვის რამდენიმე ვარიანტი განიხილა და საბოლოოდ არჩევანი ელექტროენერგიაზე შეაჩერა. წლის ბოლომდე ფრიადოსანი მინისტრები მოლაპარაკებებს დაასრულებენ ელექტროენერგიის მიმწოდებელ კომპანიებთან. ხუთოსნების პროექტი მთავრობას 20-დან 25 მილიონ ლარამდე დაუჯდება.

### მიძინებულთა გასაგონად

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გაოცებულია, რატომ „სძინავს“ კერძო სექტორს. ამ გაოცების თაობაზე მან მესტიაში გამართულ მთავრობის სხდომაზე განაცხადა და მიძინებულებს იქვე მოუწოდა, გამოიღვიძეთ და მესტიის საშუალებით გამდიდრდითო.** გამდიდრებისთვის პირდაპირი და უმოკლესი გზა, რა თქმა უნდა, კვლავაც სასტუმროების მშენებლობაა. სააკაშვილი გაოცებულია, რატომ აშენებენ სასტუმროებს ბათუმსა და გუდაურში, სადაც ტურისტული სეზონი მხოლოდ სეზონურადაა და არ აშენებენ მესტიაში, სადაც „სეზონი არის სულ“. სააკაშვილმა მესტიის თავისუფალ ტურისტულ ზონად გამოცხადება გადაიფიქრა, ვინაიდან „ეს არ არის სწორი“. პრეზიდენტი იმასაც „საკმარისზე მეტად“ მიიჩნევს, მესტიაში მიწა რომ ერთ ლარად გაიცემა.

### სვანური კურიოზი იტალიელებისთვის

**იტალიური კომპანიის სვანი კონტრაქტორების დიდი მცდელობისა და მონდომების შედეგად მესტიაში პირველი სათხილამურო სეზონის გახსნა საუკეთესო შემთხვევაში დაგვიანდება, მაგრამ შესაძლოა, საერთოდაც ვერ მოხერხდეს.** იტალიური სამშენებლო კომპანია „ლაინტერის“ წარმომადგენლები გაოგნებულნი არიან — მათმა სვანმა კონტრაქტორებმა საბაგირო გზის ბოძები უკუღმა დაამონტაჟეს. ბოძს მშენებელმა თავი და ბოლო რომ ვერ გაუგო, უკვე კურიოზია, მაგრამ სიმძიმის ცენტრის ჰაერში მოქცევა, რაც მესტიაში მოხდა, კურიოზის საზღვრებსაც სცილდება. სვანების დასაცავად სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ზაზა გოროზიამ გამოიდო თავი — შეცდომა არ დაუშვიათო. იტალიელები კი ამბობენ, მსოფლიოში მსგავსი არაფერი გვინახავსო.

### მეტროც აღარ იმუშავებს

**მომავალი წლიდან თბილისის მეტრო, 06:00-24:00 საათის ნაცვლად, მხოლოდ 07:00-დან 23:00-საათამდე იმუშავებს.** აღნიშნულის მიზეზად „თბილისის მეტროს“ მენეჯმენტი „ელექტროენერგიის ზედმეტ ხარჯვას“ ასახელებს. ამასთან, გამორიცხული არაა, მეტროთი მგზავრობის საფასური კიდევ ერთხელ, ამჯერად 80 თეთრამდე გაიზარდოს. ზემოხსენებული ინფორმაცია ერთ-ერთი მეტროსადგურის ოპერატორმა გაავრცელა. სააგენტო „პირველმა“ ამ ინფორმაციის გადამოწმება უშუალოდ შპს „თბილისის ავტობუსში“ სცადა. იქ კი აღნიშნული კატეგორიულად უარყვეს და განაცხადეს, რომ „არც მგზავრობის საფასურის გაძვირება და არც სამუშაო დროის შემცირება არ იგეგმება“.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ადამიანები სიმართლეს უკანასკნელი ინსტანციის სასამართლოშიც ვერ პოულობენ

**2010 წლის დასასრულს „საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ მიმდინარე წლის შეფასებას, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით. რა იურიდიული ბერკეტები აამუშავა ხელისუფლებამ, რამდენად იყო დაცული საქართველოს მოქალაქეების უფლებები და რა შეფასებას აძლევენ ადამიანის უფლებათა დამცველები მიმდინარე წელს, გვესაუბრება ადვოკატი გელა ნიკოლეიშვილი.**





## გელა ნიკოლეიშვილი: ხელისუფლების პოლიტიკა მაგონებს მძევლად აყვანის იმ მდგომარეობას, რომელიც საქართველოში 10 წლის წინათ იყო გავრცელებული

— 2010 წელი, ძირითადად, დასამახსოვრებელი იყო იმით, რომ მნიშვნელოვნად შეიცვალა საკანონმდებლო ბაზა. განსაკუთრებით ეს ეხება ადმინისტრაციულ კანონმდებლობას. ასევე მიღებულ იქნა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. აქედან გამომდინარე, **ხელისუფლება მიმართული იყო იმისკენ, რომ მაქსიმალურად შეზღუდულიყო პიროვნების უფლება და მაქსიმალურად გაფართოებულიყო ადმინისტრაციის, ხელისუფლების წარმომადგენლების უფლებები. ეს აისახა სხვადასხვა ჯარიმების რაოდენობის გაზრდაში, სხვადასხვა შეზღუდვების მომატებაში. სრულიად არაადექვატური ჯარიმები და შეზღუდვები დაწესდა იმ ხელფასებთან და პენსიებთან მიმართებაში, რაც ჩვენს მოსახლეობას აქვს. შეიძლება ითქვას, რომ კანონები არის დრაკონული, სასამართლოებში შეუძლებელია სამართლის პოვნა და სიმართლის დადგენა, სასამართლოები მხოლოდ ხელისუფლების გამართლებისკენ არიან მიმართულნი და დამცველ ორგანოებად ქცეული.** ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ეს წელი დაგვამახსოვრდა როგორც, ადამიანის უფლებათა დაცვის პირობების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად გაუარესების წელი.

**— წელს შეიცვალა კონსტიტუციაც....**

— კონსტიტუცია თავიდან ბოლომდე მოერგო მმართველი პარტიის ინტერესებს. 2010 წელს მომზადდა საკანონმდებლო ბაზა იმისათვის, რომ ხელისუფლებამ, ერთის მხრივ, გაიხანგრძლივოს თავისი არსებობდა და, მეორეს მხრივ, გაიადვილოს ხალხის მართვა, სადამსჯელო ღონისძიებების საშუალებით.

**— წელს პროცესი მოიგო პატიმარმა ბათუ სალინაძემ. ეს იყო ერთ-ერთი გახმაურებული საქმე, რომელიც ხელისუფლებამ მოსვლისთანავე წამოიწყო მის წინააღმდეგ. ესეც წლის საქმედ შეიძლება დასახელდეს.**

— დიახ, ოღონდ ბათუ სალინაძემ მოიგო პროცესი არა საქართველოში, არამედ სტრასბურგში და აქედან გამომდინარე, ევროპის სასამართლომ კიდევ ერთხელ გააწნა სილა ხელისუფლებას, კიდევ ერთხელ უთხრა, რომ უკანონოდ მოქმედებს. მინდა, ხაზი გავუსვა, რომ ბათუ სალინაძემ მოიგო სამოქალაქო საქმე, მისი გამოსახლების. ამისთვის 15 000 ევრო მას უკვე აუნაზღაურეს და 90 ათას ევროდ ღირებული კოტეჯი უნდა დაუბრუნონ 27 თებერვალამდე. ეს ვალდებულება აქვს საქართველოს ხელისუფლებას; ან შესაბამისი ანაზღაურება უნდა მისცენ, მაგრამ წინ არის კიდევ სისხლის სამართლებრივი დევნის საქმე, რომელიც, ასევე, სტრასბურგში იხილება, და დარწმუნებული ვარ, რომ ამ საქმესაც მოიგებს ბატონი სალინაძე. აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლება კიდევ ერთხელ აღმოჩნდება სამარცხვინო პოზიციაში, როდესაც საერთაშორისო მასშტაბით კიდევ ერთხელ იქნება დადასტურებული, რომ საქართველოს სასამართლოებში მართლმსაჯულების აღსრულება კი არ ხორციელდება, არამედ ხელისუფლების სასარგებლო, უსამართლო გადაწყვეტილებების მიღება.

**— ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ როგორი იყო ეს წელი? ადვოკატები ამბობდნენ, რომ ძალიან შეიზღუდა ციხეებში შესვლა, შეიზღუდა ადვოკატების უფლებები და აქედან გამომდინარე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ დასაცავი პირებიც?**

— ისევე, როგორც გასულ წლებში, წელსაც, აქცენტი გადაიტანეს რაც შეიძლება მეტი საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე. ოფიციალური მონაცემებით, 56-60 პროცენტამდე საქმე დასრულდა საპროცესო შეთანხმებით. ხელისუფლების მიზანია, ეს მაჩვენებელი 80-85 პროცენტამდე აიყვანოს, ეს კი ნიშნავს, რომ არანაირი გამოძიება არ მიმდინარეობს, პატიმრები ჩაყენებული არიან მძევლების მდგომარეობაში. მათ არჩევანის საშუალებას აძლევენ — ან მოხვდებით ციხეში, ან დაიბრალებთ დანაშაულს და სხვასაც დააბრალებთ (ზოგიერთ შემთხვევაში, მართლაც ჩადენილი აქვთ დანაშაული, მაგრამ ძალიან ბევრი შემთხვევაა, როდესაც მხოლოდ იმისათვის, რომ პატიმრობას თავი დააღწიონ, ყველაფერს იბრალებენ და აბრალებენ სხვასაც), ფორმდება საპროცესო შეთანხმება და სასამართლო აღარ ტარდება. **სასამართლო გარჩევები არ ხდება, ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლებას აინტერესებს არა სიმართლის დადგენა, არამედ მხოლოდ აღიარება, რაც მაგონებს 30-იან წლებში ბოლშევიკების მიერ წარმოებულ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას, როდესაც მთავარი იყო აღიარების მოპოვება.** მართალია, ისინი საპროცესო შეთანხმებას არ უფორმებდნენ პატიმრებს, მაგრამ სამაგიეროდ შეღავათებს აძლევდნენ, მაგალითად, დახვრეტას უცვლიდნენ გადასახლებით ან 20-წლიანი პატიმრობით. ამის გამეორება ხდება. აქედან გამომდინარე, ადვოკატის ფუნქცია კანონმდებლობით შეიზღუდა და დაიკარგა.

ერთ მაგალითს გეტყვით: ახალი საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ (2010 წლის ოქტომბრიდან შევიდა ძალაში), რომელიც ძალიან გაპიარებული იყო ე. წ. ნაფიცი მსაჯულებით, წინასწარი გამოძიების გაუქმებით... მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ **3 თვე გავიდა და ნაფიცი მსაჯულებით არც ერთი სასამართლო პროცესი არ შემდგარა და კიდევ დიდხანს არ შედგება,** ალბათ; და მეორე, რასაც გვპირდებოდნენ, რომ ადვოკატს თანაბარი უფლება ექნებოდა ბრალდების მხარესთან მიმართებაში, პირიქით მოხდა. ადვოკატს აღარ აქვს ამოღების შესახებ შუამდგომლობის დაყენების საშუალება. როდესაც ადვოკატებმა მოითხოვეს სატელეფონო საუბრების ჩანაწერების ამოღება ანძების მითითებით, რომ დაეზუსტებინათ, სად იყო პირი კონკრეტულ დროს, მას მოსამართლემ უარი უთხრა შუამდგომლობაზე, ეს მტკიცებულებების მოპოვება კი არ არის, არამედ ამოღებააო. პროკურორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს და ამოიღოს ეს მონაცემი, ადვოკატს კი იმის უფლებაც არ აქვს, რომ ასეთი აუცილებელი და ელემენტარული მონაცემი მოიპოვოს მოსამართლის საშუალებით.

**საქმე ის არის, რომ ჭეშმარიტება არავის აინტერესებს, აინტერესებთ მხოლოდ საბრალდებო დასკვნის გამართლება და დასკვნაში მოცემული ყველა იმ ბრალდების დადასტურება ქაღალზე, რომელიც წარადგინა პროკურატურამ.** ამის შემდეგ კი — უკვე საპროცესო შეთანხმების გაფორმების საშუალებით ასიათობით ლარის ბიუჯეტში პატიმრების მიერ შეტანა. ხელისუფლების პოლიტიკა მაგონებს მძევლად აყვანის იმ მდგომარეობას, რომელიც საქართველოში 10 წლის წინათ იყო გავრცელებული, როდესაც პანკისის ხეობაში იტაცებდნენ ადამიანებს და გამოსასყიდს ითხოვდნენ იმის მიხედვით, რისი გადახდის საშუალებაც ჰქონდა მძევალს. ახლაც ზუსტად ასეა — ვინც უფრო მდიდარია, მას მილიონებს ახდევინებენ. ამის მაგალითია ელიზბარაშვილის ფაქტი, რომელსაც 6 მილიონი გადაახდევინეს თავისუფლების სანაცვლოდ, ზოგს 5000-ს ახდევინებენ, ზოგს — 40 000 და ასე ავსებენ ბიუჯეტს ადამიანების ძარცვის ხარჯზე.

**— როცა ხელისუფლება შეიცვალა, პირველ ხანებში მძიმე რეპრესიები ხორციელდებოდა... ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობის“ მოსვლის დღიდან ქვეყანაში, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მდგომარეობა უარესდება თუ უმჯობესდება?**

— უარესდება იმ თვალსაზრისით, რომ მათ საკანონმდებლო სფეროში მოაქციეს ყველაფერი, რასაც ადრე ვერ აკრძალავდნენ, იქნებოდა ეს მანიფესტაციებზე გამოსული ხალხის მიმართ რეპრესიები თუ სხვა შეზღუდვები. მაგალითად, მე არაერთი შემთხვევა მქონდა, როდესაც პირი დააკავეს საჯარო ადგილას და ეს კამერით გადაიღეს ჟურნალისტებმა, ანუ ჩვენ გვქონდა დაკავების ვიდეო ჩანაწერი. პოლიცია ამბობდა, თითქოს წინააღმდეგობა გაუწია, შეურაცხყოფა მიაყენა დაკავებულმა, კადრებში კი ჩანდა, რომ არანაირ შეურაცხყოფასა და წინააღმდეგობის გაწევას ადგილი არ ჰქონია. ჩვენ შევთავაზეთ მოსამართლეს, ვნახოთ კასეტა, რომ გავარკვიოთ ვინ არის მართალი-თქო, მაგრამ მოსამართლეს უარი უთქვამს. ეს არის დღევანდელი სასამართლო! **როდესაც უკანასკნელი ინსტანციის სასამართლოში ადამიანი სიმართლეს ვერ იპოვის, აქ უკვე ხელ-ფეხი აქვს გახსნილი ხელისუფლებას ყველანაირი უკანონობისთვის.**

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

**ხელისუფლებას აინტერესებს არა სიმართლის დადგენა, არამედ მხოლოდ აღიარება**

# მოკლედ

## მეჩეთი ტაძრის სანაცვლოდ

**თურქეთის ტერიტორიაზე იშხანის, ხანძთის, ოშკისა და ოთხთა ტაძრის რესტავრაციის სანაცვლოდ, ბათუმსა და საქართველოს სხვა ტერიტორიებზე ოთხი მეჩეთი აღდგება.** ამის შესახებ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი იტყობინება. მისივე განმარტებით, ბათუმში მეჩეთი პრაქტიკულად თავიდან უნდა აშენდეს და ამის თაობაზე მოლაპარაკებები ორი ქვეყნის სამინისტროებს შორის აქტიურად მიმდინარეობს. ხელშეკრულების მთავარი პრინციპი ნაცვალგების პირობაა, ამიტომ ქართული ტაძრების აღდგენის შემთხვევაში, თურქული მხარე საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ოთხ მეჩეთს აღადგენს. შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, ქართული მხარე განახორციელებს ტაო-კლარჯეთის ქართული ტაძრების რესტავრაციას.

## უკრაინულ იარაღს ისევ ვიყიდით

**საქართველოს ვიცე-პრემიერის, ევროპისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრის, გიორგი ბარამიძის განცხადებით, „რუსეთის პროტესტის მიუხედავად, საქართველო უკრაინული შეიარაღების შესყიდვას გააგრძელებს“.** ამის შესახებ ბარამიძემ უკრაინული ჟურნალის „ექსპერტ უკრაინასთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. „ჩვენი თანამშრომლობა, მათ შორის სამხედრო სფეროში, ჩვენი ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს ეყრდნობა. უკრაინას სამხედრო სფეროში სერიოზული პოტენციალი გააჩნია და მას სრულიად ლეგიტიმურად გვაწვდის. მიუხედავად რუსეთის პროტესტისა, ჩვენი მხრიდან მსგავსი ვაჭრობა საერთაშორისო სამართალით არ იზღუდება“, — განაცხადა ბარამიძემ.

## რუსეთის პატრიარქი დაგვეხმარება

**ილორის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, რუსეთის პატრიარქს „განსხვავებული ინფორმაცია ჰქონდა“.** ამის თაობაზე თავად პატრიარქმა კირილმა მას შემდეგ განაცხადა, რაც ნინო ბურჯანაძემ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უამბო. რუსეთის პატრიარქი ამ თემით დაინტერესდა და შესაბამის სამსახურებს ილორის ეკლესიაში მომხდარი ფაქტების შესასწავლად სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნაც დაავალა. ამასთანავე, პატრიარქმა კირილმა ქართულ მხარეს სთხოვა, მიაწოდონ საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელთარსებული დეტალური ინფორმაცია ამ ფაქტების დეტალური შესწავლისა და შესაბამისი რეაგირებისთვის. ნინო ბურჯანაძემ ხელისუფლებას ამ შესაძებლობის გამოყენებისკენ მოუწოდა.

## ნონსენსი კოდუას ცოლის ძმისთვის

**ადვოკატი მამუკა ნოზაძე კრიმინალური პოლიციის შეფის, ერეკლე კოდუას ცოლის ძმის — მიშა ჟორჟოლიანის სასარგებლოდ დაშვებული კიდევ ერთი იურიდიული ნონსენსის თაობაზე იტყობინება.** როგორც ქუჩური გარჩევის დროს მიშა ჟორჟოლიანთან ერთად დაკავებული ვლადიმერ დოლიძის უფლებების დამცველმა განაცხადა, მას შემდეგ, რაც ჟორჟოლიანისა და მასთან ერთად დაკავებული დავით ბენიძის, კონსტანტინე ჩაჩავასა და ირაკლი ღლონტის საქმე დოლიძისას ცალკე წარმოებად გამოეყო, აღნიშნული პირები დოლიძის საქმეში მოწმეებად იქცნენ, თუმცა სასამართლოსთვის ჩვენების მიცემაზე, ღლონტის გარდა, ყველამ უარი განაცხადა. არადა, პირს, რომელსაც სასამართლო მოწმედ იძახებს, კანონით, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება არ აქვს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# 2010 წელს გაკოტრებული ბიზნესმენები




**2010 წელი ხელისუფლების ქმედებების მხრივ ერთ-ერთი საინტერესო წელი იყო საქართველოს ისტორიაში. ყველაზე მეტად აღნიშნული წელი, ალბათ, მოსახლეობას წვრილი თუ მსხვილი ბიზნესმენების დაწიოკებით დაამახსოვრდება, რადგან ფინანსური პოლიცია, შექმნის წელს თუ არ გავითვალისწინებთ, სწორედ 2010-ში მუშაობდა ყველაზე აქტიურად. მიმდინარე წლის დასასრულს შეგვიძლია შევაჯამოთ, თუ რა მნიშვნელოვან ფაქტებს ჰქონდა ადგილი ხელისუფლების მხრიდან.**

„ნაციონალურ მოძრაობას“ ერთი უცნაური თვისება აქვს, როცა მათი კომფორტი საფრთხის ქვეშ დგება და ყულაბას მოწინააღმდეგეების ან გუნდს გარეთ მყოფი ადამიანების ფინანსები არ ჰყოფნის, საკუთარ ხალხს დაერევიან ხოლმე. **ფულის სიყვარული და მისი ამოღების გზების სისასტიკე მმართველმა გუნდმა იმთავითვე გამოიჩინა, როცა ხელისუფლებაში მოვიდა. იმის გამო, რომ გამოცარიელებული ხაზინა შეევსოთ და შევარდნაძისდროინდელი ღარიბული კაბინეტებიდან და ავტომანქანებიდან ევროსტანდარტებზე გადასულიყვნენ, ქვეყანაში რეპრესიების მთელი კასკადი მოეწყო.** იჭერდნენ ყველას, ვისთანაც ანგარიში ჰქონდათ გასასწორებელი და მათაც, ვისთანაც ფული ეგულებოდათ. მოკლედ, რევოლუციის წლისთავზე ბიუჯეტში, რომელიც ძირითადად სახელმწიფო აპარატის კომფორტის მოწყობას მოხმარდა, მილიარდები აკუმულირდა.

**ბიუჯეტი რომ შეავსეს, მერე ფონდები შექმნეს, შს სამინისტროსა და თავდაცვის, რომლის შემოსავალ-გასავლის დოკუმენტაცია თვალით არავის უნახავს და დღემდე გრიფით საიდუმლო ადევს, რეკეტის საუკეთესო საშუალება იყო; იჭერდნენ ყველას, ვისაც ამ ფონდებში თანხის შეტანა და თავისუფლების გამოსყიდვა შეეძლო.**

შვიდი წელი არც ისე მცირე დროა იმისთვის, რომ ქვეყანაში პოლიტიკური ოპონენტების ამ გზით გაყვლეფა მოესწროთ. ჰოდა, „ნაციონალურ მოძრაობას“ დასაჭერთა სია შეუმცირდა, ამიტომ წლევანდელი წელი მათ საკუთარი ხალხის დაჭერასა და ფულის მათგან ამოღებას მოანდომეს.

გარდა საგარეო ვალებისა, რითაც სააკაშვილმა საქართველოს არსებობის ისტორიაში რეკორდი მოხსნა და რომლის გასტუმრებაც ქვეყნისთვის 2013 წლიდან მეტისმეტად მძიმე და საგანგაშო იქნება, **„ნაციონალურმა მოძრაობამ“ თანხების აკუმულირება იმ ხალხისგან გადაწყვიტა, ვისაც ფული თავად აშოვნინა და ბიზნესებზე მონოპოლიაშიც ხელი შეუწყო.**

**პირველი გასაოცარი დაკავება, რომელიც მარტო საზოგადოებისთვის კი არა, თავად დაკავებულისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა, სს „ენერჯი ინვესტის“ გენერალური დირექტორის, გენადი მალაზონიას დაკავება იყო.** ვინაიდან მალაზონია მეტად დაახლოებული იყო სახელისუფლო გუნდთან, მას განსაკუთრებით კარგი ურთიერთობა ჰქონდა უმრავლესობის ლიდერ პეტრე ცისკარიშვილთან; გახლდათ გი-



გიორგი არველაძე და გენო მალაზონია

## «ენერჯი ინვესტის» გენერალური დირექტორი — გენადი მალაზონია მეტად დაახლოებული იყო სახელისუფლო გუნდთან, ამიტომაც გასაკვირი იყო მისი დაკავება

ორგი კოდუას ახლო მეგობარი და მეჯვარე, ასევე, — ქვემო ქართლის გუბერნატორ დავით კირკიტაძის მეგობარი, რომელიც უპრობლემოდ აკმაყოფილებდა კირკიტაძის მოთხოვნებს და სწორედ მას უკავშირებენ საფეხბურთო გუნდ „ოლიმპის“ წარმატებებს, რადგანაც ამ გუნდისთვის „ენერჯი ინვესტი“ დაფინანსებას არ იშურებდა. კირკიტაძის ინტერესები კი საფეხბურთო გუნდებთან დაკავშირებით მოგეხსენებათ.

რუსულ-ქართული კომპანია „ენერჯი ინვესტი“ 2004 წელს დაფუძნდა. 2005 წელს კი რუსთავის აზოტი შეისყიდა. **ამ კომპანიაში ინტერესები ჰქონდათ ძმებ ბეჟუაშვილებსაც. გახსოვთ, ალბათ, გასულ წელს, ეკონომიკური კრიზის დროს, როცა საქართველოში თითქმის ყველა საწარმო გაკოტრების ზღვარზე იყო, სახელმწიფომ მხოლოდ აზოტის გადარჩენა გადაწყვიტა და 25 მილიონი ლარის სასუქი შეისყიდა მისგან.** ეს სახელმწიფოს მხრიდან კეთილგანწყობის ერთადერთი ფაქტი არაა „ენერჯი ინვესტის“ მისამართით. **ამ კომპანიას არაერთხელ სტუმრობდა საქართველოს პრეზიდენტიც და ახდენდა მის პოპულარიზაციას.** ამიტომაც გაჩნდა კითხვის ნიშნები მალაზონიას დაკავე-


გელა ბარკალაია

ბასთან დაკავშირებით. მითუმეტეს, რომ თავად მალაზონია ბრალს არ აღიარებდა.

**თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახურის განცხადებით: გენადი მალაზონიას ბრალად ედებოდა კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან ერთად, ჯგუფურად, უკანონო სამეწარმეო საქმიანობა, რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით — 165 828 582 ლარის შემოსავლების მიღება. სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და ბრალდებულ გენადი მალაზონიას აღკვეთის ღონისძიების სახით ორი თვის ვადით დაპატიმრება შეუფარდა.**

მალაზონია უკვე გაათავისუფლეს, მაგრამ ისევე, როგორც დაკავებისას, ახლაც დუმილს ამჯობინებს და არ ახმაურებს, თუ რის საფუძველზე დააკავეს და გაათავისუფლეს. თუმცა **ხელისუფლება რომ დიდი ბიზნესის წარმომადგენლებს მხოლოდ დიდი ფულის გადახდის სანაცვლოდ ათავისუფლებს, უცხო არავისთვისაა.**

**მალაზონიას დაკავებას მოჰყვა საავტომობილო კომპანია „მათე მოტორსის“ ხელმძღვანელის — გელა ბარკალაიას დაკავება.** ბარკალაიას გამოძიება სს კოდექსის 339-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს, ქრთამის მიცემას ედავებოდა. ამ ფაქტით ხელისუფლებამ დაადასტურა, რომ ტაქტიკა, რომ ისინი საკუთარ მხარდამჭერ ბიზნესმენებს არ ეხებოდნენ, შეიცვალა. **დღემდე არ ხმაურდება, ვის და რისთვის აძლევდა ქრთამს ცნობილი ბიზნესმენი. სახელდება საგადასახადოს გამომძიებელი, თუმცა საეჭვოა, ხელისუფლების კარის ბიზნესმენს გამომძიებლის მოსყიდვა დასჭირვებოდა.**

„მათე მოტორსი“ ის კომპანიაა, რომელიც 2009 წლის წლიური ბრუნვის მიხედვით 500 მსხვილ საწარმოს შორის მოხვდა, მიუხედავად იმისა, რომ ომის შემდეგ პერიოდში „მათე მოტორსს“ ისევე, როგორც სხვა კომპანიებს სერიოზული კრიზისი ჰქონდათ. ვინაიდან ბანკებმა დაკრედიტება შეწყვიტეს, მაშინ გელა ბარკალაიამ შიდა განვადებებით გადაარჩინა საკუთარი ბიზნესი. **გასულ წელს „მათე მოტორსმა“ კვლავ მოგებაზე დაიწყო მუშაობა და 5 ივნისს ამ კომპანიამ გრანდიოზულად აღნიშნა ცენტრის ოფიციალური გახსნა, რომლის პრეზენტაციასაც, როგორც სამთავრობო, ისე ბიზნესის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.**

ბარკალაიას ხელისუფლებაში რომ სწყალობდნენ, იქიდანაც ჩანს, რომ ეს კომპანია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში ხშირად იგებდა. როგორც ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები ამბობენ, სახელმწიფო ტენდერებში გამარჯვება მხოლოდ ხელისუფლების მიერ ხელდასმული ფირმების მიერ ხდება და ამიტომაც არის, რომ ტენდერებს, ძირითადად, ერთი და იგივე ფირმები იგებენ. **ცხადია, „მათე მოტორსს“ ცალმხრივად არ სწყალობდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები. წინასაარჩევნოდ აღნიშნული კომპანიის წინ, მარშალ გელოვანის გამზირზე, გელა ბარკალაიამ ყვავილებით ხუთიანი შემოხაზა,** რაც „ალიანსი საქართველოს“ წარმომადგენლებმა გააპროტესტეს და გიგი უგულავა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაში დაადანაშაულეს. თუმცა ბარკალაიამ განაცხადა, უგულავა რა შუაშია, მე მხარს ვუჭერ „ნაციონალურ მოძრაობას“ და ჩემი პოზიცია ნებით გამოვხატეო. **არჩევნებმა ჩაიარა და „მათე მოტორსის“ ხელმძღვანელი საგადასახადოს თანამშრომლისთვის ქრთამის მიცემის ბრალდებით ციხეში აღმოჩნდა. იგი სამართალდამცავებმა 12 ივნისს საკუთარ სამსახურთან დააკავეს.**

**მსხვილი ბიზნესმენების გარდა, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ხელისუფლება დაერია წვრილ მეწარმეებსაც და ათობით მეწარმე დააკავეს.**

**ასევე უცნაური იყო სოდის დირექტორის ყოფილი მოადგილის, კახაბერ მისირელის ქურდული ტრადიციების მიმდევრობის ბრალდებით დაკავება.**

**იგი შს სამინისტროს თანამშრომელმა დავით გაგნიძესთან და ფეხბურთელ გიორგი დემეტრაძესთან ერთად დააკავეს.**

შს სამინისტროს ინფორმაციით:

**„თბილისის მთავარი სამმართველოსა და კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა ერთობლივად გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ქ. თბილისში ქურდული ტრადიციების მატარებლები: დავით გაგნიძე, გიორგი დემეტრაძე და კახა მისირელი დააკავეს.**

**დაკავების დროს მათგან ამოღებული იქნა ერთ-ერთი მოქალაქისგან მიღებული 40 ატას 700 აშშ დოლარი, რომელიც მიმდინარე საფეხბურთო ჩემპიონატთან დაკავშირებით ე. წ. მაზით 140 ათასი დოლარი მოგებული ჰქონდა დავით ფეიქრიშვილს.**

**აღნიშნული თანხის ამოსაღებად, უკრაინიდან სატელეფონო საუბრებით ჩაერთო წარსულში ნასამართლები ვატო ყიფიანი, რომელიც დაუკავშირდა თბილისში მყოფ დავით გაგნიძეს, გიორგი დემეტრაძესა და კახა მისირელს და მათი საშუალებით, ქურდული გარჩევებით ცდილობდა აღნიშნული თანხის ამოღებას და ნაწილის „ქურდულ ობშიაკში“ გადარიცხვას. ვატო ყიფიანს მოგებული თანხის ნაწილი, 30 ათასი დოლარი, ამოღებული ჰქონდა უკრაინაში და ცდილობდა დარჩენილი თანხის 40 ათას 700 დოლარის გადაცემას დავით ფეიქრიშვილისთვის, რა დროსაც აღნიშნული პირები დააკავეს.**

**კახა მისირელის პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებულია „გლოკის“ ტიპის ცეცხლსასროლი იარა-** ▶



## აჭარაში პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე 2007 წელს დაკანონებული მიწები მოსახლეობას 2010 წელს ჩამოართვეს

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სოდის დირექტორის მოადგილე კახაბერ მისირელი ქურდული ტრადიციების მიმდევრობის ბრალდებით დააკავეს

◀ ლი, ხოლო ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებულია „მაუზერისა“ და „იერიხოს“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღები, ხელყუმბარა და საბრძოლო ვაზნები, ხოლო დავით გაგნიძის პირადი ჩხრეკისას ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო ვაზნები“.

როგორც აღვნიშნეთ, კახა მისირელი წლების მანძილზე ირაკლი კოდუას მოადგილე გახლდათ, მართალია იგი მალე გაათავისუფლეს, თუმცა იმის აღიარება, რომ თურმე შს სამინისტროს ხელმძღვანელი პირები ქურდული ტრადიციების მატარებლები არიან, არც ისე სასიამოვნო ინფორმაციაა.

**ასევე, მეტად პრობლემური იყო წელს საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტები, რომელმაც ყველაზე მეტად აჭარის მოსახლეობა დააზარალა. ბოლო, ფართომასშტაბიანი საკუთრების დატაცება ხელისუფლებამ ბათუმის რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში განახორციელა. აჭარაში გონიოს ციხის მიმდებარე ტერიტორიის მფლობელ 270 ოჯახს, რომელსაც მიწები 2007 წელს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე დაუკანონეს, წლეულს ჩამოართვეს.** ბათუმი გაფართოვდა, იგი მომავალში ჩაქვიდან სარფამდე ტერიტორიას მოიცავს და ზღვისპირა ტერიტორიებიც ხელისუფლების ინტერესში ამიტომ მოექცა. გონიოს მოსახლეობის ბედს მალე გაიზიარებენ დანარჩენ ტერიტორიებზე მცხოვრებნიც.

ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლების განცხადებით, **ბათუმის რეაბილიტაციის პროგრამის მთავარი მენეჯერი მიხეილ სააკაშვილია, ხოლო „გადათხრები“, რომელიც ქალაქში მიმდინარეობს „ნიუ ენერჯის“ მიერ, მერაბიშვილის ფულის მანქანაა.** როგორც აღვნიშნეთ, ამ 270 ოჯახს შეიძლება კიდევ ბევრი დაემატოს, იმიტომ, რომ ჯერ არ გადასულან ქობულეთის რაიონში, ჩაქვისა და ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორიებზე.

**ქვეყანაში წლის მანძილზე ერთ-ერთი დიდი ტრაგედია 27 აგვისტოს ტყიბულის მაღაროში მომხდარი აფეთქება იყო, რომელსაც 4 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.**

ამ ფაქტს წინ უსწრებდა იმავე შახტაში მიმდინარე წლის 3 მარტს მომხდარი აფეთქება, რომელიც, ასევე, მსხვერპლით დასრულდა. ლეიბორისტული პარტია ტყიბულში მომხდარ ტრაგედიაში სწორედ ბეჟუაშვილებს ადანაშაულებს და აცხადებს, რომ 400 ათასი დოლარი, რომელიც „იუსაიდმა“ ამ მაღაროს უსაფრთხოების ნორმების გაუმჯობესებისთვის გამოუყო, ბეჟუაშვილებმა არამიზნობრივად დახარჯეს.

**„ეს ყველაფერი განპირობებულია იმით, რომ სააკაშვილთან ყველაზე მეტად დაახლოებულმა კლანმა, ბეჟუაშვილებმა, რომლებიც ცნობილი არიან როგორც „კასირები“, ფულის მიმტანები სააკაშვილის კარზე, ხელში ჩაიგდეს ქვეყნის სიმდიდრეები. მათია ცნობილი ინდუსტრიული ჯგუფი, რომელმაც უკვე რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მთლიანად ამ ძმების კისერზეა ამ ადამიანების ცოდვა, ამ ადამიანების გარდაცვალება. ტყიბულის მაღაროში მომხდარი ტრაგედია, ბეჟუაშვილების უპასუხისმგებლობამ და ფულისმოყვარეობამ განაპირობა!“** — ამბობს ლეიბორისტული პარტიის ერთერთი ლიდერი გიორგი გუგავა.

**2010 წლის დასაწყისში ხელისუფლებამ საქართველოს მოსახლეობას ერთი უმნიშვნელოვანესი „სიურპრიზი“ მოუწყო — შექმნა აღსრულების ბიურო, რომელიც, ვადაგადაცილებული სესხის შემთხვევაში, კრედიტორს უაპელაციოდ ართმევს ქონებას.**

ოფიციალური ინფორმაციით, 2010 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, ახლადშექმნილმა მანქანამ საქართველოს მოქალაქეებს 7 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების ქონება ჩამოართვა. **იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს აღსრულების ბიურო სიხარულით იტყობინება, რომ მათ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხული თანხები ყოველთვიურად იზრდება.** ბოლო მონაცემებით, ივლისში ამ უწყების მიერ ბიუჯეტში 7 მილიონ 330 ათას 771 ლარი შევიდა, რაც წინა თვესთან შედარებით ერთი მილიონით მეტია (6 მილიონ 658 ათას 518 ლარი); რომ გაიზარდა აღმოსავლეთ საქართველოს სააღსრულებო ბიუროების მიერ ბიუჯეტში გადარიცხული თანხები და ის ციფრებში 5 მილიონ 694 ათას 602 ლარს შეადგენს.

**აღსრულების საქმეთა მაჩვენებელმაც მოიმატა და, ბოლო მონაცემებით, ანუ ივლისში 4781 სააღსრულებო წარმოებაა აღსრულებული. ეს კი მარტივად იმას ნიშნავს, რომ ქონება ჩამოართვეს და აუქციონზე გაუყიდეს 4781 ოჯახს, რომელთა ქონების ღირებულების საშუალოდ 50%-მა შვიდი მილიონი ლარი შეადგინა.**

**სოფო გელაშვილი**



# მე მინდა, გითხრათ სამძიმარი, ანუ რა განსხვავებაა ინდონეზიაში დატუსაღებულ და სომალიში დატყვევებულ ქართველებს შორის

**ახალ წელს ვალებით არ უნდა შეხვდე, სახლში სიხარულით უნდა შეეგებო, სუფრაზე აუცილებლად უნდა გედოს შემწვარ-მოხრაკული, — ამას გვირჩევენ ასტროლოგები. რჩევა ერთია, მაგრამ ქართული რეალობა სულ სხვაა — სახელმწიფოს საგარეო ვალები, გაუსაძლისი სოციალური მდგომარეობა და უიმედო მომავალი, რომელიც სიხარულის გრძნობას საერთოდ უკლავს ადამიანს. ეს მხოლოდ ასტროლოგების პროგნოზია უკეთესი მომავლის დასაბედებლად, ხოლო ჩვენი ხელისუფლნი და პრეზიდენტი, რომლებიც ბავშვობაწართმეულ იმ პატარებს დაემსგავსნენ, დიდობაში რომ იხდენენ ბავშვობის ოცნებებს, დემოკრატიული ყაჩაღობით შევსებულ ბიუჯეტს გართობა-სანახაობებში ხარჯავენ და არც კი ფიქრობენ, რამდენი ადამიანი უსახლკაროდ, მშიერი შეხვდება ახალ წელს.**







ძველი რომაული პოლიტიკა „პური და სანახაობა“ დღეს განსაკუთრებით ამართლებს ჩვენს ქვეყანაში და ხელისუფლებაც კარგად იყენებს უფლებების გასაძლიერებლად და მმართველობის გასახანგრძლივებლად. ქართველი ერი სიბრმავესთან ერთად დაყრუვდა კიდეც და საბოლოოდ შეეგუა სულში ჩაფურთხებას. **გაგანია ეკონომიკური კრიზისის დროს, როცა ევროპა თავად უფრთხილდება თითოეულ კაპიკს, ბათუმში ახალი წლის სიმღერ-სიმღერით შესახვედრად ანდრია ბოჩელი ჩამოგვყავს.**

იტალიური საოპერო ხელოვნება და ცნობილი ტენორების საქართველოში ვიზიტი ნამდვილად გასახარი იქნებოდა, ჩვენს ქვეყანას მართლაც რომ ეტყობოდეს ეკონომიკური აღმავლობისა და წინსვლის კვალი.

**სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობა უკვე მონური შრომის ფასად, მათხოვრულ ხელფასზე თანხმდება უცხოელ შემკვეთს, რათა ოჯახი შიმშილით სიკვდილისგან დაიხსნას.**

ასე დაემართათ სწორედ ქართველ მეზღვაურებს, რომლებიც ბერძნული დროშის ქვეშ მცურავ გემზე მოხვდნენ მეზღვაურებად.

სომალელი მეკობრეები მთელი მსოფლიოსთვის დიდ თავსატეხად გადაიქცნენ და ვერც ქართველები გავექცით მას. ქვეყნის ეკონომიკურმა მდგომარეობამ ხელი შეუწყო უამრავ ქართველს, რომ ნებაყოფლობით გადაქცეულიყვნენ მონებად. რამდენიმე თვის წინათ მთელი საქართველოსთვის ცნობილი გახდა, რომ **7 ქართველი მეზღვაური, რომლებიც ბერძნულ გემზე მუშაობდნენ, სომალელ მეკობრეთა ტყვეობაში აღმოჩნდა. სომალელი მეკობრეები ტყვე მეზღვაურების განთავისუფლებაში 2 მილიონ დოლარს ითხოვდნენ.** ყველამ ნახა სატელევიზიო კადრები, სადაც დატყვევებულები შველას ითხოვდნენ, რადგან გემზე უკვე სურსათისა და წყლის მარაგი ეწურებოდათ. მაგრამ ამაოდ, საგარეო საქმეთა სამინისტროში ერთი სიტყვაც არ დასცდენიათ, რას აპირებდნენ ამ ადამიანების ტყვეობიდან გასათავისუფლებლად. ამის შემდეგ **მეზღვაურების ოჯახის წევრებმა ამოიღეს ხმა, შველა სთხოვეს საქართველოს პრეზიდენტს და მათ მხოლოდ სატელევიზიო რეკლამა „დავეხმაროთ დატყვევებულ მეზღვაურებს“ და ბანკში გახსნილი ანგარიშის ნომერი მიიღეს ნუგეშად. ჩვენმა ხელისუფლებამ ამგვარი განცხადებით გაჭირვებული ხალხი სინდისზე შეაგდო.**

**ახალ წელს ბათუმში ცნობილი იტალიელი ტენორი ანდრია ბოჩელის გრანდიოზული კონცერტის გასამართად დიდი თანხა დაიხარჯება ბიუჯეტიდან. არადა, ის მეზღვაურები, რომლებიც სომალელთა ტყვეობაში იმყოფებიან, აჭარლები და გურულები არიან.** ხელისუფლება, დიდიხანია, მიეჩვია თავხედობას ერის წინაშე; მისი დარაბებიდან, უკვე დიდიხანია, ილუზიებითა და ოცნებებით ნაშენები საქართველო მოჩანს; არ ადარდებს, მისი ქვეყნის მოქალაქეები როგორ იქექებიან ნაგვის ყუთებში. **არც ბატონ პრეზიდენტს და არც საგარეო საქმეთა მინისტრს არ აღელვებს სხვის შვილსა თუ მამას შიმშილით ამოხდება სული ტყვეობაში თუ სომალელი მეკობრეები ჩამოახრჩობენ.**

**სამაგიეროდ დელეგაციას დელეგაციაზე აგზავნიან და ღელავენ, ინდონეზიაში ნარკოტრანზიტის გამო დაკავებული ორი ქალბატონის გამო.** ქართველებს ერთი კარგი ანდაზა გვაქვს: „ქურდს ქუდი ეწვისო“ და ჩვენი ხელისუფლების აქტიურობაც ამ საქმესთან დაკავშირებით სწორედაც რომ ამას გვაფიქრებინებს. სხვისი გაუბედურების ხარჯზე საკუთარი ბედნიერების აგებას ხალხი თუ გაპატიებს, ღმერთი არ გპატიობს. **რამდენიც არ უნდა ამტკიცონ, ეჭვს ყოველთვის გამოიწვევს ის ფაქტი, რომ 3 მილიონის ღირებულების ნარკოტიკული საშუალება საიდან მოხვდა დაკავებული ქალბატონების ხელში.**

სხვისი პრობლემებითა და გაჭირვებით დღემდე არ დაინტერესებულა ჩვენი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი დაკომპლექტებული ხელისუფლება, არც საგარეო საქმეთა სამინისტროს უთევია ღამეები იმის გარკვევაში, საზღვარგარეთ ციხეებში რამდენი ქართველია სამუდამო პატიმრობამისჯილი და **ახლა ვწუხვართ ორ ქალბატონზე, როგორმე ჩამოხრჩობას რომ გადავარჩინოთ.**

ჩვენი ერის უბედურება ის არის, რომ, დღეს აღარავის აღარ ტკივა და აწუხებს სხვისი გასაჭირი და უბედურება. ოღონდ მე არა და სხვას, რაც უნდა, ის დაემართოს. დღეს ასე ფიქრობს ხალხის დიდი ნაწილი, მაგრამ ავიწყდებათ, რომ საკუთარი მოგზაურობებისა და კეთილდღეობის დასაკმაყოფილებლად არავის დაზოგავს ნაციონალური ხელისუფლება და ხვალ თავად აღმოჩნდება იმ სხვის ადგილას.

**ეკა სარალიძე**





სომალელი მეკობრეები

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ბურჯუაზიის ამაოება

**2010 წლის ყველაზე დიდი მსოფლიო სკანდალი „ვიკილიქსის“ საიდუმლო მიმოწერის გამოქვეყნებას მოჰყვა. ბევრი ბოდიშიც მოვისმინეთ იმ ბაგეთაგან, ტკბილი სიტყვის გაგონება რომ ენატრება ჩვენს ხელისუფლებას. საქართველოს მასშტაბით კი ერთგვარ „ქართულ ვიკილიქსად“ წარმოგვიდგება გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებული წერილი „ვაჭრობა ქვეყნით და ხალხით“. თითქოს რამე სიახლე გაიგესო, ისეთი შოკი გამოიწვია ამ პუბლიკაციამ პოლიტიკურ სპექტრში. თუმცა იმავეს ვერ ვიტყვით ხალხზე, რომელსაც ამგვარი ეჭვი არაერთხელ გამოუთქვამს. ამ პოლიტიკურ შოკსაც აქვს თავისი მიზეზი.**



## ნინო ბურჯანაძე მუქარას ასრულებს: პოლიტიკური ველის მოსუფთავება კომპრომატებით დაიწყო

სხვათა შორის პრესაში აქამდეც ხშირად ისმოდა ბრალდებები პოლიტიკოსთა მიმართ. ამ ბრალდებებს ყოველთვის მოჰყვებოდა ხოლმე დაფიცება-დაგინება და ცრემლისღვრა საკუთარ უმწიკვლობაში საზოგადოების დასარწმუნებლად. მაგრამ ამჯერად ბრალდებას არამხოლოდ კონკრეტული ადრესატი ჰყავს, არამედ კონკრეტული ბრალმდებელიც. ჩვენს შემთხვევაში ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. ადრესატი ლევან გაჩეჩილაძეა, ბრალმდებელი კი — ბადრი ბიწაძე.

**რთულია, პოლიტიკოსთა ფარულ ზრახვებს ჩასწვდე. თუმცა სულაც არ არის ძნელი მისახვედრი, რომ დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლა „პოლიტიკური ველის“ მოსასუფთავებლად.**

პრეზიდენტმა სააკაშვილმა იმედები გაუცრუა „დემოკრატიის შუქურის“ „რუბილნიკთან“ მდგარ „მამებს“. ამიტომ ქართული პოლიტიკის „ზვიგენებმა“ კი არა, „პირანიებმაც“ თავი ერთადერთ ალტერნატივად წარმოიდგინეს და დაიწყო...

ქართული პოლიტიკისთვის კომპრომატების ფრიალი ახალი არ არის და ვერავის გააკვირვებ. მაგრამ ასე მომზადებული და, შესაძლოა, სამომავლო სვლებზე გათვლილი, პირველად ვიხილეთ. პირველხანებში ამიტომაც დაიბნენ პოლიტიკოსები. და გაჩნდა ამგვარი ვითარებისთვის უპრიანი შეკითხვა — **ვის აძლევს ხელს?**

მას შემდეგ, რაც იმავე გაზეთში ბადრი ბიწაძის ნაამბობი გამოქვეყნდა, ყველაფერი გაცხადდა. თუმცა, ბუნდოვანება მაინც დარჩა და ახლა იმაზე იმტვრევენ თავს, **რატომ მაინცდამაინც ახლა და რა მიზნით დასჭირდა ბურჯანაძე-ბიწაძის წყვილს ღია ომის გამოცხადება არამხოლოდ ლევან გაჩეჩილაძისთვის, არამედ (მისი სახით) მთელი „ქართული პარტიისთვის“?!**

მიზეზიც ნათელია და მიზანიც — პოლიტიკური ველი გადაიტვირთა და სასწრაფოდ განმუხტვას საჭიროებს. **ბურჯანაძე სამოქმედო არეალს აფართოებს.**

თვითონ ამ ისტორიის კომენტირებისას აცხადებს, რომ **ეს წარსული ამბავია და, გაზეთის ფურცლებზე როგორ აღმოჩნდა, მისთვის გაუგებარია.**

ცოტა (ცოტა?) დაუჯერებელია, რომ გენერალმა ბიწაძემ ორჯერ „მოქმედ მთავარსარდალ“ თანამეცხედრეს დაუმორჩილებლობა გამოუცხადა და უნებართვოდ (კარგი, ცოტა შევარბილოთ — შეუთანხმებლად!) მიაწოდა ჟურნალისტს კომპრომატები. მაგრამ ამას ვინ ირწმუნებს? არც არავინ.

**თუ გავიხსენებთ ორგზის მოქმედი პრეზიდენტისა და პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის არაერთ მუქარას, არ ამალაპარაკოთო, ფაქტია, რომ იგი კომპრომატებით ომზე გადავიდა** და პირველ სამიზნედ არა საპარლამენტო ოპოზიციის რომელიმე წარმომადგენელი, არამედ საპრეზიდენტო არჩევნებში კინაღამ გამარჯვებული ლევან გაჩეჩილაძე ამოიღო. **ამით არამხოლოდ „გრეჩიხას“ შეუნთო ცეცხლი, არამედ „ქართულ პარტიასაც“ და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ბურჯანაძემ ერთ-ერთ ინტერვიუში კიდევ ერთხელ და საჯაროდ დაიმუქრა — „კიდევ ბევრს აუკანკალდება ხმა, ვინც დღეს ჭკუას მარიგებსო“.** პრინციპში სწორად გათვალა — საპარლამენტო ოპოზიციასთან ყველაფერი გარკვეულია, ამ ფლანგზე, ანუ ქუჩაში კი ბურჯანაძის ყველაზე წონიანი მეტოქე „ქართული პარტიაა“, სადაც თავი მოიყარეს მასავით სააკაშვილის „გადაგდებულმა“ ერთ დროს თანამოაზრეებმა.

თუ გადავხედავთ „ქართული პარტიის“ ლიდერთა ბეგრაუნდს, ნათლად დავინახავთ, რომ არც ერთ მათგანს გულზე არ ეხატება „ფოლადის ნინო ბურჯანაძე“ (სააკაშვილის სიტყვებია), მაგრამ **ის დროც გვახსოვს, როცა ხალხმა მიტინგზე მისულ ახლადგაოპოზიციონერებულ ქვეყნის ყოფილ მეორე პირს დაუსტვინა, სწორედ ამ „ქუჩის პოლიტიკის ავტორიტეტებმა“ უშველეს. საკითხავია, რატომ?**

ჰო, რატომ დაუსტვინეს, გავიგეთ, მაგრამ ამათ რატომ „ჩაახუტეს“ ხალხს ის ნინო ბურჯანაძე, რომელსაც, როგორც ახლა ვიგებთ, **ძალაუფლების დაკარგვის დროს „კომპრომატების გუდის“ წამოღება არ დავიწყნია** და ენერგიულად გვიფრიალებს?

ზემოთ აღვნიშნე, რომ ქართულ პოლიტიკაში კომპრომატებით ვერავის გააკვირვებ-მეთქი და **ახლა პოლიტიკური სპექტრი მუდმივი მოლოდინის რეჟიმში გადაჰყავს ნინო ბურჯანაძეს — როდის ვის რა კომპრომატს გამოუქვეყნებს, ეს მხოლოდ მისმა თანამეცხედრემ, ბადრი ბიწაძემ იცის!** მუქარა მუქარად, მაგრამ მექანიზმი **უკვე „ამოქოქა“ და ცალკე „ეროვნული საბჭოს“ წევრები არიან დაზაფრულნი — ახლა იმის დარდი-ლა აქვთ, როდის რა თქვეს ბურჯანაძე-ბიწაძის დუეტის თანდასწრებით და ჩაწერილია თუ არა ეს საუბრები ფარულად.**

ისიც აღელვებთ, ბურჯანაძეების გარდა, იმ „შესანიშნავი თორმეტეულიდან“ კიდევ ვინმე ხომ არ აგროვებდა კომპრინფორმაციებს ფარული შეხვედრების დროს. დიდი თავსატეხი გაუჩინა თანასაბჭოელებს ბურჯანაძემ, დიდი!

ირაკლი ოქრუაშვილი ძალიან განურისხებია მის მკვახე განცხადებებზე ბურჯანაძის „აპერკოტულ“ პასუხს და რევანშისთვის ემზადება. **თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბურჯანაძე-ბიწაძეს ლევან გაჩეჩილაძის წინააღმდეგ აგორებული კამპანიის გამო „დარტყმას“ უპირებს** და ამის თაობაზე საკუთარ თანაპარტიელებთან კონსულტაციებიც გაიარა. **თუკი ოქრუაშვილის გამოცვლილ თანამდებობებს გავიხსენებთ, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა კომპრომატები ექნება. შემდეგ კი ამ „ელიტარულ შანტაჟისტებს“ სხვებიც მიბაძავენ და ყველაფერი დომინოს პრინციპით მიეწყობა. აი, მერე ნახეთ სეირი!**

ამ საფრთხეს ნათლად აცნობიერებენ ოპოზიციაში და ბურჯანაძეს უხეშ მესიჯსაც უგზავნიან. პირველი გაფრთხილება ამ დრომდე თავშეკავებულ ადამიანად ცნობილი, რესპუბლიკური პარტიის ლიდერის დავით უსუფაშვილისგან მიიღო **„ნინო ბურჯანაძემ თუ ვიღაც პეტრემ“: „თუ ხედავ, რომ ხალხს ატყუებენ და შენ ამის დამამტკიცებელი დოკუმენტები გაქვს, რას ელოდები? იქნებ ფიქრობ, რომ, თუ ასეთი ადამიანი შენს გვერდით იქნება, მაშინ მოტყუვდეს ხალხი. მაგრამ, თუ დაგიპირისპირდება, აყვირდები...“** — მიმართავს უსუფაშვილი „ვიღაც პეტრეს“ და ადრესატი, ბუნებრივია, ბურჯანაძეა. **„ყველას ვურჩევ, თუ რამე დოკუმენტები აქვთ, გამოამზეურონ. რაც უფრო მალე გასუფთავდება პოლიტიკური სპექტრი ათასი ჯურის პოლიტიკოსისგან, უკეთესი იქნება ამ ქვეყნისთვის. მაგრამ, პირველ რიგში, პოლიტიკა უნდა გათავისუფლდეს იმ ხალხისგან, ვისაც მოგონილი თუ ნამდვილი კომპრომატები უჯრაში აქვს ჩაკეტილი.**

**აი, ამგვარი ხალხი ანგრევს საზოგადოებას“,** — ეს უკვე რესპუბლიკური პარტიის განაჩენია ბურჯანაძისთვის. ერთი ის არ უთქვამს უსუფაშვილს, მოვიკვეთოთ ეს „შანტაჟისტკა“ სამუდამოდო, თუმცა რაც თქვა, სწორედ ამას ნიშნავს.

**„ის განცხადებები მხოლოდ ლევან გაჩეჩილაძეს არ ეხებოდა, ბევრი გვარი იყო ჩამოთვლილი. ბურჯანაძემ მოკეტოს. შეიძლება დიდ შარს გადაეყაროს, იმიტომ, რომ ბურჯანაძის ბიოგრაფიის მქონე ადამიანი, წესით, წარსულში არ უნდა იქექებოდეს. ბადრი ბიწაძე 7 ნოემბერს სად იჯდა, რომელი ფარდის უკან და 5 იანვრის შემდეგ რას აკეთებდა, მაშინ იმასაც მოყვეს. სად იჯდა, რა, არ გვახსოვს?**

**ჩვენი ტოლერანტობით ბოროტად ნუ ისარგებლებენ. ჩვენ მოვიყვანეთ და გვერდით დავიყენეთ, როცა უსტვენდნენ, ხალხს მოვუწოდეთ, რომ მოითმინება გამოეჩინათ მის მიმართ, ახლა თავზე ნუ დაგვასხდებიან“,** — კახა კუკავას ეს სიტყვები კიდევ უფრო ნათელს ხდის ოპოზიციურ „ციებ-ცხელებას“. არა მგონია, ბურჯანაძე მაინც და მაინც კუკავას (ან ნებისმიერი პოლიტიკოსის) თავზე დაჯდომაზე ოცნებობდეს; მას უფრო შორსმიმავალი და ამბიციური გეგმები აქვს და მათი განხორციელებისთვის უკან არაფერზე დაიხევს. ვისაც ერთხელ მაინც გამოუცდია, კარგად იცის, რა ხიბლი აქვს ძალაუფლებას.

**სხვათა შორის კუკავამ ლევან გაჩეჩილაძის გამართლებაც სცადა და, შეიძლება ითქვას, უნიათოდ. წაიკითხეთ და თავადაც დარწმუნდებით, რომ კუკავას მცდელობა შედეგს ვერ გამოიღებს.** პირიქით, უფრო ამძაფრებს ეჭვს, რომ გაჩეჩილაძე სააკაშვილთან გაჭირვებამ მიიყვანა: **„სხვათა შორის, ლევან გაჩეჩილაძის საქმე, როგორც ადვოკატს, სასამართლოში მე მაქვს — სახლიდან ასახლებენ: თბილისის საქალაქო სასამართლოში პირველი ინსტანციის სასამართლო იხილავს ამ საქმეს, ძალაშია შესული, რომ** ▶

# შეხვედრა წარსულთან პარიზის სასტუმროში

**გავრცელებული ინფორმაციით, პარიზში, სასტუმრო „პარკ ჰაიატ ვანდომსთან“ ირაკლი ოქრუაშვილსა და დათა ახალაიას (თავდაცვის მინისტრის — ბაჩო ახალაიას ძმა, კუდის ფაქტობრივი ხელმძღვანელი, გირგვლიანის საქმის ფიგურანტი) შორის ინციდენტი მოხდა. არსებობს ორი ვერსია: პირველის თანახმად, ახალაიამ ოქრუაშვილი „დაფინგალებამდე“ სცემა, მეორე ვერსიის თანახმად კი — ოქრუაშვილმა ახალაია გაიფინა წიხლქვეშ.**

## ირაკლი ოქრუაშვილი: მერაბიშვილმა გაარკვიოს, მისი ცოლი რას აკეთებდა პარიზში ახალაიასთან ერთად

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სატელეფონო საუბრისას სასტუმროს ადმინისტრაციამ განუცხადა, ბოლო ორი-სამი კვირის განმავლობაში არც სასტუმროში და არც მიმდებარე ტერიტორიაზე ინციდენტს ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება სასტუმროში საქართველოს მოქალაქეების ცხოვრების შესახებ ინფორმაციას, „პარკ ჰაიატ ვანდომსში“ განაცხადეს, რომ ეს კონფიდენციალურია.

საფრანგეთში საქართველოს საელჩო აცხადებს, რომ ახალაია-ოქრუაშვილის ინციდენტზე არაფერი იციან. დეტალების კიდევ ერთხელ დასაზუსტებლად, ასევე, დავუკავშირდით ირაკლი ოქრუაშვილს და საქართველოს შს სამინისტროს.

სამინისტროში კომენტარი არ გააკეთეს, ოქრუაშვილმა კი გვითხრა: **„მაგათ რუსეთთან ომი წააგეს და ნახევარი საქართველო დააჯერეს, მოვიგეთო და მე მაგაში როგორ შევეჯიბრები. ისე, მერაბიშვილსა და სააკაშვილს თითო რეცეპტს მივცემ — მერაბიშვილმა გაარკვიოს, მისი ცოლი რას აკეთებდა პარიზში ახალაიასთან ერთად; სააკაშვილმა ის უთხრას ხალხს, მისმა ჩინოვნიკმა საიდან დახარჯა ერთ ღამეში სასტუმროს ნომერსა და რესტორნებში 21 ათასი ევრო“.**

სხვა დეტალების დაკონკრეტებისგან ოქრუაშვილი იმ მოტივით იკავებს თავს, რომ, შესაძლოა, ეს პოლიციამ მის წინააღმდეგ გამოიყენოს.

პარიზში იმყოფებოდა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ირაკლი გიორგობიანიც. მასთან დაკავშირება ვერ ხერხდება.

**„ინტერპრესნიუსის“ მიხედვით**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



## პოლიტიკური სპექტრი მუდმივი მოლოდინის რეჟიმში გადაჰყავს ბურჯანაძე-ბიწაძის დუეტს — როდის ვის რა კომპრომატს გამოუქვეყნებენ? როდის რა თქვეს მათი თანდასწრებით და ჩაწერილია თუ არა ეს საუბრები? «ეროვნულ საბჭოში» ფარული შეხვედრების დროს კიდევ ვინმე ხომ არ აგროვებდა კომპრინფორმაციებს?

◀ **უნდა გამოასახლონ ლევანის სიდედრი სახლიდან — მისი ბინა ჰქონდა ჩადებული. თავისი ბინაც ჩადებული აქვს, მაგრამ ახლა სიდედრის ბინის საქმე მაქვს სასამართლოში. 12 მილიონი თუ აიღო, სად წაიღო?!“** — გაკვირვებულია კახა კუკავა.

გაჩეჩილაძემ რომ 12 მილიონი აიღო, ეს არავის უთქვამს. ყელამდე ვალებში ჩაფლული სააკაშვილს ფულს სთხოვდა და იმან „გადააგდოო“, ასე ითქვა. ამიტომაც მგონია, რომ დაცვის ამგვარი ტაქტიკით კუკავა მაინცდამაინც კარგ სამსახურს ვერ უწევს თავის კლიენტს.

ბიწაძე კი უჩვეულოდ გულახდილია და დიდი ფანტაზია არ სჭირდება იმის წარმოდგენას, რასაც აცხადებს:

**„ეს ხდება შავნაბადაზე. 7 ნოემბრის მერე და საპრეზიდენტო არჩევნების მერე. ამ ლაპარაკს ვისმენ მე, ყველაფერს. „გრეჩიხა“ უმტკიცებს სააკაშვილს, რომ შეუძლია „გადმოაყუდოს“, ეს უქნას, ის უქნას! სააკაშვილი ეუბნება, რა გინდა, რა გაგიკეთოო? „გრეჩიხა“ ამ დროს ხმას არ იღებს და, როგორც მერე ვნახე, თურმე ფურცელზე უწერდა თავის პირობებს.**

**„გრეჩიხა“ რომ წავიდა, შევედი სააკაშვილთან და იმანაც ეგრევე ფურცელი გამომიწოდა, აჰა, წაიკითხე, რა მომთხოვაო!**

**რა ეწერა და ახლავე გეტყვით, რაც ეწერა. დროებით დამნიშნე პრემიერ-მინისტად 6 თვით. აი ეს ხალხი, რომელიც 7 ნოემბერს გაიწირა, მე ვალდებული ვარ ამ ხალხთან და უნდა მომცე დაახლოებით ხუთი მილიონი. მესამე პუნქტი იყო ილია ჭავჭავაძის ბანკის შექმნა, რომელშიც უნდა ჩამიდოთ საწყისი კაპიტალიო. ეს ფურცლები არსებობს და მე თქვენ ამ ფურცლებს მოგცემთ.**

**სააკაშვილი დაეთანხმა „გრეჩიხას“ პირობებს. ჭყლოპინებდა, გახარებული იყო, ესენი ყურებით მყავს დაჭერილიო“.**

სხვათა შორის, მართალს ამბობს სკანდალური პუბლიკაციის ავტორი ჯაბა ხუბუა, — **ნებისმიერი ჟურნალისტისთვის „ოქროს საბადოა“ ასეთი ინფორმატორი, თუნდაც იგი ინკოგნიტოდ დარჩეს.**

ჩემთვის, როგორც ჟურნალისტიკაში „ხანმოთეული“ ადამიანისთვის, უცხო არ არის ამგვარი ინფორმატორებისგან ინფორმაციის მიღება-დამუშავება და, როგორც ნინო ბურჯანაძე ამბობს ხოლმე, გარწმუნებთ, ჟურნალისტისთვის მთავარია ის, რის შესახებაც ინფორმატორი უამბობს, მოხდა თუ არა! (სხვათა შორის, ეს მნიშვნელოვანია ბრალდებულისთვისაც!). უფრო გასაგებად რომ ვთქვა, **მთავარი ის კი არ არის, აქვს თუ არა ჯაბა ხუბუას ლევან გაჩეჩილაძის ხელნაწერი, რომლის ექსპერტიზით დადასტურების შემთხვევაშიც კი ბრალდებული მხარე უკვე ექსპერტიზის გაყალბებაზე აყვირდება, ანდა მართლა გადასცა თუ არა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ბადრი ბიწაძეს გაჩეჩილაძის ჩამოწიკწიკებული მოთხოვნები, არამედ ის, სთხოვა თუ არა გაჩეჩილაძემ სააკაშვილს ფული! და თუ სთხოვა, რის სანაცვლოდ!**

(დაპირისპირებულ მხარეებს აქვე შევახსენებ: **პრეზიდენტმა ობამამ და სახელმწიფო მდივანმა კლინტონმა ბოდიშები ასანჟის გამო არ მოიხადეს. ისინი ამერიკელი დიპლომატების თავისუფალმა შეფასებებმა ჩააყენა უხერხულ მდგომარეობაში.** რომ არ ყოფილიყო ეს ე.წ. დახურული წერილები, ასანჟიც ვერაფერს გამოაქვეყნებდა. ასე რომ, თუ ფარულ შეხვედრებს არ გამართავენ, არც ამ კულუარული ვაჭრობის გამჟღავნების საფრთხე იარსებებს).

ამასთან, როცა ბიწაძე ჟურნალისტს „შავნაბადას შეხვედრის“ **(ეს, ალბათ, ის შეხვედრაა, როცა გაჩეჩილაძის ოპოზიციონერმა თანამეინახეებმა პოსტ-ფაქტუმ გაიგეს „ბატონი პრეზიდენტების“ ტეტ-ა-ტეტ ღამეული შეხვედრის შესახებ და შემდეგ გაჩეჩილაძე არამხოლოდ ჟურნალისტებს, არამედ საკუთარ „უცნობ“ ძმას, „საკანშიც“ უმტკიცებდა, ორი საათი ველაპარაკე და მისი ნათქვამიდან აზრი ვერ გამოვიტანეო)** შესახებ უამბობდა, ის აღარ უთქვამს, რაღა მაინც და მაინც მას არგუნა ასინეთას როლი და რატომ დასთანხმდა მეორე ოთახში გასუსულ ჯდომას. სხვა არა იყოს რა, **უბრალოდ, სირცხვილია, გენერალი კაცი სხვის საუბარს მალულად აყურადებდეს ჩვეულებრივი „შპიკივით“. და თუ მაინც და მაინც უარი ვერ შეჰბედა პრეზიდენტს, ახლა ამის ხმამაღლა თქმის მაინც უნდა ერიდებოდეს.**

რასაკვირველია, ბადრი ბიწაძის უაპელაციოდ ნდობა არ შეიძლება, ბოლოს და ბოლოს დაინტერესებული მეორე ნახევარია, შეხვედრისა და ვაჭრობის ფაქტის დადასტურება კი მხოლოდ ორ ადამიანს შეუძლია — ლევან გაჩეჩილაძეს (რაც, ფაქტობრივად, გამორიცხულია, რადგან ხარაკირი იქნება, გაჩეჩილაძეს კი ხარაკირს „პარაშუტი“ ურჩევნია) და მიხეილ სააკაშვილს (რაც სულაც არ არის გამორიცხული).

**სხვათაშორის, შავნაბადას შეხვედრაზე ყურადღების გამახვილების დროს, უკანა პლანზე გადავიდა გაჩეჩილაძის „პადვალში“ შეხვედრისა და ვაჭრობის თემა.**

ამ დროს, ბადრი ბიწაძის თქმით, გაჩეჩილაძე ბურჯანაძისგან სხვა ფულთან ერთად **„პარაშუტს“,** ანუ ერთ მილიონ დოლარს ითხოვდა დამარცხების შემთხვევაში საკუთარი ოჯახის უზრუნველყოფისთვის.

ამ ვაჭრობას ბიწაძე მეორე ოთახიდან კი არ უსმენდა, სრულუფლებიანი მონაწილე იყო. **მართალია, ბურჯანაძემ გაჩეჩილაძეს „პარაშუტი“ არ უფეშქაშა, მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ფაქტი არც ერთ მხარეს პოზიტიურად არ წარმოაჩენს.** რატომ მივიდნენ დაწყვილებული ბურჯანაძე-ბიწაძე „გრეჩიხას“ აგარაკზე და რა ფარულ გარიგებებს აწარმოებდნენ, ეს ჯერ კიდევ გასარკვევია. თუმცა ლევან გაჩეჩილაძის საეჭვო დუმილი უკვე იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ამგვარი „მომეციგაწი ხელი“ ნამდვილად გაიმართა.

მოკლედ, ხალხს ამ წინასაახალწლოდ კარგი სასეირო ამბავი მოუწყვეს. ამ ბრძოლიდან გამარჯვებული ვერც ერთი მხარე ვერ გამოვა, რადგან **სიბინძურე, რომელსაც ერთმანეთისთვის არ იშურებენ, ორივეს გვარიანად სვრის.** ასე დასრულდება **ბურჟუაზიის ამაოება,** რადგან **ამ** (უკაცრავად პასუხია და), **„გავძეხი“ ადამიანებისთვის სულ ერთია, რას განიცდის ხალხი; არ ანაღვებთ მათი გაჭირვება და გასავათება. მხოლოდ საკუთარ „პარაშუტებზე“ ზრუნავენ!**

მაგრამ, **როცა ხალხზე მზრუნველის მანტიის მოსხმას გადაწყვეტენ, უნდა ახსოვდეთ, რომ ხალხს შეუძლია ბევრი აპატიოს, მაგრამ ყველაფერს არ აპატიებს!**

არ ესმით ეს მარტივი ჭეშმარიტება თანამედროვე გააზნაურებულ მდაბიოებს და ძალიან უნდათ, ბურჟუაზიის მოკრძალებული ხიბლი პატრიოტიზმად შემოგვასაღონ. ამიტომაც მგონია, რომ მათი მცდელობა მხოლოდ წინასაახალწლო სეირად ვერ დარჩება.

**ვინ ისარგებლებს ამ ვითარებით და ვინ ემზადება მოსუფთავებული „პოლიტიკური ველის“ დასაკავებლად, ამასაც მალე გავიგებთ.**

**ბონდო მძინარაშვილი**

---



საავტორო სვეტი

# ციდან ცვივა ფანტელი...

**ვინაიდან საახალწლოდ პრობლემებზე საუბარი მიღებული არ არის, თავი დავანებოთ პერსონაჟს, რომელიც საქართველოს ისტორიაში, სავარაუდოდ, შევა როგორც საკუთარი ჰალსტუხის უიღბლო დანამატი. ჩვენ კი უფრო მსუბუქ თემებს შევეხოთ. ბოლო-ბოლო ახალი წელია: ნაძვის ხე, სათამაშოები, ფეერვერკები და რამე. სახელისუფლო არხებმა ყველა რაკურსით აჩვენეს სანტაკლაუსი, რომელიც „თბილისში ჩამოვიდა, „ვარდების მოედანზე“ განთავსებულ საახალწლო სოფელში მივიდა და ბავშვებს შეხვდა“.**

2006 წლის მიწურულს კი ყველაფერი სულ სხვანაირად იყო: **„ზემო აფხაზეთიდან ჩამოსულმა თოვლის ბაბუამ პარლამენტის შენობის წინ მთავარი ნაძვის ხე აანთო“** (ციტატა სააკაშვილის ოფიციალური ვებგვერდიდან). იქვეა ფოტო, სადაც გამოსახულია სავსებით ავთენტური, თეთრ ჩოხასა და ნაბადში გამოწყობილი თოვლის ბაბუა, რომელთანაც შედარებით წითელ პიჟამოში ჩაცმული წლევანდელი სანტა-კლაუსი გამოიყურება როგორც საგიჟეთიდან გამოქცეული მეხანძრე. **უცნაური ქვეყანაა საქართველო, აქ თოვლის ბაბუაც კი, რომელიც ადრე კოდორის ხეობაში ცხოვრობდა, იძულებით ადგილნაცვალი პირია. მიხეილ სააკაშვილმა ისიც კი მოახერხა, რომ თოვლის ბაბუა დევნილად ექცია.**

თუმცა, ვინაიდან ჩვენ შევთანხმდით, რომ პრობლემურ თემებზე არ ვისაუბრებთ, ისევ საახალწლო ტალღაზე გადავეწყოთ: უკრავს მუსიკა და ციდან ფანტელები ცვივა (სინამდვილეში არ ცვივა, მაგრამ მაინც). ჩინური ჰოროსკოპის თანახმად, 2011 კურდღლის წელიწადია. თუ ამ ფაქტს გარკვეული ლოგიკით მივუდგებით, მომავალი წელი სააკაშვილისთვის შეიძლება მეტად იღბლიანი გამოდგეს, ხოლო ქვეყნისთვის, შესაბამისად, პირიქით. სტოპ! ისევ სააკაშვილი! არადა, ხომ შევთანხმდით, რომ ამჯერად მაინც არ ვახსენებთ.

თუ მაინც და მაინც პოლიტიკას უნდა შევეხოთ, იქნებ ქალბატონ ვერა ქობალიაზე გვესაუბრა, მითუმეტეს, რომ გასულ თვეში ქალბატონმა ვერამ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, გამაგიჟა. თავად განსაჯეთ, 10 დეკემბერს მან თქვა, რომ 3 ევრო 5 ლარია (ცნობილი განცხადება ელექტრომობილებზე, რომლიდანაც, აგრეთვე, შევიტყვეთ, რომ მანძილი თბილისსა და ბათუმს შორის თურმე 160 კილომეტრია), ხოლო 26 დეკემბერს („რუსთავი 2“-ის ეთერში) გვაუწყა, რომ 10 ევრო 40 ლარია. საახალწლო სუფრისთვის 50 ევრო მქონდა გადანახული და მეორე განცხადების შემდეგ, ძველად რომ იტყოდნენ, ერთობ „დავიზმენდი“. აზრთა ნერვული გაცვლა სავალუტო ჯიხურში დასრულდა შეძახილით „მაგ კურსით ვერამ დაგიხურდავოს“, ხოლო ეროვნულ ბანკში ყურმილს არავინ იღებდა. **იძულებული ვარ, მივმართო ბატონ ნიკა გილაურს, როგორც პროგრესულ ახალგაზრდას და ვთხოვო, გულისხმიერება გამოავლინოს და საბოლოოდ დაადგინოს ლარის კურსი ვერასთან, უკაცრავად, ევროსთან მიმართებაში, თორემ ჩვენც დავიბენით და ეკონომიკის მინისტრიც დაიტანჯა.**

სნე-გუ-რო-ჩკა! სნე-გუ-რო-ჩკა! არა, არა, წინა თემაზე უკვე დავასრულე, ისევ საახალწლო ამბებს ვუბრუნდები; რუსთაველზე გავიარ-გამოვიარე, ილუმინაცია დავათვალიერე (რა დაგვიჯდა, მერე დავითვლით), კაფე-რესტორნებში არ შევსულვარ და ახლა შევეცდები, აგიხსნათ, — რატომ. საქმე ისაა, **რომ დეპუტატ შოთა მალაშხიას ინიციატივით პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება და ამიერიდან კვების ობიექტებში, მენიუში ჩაეწერება, რომ „საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია, მის ტერიტორიაზე განხორციელდა ეთნიკური წმენდა, რის შედეგადაც საკუთარი მიწა-წყალი დატოვა 400 ათასმა და დაიღუპა 30 ათასი ადამიანი“.** „მოსახლეობას ყოველდღიურად უნდა შევახსენოთ“, — განაცხადა მალაშხიამ.

ეს წამოწყება სასტიკად არ მომწონს, რადგან, ჯერ ერთი, მეხსიერებას პროტეზები არ სჭირდება. მე არ ვიცი, ვინ არის ასეთი შოთა მალაშხია, რომ შემახსენოს ომში დაღუპული მეგობრები ან ბაბუაჩემის სახლი სოხუმში, სადაც ფეხი ავიდგი.

**მეორე: დაღუპული და გაუბედურებული ხალხის მოხსენიება მენიუში, მწვადთან და ქაბაბთან ერთ ფურცელზე, უკიდურეს ცინიზმად მიმაჩნია.**

**მესამე:** მას, ვისაც ყველაფერი დაავიწყდა, ვერც მენიუ, ვერც მალაშხია ვერ უშველის.

**ბოლოს კი მინდა ვისარგებლო შემთხვევით და „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველს შობა-ახალი წელი მივულოცო. 2010 წელს ჩვენ ერთად განვიხილავდით უამრავ რთულ პრობლემას და ქვეყნის მომავალზეც ერთად ვფიქრობდით; იმედია, ასე გავაგრძელებთ. გისურვებთ დღეგრძელობასა და ბედნიერებას თქვენს ოჯახებთან ერთად გაბრწინებულ საქართველოში, რომელზეც ასე ვოცნებობთ.**

**დიმიტრი მონიავა**

29 დეკემბერი, 2010 წელი — 18 იანვარი, 2011 წელი. №48 (91)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მავნეთა შემოსევა

**ეკლესიის წინააღმდეგ ახალი შეტევა წამოიწყეს ფსევდოლიბერალებმა, რომლებიც კაცთმოყვარეობის, ტოლერანტობის, პატრიოტიზმისა და დემოკრატიულობის ხალთაში თავიანთი ანტიქართული, ანტიხალხური, ანტიმართლმადიდებლობის შხამიანი შუბის დამალვას ცდილობენ. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე ვინმე დავით პაიჭაძის ბრიყვული გადაცემის შემდეგ არასამთავრობოების რაღაც გაუგებარმა გაერთიანებამ, რომელსაც სახელად „ევროპული საქართველოსთვის“ დაარქვეს, ფეხი გამოჰყო — ახალი „სამოქალაქო დღესასწაულების“ დაწესებაში მეც ნახირ-ნახირო, რასაც მცირეკალიბრიანი კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილის გასროლაც მოაყოლეს წმინდა სინოდის წინააღმდეგ. უძახე ბრიყვული, ამათ კი გაილაღეს და, ეტყობა, გაჩერებას არც აპირებენ.**

## რატომ მფარველობენ ამერიკელი მართლმადიდებლები «აფხაზეთის ეკლესიას» და რა სურთ ქართველ რესპუბლიკელებს

### ფაურესპუბლიკელა

22 დეკემბერს, ნაშუადღევს, „ინტერპრესნიუსმა“ გაავრცელა კონფლიქტოლოგ **პაატა ზაქარეიშვილის** კომენტარი, რომელიც მან, პატივი დაგვდო და გააკეთა წინა დღით წმინდა სინოდის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, ეჭვქვეშ დააყენა იგი, იმავე საღამოს კი „კავკასიის“ ეთერში თავისი პოზიციის დაცვას შეეცადა.

რაზეა ლაპარაკი?

წმინდა სინოდმა, როგორც გვაცნობეს, მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომლის თანახმად **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ს ტიტულატურას დაემატა: „მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა“.**

აფხაზეთის ხსენებას კონფლიქტოლოგმა მყისიერი რეაქცია მოაყოლა, ნეგატიური. თანაც — ლამის აფხაზების სახელით, ისეთი დაბეჯითებით, თითქოს კარნახობდა, როგორ უნდა აღექვათ აფხაზებს წმინდა სინოდის ეს გადაწყვეტილება, ანუ, რბილად რომ ვთქვათ, არ უნდა მოსწონებოდათ. ისეთი თავდაჯერებითა და სისწრაფით უბნობდა, თითქოს აფხაზთა გულთამხილველად და ამ მიმართულებით დელფოსის მისნად იყო დანიშნული ვილაცის მიერ, მაგალითად, გაერთიანება „ევროპული საქართველოსთვის“, რომელზეც ქვემოთ ვილაპარაკებთ.

**ან, იქნებ, ქართველ რესპუბლიკელთა რელიქტურმა პოზიციამ გაიღვიძა კონფლიქტოლოგში, რამდენიმე წლის წინათ დროშად რომ ჰქონდათ აფრიალებული თინა ხიდაშელს, ზურაბ ჭიაბერაშვილს, პაატა ზაქარეიშვილს, ემზარ ჯგერენაიას, დავით ბერძენიშვილს, დავით უსუფაშვილს — აფხაზებს დამოუკიდებლობის სრული უფლება აქვთ და სეპარატიზმი კი არ დაშლის საქართველოს, არამედ კორუფციაო. ერთ-ერთ კონფერენციაზე მათი (და სხვა მონაწილეების) გამოსვლების სტენოგრაფიული ჩანაწერები თავის დროზე ორ დიდ ტომად გამოიცა. ქართული პრესა ისე მწვავედ გამოეხმაურა ამ „ორიგინალებს“, რომ, როგორც იტყვიან, მიწაში ჩადო.**

კარგა ხნით გაჩუმდნენ. ჩვენც არ გადავყოლილვართ იმათ ფსევდოლიბერალობას.

ძველი ამბავია? ძველია. წარსული საქმეა. ამაზეა რუსული ანდაზა: ვინც წარსულს გაიხსენებს, თვალიც დავსებიაო. მაგრამ ეს ჩვენი თვალის სინათლე, თვითონ რომ ძველ ამბავს იხსენებს და, რაც მთავარია, აფხაზებსაც რომ ახსენებს — არ დაგავიწყდეთო, ეს როგორ გავიგოთ? რომ გაიგოთ, სრულად ინებეთ ზაქარეიშვილის კომენტარი დედანში, ანუ — სტილი დაცულია:

**„ეს ინიციატივა აფხაზურ მხარეში გაღიზიანებას გამოიწვევს. ჩვენს პატრიარქს უდიდესი ავტორიტეტი აქვს და არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში. მას აფხაზებიც პატივს სცემენ, იმის მიუხედავად, რომ უკმაყოფილონი არიან. ეს უკმაყოფილება კი იმ დროიდან მოდის, როცა პატრიარქის განცხადებები მათ არასწორად გაიგეს. მაგალითად, საომარი მოქმედებების წინ პატრიარქმა თქვა, რომ ყველა ქართველის მკვლელი შეუნანიებელ ცოდვას სჩადის. ამაზე აფხაზები გაბრაზდნენ — აფხაზის მკვლელი ცოდვას არ ატარებსო? მათ ეს დღემდე ახსოვთ. მიმაჩნია, რომ მათ პატრიარქის ეს განცხადება არასწორად წაიკითხეს, რადგან იგი ქართველში საქართველოს ყველა მოქალაქეს გულისხმობდა, მათ შორის, — აფხაზებსაც. ამ ინიციატივაში (პატრიარქის ახალ ტიტულატურაში. — ა.ს.) კი აფხაზები წაიკითხავენ არა რელიგიურ და ეკლესიურ, არამედ პოლიტიკურ კონტექსტს და იტყვიან, რომ არასწორი მეთოდებია გამოყენებული და ამ ფორმით არ უნდა ველაპარაკებოდეთ“.**

## ცრულიბერალები ცხოვრების წესებს გვიდგენენ



ამ ეკლექტიკურ ნაზავში ყველაფერია თავმოყრილი — კატეგორიულობაც, მისი შენელების მცდელობაც, შექებაც და შეტევაც, ჭკუის დარიგებაც და, რაც მთავარია, შავი კატის ძებნა იმ ბნელ ოთახში, სადაც არ არის.

არადა, ჰგონია, რომ დაიჭირა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა აფხაზების გაბრაზებაზე ლაპარაკობს, თანაც — მათ ნაცვლად: **წმინდა სინოდის გადაწყვეტილებას აფხაზები რელიგიურ და ეკლესიურ კონტექსტში კი არ წაიკითხავენ, არამედ — პოლიტიკურშიო.**

კეთილი და პატიოსანი, „წავიკითხოთ“ პოლიტიკურ კონტექსტში.

„კავკასიის“ ტელეეთერში, კერძოდ, პროგრამა „სპექტრში“ მიწვეულ ბატონ ზაქარეიშვილს დავით აქუბარდიამ შეახსენა, რომ

**აშშ-ში არსებულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ამასწინათ აფხაზური ეკლესიის მფარველობა იკისრა. წმინდა სინოდის დადგენილებისეული — „არსებული ვითარების გათვალისწინებით“ — ამას ხომ არ გულისხმობდა და ქართული დედაეკლესიის უფლებების სხვათა მიერ ხელყოფის აღსაკვეთად გადადგმული ოფიციალური, ხაზგასმულად გამოკვეთილი ნაბიჯი ხომ არ იყო?**

ალბათ, იყო. რა არის ამაში მიუღებელი, საეჭვო და დასამალი? მგონი, არაფერი. და ბატონ ზაქარეიშვილის მტკიცება, რომ ეკლესიის, რომელიც **„დამატებითი ბერკეტია საკითხის მოგვარებაში“**, ცალმხრივი ინიციატივა **„შედეგის მომტანი არ იქნება“**, მიუხედავად იმისა, რომ კარგია, მანამდე, **„ვიდრე ქართული პოლიტიკა მთლიანად არ შეიცვლება აფხაზების მიმართ“.**

ესე იგი, ველოდოთ?

მანამდე ხომ ეს „დამატებითი ბერკეტიც“ შეიძლება დავკარგოთ, როგორც ბევრი სხვა რამ, რაც თავის დროზე ამ კონფლიქტის მოსაგვარებლად იყო გამიზნული და რაც სამომავლოდ გადავდეთ.

ახლა კი დაგვიანებულია.

**„არიან ადამიანები, რომლებიც უფრო მეტად მეტყველებენ, ვიდრე აზროვნებენ“**, — ბრძანა ერთგან პატრიარქმა სხვა დროს და სხვა პრობლემასთან დაკავშირებით.

ვითომ უადგილოდ გამახსენდა?

მართლმადიდებლობის, ეკლესიისა და პატრიარქის წინააღმდეგ გახშირებულ გამოხდომებს მოერგო პატივცემული ზაქარეიშვილის მტკიცება იმისა, რომ წმინდა სინოდის გადაწყვეტილებამ შექმნა ისეთი ვითარება, როცა სახეზეა ეკლესიის, როგორც კონფლიქტის მოგვარების სერიოზული ბერკეტის დისკრედიტაცია, რადგან ხელისუფლებამ თავის პოლიტიკაში ჩართო ეკლესია, რომელიც სააკაშვილის კონცეფციის გამტარებელი გახდა. ამასთან დაკავშირებით პატივცემული კომენტატორის მიერ მოწოდებული განმარტება, რომ ამ საკითხს კონფლიქტის მოგვარების კონტექსტიდან ვუდგებოდიო, თავის უსუსურ მართლებას ჰგავს.

**ხოლო ის, რასაც გაერთიანებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა „ევროპული საქართველოსთვის“ 22 დეკემბერს შემოგვთავაზეს, თავქარიანობის უნიკალური ნიმუშია.**

**არმაზ სანებლიძე**

## მოკლედ

### 33 წელი პატრიარქის აღსაყდრებიდან

**ყოვლადწმიდა სამების საკათედრო ტაძარში სადღესასწაულო წირვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აღავლინა.** წირვის დასრულების შემდეგ, ჩხოროწყუსა და სენაკის მიტროპოლიტმა, მეუფე შიომ, კათოლიკოს-პატრიარქს წმინდა სინოდის სახელით აღსაყდრების 33-ე წლისთავი მიულოცა და აღნიშნა, რომ რამდენიმე საუკუნე ველოდით ისეთ პატრიარქს, როგორიც უწმინდესია. მან ახლახან გამართული წმინდა სინოდის სხდომაც გაიხსენა და აღნიშნა, რომ კათოლიკოს-პატრიარქს ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის წოდებაც მიენიჭა, ამით კი უფალმა უწმინდესს აფხაზეთის დაბრუნება მიმადლა. თავად უწმინდესმა მრევლს მცირე ქადაგებით მიმართა.

### არასრულწლოვანთა დანაშაულმა იმატა

**შს სამინისტროს ინფორმაციით, თბილისის მასშტაბით არასრულწლოვანებში დანაშაულმა 6,6 პროცენტით იმატა. სტატისტიკის თანახმად, მიმდინარე წელს საქართველოში კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში 502 არასრულწლოვანი იქნა შემჩნეული, მათგან 97 — თბილისში მცხოვრებია.** მოზარდთა უმეტესობა ქურდობაშია შემჩნეული. გარდა ამისა, მიმდინარე წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში განზრახ მკვლელობის — 2, გაუპატიურების — 2 და მკვლელობის მცდელობის 6 შემთხვევა დაფიქსირდა. ნარკოტიკულ დანაშაულში 15 მოზარდი იქნა შემჩნეული. იარაღთან დაკავშირებული დანაშაულისთვის 4 არასრულწლოვანი გამოავლინეს. მოძრაობის წესების დარღვევის 8 შემთხვევიდან 2 სასიკვდილო შედეგით დასრულდა.

### 100 მილიონი ახალი პასპორტებისთვის

**სამოქალაქო რეესტრის თავმჯდომარემ გიორგი ვაშაძემ ახალ საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფს ქვეყნის მოსახლეობის ბიომეტრიულ პასპორტებზე გადაყვანისთვის საჭირო თანხად 100 მილიონი ლარი დაუსახელა.** როგორც სამუშაო ჯგუფის წარმომადგენელი მამუკა კაციტაძე ამბობს, ბიომეტრიული პასპორტებით მომავალი არჩევნების ჩატარება სწორედ თანხებზეა დამოკიდებული. მისივე გათვლით, ეს იმდენად დიდი თანხა არაა, რომ საერთაშორისო დონორების დახმარებების ფონზე მისი მოპოვება გაჭირდეს, რაც შეეხება ვადებს, თუ თანხა ძალიან არ დააგვიანებს, ბიომეტრიულ პასპორტებზე გადასვლა უახლოეს არჩევნებამდეც მოესწრება. შეგახსენებთ, რომ ბიომეტრიული პასპორტები საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ერთ-ერთი პირობაა.

### შაშკინს რეფორმები „დაუფასეს“

**შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი დემოკრატიის მეორე ტალღის ფარგლებში, ამერიკის რესპუბლიკური ინსტიტუტის პრეზიდენტს, ლორენს კლანერს და IRS-ის ევრაზიის დივიზიონის ხელმძღვანელს, სტივენ ნიკს შეხვდა.** შეხვედრისას მხარეებმა საქართველოში წარმატებით განხორციელებულ რეფორმებსა და სამუშაო გეგმებზე ისაუბრეს. დიმიტრი შაშკინის განცხადებით, ყველა ის დაპირება, რომელიც დემოკრატიის მეორე ტალღის ფარგლებში საზოგადოებას მისცეს, შესრულებულია. თუმცა, ჩვენ რომ ეს არ გვიგრძნია, შაშკინმაც იცის და ამბობს: „ძალიან მნიშვნელოვანია, ქართულ საზოგადოებასაც ჰქონდეს ამის შესახებ ინფორმაცია.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net







# ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდა

**ჭკუა არ ჰქონდა ყვავს, თორემ ამბიცია თავზე გადასდიოდა და ბუს გატანილის შემდეგაც საკმაოდ რჩებოდა. ზომაზე მეტად ამბიციური ჩანს არასამთავრობოების გაერთიანება „ევროპული საქართველოსთვის“, რომელიც 15 დეკემბერს დაფუძნებულა და 22-ში უკვე გამოგვეცხადა როგორც ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების წესის დამდები ცენტრი: ამიერიდან უნდა იზეიმოთ ის დღესასწაულები, რომლებსაც ჩვენ შემოგთავაზებთო.**

ვინ ჩვენ?

56 არასამთავრობო ორგანიზაცია, მათ შორის, კარგად დაფინანსებულები — თავისუფლების ინსტიტუტი, სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტი, ახალი ეკონომიკური სკოლა, სკოლის დირექტორთა ასოციაცია, ფონდი „ლიბერალი“... დასხდნენ და ერთნაირი აზრი ყველას ერთდროულად დაებადა: **რა ბიბლიის გადამწერები და რა ესენი. ახალი მოაზროვნენი, რომელთაც მიაჩნიათ, რომ დღესასწაულები საქართველოს კალენდარში საკმარისი რაოდენობით არ არის წარმოდგენილი და უნდა გავშალოთ და გავაფართოოთ მათი მასშტაბი და ოდენობა.** რადგან ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება ტაშ-ფანდურობაშიც უნდა აისახოს.

მააააშ!

სამოქალაქო დღესასწაულებზე ლაპარაკობენ თითქოს. მაგრამ რატომ გამოაცალეს ებრაულ ხანუქას ან კათოლიკურ კრისმასს — ქრისტეშობას რელიგიური საწყისი და საფუძველი, ვერ გვეუბნებიან. არადა, დიდი რიხით გვთავაზობენ: **„ხანუქას დაწყება საერთო სამოქალაქო დღესასწაულად უნდა გამოცხადდეს“ და კათოლიკური შობის სიხარული საქართველოშიც უნდა გაიზიარონო.**

7 იანვარს — მართლმადიდებლურ შობას რა ვუყოთ? ეგეც ძველი და ახალი წელიწადებივით ორჯერ უნდა აღვნიშნოთ?

ან როდიდან გახდა მუსლიმების ნოვრუზ ბაირამი სამოქალაქო დღესასწაული, სააკაშვილმა ასეთად რომ დაგვიწესა? რომელიც, მისივე განცხადებით, „საქართველოში აღინიშნება, როგორც ყველა დიდი ქართული დღესასწაული“?!

**ფაშიზმზე გამარჯვების დღე 9 მაისის ნაცვლად 8 მაისს ვიდღესასწაულოთო, რადგან სწორედ ამ დღეს ზეიმობს მთელი დასავლური სამყარო.**

**იმ ისტორიულ ფაქტს რა ვუყოთ, როცა 1945 წელს მოკავშირეების — სსრკ, აშშ და დიდი ბრიტანეთის ლიდერები სწორედ ამ, განსხვავებულ დღეებზე რომ შეთანხმდნენ? ისტორიაც ცრულიბერალების ხუშტურს მოვარგოთ?**

**დღესასწაული მაინც და მაინც სხვისი ზეიმის გათავისება არ არის. მით უფრო, სახელმწიფოებრივი, საერთო-ეროვნული მასშტაბით. ტოლერანტობა მაინც და მაინც ამას არ ნიშნავს.**

და თუ ჩვენი ცრულიბერალები მაინც ამაზე დგანან, მხოლოდ იმიტომ, რომ ქართული, მართლმადიდებლური და ეროვნული დღესასწაულები გაფერმკრთალდეს დღესასწაულთა შემოთავაზებულ სიმრავლეში, მოხდეს მათი ნიველირება და თანდათან გაქრეს ქართულის სახსენებელი საერთოდ.

**ხუმრობის ხასიათზე რომ ვიყო, ამ ჩვენი ცოდვით სავსე „ევროპელებს“ შევთავაზებდი, დამატებით ახალი წინადადებები შეეტანათ საქართველოს მთავრობაში ინდუიზმის, ჩინეთის ეთნიკურ რელიგიათა, ბუდისტების, ახალი აზიური რელიგიების, სინგჰისტების, ბაჰაისტების, კვაზი-რელიგიების დღესასწაულების აღსანიშნავი თარიღების გასათვალისწინებლად ჩვენი დღესასწაულების რიგში.**

ცალკე დღე გამოიყოს რელიგიათა გარეშე დარჩენილი დედამიწის მოსახლეობის 12,7 პროცენტისთვის და — დამატებით — ათეისტებისთვის, რომლებიც იმავე მოსახლეობის 2,5 პროცენტს შეადგენენ.

**31 დეკემბერს ხომ გვთავაზობენ დღესასწაულად, როგორც სსრკ-ის დაშლის საწყის მიჯნას. დავუმატოთ ამას ჩე გევარას მკვლელობის დღე კოლუმბიაში და ალიენდეს დამხობის დღეც ჩილეში, მიხეილ სააკაშვილის ლათინური ამერიკისკენ მისწრაფების გათვალისწინებით.**

ელექტრომობილის გამოცდის დღეც არ დაგვავიწყდეს, როგორც საქართველოს ავტოინდუსტრიის განვითარების მნიშვნელოვანი თარიღი, და ვერონიკა ქობალიას გამინისტრება, როგორც ქალთა ემანსიპაციის მწვერვალი.

დანარჩენს ჩვენი მკითხველიც დაუმატებს, მაგალითად, ერთიანი გადასახადის დაწესების დღეს, და გვექნება მხოლოდ უქმე დღეები, რომლებზეც, ამ ახალი კოალიციის მოთხოვნით, დაწესდება სუვერენულ სახელმწიფოს საუქმო გადასახადი და გაუქმდება საქართველო.

**ახალი დღესასწაულები იმიტომ უნდა დაწესდესო, რომ მეტი სიხარული იყოს ჩვენს ქვეყანაში, რომ საშუალება მოგვეცეს, მივულოცოთ სხვა კონფესიების წარმომადგენლებს მათი რელიგიური დღესასწაულები, გვეძალებიან.**

**აქამდე გვიშლიდა ვინმე? თუ ამათი კარნახის გარეშე არ ვულოცავდით და კვლავაც არ მივულოცავთ? მაინც და მაინც სახელმწიფოებრივი აქტით უნდა გაფორმდეს ჩვენი კეთილგანწყობა და ტოლერანტობა**?

ტოლერანტობა იცით კი რას ნიშნავსო? ისე დიდმნიშვნელოვნად გამოსცრა 24 დეკემბერს „კავკასიის“ ტელეეთერში კოალიციის მიერ პროგრამა „ბარიერში“ დელეგირებულმა, ერთ იდეოლოგიურ კალაპოტში, ერთ თარგზე გამოჭრილ სამ მიშისტს შორის ერთ-ერთმა, თითქოს დიდ საიდუმლოს ფლობდა, რასთანაც ხელი არ მიგვიწვდება ჩვენ, უბირთა მასას.

ვიცით და მოგახსენებთ: აკადემიურ გამოცემებში ტოლერანტობა განმარტებულია, როგორც შემწყნარებლობა (ლათინური tolerantia-დან). შემწყნარებელია, ვინც შეიწყნარებს, შეიბრალებს ვისმე. მოწყალე ვინცაა, შემნდობი, მიმტევებელი... რელიგიური შემწყნარებლობა კი ისაა, რასაც ოდითგანვე, საუკუნეებია ერთგულებს ქართველი ერი, და „ევროპული საქართველოს“ აქტივისტებისგან არ ესწავლება. მით უფრო, ისეთებისგან, რომლებიც თავიანთი უზომო განათლებულობის დემონსტრირების მიზნით ინგლისურ ტერმინებს ყალბი ბრილიანტებივით გადმოგვიბნევდნენ ეკრანიდან და შემდეგ ააა-ს დაყოლებით, პატივს დაგვდებდნენ და ქართულად მოგვითარგმნიდნენ.

**„— ორივენიც იზდოხლი?**
**— დიახ, ორივენიცა!“**

ოპონენტების მიერ მათთვის არაერთგზის დასმულ შეკითხვას, რა საერთო აქვს კოალიციის ინიციატივას საქართველოს ევროინტეგრაციასთან, ძალიანაც ეცადნენ, მაგრამ ვერ უპასუხეს. არადა, იფიცებოდნენ, ამისთვის გავისარჯეთო.

იქნებ, ერთი ქვეყანა მაინც დაასახელოთ, ესეც ჰკითხეს, სადაც მსგავსი რამაა დაფიქსირებული?

ამაზეც — არსაიდან ხმა.

მაშ, რატომ გამოიდეს თავი?

**Партия сказала: - Нужно!**
**Комсомол ответил: - Есть!**

თუმცა კომკავშირის ასაკიდან კარგახნის გამოსულები არიან!

**ესენი სრული სერიოზულობით ირჯებიან იმისთვის, რომ კოსმოსური ნახტომისთვის გაუმზადონ ასარეკლი პლატფორმა იმას, ვინც კოალიციონერთა ინიციატივის გასახელმწიფოებრიობის შემდეგ „პირველად საქართველოს“** ნაცვლად, ახალი არნახულობით განგვაცვიფრებს: **„პირველად მსოფლიოში!“**

ესაა, სხვა არაფერი.

და სწორედ ამან გამახსენა **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მთავარეპისკოპოსის მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტის ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთისა, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს შეგონება,** რომელიც სწორედ ამ სიტუაციაზეა მორგებული: **„მართალია, უნდა არსებობდეს განსხვავებული აზრი, მაგრამ თუ ეს აზრი ავნებს ქვეყანას, ერს, მაშინ უნდა დათმოს ადამიანმა თავისი აზრი და უნდა იმუშაოს ერის საკეთილდღეოდ და ერის ერთიანობისთვის“.**

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. სანამ კოალიციონერები რომის პაპზე უმეტეს კათოლიკობას ჩემულობენ და ინიციატივებში იხარჯებიან, ქრონიკული ოპტიმიზმით დაავადებული სახელმწიფოს მეთაური კონფესიათა შორის დაიარება და მარჯვნივ-მარცხნივ გასცემს თავის ტოლერანტობას.**

**ჯერ ხანუქას დღესასწაულზე აანთო სანთელი, შემდეგ კათოლიკეთა ქრისტეშობას — 25 დეკემბერს — კათოლიკურ ეკლესიას ეწვია. დაბოლოს — საქართველოს პატრიარქს ილია II-ს აღსაყდრების 33-ე წელიწადი მიულოცა.**

**ქრისტეს წლოვანებაა.**

**ცუდი ამაში არაფერია. არც ახალი. მაგრამ ყველაფერს ფასი ეკარგება, როცა პოლიტიკურ ტოგას მოისხამენ მხრებზე საკუთარი პირველობის წარმოსაჩენად და როცა „ევროპული საქართველოს“ ძალადმაცხონე „ნოვაციებს“ მაინც და მაინც სააკაშვილის ამ დეფილეს დაამთხვევენ თავიანთივე არგუმენტების საწინააღმდეგოდ: თუ კათოლიკეთა ქრისტეშობის სიხარულის გაზიარება ან ხანუქას პირველი დღის აღნიშვნა ფაქტობრივად დადასტურებული რეალობაა, რატომღა გვაძალებენ, გინდა თუ არა, დავაკანონოთო?!**

**იაღლიშია.**

**ისეთივე, თავად მიხეილ სააკაშვილს რომ დაემართა კათოლიკური ეკლესიის მრევლის წინაშე სიტყვით გამოსვლისას:**

**„ვატიკანი, — თქვან მან, — განუხრელად უჭერს მხარს საქართველოს დამოუკიდებლობას, თავისუფლებასა და ტერიტორიულ მთლიანობას... განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიოს ყველაზე გავრცელებული რელიგიისა (ასეა დედანში! — ა.ს.) და ყველაზე გავლენიანი ეკლესია საქართველოს ინტერესების მხარდამჭერია“.**

**მიაქციეთ ყურადღება: იგი კათოლიკობას და არა ქრისტიანობას მიიჩნევს რელიგიად. უფრო მეტიც, ქრისტიანობას მთელ თავის სიტყვაში არც ერთხელ არ ახსენებს, ხოლო მართლმადიდებელ ქართველებს არაკათოლიკებად მოიხსენიებს: „ღვთის მადლი არ მოჰკლებოდეს თითოეული კათოლიკე და არაკათოლიკე ქართველის ოჯახს“. ქართული ქრისტიანული მართლმადიდებლობისა და ქართული დედაეკლესიის დასამცირებლად ხომ არ კეთდება ეს ყოველივე?!**

**უნებურად გამოუვიდა ასე?!**

**რელიგია, რწმენა დედის სიყვარულივითაა, დედაშვილობას ჰგავს. დედის შედარება სხვა დედასთან მკრეხელობაა.**

**დედაეკლესიისაც, მე მგონი.**

**ეს ისეთი მგრძნობიარე მომენტია, ისეთი ფაქიზი საკითხია, რომლის ახსნა და დამტკიცება სრულიად ზედმეტია ზნეობრივი ადამიანებისთვის.**

**თუ — უკვე უზნეობა ზეობს საქართველოში?**

**ა.ს.**

## მოკლედ

### ინვესტიციები მცირდება

**„საქსტატის“ წინასწარი ინფორმაციით, 2010 წლის მესამე კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 160 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 7%-ით ნაკლებია, მიმდინარე წლის მეორე კვარტალთან შედარებით კი ინვესტიციების მაჩვენებელი 37 მილიონი დოლარით შემცირდა.** წინასწარი ინფორმაციით, 2010 წლის მესამე კვარტალში ყველაზე დიდი რაოდენობის ინვესტიცია საფინანსო სექტორში (31%), ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორებში (25%), უძრავ ქონებაში (21%) და ენერგეტიკაში (10%) შემოვიდა. სხვა დანარჩენ სფეროებში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა კი 13%-ით განისაზღვრა.

### საქართველოს რთული მომავალი ელის

**ბრიუსელში განლაგებული კვლევითი ცენტრის — კრიზისების აცილების საერთაშორისო ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, ორიოდე წელიწადში საქართველო დიდი გამოწვევების წინაშე დადგება.** ანგარიშში აღნიშნულია, რომ ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია საქართველოს დამოკიდებულებით იმპორტსა და უცხოურ ფულად შემოდინებებზე. „საქართველოს საგარეო ვალი 2008 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 21%-დან 2009-ში 31,4%-მდე, ხოლო 2010-ში 38%-მდე გაიზარდა. ეს მაჩვენებელი, ანგარიშის მიხედვით, 2011 წელს, სავარაუდოდ, 43.2% მიაღწევს,“ — ნათქვამია დოკუმენტში. ვალის ნაწილის დაფარვის ვადა 2012-2013 წლებზე მოდის, რამაც, შესაძლოა, კიდევ უფრო გაზარდოს საგარეო ვალი.

### Freedom House-ი მინსკის მიმართ სანქციებს ითხოვს

**ამერიკული უფლებადამცავი ორგანიზაცია Freedom House-ი ბელარუსის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით აშშ-სა და ევროკავშირის ერთობლივ პოზიციას მიესალმება და გამოდის მოწოდებით, რომ, თუკი ხელისუფლება ოპოზიციის მიმართ რეპრესიებს გააგრძელებს, მინსკის მიმართ სანქციებიც დაწესდეს.** „თუკი ბელარუსის ხელისუფლება ოპოზიციის მიმართ რეპრესიებს არ შეწყვეტს, ევროკავშირმა ლუკაშენკოს მიმართ სანქციები უნდა აღადგინოს, რომელიც 2008 წელს შეჩერდა“, — ნათქვამია Freedom House-ის განცხადებაში. შეგახსენებთ, საპრეზიდენტო არჩევნების დღეს საპროტესტო მიტინგზე შეკრებილებმა მინისტრთა კაბინეტის შენობის შტურმი სცადეს. ოპოზიციის მიტინგი მილიციამ ძალის გამოყენებით დაშალა.

### იაპონიის ელჩს გაათავისუფლებენ

**იაპონიის ელჩს რუსეთში, მასახარუ კონოს 2011 წლის დასაწყისში თანამდებობიდან გაათავისუფლებენ. შესაბამისი გადაწყვეტილება იაპონიის მთავრობამ უკვე მიიღო.** როგორც მოსალოდნელია, მასახარუ კონოს ადგილს ჩეხეთში იაპონიის ელჩი სინძი ხარადა დაიკავებს. ადრე იგი რუსეთში იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებას ხელმძღვანელობდა. იაპონური მასმედიის აზრით, ელჩის გათავისუფლების მიზეზი ის არის, რომ კონომ კურილიის კუნძულებზე დიმიტრი მედვედევის ვიზიტის შესახებ საჭირო ინფორმაციის მოპოვება ვერ შეძლო. იაპონიის ელჩი ტოკიოს ატყობინებდა, რომ ასეთი ვიზიტი მოსალოდნელი არ იყო. ამის გამო მედვედევის ვიზიტი იაპონიის ხელისუფლებისთვის მოულოდნელობა აღმოჩნდა, რამაც მაღალჩინოსნების გაღიზიანება გამოიწვია.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# New-Mestia და — 15 მილიონი ჯიბეში

**ძაღლის კუდს რა გაასწორებს, კირჩხიბის მართლად სვლას ვერ ვიხილავთ ისევე, როგორც მიხეილ სააკაშვილის სერიალის დამთავრებას სახელწოდებით „ოსტაპიანა“ — თურქეთის ქვეშევრდომის, უდიდესი კომბინატორისა და ყალთაბანდის, ოსტაპ ბენდერის აწყვეტილი ფანტაზიით ნასაზრდოებ შედევრალურ კონგენიალობას.**



## No comment. Wasiuku. 1927 წლის 22 ივნისი. ოსტაპ ბენდერი:

(ნაწყვეტი ილფისა და პეტროვის „12 სკამიდან“)

— ჭადრაკი! იცით კი, რა არის ჭადრაკი? იგი წინ ეწევა არა მარტო კულტურას, არამედ ეკონომიკას!.. თუ ჩემს პროექტს დაეთანხმებით, მაშინ ქალაქიდან ნავმისადგომისკენ მარმარილოს კიბით დაეშვებით! ვასიუკი ათი გუბერნიის ცენტრი გახდება!..

ვასიუკელები ფულს არ დახარჯავენ. პირიქით, — მიიღებენ! უაღრესად მარტივია ეს ყველაფერი. უდიდესი ოსტატების ასეთ ტურნირზე ჭადრაკის მოყვარულები მთელი მსოფლიოდან ჩამოვლენ. ასი ათასობით ადამიანი, მდიდრულად უზრუნველყოფილი ადამიანი გამოემართება ვასიუკისკენ. ჯერ ერთი, სამდინარო ტრანსპორტი მგზავრების ასეთ ნაკადს ვერ აუვა. მაშასადამე, გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატი გაიყვანს სარკინიგზო მაგისტრალს — მოსკოვი-ვასიუკი. ეს ერთი. მეორე, — სასტუმროები და ცათამბჯენებია სტუმრების განსათავსებლად. მესამე — სოფლის მეურნეობის განვითარება ათასი კილომეტრის რადიუსში: სტუმრები უნდა მოვამარაგოთ ბოსტნეულით, ხილით, ხიზილალით, შოკოლადის კანფეტებით. სასახლე, სადაც ტურნირი გაიმართება, მეოთხეა. მეხუთე — გარაჟების მშენებლობა სტუმრების ავტოტრანსპორტისთვის. ტურნირის სენსაციური შედეგების გასაცნობად მთელი მსოფლიოსთვის ზემძლავრი რადიოსადგურის აშენება მოგვიწევს. ესეც — მეექვსე.

ახლა მოსკოვი-ვასიუკის სარკინიგზო მაგისტრალის შესახებ. უეჭველია, მას არ ექნება ისეთი გამტარუნარიანობა, ვასიუკში ყველა მსურველი რომ ჩამოიყვანოს, აქედან გამომდინარეობს აეროპორტი „დიდი ვასიუკი“ — საფოსტო თვითმფრინავებისა და დირიჟაბლების რეგულარულად გაგზავნისთვის მსოფლიოს ყველა კუთხეში, ლოს ანჟელესისა და მელბურნის ჩათვლით... ჩემი პროექტი უზრუნველყოფს საწარმოო ძალთა არნახულ აყვავებას. წარმოიდგინეთ, რა იქნება, როცა ტურნირი დამთავრდება და ყველა სტუმარი გაემგზავრება. მოსკოვის მოქალაქენი, საცხოვრებლის კრიზისით შეწუხებულნი, მოაწყდებიან თქვენს დიდებულ ქალაქს. დედაქალაქი ავტომატურად გადმოდის ვასიუკში. აქ ჩამოდის მთავრობა. ვასიუკს გადაერქმევა სახელი და გახდება ნიუ-მოსკოვი, მოსკოვი — ძველი ვასიუკი. ლენინგრადელები და ხარკოველები კბილების ღრჭენას დაიწყებენ, მაგრამ ვერაფერს გახდებიან. ნიუ-მოსკოვი ევროპის უელეგანტურეს ცენტრად იქცევა, მალე — მთელი მსოფლიოსიც... მერე კი, ვინ იცის, რვა წლის შემდეგ, სამყაროს ისტორიაში პირველად ვასიუკში პლანეტთაშორისი საჭადრაკო კონგრესი გაიმართება!..

**—... გვცემენ! — მწარედ ჩაილაპარაკა ვორობიანინოვმა.**






## Mestia, 2010 წლის 24 დეკემბერი. მიხეილ სააკაშვილი:

(„რუსთავი 2“-ის პირდაპირი ეთერის გაშიფრული ჩანაწერი)

— **(ლაპარაკობს მესტიაში თვითმფრინავის რეისების შესახებ)** ...ბილეთი ბევრად უფრო ნაკლები ეღირება, ვიდრე აქვს თვითღირებულება. ეს შეგნებულად არის გაკეთებული, რათა ბევრმა ადამიანმა ნახოს და სხვებს მოუყვეს.

აქ, სვანეთში, 20 ათასამდე უცხოელი ჩამოვიდა და გაგვიკვირდა. 20 ათასი — რამხელა რიცხვი! აქ იქნება, მინიმუმ, ნახევარი მილიონი უცხოელი. მინიმუმ, ნახევარი მილიონი! საიდან მომყავს ასეთი ციფრი? ეს არის ციფრი, რომელიც დაახლოებით ასეთი მასშტაბის ხეობას ავტოადიჯეს იტალიაში, რომელშიც ტერიტორიულად უფრო პატარაა მთები ჩვენთან შედარებით და ბევრად უფრო ნაკლები სათხილამურო პოტენციალი აქვს. დაახლოებით იმ ადგილს ვილებ და იმ ადგილში ჩადის ამაზე რამდენჯერმე კიდევ მეტი. გავითვალისწინებთ, რომ ჯერ შორია, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ აეროპორტები იქნება ფოთში და ქუთაისში. და ფოთიდან და ქუთაისიდან თუ პირდაპირი გზები იქნება და ადის, პრაქტიკულად, დანარჩენი სტუმრებისთვისაც ძალიან ადვილად ჩამოსასვლელი ადგილები ხდება. მთავარი, რაც ამ ადგილს სჭირდება, არის სასტუმროები. მე მართლა გამკვირვებია, ჩვენ ხშირად ვსაყვედურობთ კერძო სექტორს, რატომ სძინავს კერძო სექტორს? კი — სასტუმროები შენდება ბათუმში, გუდაურში. მაგრამ გუდაურში არის სეზონი მხოლოდ ზამთარში. ზღვისპირეთში, ახლა უკვე ბათუმიც შეიცვალა ძალიან, მაგრამ სეზონი აქამდე იყო მხოლოდ ზაფხულში. ეს არის ადგილი, სადაც სეზონი არის სულ. და სადაც ყოველთვის მეტი მსურველია, ვიდრე არის ადგილი. და ასე იქნება შემდეგი ოცი წელიწადი.

ამიტომ, ჩვენ, ერთი მხრივ, გვაქვს წინადადება, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონა გამოვაცხადოთ, მაგრამ, მე მინდა ვთქვა, რომ არ ვაცხადებთ ჩვენ თავისუფალ ეკონომიკურ ზონას, თავისუფალ ტურისტულ ზონას. ეს არ არის სწორი. აქ ჩვენ უფასოდ, ერთ ლარად მივცემთ მიწას უფასოდ. ეს საკმარისზე მეტია და არაფერი გადასახადები, რა გადასახადებისგან გათავისუფლებაზე ვლაპარაკობთ — აქ იქნება ოქროს ზოდები...

ეს იმას ნიშნავს, რომ მე, მაგალითად, სახლში რომ მქონდეს სამი-ოთხი მილიონი, საერთოდ არ დავფიქრდებოდი, სად ჩავდო ეს სამი-ოთხი მილიონი, თუნდაც ორი მილიონი, მეტი არ დასჭირდება, ორივეს ავიღებდი და მთლიანად ჩავდებდი აქ. იმიტომ, რომ ეს ზუსტად ხუთ წელიწადში მომცემდა ათ და თხუთმეტ მილიონს. რეალობა არის ეს. ამიტომ მე ვთხოვ ყველას, ამაზე კარგად დაფიქრდეს და გააკეთოს.

**— გვცემენ! — მწარედ ჩაილაპარაკებდა ვორობიანინოვი სააკაშვილის კონცესიონერი რომ ყოფილიყო.**



## გაფრაზებულნი



**ირინა სარიშვილი, პოლიტიკური პარტია „იმედის“ თავმჯდომარე:**

დღეს ერთადერთი გამოსავალი არის სახალხო რევოლუცია! სხვა გზა ამ ხელისუფლების დემონტაჟისა არ არსებობს, თორემ, თუ გახდა მიხეილ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრი, მერე ვინ საით გაასწრებს, ველარ გეტყვით!

*„ასავალ-დასავალი“*



**გურამ გეგეშიძე, მწერალი:**

განა ასიათასობით ქართველს, რომელიც დღეს ემიგრაციაშია, უპირველესად, იმ ქვეყნის სახელმწიფო ენის შესწავლა არ უწევს, სადაც ცხოვრობს და მოღვაწეობს? საქართველოში მცხოვრებმა არაქართველებმა ქართული უკეთ უნდა ისწავლონ, ენა ადამიანებს რელიგიაზე მეტად აახლოებს. გლობალიზაციის ეპოქაში დღეს არსებობის, ეროვნული მეობის შენარჩუნების პრობლემა გვიდგას და ისეთ წვრილმან, მეორეხარისხოვან თემებზე ატყდება ხოლმე ჩვენს საზოგადოებაში კამათი, სამარცხვინოა... უცხო ენების შესწავლა მშობლიური ენის უგულებელყოფას კი არა, პირიქით, მის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას უნდა ნიშნავდეს.

*„ყველა სიახლე“*



**ვასილ მაღლაფერიძე, ყოფილი პარლამენტარი**

მაინც და მაინც ბადრი ბიწაძის გვერდით ოთახში დასმა ხომ არ განაპირობა იმან, რომ მას ეს ამბავი მოეყოლა ჯერ ისევ პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელ ნინო ბურჯანაძისთვის და დაერწმუნებინა იგი, რომ ლევან გაჩეჩილაძე „დაკერილია“, წინააღმდეგობის გაწევას არ აპირებს და ყველაფერი დამთავრებულია.

რატომ არ უსმენდნენ ამ საუბარს „ჩვენ-ჯგუფის“ სხვა წევრები, თუნდაც იგივე ვანო მერაბიშვილი? „ჩვენ-ჯგუფის“ წევრების ოთახში არყოფნა ხომ არ ნიშნავდა იმას, რომ ისინი ამ საუბრის ჩანაწერს სხვა ოთახში ისმენდნენ? რატომ არ შეიძლებოდა, რომ ბადრი ბიწაძესაც მათთან ერთად კომფორტულ გარემოში ესმინა ამ საუბრის ჩანაწერისთვის, იმის მაგივრად, რომ სულგანაბული, გაუნძრევლად მჯდარიყო გვერდზე ოთახში?

*„kalmasoba.ge“*



**შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე:**

ოპოზიცია ხალხს აზომბირებს!.. ეს არის ავანტიურა... თუ რამის თავი აქვთ, უკვე ათმა გაზაფხულმა და შემოდგომამ ჩაიარა. საერთოდ, ვინც რამის გაკეთებას აპირებს, ის წინასწარ არ ტრაბახობს და ბოლოს და ბოლოს, ნუ წაიღეს ტვინი, რა!..

ეს ჩვენი ისედაც გამწარებული ცხოვრება ნუ გადააქციეს უსასრულო მოლოდინად...

მოკეტონ და, თუ რამის თავი აქვთ, გააკეთონ, ყოველგვარი წინასწარი დაპირებების გარეშე, მე არ შევეწინააღმდეგები, იცოდეს ღმერთმა, ტაშს დავუკრავ.

*„კვირის ქრონიკა“*



**გიორგი გაჩეჩილაძე, მწვანეთა პარტიის ლიდერი:**

დამშეული ხალხი რას მოიმოქმედებს, არავინ იცის! ხალხი პირდაპირ მეუბნება, ეს ხელისუფლება ხომ მოსაშორებელია, მაგრამ ეს გაყიდული ოპოზიციაც უნდა მივაყოლოთო!

ძალიან მაინტერესებს, სად დაემალებიან ამ გამძვინვარებულ ხალხს? სააკაშვილი უკვე აღარავის უნდა: არც ამერიკას, არც რუსეთს, არც ევროპას და, რაც მთავარია, საკუთარ ხალხსაც ისე ეზიზღება, ყველა იმას ფიქრობს, რომელ ხეზე ჩამოკიდონ ეს შარაგზის ყაჩაღები!

*„ასავალ-დასავალი“*



**ეკა ბესელია, ორგანიზაცია „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ხელმძღვანელი:**

თუ ბადრი ბიწაძის ნათქვამი სიმართლეა, ამ შემთხვევაში, ამ პროცესში მონაწილე ყველა მხარე თანაბრადაა დამნაშავე!

*„ასავალ-დასავალი“*

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რა უნდა ქალს კაზინოში? ქალი უნდა იყოს...

**რამდენიმე დღის წინათ საქართველოს შემოსავლების სამსახურმა სლოტკლუბებთან დაკავშირებით ბრიფინგი გამართა. ცნობილი გახდა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მოსახლეობამ 360 მილიონ ლარზე მეტი ითამაშა და აქედან 110 მილიონ ლარზე მეტი წააგო.**



თანხა შესაძლოა ბევრად ნაკლები ყოფილიყო, თუკი მთავრობა, დაპირებისამებრ, კაზინოებსა და სლოტკლუბებს, ლას ვეგასის მსგავსად, თბილისთან არც თუ ისე ახლოს, წყალტუბოში, გადაიტანდა. ამ შემთხვევაში უკანასკნელი ათი ლარით ოჯახის უფროსი, რომელსაც სახლში ცოლ-შვილი ელოდება, წყალტუბოში ჩასვლას, თამაშს და შემდეგ უკან დაბრუნებას, უბრალოდ, ფიზიკურად ვერ მოახერხებდა. თუმცა პრობლემა წყალტუბოში გადატანით არ მოგვარდება, რადგან აზარტული ახალგაზრდობა იქაც მრავლად არის.

**თბილისში კი ისე მიჯრითაა სლოტკლუბები ერთმანეთზე მიწყობილი, რომ ერთიდან მეორემდე მისასვლელად ტრანსპორტიც არ გჭირდება, ათი ლარი კი საწყისი კაპიტალისთვის საკმარისია; ზოგიერთ კლუბში კი — 2 ლარიც.**

აზარტული თამაშები ოფიციალურად 1520 წელს საფრანგეთში მეფე ფრანცისკ I-ის ბრძანებით დაკანონდა. პირველი კაზინოები კი პარიზში 1765 წელს გაიხსნა. აზარტული თამაშების სახლები უამრავი უკანონო საქმიანობის, მათ შორის, შავი ფულის გათეთრების ყველაზე კარგი საშუალება იყო.

ხელისუფლების აზრით კი, კაზინო ტურიზმს ააყვავებს და მოგებას მოიტანს. თუმცა ამ ბიზნესს სოციალური რისკი ახლავს, რომელსაც სახელმწიფო არ ანგარიშობს. უცხოელების ხშირი ვიზიტების მიზეზი ისაა, რომ მეზობელ ქვეყნებში რადიკალურად იცვლება დამოკიდებულება კაზინოების მიმართ. **აზერბაიჯანში, თავის დროზე, პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა, როგორც ამბობენ, სათამაშო ბიზნესი იმის გამო გააუქმა, რომ მის ვაჟს თამაშისთვის თავი დაენებებინა. სომხეთიც 2013 წლიდან კაზინოებს მხოლოდ სამ რეგიონში დაუშვებს. რუსეთში კი სათამაშო ბიზნესი უკვე მკაცრად ზონირებულია. „ეს ბიზნესი ძალიან არაეთიკურია. კანონიერ ქურდობას უდრის“, — მიაჩნიათ რუსეთის დუმაში და ივლისიდან დაწყებული თამაშს მხოლოდ ქვეყნის 4 რეგიონში უშვებენ, აკრძალვის ზონაში მოსკოვიც მოექცა. ამ ფონზე საქართველოს მართლაც აქვს შანსი, იქცეს სომეხი, აზერბაიჯანელი და რუსი მოთამაშეებისთვის ნამდვილ სამოთხედ და ისინი არა მხოლოდ სათამაშოდ, ალბათ, კაზინოების მმართველებადაც მოგვევლინებიან.**

თბილისში მსგავსი ტიპის დაწესებულების გახსნაზე არანაირი შეზღუდვა არ არის დაწესებული. სათამაშო ბიზნესს „მწვანე შუქი“ აქვს ანთებული. წლიური სალიცენზიო დაგროვება სათამაშო სალონის შენახვისთვის 20 ათას ლარს შეადგენს, თბილისის გარეთ კი — მხოლოდ 12 ათასს.

ფსიქოლოგი ნანა ჩაჩუა მიიჩნევს, რომ თამაშზე დამოკიდებულთა მდგომარეობა ბოლო დროს კატასტროფულად გაიზარდა; გაათმაგდა იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც მას, როგორც ფსიქოლოგს, დასახმარებლად მიმართავენ. **„როცა 20-მდე ადამიანი ამ პრობლემით ფსიქოლოგთან მიდის, ეს ნიშნავს, რომ კიდევ უფრო მეტს აქვს პრობლემა, რადგან, როგორც წესი, ადამიანების უმრავლესობა ამაზე ფიქრს გაურბის, პრობლემად არ აღიარებს და არც ფსიქოლოგის დახმარებას ითხოვს. ჩემში გაოცებას აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ ამ პრობლემით სულ უფრო და უფრო ხშირად მომმართავენ ქალები. ეს, ალბათ, იმ მძიმე სოციალური ფონითაა გამოწვეული, რაც დღეს ქვეყანაშია. მასობრივი უმუშევრობის დროს ზოგ ქალს ჰგონია, რომ ამით თავის რჩენის საშუალებას მიაგნო, ზოგიც პრობლემებისთვის თავის ასარიდებლად და გულის გადასაყოლებლად თამაშობს, თუმცა უფრო მძიმე მდგომარეობაში იგდებს თავს“,** — ამბობს ნანა ჩაჩუა.

**კაზინოში ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი დადის, დადიან ქალები, მოხუცები და ფეხმძიმეებიც კი. კაზინოებისთვის სასურველი კლიენტები ისინი არიან, ვინც კაზინოში 400-500 დოლარით შედის, ე.წ. სუფთა იგროკები, რომლებიც სულ მალე ხდებიან თამაშზე დამოკიდებულნი.**

ამბობენ, რომ ადამიანები, რომლებიც კაზინოსა და სლოტკლუბების ხშირი სტუმრები არიან, უბრალოდ, დაავადებულები არიან, ისევე, როგორც ნარკომანები.

## როცა პირველად თამაშობ, თითქმის ყოველთვის გიმართლებს და იგებ, სწორედ ეს არის სატყუარა



**მეგი, 21 წლის:** „პირველად 19 წლის ვიყავი მე და ჩემი მეგობარი კაზინოში რომ შევედით. სამასი დოლარი მოვიგეთ. ამის შემდეგ მოვუხშირე სიარულს. ხანდახან ფული რომ არ მქონდა, ნივთებიც ჩამიბარებია ლომბარდში. ხან ვიგებდი კიდეც, მაგრამ მოგებულსაც იქ ვტოვებდი. როცა მეკითხებიან, რა მიზიდავს ასე თამაშში, ზუსტი პასუხი მეც არ მაქვს. ალბათ, ის ადრენალინი მომწონს, რასაც თამაშის დროს განვიცდი. ვიცი ძალიან ცუდია ის, რაც მჭირს, ზოგჯერ ისეთ გამოუვალ სიტუაციაში ჩავვარდნილვარ თამაშის გამო, მიფიქრია, ახლა ფული რომ ვერ ვიშოვო, თავს მოვიკლავ მეთქი, მაგრამ ღმერთი ბოლომდე არ მწირავს.

**ერთხელ ბინის ქირის ფული წავაგე. მე და ჩემი მეგობარი ნაქირავებში ვცხოვრობთ და ეს ფული მქონდა. ფრჩხილები თითქმის დავიჭამე, ახლაც რომ ვუყურებ ჩემ ხელებს, ის დღე მწარედ მახსენდება. საბედნიეროდ, გამიმართლა და იმ ბოლო 20 ლარით იმდენი მოვიგე, რომ ბინის ქირისთვის მეყო.**

## ერთხელ მაგიდასთან ცოლ-ქმარი იჯდა. ბინა გაყიდეს და ფული სულ კაზინოში წააგეს



**მეორე დღეს უნდა მიგვეცა ბინის მეპატრონისთვის. წინა დღეს სახლში ვიჯექი, არ ვიცოდი რა მეკეთებინა, ავდექი და კაზინოში წავედი. 50 ლარით შევედი და უკან ერთი თეთრიც არ გამომყვა, სახლში ძლივს დავრუნდი.** არ ვიცოდი, როგორ მეთქვა ჩემი მეგობრისთვის, რომ ქირის ნაწილი წავაგე. ავიღე დანარჩენი ფულიც და ისევ კაზინოში წავედი. თითქმის ბოლომდე რომ წავაგე, უკანასკნელი ლარებიღა დავდე და იმას ვფიქრობდი, ახლა რომ არ გამიმართლოს, ნეტავ, რა უნდა ვქნა მეთქი. ფულის შოვნის შანსი აღარ მქონდა. **ისეთი შიში ვჭამე იმ დღეს, მგონი, დიდხანს აღარ გავიხედავ სათამაშო აპარატებისკენ.** მაგრამ ხანდახან ისევ შემომიჩნდება ხოლმე რაღაც და იმ დროს თავს ძლივს ვუმკლავდები, რომ ისევ კაზინოსკენ არ გამექცეს გონება“.

**ელენე, სამორინეს მიმტანი:** დიდი ხანი არაა, რაც კაზინოში ვმუშაობ. თავიდან ვერ ვეგუებოდი, იმდენი არანორმალური დადის. ახლა შევეჩვიე და ყურადღებას აღარ ვაქცევ. ხანდახან მიჩნდება სურვილი, მეც ვცადო, მაგრამ ეს კაზინოს წესებით იკრძალება. დასვენების დღეები როცა მაქვს, ხანდახან შევსულვარ და მითამაშია. **როცა პირველად თამაშობ, თითქმის ყოველთვის გიმართლებს და იგებ, სწორედ ეს არის სატყუარა.** ხომ იცით ადამიანის ბუნება? იმის იმედით, რადგან ერთხელ მოვიგე, ესე იგი, იღბლიანი ვყოფილვარო, იწყებს თამაშს, რომელიც აღარ დამთავრდება. მეც ასე დამემართა. ვთამაშობ და თითქმის მთელი ხელფასი, სანამ ავიღებ, უკვე დახარჯული მაქვს.

**ერთი ქალი დადის ჩვენთან კაზინოში, ყოველდღე. მუცელი ჩვენს თვალწინ გაეზარდა და ეჭვი მაქვს, სასწრაფოს გამოძახებაც კაზინოს თანამშრომლებს მოუწევთ მშობიარობის დაწყების დროს.** ერთხელ არასამუშაო დღე მქონდა და გასართობად ისე შევედი კაზინოში, ბევრი ფული არ მქონდა და მალე ვაპირებდი გამოსვლას. ჩემ გვერდით მაგიდასთან ერთი ქალი იჯდა. უცებ 33 ათასი მოიგო, ადგა და გავიდა. სადღაც 2 საათიც არ ვიყავი იქ და გამოსვლისას შემხვდა ზუსტად ის ქალი. გზის ფული აღარ ჰქონდა. სახლამდე ხომ ვერ გამიყვანო მთხოვა. მეც ბოლო ხუთლარიანი მქონდა. ძლივს ავუხსენით ტაქსის მძღოლს ჩვენი გაჭირვება. აღმოჩნდა, რომ ფული რომ მოიგო, მეგობრისთვის დაურეკავს, იმ მეგობარს უთქვამს, არ მცალია, ვერ განახავო და ისევ კაზინოში შესულა და სულ წაუგია ფული, ბოლო თეთრამდე.

**ეკა, 27 წლის, სამორინეს თანამშრომელი:** უამრავი ქალი დადის უკვე. ადრე არ იყო ასე. ხანდახან ქმრებთან ერთადაც მოდიან. **ერთხელ მაგიდასთან ცოლ-ქმარი იჯდა. ბინა გაყიდეს და ფული სულ კაზინოში წააგეს. უამრავი ვალი აქვთ, მაგრამ თამაშს მაინც ვერ ანებებენ თავს.** ერთმა ახალგაზრდამ კი, რომელმაც 70 ათასი წააგო, ორ საათში 10 ათასით დაბრუნდა უკან და ისიც წააგო. ასეთია ცხოვრება კაზინოში.

**ბრიტანეთში უამრავი ორგანიზაცია ზრუნავს იმ ადამიანებზე, ვინც თამაშზე დამოკიდებული ხდება. არსებობს პრევენციული პროგრამები, რომ ახალგაზრდა თაობას ალტერნატიული, უფრო ჯანმრთელი გასართობი ან საგანმანათლებლო პროექტი შესთავაზონ. ჯერ კიდევ გაუმართავი ჯანდაცვის სისტემის გამო, ჩვენთან არ არსებობს არც ერთი სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც პრობლემურ მოთამაშეებზე იზრუნებს.**

ეს ფუნქცია გარკვეულწილად ქალთა კლუბ „პეონს“ აქვს შეთავსებული, რომელიც რეაბილიტაციის პროგრამას ნარკომანებს სთავაზობს, მაგრამ მათი პაციენტების 90 პროცენტი მოთამაშეც არის.

**ლილი მიროტაძე**

# Happy birthday, dear Misha?!

**2010 წლის 21 დეკემბერს, 13 საათზე, მოსკოვში, პოკლონნაია გორაზე, გაიხსნა მონუმენტი „ფაშიზმთან ბრძოლაში ჩვენ ერთად ვიყავით“. ძეგლი გახსნეს რფ-ის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა (ვისაც ეს იდეა ეკუთვნის) და მოსკოვის მერმა სერგეი სობიანინმა. „ამ მონუმენტის ერთ-ერთი შემქმნელი და შთამაგონებელია'„ქართველთა კავშირი რუსეთში“, — ამის თაობაზე იუწყება „კავშირის“ ვებსაიტი (www.georgians.ru), რომლის პრეზიდენტი მიხეილ ხუბუტია ძეგლის გახსნის ცერემონიაში მონაწილეობდა.**



## ახალი მონუმენტი სხვადასხვა ეროვნებისა და მრწამსის ხალხების დარაზმულობის სიმბოლოა, რომლებმაც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშინელი ბრძოლა გადაიტანეს

მასთან ერთად იმპროვიზებულ ტრიბუნაზე იდგნენ ომისა და შრომის ვეტერანთა მოსკოვის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ვლადიმირ დოლგიხი, საქართველოს ექსპრემიერი, „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი (რომელიც დიქტორმა გამოაცხადა როგორც ნოგოიდელი) და საქართველოს პარლამენტის ექსსპიკერი, მოძრაობა „ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე (რომელიც დიქტორმა გამოაცხადა როგორც ბურჯანაშვილი). რუსეთის მედიამ კი ბურჯანაძე „ყველაზე ცნობილ“, „ყველაზე თვალსაჩინო“, „ყველაზე გამოჩენილ ქართველ პოლიტიკოსად“ მოიხსენია (რა თქმა უნდა, რუს ჟურნალისტებს მხედველობაში ჰქონდათ არა მისი უიღბლო ოპოზიციონერობის ბოლო წელიწად-ნახევარი, არამედ შვიდწლიანი ნაყოფიერი მოღვაწეობა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე (2001-2008 წ.წ., რისთვისაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა მას „ფოლადის ლედი“ უწოდა) და „ვარდების რევოლუციაში“, როგორც „სამეულის“ ერთ-ერთი ლიდერის მიერ შეტანილი წვლილი (2003 წლის ნოემბერში, მიხეილ სააკაშვილსა და ზურაბ ჟვანიასთან ერთად).

— **წამოდით, ერთად გავხსნათ,** — მიმართა მას პუტინმა.

— **მე ხომ არავის მოვუწვევივარ?!** — შეცბუნდა ბურჯანაძე.

— **ერთად შევქმენით და ერთადაც გავხსნით!** — მიუგო პუტინმა.

გახსნის ცერემონიაზე ვლადიმერ პუტინის გამოსვლიდან: **„ამ ძეგლით პატივს მივაგებთ წინაპართა უკვდავ გმირობას და ამავე დროს, ის ჩვენი საერთო ნებელობის, მტკიცე გადაწყვეტილების დამოწმებაა, რომ სათუთად გავუფრთხილდეთ სიმართლეს გმირებზე, დავიცვათ ის ცინიზმის, ბარბაროსობისა და სიცრუისგან, ერთად აღვუდგეთ წინ ნაციონალიზმს, ქსენოფობიას, ექსტრემიზმს, რაგინდ მიმზიდველი ლოზუნგებით უნდა იყოს გარეგნულად გაფორმებული. ახალი მონუმენტი სხვადასხვა ეროვნებისა და მრწამსის ხალხების დარაზმულობის სიმბოლოა, რომლებმაც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშინელი ბრძოლა გადაიტანეს. ეს შეხსენებაა იმისა, რომ ფაშიზმთან ბრძოლაში ნამდვილად ერთად ვიდექით!**

**დღეს ჩვენ კვლავ ქედს ვიხრით მათი ხსოვნის წინაშე, ვინც გამარჯვებისთვის ყველაზე დიდი საფასური — საკუთარი სიცოცხლე გაიღო. დიდ სამამულო ომში გამარჯვებას არა მარტო იარაღის ძალით, არამედ, უწინარესად, ნებისყოფის, სამამაცის, ხალხთა მისწრაფების წყალობით მივაღწიეთ.**

**ერთი წლის წინათ, პრაქტიკულად, ყველა ტელეარხი მოიარა ქუთაისში საბრძოლო დიდების მემორიალის აფეთქების კადრებმა; სახელმწიფო ვანდალიზმის სამარცხვინო აქტმა, რომელმაც მსოფლიოში და, უპირველესად, საქართველოში, დიდი აღშფოთება და გმობა გამოიწვია. ხალხი ვერ დადგება იმათ გვერდით, ვინც სახალხო ხსოვნას ანადგურებს, მით უფრო, საკუთარი გმირებისას, ზურგს აქცევს საკუთარ ისტორიას, მეგობრობისა და ურთიერთგაგების საუკუნოვან ტრადიციებს.**

**დარწმუნებული ვარ, არავის ძალუძს, ერთმანეთს წაჰკიდოს რუსი და ქართველი ხალხები, გაწყვიტოს ჩვენ შორის ადამიანური, სულიერი კავშირები. მომავალი რუსეთისა და საქართველოს კეთილმეზობლურ, თანაბარუფლებიან, პარტნიორულ ურთიერთობებს ეკუთვნის! ამისკენ გულწრფელად მივისწრაფვით“.**

ძეგლის გახსნის საზეიმო ცერემონიაში, რომლის ერთ-ერთი ნაწილიც რაიხსტაგზე დროშის აღმართვას განასახიერებს, მონაწი- ▶

**2010 წლის 18 დეკემბერს პრეზიდენტმა სააკაშვილმა მთავრობის მღვიმური სხდომა გამართა: სათაფლიის გამოქვაბულში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში გაჩაღებულ საყოველთაო კორუფციაზე, ქართული ტურიზმის ბრწყინვალე პერსპექტივებსა და, აგრეთვე, ფასების კატასტროფულ ზრდასა და ინფლაციაზე მსჯელობდნენ, რაც ხალხისთვის თაფლი სულაც არაა...**

# სააკაშვილის სათაფლია და უგულავას გულავი



მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი უწინაც ხშირად ლაპარაკობდა ჩვენი ეკონომიკის განვითარების გზებზე, რომელიც ტურიზმს უნდა ეხსნა (ანაკლიის პლაჟზე, ბათუმში მშენებარე სასტუმროს სახურავსა და ლეპოტას ტბაზე გამართულ მთავრობის სხდომებზე), ვითარება, რომელშიც დღეს ხალხი აღმოჩნდა, სულაც არაა ისეთი მშვენიერი, როგორადაც მას „რუსთავი 2“ გვიხატავს...

**კატასტროფული კონტრასტი ტელევიზიით ხელისუფალთა საუბარსა და აუტანელ სინამდვილეს, რჩეულთა „გლამურსა“ და ხალხის შიმშილს შორის მკვეთრად მოქმედებს მასების ფსიქიკაზე და საქართველოში ესოდენ მოხშირებული სუიციდების ერთ-ერთი მიზეზია! ხალხი ადექვატურად აღარ აღიქვამს სინამდვილეს, ტელეპროპაგანდის მძლავრი “ნარკოტიკული“ ზემოქმედების ქვეშ უკვე ვერ ასხვავებს სიმართლესა და სიცრუეს და, პროსამთავრობო მედიის მიერ დაზომბებული, ეჭვობს: „თუკი ყველაფერი ასე კარგადაა, მე კი ასე ცუდად ვარ, ეგებ, სრულ ჭკუაზეც არ ვარ?!“**

„ყველა მინისტრი, პარლამენტარი, მერი და პირადად მე თქვენს სატელეფონო ზარებს ვუპასუხებთ და ყველას ეცოდინება ჩვენი მობილური ტელეფონების ნომრები!“ — შეგვპირდა პრეზიდენტი სააკაშვილი, რაც სიცრუე აღმოჩნდა: საცნობარო „09“-ში დარეკვისას იგებ, რომ ყველა მინისტრისა და მათი მოადგილეების საქალაქო, ასევე, დედაქალაქის მერიის სამსახურების ტელეფონები **„დაფარულია მფლობელების სურვილით“** (?!). ჩვენ კი მხოლოდ „ცხელი ხაზებისა“ და კომუტატორების სატელეფონო ნომრებს გვთავაზობენ, რომლებიც ჩვეულებრივ **„დაკავებულია“...**

ჩვენი მაღალჩინოსნების მობილურ ტელეფონებზე ლაპარაკიც ზედმეტია. **„არ ვიცით!“, „ვერ გეტყვით!“** — გვპასუხობენ დიდი და პატარა უფროსების მდივნები (მრჩეველ-თანაშემწე-რეფერენტები, როგორც მათ ახლა უწოდებენ) მათთან ვაი-ვაგლახით დაკავშირების შემდეგ. **საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია კი წარმოდგენილია სულ სამი ნომრით: 28-027-23, 28-27-13, 28-27-36, რომლებზეც არასდროს არავინ პასუხობს!**

თუმცა თავი დავანებოთ ჩინოვნიკებს! ოღონდ, როცა მორიგ ჯერზე დაიწყებენ კომუნისტური გადმონაშთების კრიტიკას, დაე, იცოდნენ (არ ვამბობ — გაიხსენონ: ჩვენს ხელმძღვანელთა უმეტესობა მაშინ ღამის ქოთნებზე იჯდა!), რომ იმ ეპოქის ნებისმიერ ხელმძღვანელს ჰქონდა მიღების დღეები და საათები, პირდაპირი ტელეფონები, რომლებსაც პასუხობდა! ხოლო თუ ვინმე „გაზულუქდებოდა“, რაიკომი და ცეკა ურჩ ჩინოვნიკს მაშინვე „ოყნას“ გაუკეთებდნენ (მისივე „კუჭის მოქმედებისათვის“).

**ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ შეუძლებელია „022“-ზე საპატრულო პოლიციასთან დაკავშირება, რომელიც ჩვენთვის დღეს უბნის ინსპექტორიცაა, „02“-ის ოპერატიული მუშაკიც, სისხლის სამართლის სამძებროც, „გაი“-ც, „პეპეეს“-იც და „დეპეეს“-იც! „ყველა ოპერატორი დაკავებულია!“** — ასე გვპასუხობს სამსახურის ავტომოპასუხე, რომელიც საქართველოს შს მინისტრის — ვანო მერაბიშვილის განცხადებით, არა რეპრესიული მექანიზმი, არამედ სერვისია მთელი საზოგადოებისთვის! თუმცა, თუ გამძარცვეს, შეურაცხმყვეს ანდა მომკლეს, არანაირი სერვისი აღარ დამჭირდება, გარდა შპს „ჰერმესის“ სერვისისა...

**იგივე ხდება „03“-თან დაკავშირებითაც. „სასწრაფო დახმარების“ გამოძახება აბსოლუტურად შეუძლებელია და სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მყოფნი იძულებული არიან, კომერციულ „სასწრაფო დახმარებას“ დაუკავშირდნენ, რომლის ვიზიტიც 50 ლარი ღირს** (დადგენილი ტარიფით): სახელმწიფო დაწესებულებისგან განსხვავებით, რომელიც დედაქალაქის მერიის ბალანსზეა, აქ არ ითვალისწინებენ შეღავათიან კატეგორიებს (მოხუცები, ლტოლვილები და ა.შ.).

**თბილისის მთავარი ელექტრო და წყალგამანაწილებელი — „თელასისა“ („2552“) და „თბილისის წყლისგან“ (93-11-11) განსხვავებით, რომლებთანაც ბოლო ხანს გახშირებულ „ავარიებთან“ დაკავშირებით დარეკვის იმედი ყველა თბილისელს გადაეწურა, მუსიკალური კომპოზიციის შემდეგ საკმაოდ ოპერატიულად გიპასუხებთ ქალაქის მერიის „ცხელი ხაზი“ (72–22–22).** მაგრამ რა შეღავათია?! მაგალითად, 19 დეკემბერს, მთელი კვირადღის განმავლობაში ჩუღურეთის რაიონის მცხოვრებლებს წყალი არ მიეწოდებოდათ და, მერიის დაპირების მიუხედავად, — „ზომებს მივიღებთო“ — წყალმომარაგება მხოლოდ მეორე დღეს, 20 დეკემბერს, აღუდგათ!

**რას აკეთებს ამასობაში ჩვენი მერი — „ხაბაზი და მჭედელი, სანტექნიკოსი და მომკელი“?! რას აკეთებს და ჩვენმა უგულავამ ევროპაში იგულავა:**

18 დეკემბერს, სანამ პრეზიდენტი სააკაშვილი სათაფლიის გამოქვაბულში სხდომას ატარებდა, თბილისის მერი პარიზში ხელს აწერდა შეთანხმებას საფრანგეთის კომპანია „სისტრასთან“, რომელმაც საქართველოს დედაქალაქში ტრამვაის ხაზების კეთილმოწყობის გეგმა უნდა შეიმუშაოს. **უგულავას თქმით, „ტრამვაი თბილისის მნიშვნელოვანი სიახლე იქნება და დიდი მნიშვნელობაც ენიჭება ქალაქის ეკოლოგიის გაუმჯობესების თვალსაზრისით“.**

**აბა, როგორ უნდა დარჩე სრულ ჭკუაზე?! განა ეს ის მერი უგულავა არაა, რომელმაც 2006 წელს თბილისში ყველა ტრამვაის ხაზი ამოჩეხა?! ტრამვაი გამართულად მოძრაობდა თბილისში 1904 წლიდან მოყოლებული. რა სიახლეზეა საუბარი?!** სიახლე იყო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ჰოლანდიიდან ჩამოყვანილი ჩამოწერილი ყვითელი ავტობუსები, რომლებსაც ვარდის კი არა, დიზელის საწვავის სუნი ასდიოდა, რაც ქალაქის ბიუჯეტს, თავად უგულავას აღიარებით, თვეში 29 მილიონი დოლარი უჯდებოდა!

◀ ლეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის გმირების — ალექსეი ბერესტის, ნიკოლაი ეგოროვისა და მელიტონ ქანთარიას შთამომავლებმა (ამ ბოლო ორი გმირის ფიგურა ბრინჯაოსგანაა ჩამოსხმული), ასევე, დიდი სამამულო ომის ვეტერანებმა რუსეთიდან და საქართველოდან. მთელი არქიტექტურულ-მემორიალური კომპლექსის ფართობი ათასამდე კვადრატული მეტრია, ხოლო ძეგლის სიმაღლე პოსტამენტთან ერთად – 14,5 მეტრს შეადგენს. **სკულპტურული კომპოზიცია „რაიხსტაგის" პროექტის ავტორები არიან რუსეთის სახალხო მხატვარი ანდრეი კოვალჩუკი,** მხატვარი **სალავატ შჩერბაკოვი** და არქიტექტორი **ვასილი პერფილიევი.**

ძეგლი ნებაყოფლობითი შემოწირულობებით იქმნებოდა — საქველმოქმედო შემოწირულობები გაიღო 6235 უბრალო მოქალაქემ და 317 საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ.

**ოფიციალური თბილისის რეაქცია, როგორც ყოველთვის, ორიგინალური იყო — სლოგანი „ფაშიზმთან ბრძოლაში ერთად ვიყავით" საქართველოს ხელისუფლებამ აღიქვა როგორც „სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში პუტინი და ბურჯანაძე ერთად იყვნენ" და ალაპარაკდა კოლაბორაციონიზმზე, პროვოკაციებზე, უტიფრობასა და ცინიზმზე.**

საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო საქინფორმი განსასჯელად მხოლოდ ერთ ინფორმაციას დაამატებს: **ვარაუდობდნენ, რომ ძეგლი 2010 წლის 19 დეკემბერს გაიხსნებოდა — ზუსტად ერთი წლის თავზე მას შემდეგ, რაც ქუთაისში დიდების მემორიალი ააფეთქეს, მაგრამ გახსნა რატომღაც 21 დეკემბრისთვის გადაავადეს. ნუთუ იმიტომ, რომ მონუმენტის აღმართვა მიხეილის დაბადების დღისთვის დაემთხვიათ? არა, მიხეილ ხუბუტიას კი არა, მიხეილ სააკაშვილის დაბადების დღისთვის?! სააკაშვილის დაბადების დღისთვის უკეთესი საჩუქრის მოფიქრება არც შეიძლებოდა** (მისი იმ სისუსტის გათვალისწინებით, რომ ყველაფერს სამახსოვრო თარიღებს ამთხვევს!): „ვარდების რევოლუციაც" კი მიშამ 23 ნოემბერს მოაწყო და ის საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ საეკლესიო დღესასწაულს — „გიორგობას" დაამთხვია (საქართველოში ყველაზე პატივსაცემი წმინდანის — წმიდა გიორგის ხსენების დღეს, რომლის სახელსაც ქვეყნის — „Georgia"-ს წარმოშობას უკავშირებენ).

**საინტერესოა, იცოდა თუ არა ეს პუტინმა? ნუთუ ვლადიმერ ვლადიმერის ძეს არ მოახსენეს ამის შესახებ მის გარშემო მყოფმა ქართველებმა?!**

**P. S.** მაინც ვიმედოვნებთ – მონუმენტის გახსნა 21 დეკემბრისთვის იმიტომ გადადეს, რომ ის უმაღლესი მთავარსადლის — იოსებ ბესარიონის ძე სტალინის დაბადების 131-ე წლისთავისთვის დაემთხვიათ.

# სარგსიანის ძმა ცილისწამების მსხვერპლია?

**წლეულს, ოქტომბერში, აშშ-ის ხელისუფლებამ ლოს-ანჯელესში დააკავა სომეხი კრიმინალური ავტორიტეტი ა. კაზარიანი, მეტსახელად „პზო". მას და მისი დაჯგუფების წევრებს ბრალად განსაკუთრებით დიდი თაღლითობა ედებოდათ. ამ დანაშაულებრივი ჯგუფიდან ძაფები თითქოსდა საშიკ სარგსიანთან, სომხეთის პრეზიდენტის სერჟ სარგსიანის ღვიძლ ძმასთან მიდიოდა.**



გამოვიდა, რომ ასეთი კავშირი სომხეთის პირველ პირს კორუფციული კავშირების „შავ ჩრდილს" აყენებდა.

რა თქმა უნდა, ეს ხელსაყრელი არ იყო სერჟ სარგსიანისთვის, როგორც სახელმწიფოს ლიდერისთვის, რომელმაც პატიოსანი და დემოკრატიული არჩევნების შედეგად გაიმარჯვა და როგორც კორუფციასთან აქტიური მებრძოლისთვის, რომელმაც მისაბაძ მაგალითად აშშ აქცია. ამიტომაც **სომხეთში FBI-სა და სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელთა ჯგუფი ჩამოვიდა „პზო"-ს დაჯგუფების დანაშაულებრივი საქმიანობის ყველა დეტალის გამოსავლენი გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებებისა და აუცილებელი ღონისძიებების გასატარებლად.**

გარდა ამისა, პრეზიდენტის ძმა — ნაციონალური კრების დეპუტატი საშიკ სარგსიანი, სომხეთის გენერალურ პროკურორთან, აგვან ოვსეფიანთან ერთად, დეკემბრის დასაწყისში ვაშინგტონში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე ჩავიდა, რომელიც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას ეძღვნებოდა. ამ ვიზიტით საშიკ სარგსიანმა იმის დემონსტრირება მოახდინა, რომ არაფერი საერთო არ ჰქონდა „პზოს" დანაშაულებრივ დაჯგუფებასთან.



(AFP)

# სააკაშვილს და მამათმავლებს აშშ-ის სენატში ერთი ლობისტი ჰყავთ...

**ისეთი მონდომებით ისწრაფვის ჩვენი ხელისუფლება ევროპისკენ, რომ დაუფიქრებლად გადმოაქვს ყველაფერი... ამერიკული, განსაკუთრებით — პოლიტიკაში, პოლიტტექნოლოგიის თვალსაზრისით.**

პრობლემათა-პრობლემა ხელისუფლებისთვის, რომელიც ხალხის ნდობას კარგავს, რომლის რეიტინგი განუხრელად ეცემა, საარჩევნოდ ელექტორატის მოზიდვაა, უწინარესად კი, იმ „საბადოებიდან", რომლებიც მანამდე აუთვისებელი იყო, რადგან მეორეხარისხოვნად მიაჩნდათ; ყოველ შემთხვევაში, არატრადიციული იყო.

თანაც, თუ დემოკრატიის საგამოფენო ჩარჩოში ჩასვამ, მეტ-ნაკლები წარმატება გარანტირებული გექნება.

აშშ-ის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა თავისი მეორე საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის დროს პედერასტთა უფლებების დამცველი ისეთი თავგამოდებული მოღვაწის ნიღაბი მოირგო, თითქოს მონიკა ლევინსკისთან გაუკუღმართებულ სქესობრივ ურთიერთობებში მას კი არა, ავლაბრელ სეროჟას ამხელდნენ. თავი მოიკლა: ამერიკის შეიარაღებულ ძალებში სამსახურის უფლება უნდა ჰქონდეთ აქტიურ თუ პასიურ, ლატენტურ თუ აშკარა მამათმავლებსო.

გათვლა არჩევნებზე იყო, როგორც ვთქვით.

აირჩიეს.

ახლა ამერიკის ჯარში მამათმავლები არხეინად და, შეიძლება ითქვას, ძალიან კომფორტულად გრძნობენ თავს. ნუ მაიძულებთ, „დეტალებში შესვლას"... ასე რომ, ამერიკელ სამხედრო ინსტრუქტორებში, რომლებიც ჩვენს ჯარისკაცებს წვრთნიან, ღმერთო შეგცოდე, გამორიცხული არ არის ერთი-ორი ფლეტჩერი — ზუგდიდში ჩამოთესლილი ინგლისურის მასწავლებელი, რომელიც შაშკინს მოსწონს, გამოერიოს.

ჩვენმა ხელისუფლებამ ხმების ახალი კლონდაიკი საპატიმროებში აღმოაჩინა (აზერბაიჯანული და სომხური უმრავლესობით დასახლებული რეგიონები ტრადიციულად განაღდებული აქვს): პატიმართა ჭირისუფლები მიიმხრო არჩევნების დროს — ამდენი და ამდენი ხმა ჩვენს სასარგებლოდ შეკრიბეთ და ციხეში ჩაკეტილ თქვენიანებს ან შევიწყალებთ, ან სასჯელს შევუმსუბუქებთო. ამან იმუშავა ადგილობრივი არჩევნების დროს.

მისცეს ხმა.

მაგრამ ამერიკის ადმინისტრაცია ადგილზე არ დგას და მდგომარეობის გამყარებისთვის ჰომოსექსუალთა ქორწინების ლეგალიზაციასთან დაკავშირებით ნაციონალურ კამპანიას იწყებს. **აშშ ვიცეპრეზიდენტი ჯო ბაიდენი მიიჩნევს, რომ ამ, ორიენტაციაარეულთა ქორწინება მთელ ქვეყანაში გარდუვალად დაკანონდება.**

**გამოუჩნდა ლობისტი მამათმავლებს.**

**ეს ის ჯოა, ბაიდენი, რომელსაც თბილისში ვიზიტისას წმიდა გიორგის ორდენი დაჰკიდა სააკაშვილმა.**

წმინდანის ორდენი — მამათმავალთა მომავალ ლობისტს. წმინდა წიგნი კი ამ გარყვნილებას სოდომისა და გომორის ცოდვათა შორის ერთ-ერთ უბინძურესად მიიჩნევს. ამასთან ერთად, **„ბოროტნი იყვნენ სოდომელნი და დიდად სცოდავდნენ უფალს"** *(დაბად. 13, 13).*

ბოროტნიო გარყვნილებასთან ერთად.

ძველი აღთქმის კომენტარებში ეს უბედურება ასეა ახსნილი: **„იორდანეს ნაყოფიერი დაბლობისა და გამანებივრებელი ჰავის პირობებში სოდომისა და გომორის მოქალაქეებმა იმ დროის ყველა ქალაქის მცხოვრებთ გადააჭარბეს თავხედურ გარყვნილებაში. ამასთან, ბიბლიის მიხედვით, ისინი ბოროტებიც იყვნენ. უსაზღვრო გარყვნილებას, ჩვეულებრივ, თან სდევს დაუნდობლობა და სისხლისმსმელი სიგიჟე (ნერონი, კალიგულა და მისთ.). ამიტომ მიიჩნევენ, რომ ამ ქალაქების მკვიდრნი ისე დაეცნენ, რომ სავსებით გაუქრათ სიკეთის გრძნობა"** *(Толковая Библия, с.-П., 1904-1907 წწ. გვ. 91).*

გალაღდნენ მდიდრული ცხოვრებით ამერიკელნიც და ცოდვის მარაქაშიც გაერივნენ.

**„თქვა უფალმა, გახშირდა სამდურავი სოდომსა და გომორზე, მეტისმეტად დაუმძიმდათ ცოდვები"** *(დაბ. 18, 20).*

და დააქცია ღმერთმა სოდომი და გომორი.

არ აწუხებთ, ეტყობა, იანკებს ასეთი პერსპექტივა.



მათი საქმეა.

**ჩვენ კი ის გვეხამუშება, რომ აშშ-ის უმაღლეს ხელისუფლებაში პედერასტებსა და მიხეილ სააკაშვილს ერთი ლობისტი ჰყავთ.**

რა ნახა ჯომ საერთო ამ ორ უკიდურესობას შორის, გაუგებარია. თუმცა თბილისში მყოფი განსაკუთრებულ სიმპათიას რომ გამოხატავდა მიხეილის მიმართ, ფაქტია. **სწორედ ბაიდენმა უთხრა საზეიმო მიღებაზე მიწვეულ დედას სააკაშვილისას: „მოუარეთ თქვენს შვილს. ჩვენ ის გვჭირდება".**

**გვჭირდება თუ არა ჩვენ, არ უკითხავს.**

თუ ამერიკას, არადა, ვიცეპრეზიდენტი ამერიკის სახეა და მისი სახელით ლაპარაკობს, მიხეილ სააკაშვილი ისე სჭირდება, როგორც მამათმავლების ქორწინება, მე პირად შეურაცხყოფად მივიღებდი.

თქვენც, ალბათ, ჩვენო მკითხველებო.

მაგრამ მოსაჭრელად დავდებ თავს, რომ სააკაშვილს ასეთი უხერხულობა არ ანაღვლებს, არც არაფრად მიაჩნია, ხალხი ასეთ შეურაცხყოფილ მდგომარეობაში რომ აღმოჩნდა.

**28 დეკემბრის დილით ერთ-ერთმა ქართულმა სახელმწიფო არხმა დიდად სასიხარულო ამბავი გვაუწყა: ელტონ ჯონი, მომღერალი და გეი (პედერასტს ვით ვაკადრებ სერ ელტონს) და მისი პარტნიორი — არ ვიცი — ცოლი, არ ვიცი — ქმარი, მშობლები გახდნენ, სუროგატი დედისგან ბავშვი შეეძინათ. ზაქარი დაარქვესო.**

**ამ წინასაახალწლო დღეებში ეს თუ გაგვახარებდა!**

**არმაზ სანებლიძე**

**თუ ამერიკის შეერთებულ შტატებს მიხეილ სააკაშვილი ისე სჭირდება, როგორც მამათმავლების ქორწინება, ეს საქართველოს შეურაცხყოფაა!**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## გაჟურნაზებულნი



**ანზორ საკანდელიძე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი:**

მსოფლიოში პანიკაა ჩინური საბავშვო სათამაშოების გამო. ამიტომ, სათამაშოები მაინც შევამოწმოთ, ნუ მოვწამლავთ ბავშვებს! 99 პროცენტია საფრთხე იმისა, რომ ეს არის ეკოლოგიურად დაბინძურებული მასალა და არ შეიძლება ბავშვთან მისი მიკარებაც კი. საახალწლოდ ეს პროდუქცია ღარიბ ქვეყნებში განსაკუთრებით კარგად იყიდება, რადგან იაფია. რა გვემართება, რატომ ვართ ასე გულგრილნი, ბოლოს და ბოლოს, მომავალ თაობას მაინც ხომ უნდა გავუფრთხილდეთ?!

*„ყველა სიახლე“*



**ეკა ბესელია, ადვოკატი:**

„სახალხო კრება“ არ არის რომელიმე პოლიტიკოსის მხარდამჭერი. „სახალხო კრება“ ემსახურება ქართველი ხალხის იდეას. ამიტომ ამ დაპირისპირების დასრულებამდე და დებატებამდე შევიჩერე „სახალხო კრების“ წევრობის უფლება. არასწორად მიმაჩნია, რომ „კრების“ აღმასრულებელი საბჭო ამ დაპირისპირებაში ჩაერიოს.

*„პირველი“*



**სოსო ჯაჭველიანი, რეჟისორი, მსახიობი:**

„სახალხო კრება“ ხალხისაა და ლევან გაჩეჩილაძესთან ბურჯანაძის დაპირისპირებაში ხალხი არაფერ შუაშია. გასარკვევი ბევრი რამაა და ეს ყველას აწუხებს. დაპირისპირება ორ კონკრეტულ ადამიანს შორის არსებობს და არა — „სახალხო კრებასა“ და „ქართულ პარტიას“ შორის.

*„პირველი“*



**ბადრი ბიწაძე, სასაზღვრო პოლიციის ყოფილი უფროსი:**

მე დავადასტურებ ამ ფაქტებს და მზად ვარ, ლევან გაჩეჩილაძეს საზოგადოების წინაშე გავუმეორო, თუ რაზე ევაჭრებოდა იგი სააკაშვილს და რაზე ვაჭრობდა „სახალხო კრებასთან“! მე ამ ყველაფრის უშუალო მომსწრე ვარ, ყველაფერი საკუთარი ყურით მაქვს მოსმენილი და საკუთარი თვალით მაქვს ნანახი... მე კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ, როცა გაჩეჩილაძე შავნაბადაზე სააკაშვილს ერთი-ერთზე შეხვდა, საკუთარი ყურით ვისმენდი მათ საუბარს! ასევე ვადასტურებ, რომ ლევან გაჩეჩილაძემ „სახალხო კრებასთან“ შემოერთების სანაცვლოდ მოითხოვა 2 მილიონი და დამატებით კიდევ ერთი მილიონი ე. წ. პარაშუტის სახით!

*„ასავალ-დასავალი“*



**ირმა ინაშვილი, „წინააღმდეგობის მოძრაობა — პოლიტიკოსების გარეშე“ დამფუძნებელი:**

ჩვენს მოძრაობაში პოლიტიკოსები არ არიან. გასულმა შვიდმა წელმა ცხადყო, რომ პოლიტიკურმა სპექტრმა საზოგადოების ნდობის მანდატი ამოწურა. მიზანი არის იმ რეალობისა და რეჟიმის შეცვლა, რაც დღეს საქართველოში არსებობს.

*„ასავალ-დასავალი“*

# მანათობელი ღვედები და 1000 ლარი ავტომობილის ტექნიკური დათვალიერებისთვის, საჩუქრად სანტა მიშასგან

**ვრცელდება ინფორმაცია, რომ 1997 წლამდე წარმოებული მანქანების მფლობელებს ახალი წლიდან ე. წ. ტექპასპორტისთვის 1000 ლარის გადახდა მოუწევთ. მართალია, აღნიშნულ ინფორმაციას ჯერჯერობით შესაბამის უწყებებში არ ადასტურებენ, მაგრამ ავტომობილის მფლობელები უკვე შეშფოთებულნი არიან ახალი ინფორმაციით.**

შეგახსენებთ, რომ ნაციონალებმა ხელისუფლებში მოსვლისას განაცხადეს, რომ ტექპასპორტების არსებობა კომუნიზმის გადმონაშთი იყო და საერთოდ გააუქმეს. ახლა კი გაათმაგებული საფასურით უკან დაგვიბრუნეს.

მათ, ვისაც იმის შესაძლებლობა არ ჰქონდა, რომ ბოლო მოდელი „ბენტლით“ ევლო და 1995 წელს გამოშვებულ „ოპელ-ვექტრას“ დასჯერდა, აჯობებს, აქედანვე დაიწყოს 1000 ლარის შეგროვება. თუმცა ტყუილიაო, საიდან მოიტანეთო, ამბობენ, მაგრამ სატრანსპორტო სამსახურის ეს მტკიცე უარი სულაც არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ინფორმაციის აბსურდულობა დავიჯეროთ. **ეს მეთოდი ხელისუფლებას უკვე კარგად აპრობირებული აქვს. ჯერ გაავრცელებს ინფორმაციას, გადარევს ხალხს, მერე უარყოფს, დაამშვიდებს, ტყუილიაო და კარგად დამშვიდებულზე აგვიფრიალებს ხოლმე ახალ კანონპროექტს. ბაღები ძვირდებაო, რომ გავრცელდა ინფორმაცია, ტყუილიაო, კი იძახდა მერია, მაგრამ, აბა, იანვრიდან ბაღის პედაგოგს უთხარი, უგულავამ თქვა, ტყუილია და უფასოაო, თუ მიიღებენ შენს ბავშვს.**

60 წლის სამუელ ისაკიანი, „ლადა 21“-ის მძღოლი, პურის ფულის ერთადერთი შემომტანია ოჯახში. 2 წლის წინათ მაკლერად მუშაობა შეწყვიტა და ტაქსის მძღოლობა დაიწყო. ცუდი სატრანსპორტო საშუალების მიუხედავად, მას თავისი კლიენტები ჰყავს. ახალი მანქანის შეძენას ისურვებდა, თუმცა უბრალოდ არ შეუძლია. **„ხანდახან თავად ვაკეთებ მანქანას და მის დაზიანებულ ნაწილებს ძველი ნაწილებისგან ვაწყობ. ეს „ლადა“ იმდენად ძველია, რომ ქალაქის ცენტრში მუშაობას ვერც ვბედავ. ვიცი, რომ ჰაერს აბინძურებს და საშინლადაც გამოიყურება. სიამოვნებით მექნებოდა ნებისმიერი ახალი მოდელის მანქანა, მაგრამ როგორ ვიყიდო?“** — გვითხრა სამუელ ისაკიანმა. ინფორმაცია, რომელიც ჩვენ ვაცნობეთ 1000-ლარიან გადასახადთან დაკავშირებით, ფრიად სამწუხარო აღმოჩნდა მისთვის: **„ასე სად გაგონილა, კაცო? განა მე არ მინდა, ახალთახალი მანქანით ვიარო? მაგრამ რომ არ მაქვს საშუალება, ყელში უნდა წამიჭირო? 1000 ლარად სულ ვერ გავყიდი ამ ჩემს მანქანას, რომ მოვინდომო. ჩვენი ოჯახის მარჩენალია. მანქანა რომ გავყიდო, რაღა ვჭამოთ? არადა, 1000 ლარიც როგორ გადავიხადო? დავღუპულვარ და ეგ არის“.**





სანზონაში, ჩარგლის ქუჩაზე, გვერდიგვერდ ორი ტაქსი დგას. ერთი, უფერული წითელი „ლადა“, საბჭოთა პერიოდისაა, ჯერ კიდევ 1974 წელს გამოშვებული; მეორე კი 1996 წლის, მწვანე ფერის „ოპელ-ასტრაა“. მიუხედავად იმისა, რომ ერთი მანქანა 36 წლისაა, მეორე კი 14-ის, ისინი ერთსა და იმავე გასამრჯელოს იღებენ და ერთსა და იმავე უბანში მუშაობენ. კლიენტებსაც ძმურად ინაწილებენ, მაგრამ იანვრიდან ორივეს 1000 ლარის გადახდა მოუწევს.

**„რას ამბობთ, კაცო, ტყული იქნება. ტექპასპორტები გაუქმებულია. რაღა მაინც და მიანც ჩვენს მანქანებს მოსთხოვენ. ძლივს თავს ვირჩენთ, 1000 ლარი საიდან უნდა გადავიხადოთ? ჭორი იქნება, იმედია,“** — ამბობს სასოწარკვეთილი მძღოლი, რომელსაც სანუგეშოს ვერაფერს ვეტყვით, რადგან ბოლო დროს მსგავსი ჭორები, ჩვენდა სამწუხაროდ, სულ მართლდება ხოლმე.

კიდევ ერთი ჭორი ვრცელდება ქალაქში ღვედებთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, სახელმწიფომ ამ მხრივ სარგებელი ვერ მიიღო და გეგმაც ვერ შეასრულდა, რადგან ხალხმა გაიკეთა ღვედები. ამას წინათ ვნახე, ვილაცას საქარე მინაზე ჰქონდა გამოკრული ფურცელი წარწერით: „ღვედი შეიკარი!“ მაგრამ ამით როგორ შეიძლებოდა დამთავრებულიყო ეს თემა. **ამბობენ, რომ იანვრიდან აუცილებელი იქნება სპეციალური მკვეთრი ფერის სტიკერების შეძენა, რომლებიც უსაფრთხოების ღვედებზე უნდა დავაკრათ, რათა პატრულმა შორიდანვე შენიშნოს, გიკეთია თუ არა ღვედი. აღნიშნული სტიკერი, როგორც ამბობენ, წყვილი 50 ლარი ეღირება.**

ნეტა რამდენი ავტომობილია საქართველოში? ეშველა ჩვენს ბიუჯეტს და ეგაა! ამოისუნთქებს ცოტას, წელში გაიმართება. მერე ისევ მიადგებიან თაგუნები და გამოხრავენ ბოლომდე. მერე ვინმე ჩინოვნიკის თავში კიდევ ერთი გენიალური კანონპროექტი მომზადდება ახალი გადასახადით. ხმის ამომღები მაინც არავინაა. უკვე მონურ მორჩილებასაც მივეჩვიეთ და გაზრდილ გადასახადებსაც.

არ გამიკვირდება, ცოტა ხანში სახლშიც რომ მოგვადგნენ, სკამზე რომ დასხდებით, ღვედი გაიკეთეთ, თორემ შეიძლება გადმოვარდეთო. მერე იტყვიან, I-II სართულებმა ფარდები მოხსნან, ვერ ვხედავთ, რა ხდება სახლში, იქნებ კრიმინალები არიან შიგნითო და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ მოთმინების ბოლო ძაფი არ გაუწყდება საზოგადოებას და ყველა ერთად, ოღონდ ოპოზიციის ჩარევის გარეშე, არ ეტყვის ამ ჩვენს ხელისუფლებას „გეყოფათ“!

**ინფორმაციის გადამოწმება საავტომობილო ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტ შალვა ოგბაიძესთან ვცადეთ. გავრცელებული ინფორმაცია ღვედების სტიკერებთან და 1997 წლამდე ავტომფლობელების ტექპასპორტისთვის 1000-ლარიან გადასახადზე, მისთვის ცნობილი არ იყო. ამიტომ არც კომენტარი გაუკეთებია.**

**ლილი მიროტაძე**

## მოკლედ

### რუსეთი ტერორისტებს დაემუქრა

**უცხო ქვეყნიდან მომავალი ტერორისტული საფრთხისგან თავის დასაცავად რუსეთი შეიარაღებულ ძალებს და სხვა შესაბამის საშუალებებს გამოიყენებს. ამგვარი განცხადება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ინდოეთში ვიზიტისას ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტებთან შეხვედრის დროს გააკეთა.**

„თუ რუსეთზე უცხო ქვეყნის მხრიდან ტერორისტული შეტევა განხორციელდება და დარწმუნებული ვიქნებით, რომ ეს ქვეყანა ტერორისტებს მფარველობს, საკუთარ ეროვნულ ინტერესებს დავიცავთ შეიარაღებული ძალებისა და სხვა საშუალებების გამოყენებით. ამაში ეჭვი არავის შეეპაროს“, — განაცხადა მედვედევმა.

### რას ამოეფარა ბიწაძე?

**„ქართული პარტიის“ ლიდერის ლევან გაჩეჩილაძის ვერსიით, — ცოლის, ანუ ნინო ბურჯანაძის კაბას. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, იმავე „ავტორის“ შეფასებით, იგი ქუსლებზე კოცნის მოყვარული ქალია.** „ბურჯანაძეების ოჯახის“ დეტალური განხილვა-დახასიათება ლევან გაჩეჩილაძემ ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერით მოაწყო. „მინდოდა დავმჯდარიყავი ბურჯანაძესთან და მასთან მელაპარაკა. თუმცა, შემდეგ, რადგან ჟურნალისტს მტკიცებულება ვერ მიუტანეს, გამოვიდა მისი მეუღლე. ვისი მეუღლეა, ველარ გავიგე. როგორც ფარდის უკან იყო ამოფარებული, ისეა ახლა ცოლის კაბას ამოფარებული. არ მინდა, ზედმეტებში გადავიდე, მაგრამ ის მიიღებს ჩემგან ადეკვატურ პასუხს — იმას, რაც საჭიროა”, — განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ და დასძინა, რომ თავად ბურჯანაძე პარტნიორობას მანამდე არ თანხმდება, ვიდრე ქუსლებზე არ აკოცებ.

### გამსახურდიები ერთმანეთს დაერივნენ

**პარტია „თავისუფლების“ ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია პატიმრობაში მყოფი ძმის, ცოტნე გამსახურდიას ბრალდებებთან დაკავშირებით კომენტარს პოეტურად გამოეხმაურა და განაცხადა: „საქართველოში მე იმდენად გავხდი საქები, სახელს იხვეჭენ ჩემი ლანძღვით ავაზაკები“.** პოეზიით რომ იჯერა გული, მერე პროზაულად დასძინა, რომ პარტიის თვითლიკვიდაციაზე ინფორმაცია სრული სიცრუეა, ხოლო დაფინანსება „თავისუფლებამ“ მიიღო როგორც საარჩევნო სუბიექტმა. მანამდე ცოტნე გამსახურდიამ თავისი ძმა ხელისუფლებასთან გარიგებაში დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ ხელისუფლებისგან ფული აიღო, მიიღო პარტიის დაფინანსება და ამიტომ აღარ გაახმაურა საპატიმროში არსებულ მძიმე ვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

### ქართული სკანდალი პარიზში

**ირაკლი ოქრუაშვილი და დათა ახალაია პარიზში ერთმანეთს შემთხვევით შეხვდნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ. ინციდენტის შედეგად ახალაია პარიზის ერთ-ერთ კლინიკაში მოათავსეს.** პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ეროსი კიწმარიშვილის განცხადებით, ოქრუაშვილსა და ახალაიას შორის შელაპარაკება მოხდა სასტუმრო „პარკ ჰაიატ პარიზ ვანდომთან“, სადაც დათა ახალაია თანმხლებ პირებთან ერთად იმყოფებოდა. მისივე მტკიცებით, ინციდენტი დაფიქსირებულია სასტუმროს ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მიერ და, თუ სამართალდამცველები დაინტერესდებიან, შეუძლიათ ჩანაწერები გამოითხოვონ. მოგვიანებით ინფორმაცია თავად ოქრუაშვილმაც დაადასტურა, მაგრამ, დეტალებზე საუბარი არ ისურვა. სასტუმროს ადმინისტრაციამ ინფორმაცია არ დაადასტურა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# შემოვუჭიროთ ტაქსისტებს ყულფი!

# ტაქსის მძღოლებს ერთწლიანი ლიცენზიისთვის 1300 ლარის გადახდა მოუწევთ

**საახალწლოდ ჩვენმა დიადმა, გულუხვმა და მზრუნველმა ხელისუფლებამ არა ერთი საჩუქარი მოგვიმზადა. იანვრიდან გვიძვირდება წყალი, დასუფთავება, ტრანსპორტი, ბაღები და ა.შ. მაგრამ ჩვენი ხელისუფლება ისე შევიდა ბოროტი თოვლის ბაბუის როლში, 2010 წლის უკანასკნელ დღეებს იმაზე ფიქრში ატარებს, როგორ და რა გზით გადაუკეტოს საარსებო წყარო მოსახლეობას; თან ისე, რომ თვითონაც სარგებელი მიიღოს.**



ახლა ტაქსის მძღოლების ჯერი დადგა. ტაქსის მძღოლებს ერთწლიან, 1300-ლარიან ლიცენზიას სთხოვენ. თუ ისინი ლიცენზიას არ შეიძენენ, ახალი წლიდან სამუშაოდ არ დაიშვებიან. ეს, ბუნებრივია, სერიოზული ფინანსური დარტყმაა იმ მძღოლებისთვის, რომელთა ოჯახებსაც სხვა შემოსავალი არ აქვთ და ყოველდღიურად ნაშოვნი 10-20 ლარით სულდგმულობენ. იმათ რაოდენობას, ვინც „ტაქსაობს", ზუსტად ვერავინ გეტყვით. ეჭვგარეშეა, რომ ისინი, ძირითადად, თავიანთი ოჯახების ერთადერთი მარჩენალნი არიან. ოჯახის წევრებთან ერთად, ეს დრაკონული ნაბიჯი, რომლის გადადგმასაც ხელისუფლება გეგმავს, მრავალ ათას ადამიანს შეეხება. დაკვირვებული თვალი იოლად შეამჩნევს, რომ „სატაქსაოდ" გამოსული მანქანების უმეტესობა ძველი და ამორტიზებულია. ხშირად ტაქსისტებს დღიური შემოსავალი მანქანის აუცილებელ, სიძველის გამო ხშირ რემონტსა და საწვავშიც კი არ ჰყოფნით. ამის შემდეგ, ალბათ, მათი უმრავლესობა იძულებული გახდება, მანქანა გააჩეროს და აღარ იმუშაოს.

**მძღოლების მდგომარეობა ისედაც რთულდება, რადგან საწვავზე ფასი გაიზარდა და, როგორც ვარაუდობენ, კიდევ უფრო გაიზრდება. ეს თავისთავად გამოიწვევს იმათი რაოდენობის მნიშვნელოვან კლებას, ვისაც ტაქსით მგზავრობის საშუალება ექნება. თუ ამას ლიცენზიის პრობლემასაც დავუმატებთ, ცხადი გახდება ჩვენს თანამოქალაქეთა ამ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფენის არასახარბიელო მდგომარეობა.**

მერიისა და საკრებულოს კულუარებში მავანთა კიდევ უფრო შორსმიმავალ გეგმებზეც საუბრობენ. **არ არის გამორიცხული სტანდარტების შემოღება კერძო ტაქსის სტატუსით მომუშავე მანქანებისთვის. საუბარია ეგრეთ წოდებულ „ევროსტანდარტზე", რომელსაც თბილისში მანქანების 80%, ალბათ, ვერ დააკმაყოფილებს.** ზოგიერთები ხელისუფლებასთან ახლოს მყოფი ბიზნეს-კლანების ინტერესებზე მიუთითებენ, რომლებიც ახალი მანქანების შემოყვანას და ამ ბიზნესის მთლიანად ხელში ჩაგდებას აპირებენ. აქაიქ გაიგონებთ საუბარს ყველა ლიცენზირებული მანქანა-ტაქსის ერთ ფერში გადაღებვაზე, გარემოს დაბინძურებისთვის ჯარიმის დაწესებასა და სხვა წინაღობების ოფიციალურად დაკანონებაზე, რაც, საბოლოო ჯამში, გამოიწვევს დღეს „მოტაქსავე" მანქანების გაყრას თბილისის ქუჩებიდან და მოედნებიდან.

**სამარშრუტო ტაქსების რეფორმა და მისი მიმდინარეობა ამ ვერსიის რეალურობის საკმაოდ მყარი არგუმენტია. ეს ყოველივე კი, რა თქმა უნდა, გამოიწვევს ტაქსით მგზავრობის საფასურის გაძვირებას.**

„სულს გვხდიან, ეს ძაღლის გაგდებულები. დღეში 10 ლარი თუ ვიშოვე, მაგაზეც მადლობელი ვარ. ოთხსულიანი ოჯახი ჩემს კისერზეა, საიდან მოვიტანო 1300 ლარი?!" — საკმაოდ აგრესიულად და ნერვიულად მითხრა ერთ-ერთმა ტაქსის მძღოლმა ქუჩაში, როდესაც ამ საკითხზე შეკითხვა დავუსვი. სავსებით გასაგები იყო ჩემთვის მისი რეაქცია.

ისე მიკვირს, ამდენი ხანი მათხოვრობის გადასახადი რატომ არ შემოიღეს. გინდა იმათხოვრო? შეიძინე ერთწლიანი ლიცენზია 2000 ლარად, დარეგისტრირდი გადამხდელად, შეიძინე სალაროს აპარატი და იმათხოვრე, რამდენიც გინდა, ოღონდ ჩეკების ამორტყმა არ დაგავიწყდეს! მშვენიერია, სხვა გზას მაინც აღარ გვიტოვებენ, ისედაც მათხოვრად გაადაქციეს ხალხი!

**ამ ახალ ინიციატივას, თქვენ წარმოიდგინეთ, საზოგადოების გარკვეული ნაწილი დიდი აღტაცებით შეხვდა. თურმე ეს „ღორმუცელა" ტაქსის მძღოლები იმდენ ფულს შოულობენ, რომ მუთაქებში ინახავენ. ჰოდა, ახია მათზე, ღირსები არიანო. სწორედ ამ აღტაცებულ ნაწილს მინდა შევთავაზო იდეა, გადადონ ერთი კვირით „გამდიდრებისთვის" თავი, დაადგან თავიანთ მანქანებს „პეტუშოკი", ასე იოლი თუა გამდიდრება, თვითონაც მოსინჯონ და ნახავენ რა მილიონებსაც იშოვიან.**

დღეს თბილისის ტაქსების მძღოლები არიან ყველაზე გაჭირვებული ადამიანები. 80% დაქირავებულ მანქანაზე მუშაობს. აქეთ ქირა უნდა იხადონ, თან გაძვირებული საწვავი უნდა ასხან, იქეთ მანქანის ამორტიზაციის ხარჯები გაიღონ. **თავიდან ბევრი ფული შევა ბიუჯეტში, მაგრამ მალე ქვეყანაში ღატაკების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. აიწევს ტაქსის ტარიფი და ნახავთ, ცოტა ხანში ტაქსით მგზავრობა ფუფუნება გახდება.**

შედეგად, შემცირდება ბენზინისა და სამომხმარებლო საქონლის მოხმარება, რაც იმას ნიშნავს, რომ ხანგძლივვადიან პერსპექტივაში ისევ ბიუჯეტი დაზარალდება. მაგრამ ვის ადარდებს თუნდაც წელიწადნახევრის მერე რა მოხდება.

აბსოლუტურად ყველა ნაქირავები ტაქსი გაჩერდება. ეს ნიშნავს ძალიან ბევრ დამშეულ ოჯახს და ტაქსის ტარიფის 50%-დან 100%-მდე გაძვირებას.

**კობა, ტაქსის მძღოლი:**

— ომის შემდგომ კრიზისსა და შემცირებებს შეეწირა ჩემი სამსახური. ორი პატარა შვილი მყავს, მშივრებს ვერ დავტოვებდი და ორი წელია, რაც ტაქსაობა დავიწყე. 30 წლის კაცი ვარ, სულ არ მეხალისება დღე და ღამე ქუჩაში სიარული. არის ღამეები, საერთოდ არ მძინავს. ტაქსები უამრავ ფულს შოულობენო. ძალიან მაინტერესებს, ვინ ამბობს ამას ან რას ეძახიან ბევრს? მაქსიმუმ 30 ლარი ვიშოვო დღეში. 5 ადამიანი ვცხოვრობთ ოჯახში. დაითვალონ რამდენი გადასახადი გვჭირდება, საჭმელი, ჩასაცმელი, ყოველდღიური მოხმარების საგნები და მერე ილაპარაკონ, ვართ თუ არა მილიონერები. **არ ვიცი, საიდან უნდა გადავიხადო ასე ერთბაშად იანვარში 1300 ლარი. ერთადერთი საარსებო წყარო ესაა ჩემთვის; სხვა რამე შემოსავალი რომ მქონდეს, ჯანდაბამდე გზა ჰქონია ამ ტაქსაობას.**

**ნუგზარი, ტაქსის მძღოლი:**

— ვინც ეს კანონი მოიგონა, გამოუშვით ერთი, დამიჯდეს მანქანაში რამდენიმე დღე, ნახოს, როგორია ტაქსისტის სამუშაო. ბოლოს იმ ათასების დათვლაშიც მომეხმაროს, რომელსაც „ვიშოვი", და მერე დამიწესოს 1300 ლარი გადასახადი! **საიდან უნდა მოვიტანო 1300 ლარი?! 15-20 ლარი რომ მრჩება, იმით გადასახადი ვიხადო თუ ოჯახი ვარჩინო?! ამოგვხადონ სული და ეგაა. თვიდან თვემდე თავი ძლივს გაგვაქვს.** ვისაც ტაქსაობით ნაშოვნი ფული შეშურდეს ან თქვას გაუმაძღრები არიანო, ღმერთმა იმათ გაუხადოს სატაქსაოდ საქმე. მეც მქონდა ერთ დროს ნორმალური სამსახური და ადამიანური შრომით ვშოულობდი სარჩოს. ის, რომ ახლა ტაქსზე ვზივარ, ისევ და ისევ ამ გაუმაძღარი ხელისუფლების ბრალია.

**თეო ტაბატაძე**



**ქეთი ბექაური,**
**ადვოკატი:**

30 ათას ეჭვმიტანილს პირდაპირ მოსთხოვეს შეთანხმებაზე წასვლა. ბანკებს აიძულებენ, რომ გასცენ პატიმრის ოჯახებზე გარკვეული თანხები, რათა ეს თანხები საპროცესო შეთანხმებებს მოხმარდეს. 4 ათასი სისხლის სამართლის სარჩელიდან მხოლოდ 3 გამამართლებელი გადაწყვეტილებაა გამოტანილი, რაც სირცხვილის ტოლფასია.

*obieqtivi.net*



**გიორგი კოდუა,**
**„სკაი ჯორჯიას" პრეზიდენტი:**

ქალბატონი ქობალია, შესაძლოა, კარგი პიროვნება იყოს, მაგრამ მას ავიაციაში შექმნილი ვითარების გასაცნობად, წელიწადი თუ არა, რამდენიმე თვე მაინც დასჭირდება. საავიაციო დეპარტამენტიდან კადრების თითქმის ნახევარი გაათავისუფლეს და დეპარტამენტი პარალიზებული დატოვეს.

*„ყველა სიახლე"*



**შალვა ნათელაშვილი,**
**ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:**

მიხეილ სააკაშვილი არის პირმშო იმ საზოგადოებისა, რომელმაც ის ხელისუფლებაში ტაშისკვრით მოიყვანა, თავი დაამონებინა და ქვეყანა გააუბედურებინა! მაგათ მიულოცოს სააკაშვილმა ახალი წელი და საქართველოს გაუბედურება!

*„ასავალ-დასავალი"*



**ელიზბარ ჯაველიძე,**
**აკადემიკოსი:**

ამ ნაძირალებს უნდოდათ, ყველაფერი ჯაბა ხუბუასთვის გადაებრალებინათ და თავიანთი სიბინძურე ამ მართალი კაცის ლანძღვით გადაეფარათ, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ! ისე, ჯაბა ხუბუას რომ „ხელისუფლებისგან მოსყიდულს" დაუძახებ — ან ჭკუიდან ხარ გადამდგარი, ანდა შენს ნაძირლობას საზღვარი არ აქვს!

*„ასავალ-დასავალი"*



**ვალერი გელბახიანი,**
**ყოფილი პარლამენტარი:**

სააკაშვილი იძულებულია, საპარლამენტო არჩევნები ვადამდე დანიშნოს. ამერიკელებმა სააკაშვილს მისცეს გარანტიები, რომ ხელისუფლების ცვლილება არ იქნება სისხლიანი, რევოლუციური და დამანგრეველი. თუ ამერიკაში ეს ცვლილებები ვერ დაინახეს უახლოეს 6 თვეში, პროამერიკული ოპოზიცია დაფინანსდება და მოხდება ის, რაც 1991-ში ან 2003-ში მოხდა, ანუ ხელისუფლება გარედან შეიცვლება.

*„ყველა სიახლე"*



**სანდრო ბრეგაძე,**
**ყოფილი პარლამენტარი:**

საქართველოში ტრანშების სახით მალე შემოვა საკმაოდ დიდი თანხა — დაახლოებით 3 მილიონი ევრო იმისათვის, რომ მოხდეს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დაშლა-დანაწევრება.

*„ასავალ-დასავალი"*

## მოკლედ

### „სასოწარკვეთილი ქალის წუევლა"

**ასე უწოდა „ქართულმა პარტიამ" ნინო ბურჯანაძის განცხადებებს. პარტიის გენერალურმა მდივანმა კოკა გუნცაძემ პარტიის სახელით, ბოდიში მოუხადა ქართველ ხალხს იმისათვის, რომ თავის დროზე გადაეფარნენ იმ ადამიანებს, რომლებსაც ძალიან ბევრი დანაშაული და უზნეობა ჰქონდათ ჩადენილი.** „დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერმა გადაცემა „აქცენტებში", პირველად ისაუბრა იმ სკანდალურ ფაქტებზე, რომლის შესახებაც ინფორმაცია გაზეთ „ასავალ-დასავალს" მისმა მეუღლემ, ბადრი ბიწაძემ მიაწოდა. ბურჯანაძის განცხადებით, საზოგადოება „ქართულ პარტიას" და ლევან გაჩეჩილაძეს არ უნდა ენდოს. მისივე განმარტებით, სააკაშვილმა ხელისუფლება ოპოზიციასთან გარიგებით შეინარჩუნა.

### ღია წერილი ნონა გაფრინდაშვილს

**ეკა ბესელიამ სახალხო კრების თავმჯდომარეს — ნონა გაფრინდაშვილს ღია წერილით მიმართა.** როგორც წერილშია აღნიშნული, ბადრი ბიწაძის ინტერვიუს შემდეგ, სერიოზული საფრთხის ქვეშ დგას „სახალხო კრების" იდეა და ამოცანები, რადგან არსებობს საშიშროება, რომ აღმასრულებელი საბჭო იქცეს მხარედ ოპოზიციურ ფლანგზე გამართული დაპირისპირებების პროცესში. „ამ საფრთხეს აძლიერებს ხსენებულ ინტერვიუში მონათხრობი ფაქტები, რომლებიც ეხება „სახალხო კრების" ერთობაში „ქართული პარტიის" შემოსვლას და ფულთან დაკავშირებულ გარემოებებს... „სახალხო კრების" გაიგივება რომელიმე პოლიტიკურ სუბიექტთან კრებისადმი უნდობლობის განმაპირობებელი იქნება", — წერს ბესელია.

### დასუფთავება გაძვირდა

**თბილისის საკრებულომ დასუფთავების სამსახურის მომსახურების ტარიფის გაზრდის გადაწყვეტილება დაამტკიცა.**

ამიერიდან, თბილისში მცხოვრებ თითოეულ მოქალაქეს ყოველთვიურად 1.20-ის ნაცვლად, 2.50 ლარის გადახდა მოუწევს. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე კვირის წინათ საქართველოს პარლამენტმა შესაბამის კანონში შეიტანა ცვლილება, რომლის თანახმად, დასუფთავების სამსახურის მომსახურების ტარიფის ზედა ზღვარი — 1.20 ლარი გაუქმდა. მანამდე ქვეყანაში მოიმატა წყლის გადასახადმა და ტრანსპორტის ღირებულებამ. სამაგიეროდ, ინფლაციისა და მოსახლეობაზე ძლიერი წნეხის გამო მთელი ძალით შეშფოთდნენ არა მხოლოდ ქვეყნის მინისტრები, არამედ თავად პრეზიდენტიც. ასევე აღშფოთებულებმა გვახარეს, რომ აღნიშნული პროცესის შეჩერება შეუძლებელია.

### თბილისის ბიუჯეტი გაიზარდა

**თბილისის 2010 წლის ბიუჯეტი 11 მილიონ 526 ათასი ლარით გაიზარდა. ეს ცვლილება თბილისის საკრებულოს სხდომაზე დაამტკიცეს და დედაქალაქის მერიის წარმომადგენლის — პაატა გობეჯიშვილის განცხადებით, აღნიშნული ნამატი ძველი თბილისის განვითარების პროგრამას მოხმარდება.** აღნიშნული გადაწყვეტილება საკრებულოს ოპოზიციონერმა დეპუტატებმა გააპროტესტეს. „რესპუბლიკური პარტიის" წევრის თინა ხიდაშელის განცხადებით, უმჯობესი იქნებოდა, აღნიშნული სახსრები სოციალური პროგრამების განვითარებას მოხმარებოდა". ფრაქცია „ჩვენი თბილისის" თავმჯდომარემ დავით საგანელიძემ კი განაცხადა, რომ „საკრებულოს უნდა ჰქონდეს უფლება, თავად გადაწყვიტოს, საით მიმართოს ეს თანხები".

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## გაფრაზებული



**ოტია იოსელიანი,**
**მწერალი:**

თუ ვინმე პატივს მცემს, მხოლოდ იმიტომ, რომ ტყუილს არ ვამბობ, სიმართლე კი ისაა, რომ ყოველდღე ვსპობთ და ვათახსირებთ ქვეყანას. ზნეობა რომ მოიშლება ხალხში, იმას რა გადაარჩენს?!

*„კვირის პალიტრა“*



**შალვა ხაჭაპურიძე,**
**პარტია „ჩვენი საქართველოს“ ლიდერი:**

ოპოზიციამ დაიწყო კომპრომატებით ბრძოლა. მე მადლობა მინდა ვუთხრა იმ ჟურნალისტს, რომელმაც გამოიჩინა ვაჟკაცობა და დაბეჭდა ეს ყველაფერი. ნებისმიერი ნორმალური ჟურნალისტი ამას გააკეთებდა. ვნახოთ, წინ საინტერესო მოვლენები გველოდება. თუმცა, ოპოზიციას ვურჩევ და ერთ საინტერესო ფაქტზე გავამახვილებ მის ყურადღებას: ბოკერია და მისი ჯგუფი ემზადება ხელისუფლებაში მოსასვლელად.

*„ასავალ-დასავალი“*



**ზაზა ფირალიშვილი,**
**ფილოსოფოსი:**

მოსალოდნელია, რომ გაგრძელდება ფარული ავტორიტარიზმის სისტემის დახვეწა. სააკაშვილი დღეს ის აღარ არის, რაც 2007 წელს იყო. ამ სამი წლის განმავლობაში მან საკმაოდ მძიმე ბრძოლები გადაიტანა და ყველა გარემოების თავისთვის სასარგებლოდ გამოყენებაში გაიწაფა. გარდა ამისა, მან ძალზე კარგად იცის ის პოლიტიკური ენა, რომელზეც დასავლეთი მეტყველებს; იცის, რომ დასავლეთი ბოლომდე არასოდეს შეიწუხებს თავს, ღრმად გაერკვეს ჩვენში მიმდინარე პროცესებში. ამ ეტაპზე მისთვის მთავარია დემოკრატიული ფასადის არსებობა და სააკაშვილიც სთავაზობს ამ ფასადს.

*„ინტერპრესნიუსი“*



**თემურ მირიანაშვილი,**
**ედუარდ შევარდნაძის ყოფილი მრჩეველი, პუბლიცისტი:**

სააკაშვილი არის იუდა! ჩამოვიდა საქართველოში, შეუძვრა შევარდნაძეს და შემდეგ იუდასავით გაყიდა! ეს „გადაგდება“ და ფარისევლობა სააკაშვილს ამერიკელებმა ასწავლეს! სააკაშვილს სად აქვს იმდენი ტვინი, შევარდნაძეს რომ მორეოდა — ეს ამერიკელების გაკეთებულია!

*„ასავალ-დასავალი“*



**მურმან დუმბაძე,**
**რესპუბლიკური პარტიის აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელი:**

რამდენიმე წლის წინათ ბათუმში, „დიპლომატიურ სახლში“, სწორედ იმიტომ დაიწყეს რემონტი, რომ იქ საპრეზიდენტო რეზიდენცია განთავსებულიყო. შენობა მიანგრმოანგრიეს და უპატრონოდ მიაგდეს. ახლა დაიწყეს ეროვნული ბანკის შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რათა იქ პრეზიდენტის რეზიდენცია განთავსდეს, ანუ საბიუჯეტო თანხები უყაირათოდ და უკანონოდ იხარჯება. ეს საქმეგამოლეული პრეზიდენტის მორიგი ახირებაა.

*„ყველა სიახლე“*

# ყვითელი მონსტრები

## ამღერებული შადრევნები და სულშეხუთული მგზავრები

**რომ ჰკითხო, ავაშენეთ ქვეყანა, შადრევნებიც ავამღერეთ, გრანდიოზული ხიდები და ქანდაკებებიც ავაგეთ, ქალაქიც ერთი თვით ადრე მოვრთეთ საახალწლოდ და ეს ყველაფერი იმისთვის, რომ რომელიმე ტრანსპორტის ფანჯრიდან ხედი კიდევ უფრო სასიამოვნო და მშვენიერი იყოს.**



ჩვენი „მოდური“ ყვითელი ავტობუსების ამბავი როგორ დაიწყო, ალბათ, ყველას გახსოვთ. გიცდიათ, პიკის საათებში ავტობუსით მგზავრობა? თუ არა, ე. ი. არ გიგრძვნიათ „ერის ერთიანობა“, როდესაც 30 კაცზე გათვალისწინებული ტრანსპორტით 70 ადამიანი ცდილობს, უვნებლად მიაღწიოს დანიშნულების ადგილამდე. თან კონტროლიორის შიშით, ბილეთისთვის რომ იბრძვის. ამ „ავტობუსისფერ რობოტებსაც“ ხომ ვერ აუხსნი, რომ, ბილეთის აღების კი არა, ჯიბიდან ცხვირსახოცის ამოღების საშუალებაც კი არ გაქვს.

**იმისთვის, რომ ხალხის გულისტკივილს კიდევ უფრო ღრმად ჩავწვდომოდით, რამდენიმე მარშრუტის ავტობუსით მგზავრობა გადავწყვიტეთ. ყაზბეგის გამზირზე თხუთმეტწუთიანი ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, ვაკისკენ მიმავალი ავტობუსიც გამოჩნდა. გაჩერებამდე ჩანს, რომ საშინელი ჭედვაა.**

მძღოლი „ზრდილობისთვის“ მაინც აღებს კარს, კარზე აკრული მგზავრების ზურგებს მხოლოდ ოდნავი შვება თუ ეძლევათ. ჩამოსვლით არავინ ჩამოდის, თუ ვიღაც მაინც ჩამოვიდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ჰაერი არ ეყო, თორემ დანიშნულების ადგილისთვის ჯერ არ მიუღწევია. ასვლაში ერთი ბიჭი დაგვეხმარა, რომელმაც იქვე პატარა შემაღლებული კუთხე მონახა და ორივე ფეხით ძლივს შეცოცდა. კარი იხურება და ერთი გოგონას კვნესა ისმის: „ფრთხილად!“ საბედნიეროდ, ცრუ განგაში აღმოჩნდა, ეგონა კაბა მოჰყვა, თუმცა მოუსწრია ხელის შეშველება. ასე, დროებით გაერთიანებული ერის მცირე ნაწილი, კიდევ უფრო შემჭიდროვდა და ავტობუსმაც გააგრძელა გზა. ასეთ პირობებში მხოლოდ 3 გაჩერება გავძელით. ჩასვლით არავინ ჩადიოდა, ამოსვლას კი, ჩვენსავით ლოდინით შეწუხებული, ბევრი ცდილობდა.

ვაკის პარკთან ჩამოვედით. რამდენიმე წამში მოგრიალდა მეორე ავტობუსი. აქ ფიზიკურად ვეღარ ავეტიეთ. მეორე 4 წუთში მოვიდა. 2 კაცი ჩამოვიდა და გახარებულები გაჭირვებით შევეჭეჭყეთ მათ გამოთავისუფლებულ ადგილას. ხელს ბოძს ვერ ვკიდებდით. მერე მივხვდით, რომ ამის საჭიროება არც იყო, ერთმანეთს ვიჭერდით.

**კონტროლიორები, რომლებიც გაჩერებაზე იდგნენ, ხელით გვანიშნებდნენ მგზავრებს, ერთმანეთს ბარათები გადააწოდეთ და ბილეთები აიღეთო. თუმცა ამ შემთხვევაში, ავტობუსში ისეთი ამბავი იყო, კაცი ჯიბიდან ცხვირსახოცს ვერ ამოიღებდა. ჩვენ დიქტოფონი ასვლისთანავე მომარჯვებული გვქონდა და რამდენიმე ადამიანის გამოკითხვა მოვახერხეთ.**

ავტობუსით მგზავრობა მოსახლეობის თითქმის ყველა ფენას უწევს. ხანში შესულ ხალხს, ხშირ შემთხვევაში, ადგილს უთმობენ, თუმცა ისინიც არანაკლებ უკმაყოფილო არიან.

**თამაზ ამირანაშვილი, 77 წლის:**

— თქვენც ხომ ხედავთ, რა ხდება. ამ გაჭედილ ავტობუსში ფეხზე თუ დადექი, მადლობა უნდა თქვა. მერე კიდევ, ამ უმუშევარ ქვეყანაში ასეთი ძვირი უნდა ღირდეს ვაი-ვაგლახით მგზავრობა?

**პირველკურსელი ეკა ჭიკვაძე სასწავლებელში წასასვლელად სამ ტრანსპორტს იცვლის:**

— ადრე თუ ტრანსპორტი პირდაპირ დადიოდა, ახლა, ავტობუსების შემცირების შემდეგ, თემქიდან ავტობუსით, მერე მეტროთი და „სდასუ“-მდე ისევ ავტობუსით მიწევს მისვლა. თან ასეთი ჭედვაა ხოლმე. ამასწინათ კართან ვიდექი. მძღოლმა ისე უცბად დაკეტა კარი, რომ ფეხის გაწევა ძლივს მოვასწარი. უნივერსიტეტში დაღლილ-დაქანცული მივდივარ.

**თამარ ხუროშვილს ბავშვი მუსიკალურ სკოლაში დაჰყავს და ავტობუსით, უფრო სწორად, ავტობუსებით, ხშირად მგზავრობს:**

— მოსკოვის პროსპექტამდე რომ მივიდეთ, ორი-სამი ტრანსპორტის გამოცვლა გვჭირდება. ამ ქუჩაზე ერთი ავტობუსიღა დადის, ისიც მხოლოდ კოლმეურნეობის მოედნამდე. **ძალიან მძიმე სიტუაციაში ვართ, ჯერ ერთი, ეკონომიურად, მერე დროის ფაქტორი. ისეთი ჭედვაა, გული ცუდად გაგიხდება.** წამოვიდეს ერთი რომელიმე ხელისუფლების წარმომადგენელი და იმგზავროს, მერე ნახავს, რა დღეში ვართ. ჩვენს ხარჯზე აკეთებენ ეკონომიას?

**მაკა ქავთარაძე, 34 წლის:**

— ბავშვის სკოლამდე მხოლოდ სამი გაჩერების გავლა მიწევს, მაგრამ ამისთვის 20 წუთი ველოდები ავტობუსს. **არც ერთ ქვეყანაში არც ერთი ერი არ აიტანდა ასეთ მოპყრობას და უპატივცემულობას.** პიკის საათებში საერთოდ ვერ ამოხვალთ. კატასტროფაა, რაც აქ ხდება!

**მაკა ტუღუშვილი:**

— საშინელი მდგომარეობაა, ვორონცოვიდან ვარკეთილში წასასვლელად ერთი საათი მინდა. ადრე ერთი ტრანსპორტი მჭირდებოდა და ფეხზე მაინც ვიდექი ნორმალურად. ხედავ, რას ვნატრობ?

**მეტრო „რუსთაველიდან“ მგზავრების დაცლა დაიწყო, თუმცა მათ გასატარებლად ავტობუსიდან სამჯერ ჩავედით.**

**ავტობუსის დაცარიელების შემდეგ საოცარი სურათი ვნახეთ. ავტობუსში დამონტაჟებული მონიტორის ეკრანზე ერთმანეთს ენაცვლებოდა პეიზაჟები, ჩიტების ჭიკჭიკი, ტყეები და ყვავილები. ახლა ყველაზე მეტად ვიგრძენით თავი შეურაცხყოფილად. ალბათ, თვითონვე მიხვდნენ, თუ რა სტრესში უწევთ მოქალაქეებს მგზავრობა და ასეთი ხერხით გადაწყვიტეს მათი „დამშვიდება“, უფრო სწორად, კიდევ უფრო გაღიზიანება.**

კოლმეურნეობის მოედანზე გავარკვიეთ, რომ ეს ყველა ავტობუსის ბოლო გაჩერება ყოფილა. იქიდან ნებისმიერი მიმართულებით წასასვლელად ხალხით გაჭედილ ავტობუსებში უნდა გადავმჯდარიყავით. ტრანსპორტიდან ჩამოსულები ავტობუსისფერი ვიყავით, ძირს კი ტრანსპორტისფერ ქურთუკში გამოწყობილი კონტროლიორი გველოდებოდა. გაგვიხარდა მისი დანახვა: ▶

## მოკლედ

### „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“

**პრეზიდენტის პრესსპიკერი მანანა მანჯგალაძე 2010 წელს საგარეო და საშინაო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი გარღვევების წელს უწოდებს, მაგრამ, როგორც მან შემაჯამებელ ბრიფინგზე განაცხადა, „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“.** მთავრობისთვის უმთავრეს გამოწვევად კვლავ დასაქმება რჩება. მაგრამ, მანჯგალაძის თქმით, გაჩნდა კიდევ ერთი გამოწვევა, რომელიც მსოფლიო ინფლაციურ პროცესებს და მსოფლიოში ფასების მატებას უკავშირდება. პრეზიდენტის პრესსპიკერმა, ცხადია, ძირითადად, მიღწევებზე გაამახვილა ყურადღება და მთავარ მიღწევად ახალი კონსტიტუცია დაასახელა. რაც შეეხება დანაკარგებს, საუბარი შეეხო კატინის ტრაგედიას და ამერიკელი დიპლომატის, რიჩარდ ჰოლბრუკის გარდაცვალებას.

### საზოგადოება პროკურატურის ნაცვლად

**„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა საზოგადოების მიერ გაჩეჩილაძე-ბურჯანაძის სკანდალის გამოძიების იდეას იზიარებს.** მისი თქმით, გამოძიება არა მხოლოდ ამ სკანდალზე, არამედ 7 ნოემბრის დარბევაზე, 5 იანვრის არჩევნებზე და სხვა საკითხებზეც უნდა ჩატარდეს. „ის, რაზეც საუბრობს ბადრი ბიწაძე, ორგანიზებული დანაშაული და კორუფციაა. ამიტომ ყველა ქვეყანაში ეს სისხლის სამართლის გამოძიების საგანი უნდა იყოს და საქართველოშიც უნდა გახდეს სისხლის სამართლის გამოძიების საგანი... პროკურატურას თუ არ სურს ამის გაკეთება, საზოგადოებრივმა კომისიამ გააკეთოს ეს ან, შესაძლოა, საზოგადოებრივი კომისიის მიერ ჩატარებული გამოძიების შემდეგ გადაეცეს რომელიმე საერთაშორისო ინსტანციას“, — განაცხადა კუკავამ.

### გილაური უკმაყოფილოა

**პრემიერ-მინისტრის — ნიკა გილაურის განცხადებით, 2010 წელს რეალურ სექტორში ზრდა შეინიშნებოდა.** პრემიერი უკმაყოფილოა კერძო პირთა პირდაპირი ინვესტიციებით. მისი განცხადებით, სამი კვარტლის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 470 მილიონ დოლარს შეადგენს, გილაური კი უკეთეს მაჩვენებელს ისურვებდა. პრემიერის ცნობით, ინფლაციის მაჩვენებელი ჯერჯერობით 10,5%-ია, სავარაუდოდ, ამ ნიშნულზევე დარჩება წლის ბოლომდე, რაც პრემიერს ასევე არ მოსწონს. მისი განცხადებით, ეს მოსახლეობაზე ცუდად აისახება. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც პროდუქტის ფასი გაზრდილია. გილაურმა დაგვაიმედა, რომ მთავრობა ყველაფერს აკეთებს ინფლაციის შესაჩერებლად.

### სუბელიანს გადაყენება ელის

**„ქართული დასის“ ლიდერი დეპუტატი ჯონდი ბაღათურია დევნილების გამოსახლების საკითხთან დაკავშირებით ახალ წლამდე ანტიკრიზისული საბჭოს საგანგებო სხდომის მოწვევას ითხოვს.** როგორც მან განაცხადა, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა კობა სუბელიანმა საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე დეპუტატებს პირობა მისცა, რომ არც ერთი დევნილი არ იქნებოდა გამოსახლებული ძალის გამოყენებით და არცერთ დევნილს არ გაასახლებდნენ დედაქალაქიდან, თუ ეს მათ არ სურდათ. მიუხედავად ამისა, სუბელიანის უწყება პირობას არღვევს. დევნილებთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესები კი ბაღათურიას მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების წინაპირობად მიაჩნია.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



◀ — თქვენ იცით, რა ხდება ავტობუსებში ან როგორ ვიმგზავრეთ აქამდე?

**— მართლა? წადი და ტაქსით იმგზავრე მაშინ?**

— გმადლობ, რომ შეგვახსენეთ ამ ტრანსპორტის არსებობა. თქმა კარგია, და ტაქსით მგზავრობა ყველასთვის რომ არ არის მისაწვდომი, რა ვქნათ?

ვიღაცამ მოირბინა და გვკითხა:

**— ვინ ხართ თქვენ?**

— ჟურნალისტები;

ოსტატურად მოაბრუნა კისერზე ჩამოკიდებული ვინაობის აღმნიშვნელი მოწმობა.

**— ჩვენ ჟურნალისტებს არ ვესაუბრებით.**

— რატომ? არც მოქალაქეებს?

**— იმიტომ, კარგად იყავით!**

იქვე ახალგაზრდა კონტროლიორრები შევნიშნეთ:

— რატომ გაუქმდა სამგზავრო მარშრუტები?

**— რატომ? იმიტომ, რომ ფულს არ იხდიდით!**

მძღოლსაც ვკითხეთ აზრი, მაგრამ პასუხი რომ არ გაეცა; მარტივი გამოსავალი მონახა, ცხელ ხაზზე დარეკეთო.

ახალი არაფერი უთქვამს, მაგრამ 8800800800-ზე კიდევ ერთხელ დავრეკეთ. ამ ნომერზე ადრეც ხშირად დაგვირეკავს და გვპირდებოდნენ, რომ 1 ნოემბრიდან ყველაფერი გამოსწორდებოდა. თუმცა სწორედ პირველი ნოემბრიდან ყველაზე უკეთ გამოჩნდა, თუ რა უპატივცემულოდ ექცევა მთავრობა საზოგადოებას.

ამჟამად, ეტყობა, საზოგადოებისგან შეწუხებულებმა გადაწყვიტეს, ყურმილი აღარ აიღონ და 10 წუთის განმავლობაში სასიამოვნო ჰანგები გვასმენინეს (იმ მიზეზით, რომ ოპერატორები დაკავებული იყვნენ), სანამ ისევ ჩვენ არ აგვევსო მოთმინების ფიალა და არ გავთიშეთ ტელეფონი. ალბათ, როგორც ავტობუსებში ხალხის დასამშვიდებლად ჩიტების ჭიკჭიკი, აქ საამო ჰანგები შეარჩიეს.

**თუ რა მდგომარეობაა პიკის საათებში, ამის გასარკვევად ავტობუსით მგზავრობა საღამოსაც გადავწყვიტეთ.**

გაჩერებებზე ხალხმრავლობაა. ლოდინით გაწამებული მგზავრები გადაჭედილი ავტობუსების კარს უიმედოდ მისცვივდებიან, თუმცა მალევე უკან ბრუნდებიან ბუზღუნით და წყევლა-ქოქოლით. წერეთელზე დიდი დიღმის ავტობუსის მომლოდინე მგზავრებს გამოველაპარაკეთ:

**მარინა მეზურნიშვილი, სტუდენტი:**

— რაც პატარა ავტობუსები მოხსნეს გარეუბნებიდან ვაჟა-ფშაველას მიმართულებით, მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. ბიბლიოთეკაში თუ შევყოვნდი, სახლში ვეღარ ვბრუნდები. დილით ხომ საერთოდ ჭირს ჩვენი დასახლებიდან ქალაქამდე მოღწევა. სამედიცინოზე ვსწავლობ. ხშირად ვმგზავრობდი 13 ნომრით. როგორღაც ავდიოდი მაინც, გრაფიკსაც არ არღვევდნენ. ახლა სახლიდან, ადრინდელთან შედარებით, 40 წუთით ადრე გამოვდივარ და მაინც ვაგვიანებ. თანაც, 2-3 ტრანსპორტი უნდა გამოვიცვალო. კარგი, მე 20-თეთრიანი ბარათით ვმგზავრობ, სხვამ რა დააშავა, ოთხმაგად და მეტად რომ უხდება მგზავრობის საფასურის გადახდა?! სტუდენტებმა წერილით მივმართეთ მერიას, ცხელ ხაზზეც ბევრი ვრეკეთ, მაგრამ უშედეგოდ.

**ზინაიდა ზამბახიძე, პედაგოგი:**

— როცა რეისებს ხსნი იმ მოტივით, რომ მგზავრთა ნაკადი ამ ხაზზე ნაკლებია, მოსახლეობის დაცინვაა. დღეს საბურთალოზე, ვაჟა-ფშაველაზე, ფაქტობრივად, აღარაფერი მიდის. **ბევრჯერ მიმგზავრია გადაჭედილი 13 ნომრით დიდი დიღმიდან ისე, რომ სამედიცინოსთან ოდნავ შეხალვათების შემდეგ ძლივს მომიხერხებია ბილეთის აღება.** სხვა საქმეა, რამდენად პატიოსნად მგზავრობენ. მაგრამ ამ გაწამებულ ხალხს როცა 8800800800-დან „ამშვიდებენ" — უფრო დიდ ავტობუსებს ვუშვებთ ხაზზე, მერია თქვენზე ზრუნავსო — ცოტა უხერხულია. ისე, როგორც ახლა თქვენ ატარებთ გამოკითხვას და იმგზავრეთ კიდეც, საკუთარი თვალით ნახეთ, რა ხდება ყვითელ ავტობუსებში. **მერიის ტრანსპორტის მესვეურთ ვურჩევ, ერთ დღეს** (დილით და საღამოს, პიკის საათებში) **ჩემთან ერთად იმგზავრონ და რეალური ინფორმაცია მიაწოდონ დამსაქმებელს** (თუ, რა თქმა უნდა, ამ ინფორმაციას სულმოუთქმელად ელიან ხალხზე მზრუნველნი). ახლა ზამთარია და კიდევ უფრო ჭირს მგზავრობა. დიდ დიღომთან არც მეტროა ახლოს; პიკის საათებში სავსე სამარშრუტო ტაქსები ზემო კვარტლებიდან პირდაპირ ჩადიან ტრასაზე, გადაჭედილ ავტობუსებში ასვლა ყოვლად შეუძლებელია. იმას აღარ ვთვლი, დღეში რამდენი ჯდება ჩვენი მგზავრობა.

**რეზო კობახიძე, მშენებელი:**

— 10 თეთრით გაძვირება თითქოს არაფერია. ამ ავტობუსების მოხსნით სამარშრუტო ტაქსები „გააჯეჯილეს". როგორც ავტობუსებია გადაჭედილი მგზავრებით, ისეა „მარშრუტკებიც". ნახევარზე მეტი კუსტარულადაა აწყობილი. ყველა ხაზს თავისი „კრიშა" ჰყავს მერიაში. რაში ანაღვლებთ ხალხი და უსაფრთხო მგზავრობა. ახლა კერძო მანქანებში ღვედის შეკვრა რომ აუცილებელია, ამ ხალხს ღვედი უშველის? **საკმარისია, „მარშრუტკას" წინა საბურავი დაეშვას, რომ ამდენი ხალხით სავსე მანქანა ამობრუნდება. სად არის პატრული? ვერ ამჩნევს მარჯვენა მხარეს გადაზნექილ ყვითელ ავტობუსებს ან გადაჭედილ სამარშრუტო ტაქსებს? ახლა ხომ გამჭვირვალეა შუშები? თუ ბინდი თავად გადაიკრეს თვალზე, იმიტომ რომ ხაზები მავანისა და მავანისაა?..** არადა, კანონი აშკარად ირღვევა – ვინმე აჯარიმებს მძღოლს ფეხზე მდგომი მგზავრების გადაყვანისთვის? ჯარიმა არც ისე ცოტაა — 20 ლარი. თუმცა მგზავრთა მოზღვავებული ნაკადის გამო ამ მცირე დანაკარგს ვინ დაგიდევს... მთავარი ხომ ჯარიმა და გადახდაა.... სადაა შედეგი, გამოსწორდა რამე ასეთი სანქციებით?!

**როგორც გაირკვა გამოკითხვით, საზოგადოება არა მარტო ავტობუსებით მგზავრობითაა შეწუხებული, ეს სამარშრუტო ტაქსებსაც ეხება.**

**ჩვენ ინტერნეტ-გამოკითხვაც ჩავატარეთ, თუ რა ტრანსპორტით მგზავრობს ყველაზე ხშირად საზოგადოება?**

როგორც ჩანს, ყვითელი ავტობუსების პროექტი წამგებიანია და ძალიან ხარჯიანი, ამიტომ ჯართის ჩამბარებელ პუნქტებში აბარებენ.

თბილისის მერიის პრესსამსახურში აცხადებენ, რომ ავტობუსების მხოლოდ ის სამარშუტო ხაზები გაუქმდა, რომლებზეც მოსახლეობის მოთხოვნა არ იყო, რაც სიცრუეა და ამას საზოგადოების გამოკითხვაც ამტკიცებს. 7 დეკემბრიდან მგზავრობა 10 თეთრით გაძვირდა, მაშინ, როცა ამ პირობებში გადაადგილებაში 5 თეთრიც კი დაგენანება. **განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში არიან ის ადამიანები და სტუდენტები, რომლებსაც ცენტრალურ ქუჩებში უწევთ გადაადგილება. ასეთი კი ძალიან ბევრია. უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობა დედაქალაქის ცენტრში მდებარეობს, სადაც, ავტობუსის გარდა, სხვა ტრანსპორტი არ მოძრაობს და მათ ალტერნატივა არ აქვთ.**

თბილისის მერიამ, რასაკვირველია, კარგად იცის, თუ რა მდგომარეობაა ავტობუსებში და რა გაჭირვებით უწევს მოსახლეობას გადაადგილება. მაგრამ მათ ხალხისთვის არ სცალიათ. ამჯერად, მხოლოდ იმაზე ზრუნავენ, რომ ავტობუსის ფანჯრებიდან ლამაზი ხედი ჩანდეს. საზოგადოება კი მთავრობის უპატივცემულობასა და შეურაცხყოფას ჯერჯერობით კვლავ ითმენს.

**ნინო სამნიაშვილი, მარიამ გრიგორიანი**

## რომელი ტრანსპორტით მგზავრობთ ყველაზე ხშირად?

| | | |
|---|---|---|
| სამარშრუტო ტაქსი | 9 | 14.52% |
| მეტრო | 12 | 19.35% |
| ავტობუსი | 20 | 32.28% |
| ტაქსი | 6 | 9.68% |
| საკუთარი ავტომობილი | 15 | 24.19% |
| სულ ხმები: 62 | | |

## გაფრაზებულნი



**რობერტ სტურუა, რუსთაველის თეატრის რეჟისორი:**

ხალხი თითქოს დაიბნა, რადგან რომანტიკული განცდა საქართველოს წარსულისა და მომავლისა უკვე დაირღვა. მწამს, რომ ქართული იდეა, რომელიც დღეს მიმალული და მიჩქმალულია, შეუძლებელია, გახდეს მნიშვნელოვანი მსოფლიო ხალხის ცხოვრებაში. ახლა არ ვიცით, რა გვინდა, ადგილი ვერ მოვძებნეთ... სად ვართ დღევანდელ მსოფლიოში?

*„კვირის პალიტრა"*



**დავით უსუფაშვილი, რესპუბლიკური პარტიის ლიდერი:**

საქართველოში სხვადასხვა ოპოზიციურმა ძალამ სხვადასხვა დროსა და ვითარებაში მიხეილ სააკაშვილთან პოლიტიკური ბრძოლა პირწმინდად წავაგეთ. ეს არის რეალობა, რომლის ულიარებლობა უმძიმეს მდგომარეობაში ჩაგვაყენებს.

*„ყველა სიახლე"*



**ელიზბარ ჯაველიძე, „წარმომადგენლობითი სახალხო კრების" ერთ-ერთი ინიციატორი, აკადემიკოსი:**

სააკაშვილის რეჟიმსა და მის სოროსელ გოშიებს ძალიანაც არ სურთ, რომ რუსეთმა და მისმა ეკლესიამ ანგარიში გაუწიონ ჩვენს კათოლიკოს-პატრიარქს! ეს არსებები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობები მუდმივად დაძაბული იყოს!

*„ასავალ-დასავალი"*



**ნინო გოგუაძე, განათლების ექსპერტი:**

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სკოლა მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლებისაა. მანდატურის ინსტიტუტმა ეს კონცეფცია თავდაყირა დააყენა. მანდატური ჩადგა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის, მშობელსა და მასწავლებელს შორის და იქცა მთავარ ფიგურად, რომელიც სასწავლო პროცესსაც კი აკონტროლებს. წახალისებულია დასმენის, მიყურადების ინსტიტუტი. როგორ უნდა აღვზარდოთ ასეთ პირობებში ნორმალური, სრულყოფილი პიროვნება?

*„ყველა სიახლე"*



**გრიგოლ ვაშაძე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი:**

რუსეთთან უდიალოგოდ არაფერი გადაწყდება. როდესაც პრეზიდენტი ამბობს, მზად ვართ, ნებისმიერ დროს ნებისმიერ ადგილას ველაპარაკოთ რუსეთს ყველა იმ პრობლემაზე, რაც ჩვენ შორის არისო, ეს ნიშნავს, რომ, უპირველეს ყოვლისა, ლაპარაკი იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, სრულ, უპირობო დეოკუპაციაზე, დევნილების დაბრუნებაზე. რუსეთთან საუბრის სხვა თემა არც მომავალ ხელისუფლებას ექნება... მაგრამ იმისათვის, რომ დეოკუპაცია, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და დევნილების უსაფრთხო დაბრუნება მოხდეს, მოლაპარაკებაა საჭირო.

*„კვირის პალიტრა"*

## მოკლედ

### უგულავას „ნუგეში"

**ლეიბორისტები თბილისის მერს - გიგი უგულავას საკუთარი ბიზნესინტერესების გამო მაღაზიების მეპატრონეების შევიწროებაში ადანაშაულებენ.** როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა სოსო შატბერაშვილმა განაცხადა, თბილისის მერმა ახალი ბიზნესი წამოიწყო, კერძოდ, მან შექმნა სურსათის ჯიხურების ქსელი „ნუგეში", სადაც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე პროდუქტები 20%-ით ნაკლებ ფასად გაიყიდება. როგორც შატბერაშვილი აცხადებს, აღნიშნული ბიზნესის განვითარება და გაფართოება თბილისის მერიისა და „ლიბერთი ბანკის" ერთობლივ ინტერესს წარმოადგენს — პროდუქტების ფასდაკლებით შეძენა მხოლოდ „ლიბერთი ბანკის" პლასტიკური ბარათებით იქნება შესაძლებელი. შატბერაშვილის თქმით, „ნუგეშის" ჯიხურებთან ახლოს მდებარე მაღაზიებზე უკვე დაიწყო ზეწოლა — მათ საგადასახადო სამსახურები აშანტაჟებენ.

### 10,5 პროცენტიანი ინფლაცია

**ინფლაციის საბოლოო მაჩვენებელი წელს 10,5 %-ით განისაზღვრება. ამის შესახებ მთავრობის სხდომაზე პრემიერმა გილაურმა განაცხადა და მოსახლეობას სასიკეთოს ვერაფერს დაჰპირდა.** „ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, თუმცა ინფლაციის შეჩერება და ფასების რეგულაცია ნამდვილად შეუძლებელია. ეს არ არის მთავრობის კომპეტენცია და გამოწვეულია საერთაშორისო ბაზრებზე ინფლაციით, რომელიც საქართველოზეც აისახება. თუმცა ჩვენ გარკვეული პროგრამები გვაქვს, რომლითაც შევეცდებით, მოსახლეობას ფასების ზრდის პრობლემა შევუმსუბუქოთ," – განაცხადა პრემიერმა, რაშიც, სავარაუდოდ, ის 20-20 ლარი იგულისხმა, რომელსაც თითოეულ ოჯახს ჰპირდებიან ელექტროენერგიის გადასახადის დასაფარად.

### კალმახელიძის ციხეებს მიბაძავენ

**სასჯელაღსრულების, იურიდიული დახმარებისა და პრობაციის მინისტრ ხათუნა კალმახელიძის განცხადებით, 2010 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების სისტემაში „იმაზე მეტი გაკეთდა, ვიდრე წლის დასაწყისში იყო განსაზღვრული".** კალმახელიძეს მართლაც აქვს საქმე საამაყოდ, მინისტრის ინფორმაცით, „წელს სასჯელაღსრულების სამი ახალი დაწესებულება გაიხსნა — მათგან ორი რუსთავში, ხოლო ერთი – ქსანში". გარდა ამისა, მთელი ქვეყნის მასშტაბით „ევროპული სტანდარტების შესაბამისად, მოქმედებს პრობაციის სამსახური". კალმახელიძემ რატომღაც საკუთარი კომპეტენცია არ იკმარა და დასძინა, დადებით დასკვას თავად სახალხო დამცველიც აკეთებს მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობითო.

### რჩევები მერაბიშვილსა და სააკაშვილს

**პარიზულ სკანდალთან დაკავშირებით „ქართული პარტიის" ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ფაქტობრივ უფროს დათა ახალაიას, რომელთანაც თავდაცვის ყოფილ მინისტრს პარიზის ერთ-ერთ სასტუმროში ინციდენტი შეემთხვა, თან შს მინისტრ ვანო მერაბიშვილის მეუღლე თაკო სალაყაია ახლდა.** ამის შემდეგ ოქრუაშვილმა სააგენტო „პირველს" ვანო მერაბიშვილისა და სააკაშვილისთვის თითო რჩევის გადაცემა სთხოვა: „მერაბიშვილმა ის გაარკვიოს, რას აკეთებდა მისი ცოლი პარიზში ახალაიასთან ერთად; სააკაშვილმა კი ის უთხრას ხალხს, მისმა ჩინოვნიკმა საიდან დახარჯა ერთ ღამეში სასტუმროს ნომერში და რესტორნებში 21 000 ევრო."

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## რუსეთი ოთხ «მისტრალს» მიიღებს



**რუსეთმა და საფრანგეთმა წარმატებით დაასრულეს ხანგრძლივი მოლაპარაკება და „მისტრალის“ კლასის უნივერსალური სადესანტო ხომალდის ერთობლივ აგებაზე შეთანხმდნენ.** ორი მათგანი საფრანგეთში სენ ნაზერში აიგება, ორიც — რუსეთში. პირველი ხომალდი ექსპლუატაციისთვის მზად ავანსის შეტანიდან 36 თვეში იქნება; ამ თანხის გადახდას რუსეთი 2011 წლის დასაწყისში აპირებს. კონტრაქტის ზუსტი დეტალები უცნობია, თუმცა, ექსპერტების შეფასებით, ამ ხომალდებისთვის რუსეთი დაახლოებით 1,5 მილიარდ ევროს გადაიხდის.

## გერმანია ავღანეთში ახალ ტექნიკას აგზავნის



**თალიბების გააქტიურებასთან დაკავშირებით გერმანიის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, ავღანეთში განლაგებულ ბუნდესვერის კონტინგენტისთვის საბრძოლო მანქანა „Dingo“-ს გაუმჯობესებული ვარიანტი „Mark 2“ შეიძინოს.** აგრეთვე, ავღანეთში გაიგზავნება 8 მოიერიშე ვერტმფრენი „Tiger“-ი, რათა საჰაერო მხარდაჭერის საკითხში გერმანელები ამერიკელ მოკავშირეებზე დამოკიდებული აღარ იქნენ. ამასთანავე, გერმანული კონტინგენტი მიიღებს „Rheinmetall“-ის 157 დაჯავშნულ სატვირთო მანქანას და შვეიცარიული წარმოების 195 ჯიპს „Eagle IV“-ს.

## ბრიტანელები დაჯავშნულ საცვლებს ჩაიცვამენ



**ბრიტანულ კონტინგენტს ავღანეთში სპეციალური დაცვითი სისტემების 45 ათასი კომპლექტი გაუგზავნეს, რომელშიც დიდი ბრიტანეთის თავდაცვის უწყებამ 15,5 მილიონი დოლარი გადაიხადა.** ყველა ჯარისკაცი მიიღებს სპეციალური ბალისტიკური ქსოვილისგან დამზადებულ ტრუსებს, მესანგრეებისთვის რეკომენდირებულია მეორე, დაჯავშნული შორტების მაგვარი მოწყობილობის გამოყენება, ხოლო მესამე მოწყობილობა წარმოადგენს ერთგვარ ნიჟარას, რომელიც წელს ქვემოთ მებრძოლის ძნელად დასაცავ ადგილებს ფარავს. რა წონა ექნება დაცვის ამ ახალ სისტემას, ჯერჯერობით უცნობია.

## რუსეთ-სომხეთის თანამშრომლობა ღრმავდება

**სომხეთში საჰაერო თავდაცვის ერთობლივი სამეთაურო პუნქტი გაიხსნა. სომხეთის თავდაცვის მინისტრის — სეირან ოგანიანის თქმით: „ეს რუსეთსა და სომხეთს შორის სამხედრო თანამშრომლობის თვისობრივად ახალ საფეხურს წარმოადგენს“.** მიღწეული შეთანხმების თანახმად, გიუმრიში განლაგებული 102-ე რუსეთის სამხედრო ბაზის, რომლის შეიარაღებაშია საზენიტო-სარაკეტო სისტემები „C-300“ და გამანადგურებლები„МиГ-29“, გეოგრაფიული და სტრატეგიული პასუხისმგებლობის არეალი გაიზარდა, რუს სამხედროებს სომხეთის საჰაერო სივრცის დაცვის ამოცანა დაეკისრა.

# «C-500» რუსეთის საჰაერო თავდაცვას გააძლიერებს

**ბოლო დროს მსოფლიოში საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა. რამდენიმე ქვეყანა განიხილავს საჰაერო თავდაცვის ეშელონირებული სისტემის შექმნას მხოლოდ რუსული შეიარაღების გამოყენებით; უპირველესად, საუბარი, ცხადია, საზენიტო-სარაკეტო სისტემებს — „C-300“-ს („C-400), აგრეთვე, „Бук“-ისა და „Top-ის სხვადასხვა მოდიფიკაციას ეხება. ვინაიდან მოთხოვნა რუსულ საზენიტო-სარაკეტო სისტემებზე წლიდან წლამდე მატულობს და მწარმოებლებს ფიზიკურად აღარ შეუძლიათ, ერთდროულად დააკმაყოფილონ რუსეთის არმიისა და უცხოელი მყიდველების მოთხოვნა, რუსეთის პრემიერი ვლადიმერ პუტინი საწარმო სიმძლავრეების გაზრდის წინადადებით გამოვიდა. დაუდასტურებელი ინფრომაციით, რუსეთი უახლოეს მომავალში „C-300МПУ-2-ისა და „C-400-ის წარმოებას გაზრდის. საინტერესოა, რა განაპირობებს ასეთ მაღალ მოთხოვნას.**






შარშან ავსტრალიურმა ანალიტიკურმა ცენტრმა „Air Power Australia“-მ გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც შედარებულია აშშ-ის საბრძოლო ავიაციისა და რუსეთის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის შესაძლებლობები. ექსპერტებმა შესაძლო კონფლიქტში ამერიკული ავიაციის გადარჩენის შესაძლებლობა გამორიცხეს. მათი აზრით, **რუსულ საჰაერო თავდაცვის საშუალებებთან ვერაფერს გახდებიან არა მხოლოდ „F-15“,„F-16 და „F/A-18, არამედ მეხუთე თაობის „F-35 Lightning II-იც კი. ისინი თვლიან, რომ „C-400 Триумф-ს დღესდღეობით მსოფლიოში ანალოგი არ აქვს.** ერთადერთი ამერიკული თვითმფრინავი, რომელიც შესაძლო დაპირისპირებაში საიმედოდ გამოიყურება „F-22 Raptor“-ია. ავსტრალიელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მისი წარმოების შეწყვეტა აშშ-ის მხრიდან სტრატეგიული შეცდომა იქნება. თუმცა, როგორც ცნობილია, **„Raptor“-ის სიძვირის გამო პენტაგონი იძულებული გახდა აქცენტი სხვა, უფრო იაფ და ნაკლებად სანდო, მოდელებზე გადაეტანა.**

**ყველაზე დიდი მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე საზენიტო-სარაკეტო სისტემა „C-300МПУ-2 Фаворит“-ზე ფიქსირდება.** აეროდინამიური სამიზნეების განადგურებას ის 200 კილომეტრამდე მანძილზე უზრუნველყოფს, ბალისტიკურის — 40 კილომეტრამდე მანძილზე, ხოლო დაბალ სიმაღლეზე მოახლოებული სამიზნეების — 28-38 კილომეტ- ▶

# ავღანეთი: ქალაქში ჩასაფრების ტაქტიკა

**დღეს ჩვენ ავღანეთის ომის კიდევ ერთ ასპექტს განვიხილავთ და ვნახავთ რა ტაქტიკას იყენებენ თალიბები ქალაქებში ჩასაფრების მოწყობის დროს. პრინციპულად ახალსა და რევოლუციურს მასში არაფერს აღმოვაჩენთ, თუმცა ფაქტია, ის ჯერჯერობით ეფექტურად მუშაობს.**



რამდენიმე მებრძოლი კოალიციის პატრულს ცეცხლს მოულოდნელად საშუალო დისტანციიდან უხსნის. მთავარ ამოცანას ამ ჯგუფისთვის მოწინააღმდეგისთვის მაქსიმალური ზიანის მიყენება როდი წარმოადგენს, მისთვის მნიშვნელოვანია, რომ პატრულმა ბრძოლა მიიღოს. როდესაც კოალიციის ჯარისკაცები საპასუხო ცეცხლს ხსნიან ეს ჯგუფი უკანდახევას იწყებს და ცდილობს, მოწინააღმდეგე იმ ქუჩაზე შეიტყუოს, სადაც თალიბების ძირითადი ძალებია განლაგებული.

**იდეალურ ადგილს მსგავსი ჩასაფრებისთვის ჩიხი წარმოადგენს. საცეცხლე პოზიციები წინასწარ მზადდება. თალიბები ოთხ-ხუთ ჯგუფად იყოფიან და პოზიციებს ქუჩის ორივე მხარეს მდებარე სახლებში იკავებენ. ჩიხის ბოლოს, როგორც წესი, პოზიციას მეტყვიამფრქვევე იკავებს.**

იმ შემთხვევაში, თუ პატრული სატყუარას წამოეგო, „პროვოკატორ ჯგუფს“ დაედევნა და მოწინააღმდეგისთვის სასურველ ქუჩაზე მოხვდა, პირველი ჯგუფები მას დანახვისთანავე არ ესვრიან, არამედ იმალებიან და ატარებენ, რათა ცეცხლი ზურგიდან გაუხსნან. ამ ხერხის მიზანი ისაა, რომ მოწინააღმდეგეს საცეცხლე ტომრის სიღრმეში უბიძგონ. შემდეგ საქმეში დანარჩენი ჯგუფები ერთვებიან, რომლებიც ყუმბარმტყორცნებსა და ტყვიამფრქვევებს იყენებენ. თუ ყოველივე ეს წარმატებით განხორციელდა, კოალიციის პატრული „სათაგურში“ მოექცევა, სადაც მას პრაქტიკულად ყოველი მხრიდან ესვრიან.



**რატომ აწყობთ თალიბებს ბრძოლის გამართვა ახლო დისტანციაზე?**

პირველი და მთავარი მიზეზი ისაა, რომ **ასეთ სიტუაციაში მოწინააღმდეგე არტილერიასა და ავიაციას ვერ გამოიყენებს.**

მეორე მიზეზი კი ისაა, რომ **ასეთ დისტანციაზე**

ცუდი საცეცხლე მომზადების მქონე ძველი ცეცხლსასროლი იარაღით შეირაღებული თალიბებისა და მათი უკეთესად შეიარაღებული და მომზადებული მოწინააღმდეგის **შანსები თანაბრდება;** მეტიც, **ასეთ ვითარებაში კოალიციის ჯარისკაცების საბრძოლო სულისკვეთება ეცემა და თალიბები გარკვეულ უპირატესობას ფლობენ.**

თუ მსგავსი ტიპის ჩასაფრებაში მოხვედრილი პატრულის მეთაური დაიბ- ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ რის მანძილზე; სიმაღლეების დიაპაზონი 10 მეტრიდან 27 კილომეტრამდეა. **სისტემას ერთდროულად 72 რაკეტის დამიზნება და 36 სამიზნის განადგურება შეუძლია.**

საზენიტო-სარაკეტო სისტემა „С-400 Триумф“-ი უზრუნველყოფს აეროდინამიური სამიზნეების განადგურებას 400 კილომეტრამდე მანძილზე, ხოლო ტაქტიკური ბალისტიკური სამიზნეების 60 კილომეტრის მანძილზე. დაბალ სიმაღლეზე სამიზნეების განადგურების ზონის ქვედა ზღვარი 5 მეტრია (შედარებისთვის: ამერიკული „Patriot“-სთვის ეს ზღვარი 60 მეტრია).

დღეისთვის დამზადების სტადიაში მყოფი სისტემა „С-500, რომლის პრეზენტაცია, სავარაუდოდ, 2015 წლისათვის გაიმართება, ჯერჯერობით იდუმალებით არის მოცული, თუმცა, კონსტრუქტორების განცხადებით, ის უზრუნველყოფს დაცვას აშშ-ის არმიის არსენალში მყოფი საჰაერო-კოსმოსური შეტევის ყველა არსებული და პერსპექტიული (2050 წლამდე) სისტემისგან. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მისი მოქმედების რადიუსი 600 კილომეტრი იქნება, მას ერთდროულად 10 ზებგერითი ბალისტიკური სამიზნის განადგურება შეეძლება, ხოლო თვითმფინავებისა და რაკეტების აღმოჩენის მანძილი „С-400-სთან შედარებით 150-200 კილომეტრით გაიზრდება. კონსტრუქტორები აცხადებენ, რომ **ახალი სისტემა „С-400“-ს და ამერიკულ „PATRIOT ADVANCED CAPABILITY-3“-ს ყველა მახასიათებლით უკან ჩამოიტოვებს.** რუსეთის საჰაერო ძალების სარდლის მოადგილის, გენერალ-ლეიტენანტ სერგეი რაზიგრაევის თქმით, **„С-500-ს შეეძლება გაანადგუროს საშუალო მოქმედების რადიუსისა და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტები, აგრეთვე, გაანადგუროს რაკეტები ახლო კოსმოსში, შესაბამისად ის სტრატეგიული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტების მატარებელი გახდება“.**

„Janes“ წერს, რომ „С-500“-თან ერთად მუშაობა „С-1000“-ზე მიმდინარეობს, თუმცა უცნობია, არის ეს „С-500“-ის მოდიფიკაცია თუ რაიმე თვისობრივად ახალი. გამოცემა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **ამერიკული „THAAD“-ისა და „SM-3“-ის სისტემებისგან განსხავებით, „С-500“ უნივერსალურ ხასიათს ატარებს, რადგან ეფექტური იქნება როგორც სარაკეტო, ისე საავიაციო საფრთხის წინააღმდეგ.** საინტერესოა, რა ადგილს დაიკავებს „С-500 საჰაერო თავდაცვის ერთიან სისტემაში. რუსეთის საჰაერო ძალების სარდლის, გენერალ-პოლკოვნიკ ალექსანდრე ზელინის თქმით, **„ახალი სისტემა„С-400“-ის გაგძელება არ არის“.** ამასთანავე, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საუბარი შეიძლება ეხებოდეს არა უბრალოდ „С-400“-ის გამოცვლას ახალი სისტემით („Триумф“-ი მოძველებულად კიდევ საკმაო დროის განმავლობაში არ ჩაითვლება), არამედ საჰაერო (და რაკეტსაწინააღმდეგო) თავდაცვის ახალი ეშელონის შექმნაზე, თუმცა ჭეშმარიტების დადგენას, ცხადია, მეტი ინფორმაცია სჭირდება.



**რუსეთის გარღვევა ამ მიმართულებით და კონკურენტების უკან ჩამოტოვება ორმა ისტორიულმა მიზეზმა განაპირობა.** მეორე მსოფლიო ომის დროს დასავლეთში სერიოზულად განვითარდა სტრატეგიული ავიაცია და ცივი ომის დაწყებისთანავე მისგან დამცავი „ფარის“ შექმნა საბჭოთა კონსტრუქტორებისთვის პრიორიტეტულ ამოცანად იქცა. ამასთანავე, საბჭოთა საზენიტო-სარაკეტო სისტემები გამოიყენებოდა XX საუკუნის ყველა მნიშვნელოვან სამხედრო კონფლიქტში, რომელთაგან გამორჩეულად ვიეტნამის ომი უნდა გამოვყოთ; იქ მიღებული საბრძოლო გამოცდილების ანალიზმა კონსტრუქტორებს ხელი მნიშვნელოვნად შეუწყო. **საბჭოთა კავშირის დაშლის გამო, შექმნილი პრობლემების მიუხედავად, რუსეთმა ამ დარგში ლიდერის პოზიციების შენარჩუნება შეძლო და ახალ, სულ უფრო მრისხანე, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებს ქმნის.**



◀ ნევა, დანაკარგები შეიძლება ძალზე სერიოზული აღმოჩნდეს.

ტიპიური ავღანური სახლების თიხის კედლები, მიუხედავად იმისა, რომ არადამაჯერებლად გამოიყურება, პრაქტიკულად 20 მმ. „ვულკანსაც“ უძლებს. სახლებში გამაგრებული თალიბები, უპირველეს ყოვლისა, ცდილობენ, გაანადგურონ მეტყვიამფრქვევეები, ოფიცრები და რადისტები. რაც შეეხება შეტევას დაჯავშნულ ტექნიკაზე, მას, როგორც წესი, 2-3 „რპგ“-ს წინა ნაწილში ესვრიან. თალიბებისთვის ასეთ სიტუაციაში მთავარია არა მისი სრული განადგურება, რაც ერთობ პრობლემურია, არამედ მწყობრიდან გამოყვანა და აალების გამოწვევა, რადგან ამას ეკიპაჟისა და მასში მყოფი სხვა ჯარისკაცების ევაკუაცია მოჰყვება. ამ დროს მათ ცეცხლსაროლი იარაღის გამოყენებით უტევენ.

**შემდეგი, ძალზე მნიშვნელოვანი ეტაპი, ბრძოლიდან დროული გამოსვლაა, მანამ, სანამ კოალიციის დამხმარე ძალები ჩასაფრების რაიონის საიმედო ბლოკირებას მოახდენენ და საქმეში მოიერიშე ვერტმფრენები ჩაერთვებიან.** ამერიკელი ოფიცრების თქმით, ასეთ ვითარებაში თალიბების ჯგუფები შესაშური ურთიერთშეთანხმებით მოქმედებენ და ერთმანეთის უკანდახევას საიმედოდ უზრუნველყოფენ. უკანდახევის დროს ისინი იყენებენ პარალელურ ქუჩებზე გამავალ ეზოებს და ავღანური ქალაქების (მაგალითად, ყანდაგარის) გარეუბნებისთვის დამახასიათებელ სარწყავ არხებს, რომელთა სიღრმე 1,2-დან 2 მეტრამდე მერყეობს. **ხანდახან, ჩასაფრების მოწყობის დროს, ეს არხები გამოიყენება, როგორც ორი პოზიციის დამაკავშირებელი ტრანშეა და მოწინააღმდეგის ფლანგში გასვლას უზრუნველყოფს.**





ძალიან მნიშვნელოვანია კიდევ ერთი გარემოების აღნიშვნა: **ქალაქების მოსახლეობაში თალიბებს ბევრი გულშემატკივარი ჰყავს, რაც მათ გაუჩინარებას ბრძოლის ზონიდან ხელს მნიშვნელოვნად უწყობს.**

ერთი შეხედვით, ეს პარადოქსულია, რადგან მაშინ, როდესაც თალიბები ხელისუფლებაში იყვნენ, სწორედ ქალაქები წარმოადგენდნენ ანტითალიბური განწყობის მთავარ კერას, ვინაიდან მათ მიერ შემოღებული მკაცრი წესები ქალაქელებს დიდად არ მოსწონდათ. **2001-ში სწორედ ქალაქების მოსახლეობა განსაკუთრებული სიხარულით, როგორც განმათავისუფლებლებს, ხვდებოდა „ჩრდილოეთის ალიანსის“ მებრძოლებს და ამერიკელებსაც კი. თუმცა თალიბებმა მაშინ სტრატეგიულად სწორი გადაწყვეტილება მიიღეს და „თითოეული გოჯისთვის“ ბრძოლას ძნელად მისადგომ რაიონებსა და პაკისტანში უკანდახევა ამჯობინეს.**

მომდევნო წლებში მოსახლეობის განწყობა შეიცვალა, **კორუფციაში ჩაფლულმა ახალმა ხელისუფლებამ, რომელიც ამერიკელების ხიშტებს ეყრდნობოდა მისი ნდობა დაკარგა, ხოლო თალიბებმა** (ერთგვარი ტრანსფორმაცია ამ მოძრობის შიგნითაც მოხდა და მას დღეისთვის ისეთივე გამოკვეთილი ფუნდამენტალისტური რადიკალიზმი აღარ ახასიათებს, როგორც ომის დაწყებამდე, თუმცა, რა თქმა უნდა, ყველაფერი ფარდობითია) **მოახერხეს, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილის თვალში თავი ლამის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებად წარმოეჩინათ.** ვინაიდან ეს მოძრაობა ავღანეთში ყველაზე ძლიერი იყო, სხვა საველე მეთაურები, რომლებიც ამერიკელების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებნენ, იძულებულნი გახდნენ, მათთან ერთიანი ფრონტით ემოქმედათ. **პატრულირება ავღანური ქალაქების ქუჩებში კი, რომელიც 2002-03 წლებში, პრაქტიკულად, უსაფრთხო იყო, კოალიციის ჯარისკაცებისთვის მეტად საშიში გახდა.**



მოამზადა
**გიორგი გიგიბერიამ**

## გა[illegible]ზებულნი



**კირილი,
რუსეთის პატრიარქი:**

ყოველი შეხვედრა ქართველ სტუმრებთან მნიშვნელოვანი და სასურველია, ვინაიდან საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების უკეთესობისკენ შესაცვლელად ორივე მხარის ძალისხმევის გაძლიერებაა საჭირო... მე არ ვსაუბრობ ხალხებს შორის ურთიერთობაზე. მას ვინმეს მიერ უკეთესობისკენ ან უარესობისკენ შეცვლა არ სჭირდება, რადგან ეს ორი ერი გეოგრაფიულად ერთად ცხოვრობს, საერთო ბედითაა დაკავშირებული, ზოგჯერ — ტრაგიკულითაც, ხოლო ამ ურთიერთობების საფუძველს საერთო რწმენა წარმოადგენს. დღესდღეობით, როცა ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობები არ არსებობს, რუსულ და ქართულ ეკლესიებს შორის კავშირი, პირიქით, ღრმავდება.

*„პირველი“*



**დიმიტრი მედვედევი,
რფ-ის პრეზიდენტი:**

მიმდინარე წლის შეჯამებით, რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტის შემოსავალი 4%-ს შეადგენს. ქვეყნისთვის წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა გლობალური ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლაა. ამ წელს ჩვენ არა თუ არ დავცემულვართ, არამედ ვვითარდებოდით.

*rian.ru*



**ვლადიმერ პუტინი,
რფ-ის პრემიერ-მინისტრი:**

ჩვენ თანმიმდევრულად ჩავატარებთ ანტიკორუფციულ სამუშაოებს, მკაცრად დავსჯით არაკეთილსინდისიერ ჩინოვნიკებს, განვაგრძობთ კანონმდებლობის „წმენდას“ და კორუფციული გამოვლინებების შესაძლებლობათა აღმოფხვრას.

*kp.ru*



**გენადი ონიშჩენკო,
რფ-ის მთავარი სანიტარი:**

ღორის აფრიკული ჭირი რუსეთის ტერიტორიაზე, შესაძლოა, ფოთის პორტიდან მოხვედრილიყო. არ გამოვრიცხავ ეკონომიკურ დივერსიას. არ გამოვრიცხავ, რომ ეს გამიზნულად გაკეთებულიყო... ღორის ჭირი, უპირველესად, ეკონომიკური პრობლემაა, რამდენადაც მისით ადამიანები არ ავადდებიან.

*rosbalt.ru*



**სტანისლავ შუშკევიჩი,
ბელარუსის
პირველი პრეზიდენტი:**

თუკი მოკავშირე სახელმწიფოში ადამიანის უფლებები ირღვევა, მაშინ რუსეთი, ჩვენი მოკავშირე, ამას ვალდებულებით უნდა მოეკიდოს. იმის ნაცვლად, რომ ჯარი იმ ქვეყნებში შეეყვანა, რომლებმაც თავი დამოუკიდებლებად გამოაცხადეს, იქნებ, უკეთესი ყოფილიყო, ჯარი ბელარუსში შემოეყვანა.

*რადიო „თავისუფლება“*



**მაჰმუდ აჰმადინეჯადი,
ირანის პრეზიდენტი:**

ირანის წინააღმდეგ განხორციელებულ ემბარგოს 30-წლიანი ისტორია აქვს. მათ კი, ვინც ეს ემბარგო შემოიღო, თანამედროვე მსოფლიოს პირობები არ იციან. ჩვენ მას, უბრალოდ, არ ვაქცევთ ყურადღებას — ემბარგოს არანაირი ეფექტი არ აქვს.

*prime-tass.ru*



**ბარაკ ობამა,
აშშ-ის პრეზიდენტი:**

თავდაპირველად ვთვლიდი, რომ ერთსქესიანი წყვილები, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე ცხოვრობენ ერთად, იმავე უფლებებით უნდა სარგებლობდნენ, როგორითაც დაქორწინებული წყვილები. ამას სწორ ნაბიჯად მივიჩნევ. მაგრამ ახლა მესმის, რომ ეს საკმარისი არაა და ვფიქრობ, ჩვენ უნდა მოვახდინოთ ახალი ნაბიჯების განხილვის ინიცირება და ამ პრობლემის წამოწევას ვაპირებ.

*gazeta.ru*

29 დეკემბერი, 2010 წელი — 18 იანვარი, 2011 წელი. №48 (91)
www.geworld.net
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# სპეცოპერაციების მაესტრო

**„მეორე მსოფლიო ომის სპეცნაზი“ — ასე ჰქვია დოკუმენტურ ფილმს, რომელიც მეორე მსოფლიო ომისდროინდელი საბჭოთა სპეცსამსახურების შესახებ ნაკლებად ცნობილ ფაქტებზე დაყრდნობით რეჟისორმა ალექსეი ბისტრიცკიმ 2010 წელს გადაიღო. წამყვანი მარინა ჩუბკინა ისტორიკოსებთან და სხვა სპეციალისტებთან ერთად დივერსიული ოპერაციების სტრატეგიასა და ტაქტიკაზე მოუთხრობს მაყურებელს. სწორედ ამ სტრატეგიამ და ტაქტიკამ იქონია მნიშვნელოვანი გავლენა რუსეთის სპეციალური დანიშნულების რაზმების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.**




**მას რუსული სპეცრაზმის მამას უწოდებენ. იგი დივერსიული მოქმედებების უდიდესი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი იყო. ფრანკომ და ჰიტლერმა პირადად გასცეს მისი განადგურების ბრძანებები, მაგრამ ისინი არ შესრულებულა. მან 100 წლამდე იცოცხლა. მისი სახელი რამდენიმე ნაღმსა და ლომის თანავარსკვლავედის ერთ-ერთ ვარსკვლავს უწოდეს. მის გამოცდილებას იყენებენ სპეცდანიშნულების ჯგუფი „ალფა“, პალესტინელი ბოევიკები და ისრაელის კომანდოსები.**
**მაშ, ვინ არის იგი — ადამიანი თუ მითი?**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №46-47




— ცხადია, ამან დიდი პანიკა გამოიწვია. ფეთქდებოდა აბსოლუტურად ყველაფერი — საწვავ-საპოხი მასალების ცისტერნები, ტელეგრაფის სადგური, გერმანული ტიპოგრაფიები და ასე შემდეგ. **ოპერაციები ხორციელდებოდა ცალკეული განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეული გერმანელი სამხედრო ხელმძღვანელებისა და კომენდანტების წინააღმდეგ.** ამ ყველაფერს კი სათავეში ედგა მირკოვსკი, რის გამოც, ცხადია, გერმანელთა შორის მისი მოღვაწეობა განსაკუთრებულ ზიზღსა და თავად მირკოვსკისთან ერთად მისი რაზმის განადგურების განსაკუთრებულ სურვილს აჩენდა.



რამდენიმე დღეში ჟიტომირში ნავთობბაზები და აეროდრომის რამდენიმე შენობა აფეთქდა. გერმანელებს პანიკა გაუათკეცდათ, ქალაქში ნაჩქარევად დაიწყეს დამატებითი ჯარების შეყვანა. **გერმანული ადმინისტრაციის ჩინოვნიკებიდან და ოფიცრებიდან უსაფრთხოდ თავს ვერავინ გრძნობდა. ნებისმიერ წამს შეიძლებოდა ნებისმიერი რამ აფეთქებულიყო ან საიდანღაც ტყვია გამოვარდნილიყო.** ამასთანავე, გერმანელებმა ქვეითთა ჯგუფიდან ერთი მებრძოლის დაკავებაც ვერ მოახერხეს. ყველა მათგანი წარმატებით შეუერთდა პარტიზანულ რაზმს ან ტყეში დაიმალა და ახალი დივერსიების მზადებას შეუდგა.



გერმანელები ოდნავ მხოლოდ მას შემდეგ დამშვიდდნენ, რაც შეიტყვეს, რომ მირკოვსკი, რომელსაც სულ მცირე სადესანტო დივიზიის მეთაურად თვლიდნენ, სხვა რაიონში გადავიდა. იქ მან განახორციელა სხვა ოპერაცია, რომელსაც სპეცრაზმის სამეცნიერო ცენტრები ამ დრომდე შეისწავლიან.

**სარკინიგზო სადგურის განადგურება ისე, რომ ერთი ტყვიაც არ ისროლო, მანამდე ვერავინ შეძლო. როდესაც ბერლინში მომხდარის შესახებ შეიტყვეს, ორ კილომეტრში დისლოცირებული გერმანული გარნიზონი მთელი შემადგენლობით წინა ხაზზე გაგზავნეს. ვერმახტის სარდლობამ გადაწყვიტა, რომ საზარბაზნე ხორცის გარდა, ამ ქვედანაყოფის მებრძოლები სხვა აღარაფერში გამოდგებოდნენ.**



სარკინიგზო ხაზი ოვრუჩ-ჩერნიგოვი ოკუპაციის პირველი თვეების განმავლობაში მწყობრიდან გამოვიდა. ფრონტი შორს იყო, გერმანელები ოკუპირებულ ტერიტორიებზე საკუთარ შეიარაღებულ ძალებს სხვა სარკინიგზო მაგისტრალების საშუალებით ამარაგებდნენ. **როდესაც წითელმა არმიამ შეტევები დაიწყო, უკრაინისა და ბელორუსიის ტერიტორიაზე კი პარტიზანებმა სალიანდაგო ომი გააჩაღეს, ბერლინში ოვრუჩ-ჩერნიგოვის მიტოვებული სარკინიგზო მაგისტრალი გაიხსენეს და მისი სასწრაფოდ აღდგენის ბრძანება გასცეს.**



ევგენი მირკოვსკიმ ამის თაობაზე მოსკოვს აცნობა, ცენტრმა კი ბრძანება გასცა, ნებისმიერ ფასად შეეჩერებინათ რკინიგზის აღდგენა — **მოსკოვს მშვენივრად ესმოდა, რომ ამ ხაზით გერმანული ჯარები მსხვილ დანაყოფებს გადმოაგზავნიდნენ.**

ოპერაციის განხორციელება მხოლოდ **„ფეხოსანთა“** ძალებით თვითმკვლელობის ტოლფასი იყო. მთავარ წინააღმდეგობას რკინიგზის აღდგენაზე მომუშავე მოწინააღმდეგის 200-კაციანი ბატალიონი არ წარმოადგენდა, მთავარი საფრთხე ორი კილომეტრის მოშორებით დისლოცირებული პოლკი გახლდათ. ათას ხუთასი მებრძოლი შეიარაღებული იყო არა მხოლოდ ტყვიამფრქვევებით, არამედ ნაღმტყორცნებითა და დაჯავშნილი ტექნიკითაც. ოპერაციაში სხვა პარტიზანული რაზმების ჩართვისთვის დრო არ კმაროდა. ამასთანავე, **შეიძლებოდა გერმანელებს ოპერაციის სამზადისი შეემჩნიათ და კონტრზომები მიეღოთ. ამიტომ, მიუხედავად უდიდესი საფრთხისა, მირკოვსკიმ გადაწყვიტა, საკუთარი ძალებით გაერთმია თავი დავალებისთვის.**

თავდაპირველად მეომრებმა შეისწავლეს თავდასხმის ობიექტი, რომელსაც უნგრელთა 200-კაციანი ბატალიონი იცავდა.




— ძალზე სწრაფად გაირკვა, რომ უნგრელები, გერმანელთაგან განსხვავებით, უკიდურესად დაუნდობელნი იყვნენ ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ, მაგრამ მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ გერმანელებს ობიექტის დაცვის ხარისხით. ისინი, ფაქტობრივად, ყოველ საღამოს თვრებოდნენ მოსახლეობისთვის წართმეული არყით და ცოტა ხანში მთვრალი უნგრელების ერთობლიობას მეომრებს ვეღარავინ უწოდებდა. ამ საქმით განსაკუთრებით იყო გატაცებული საყარაულო ერთ-ერთი ცვლის უფროსი, რომელიც მირკოვსკის აგენტებმა ჯერ ადგილობრივ მოსახლეობასთან გარკვეულ გაცვლით, კომერციულ ოპერაციებში ჩაითრიეს, შემდეგ კი, როდესაც სამხრეებიანი კომერსანტი მორიგი გარიგების მოლაპარაკებებზე მიდიოდა, მირკოვსკის მებრძოლებმა გზად შეიპყრეს და პირობა წაუყენეს — ან პარტიზანებს დახმარებოდა, ან ადგილზევე გამოასალმებდნენ სიცოცხლეს.



შეპყრობილმა და დაშინებულმა უნგრელმა ოფიცერმა მუშის ფორმებში გადაცმული მირკოვსკის დივერსანტები სარკინიგზო სადგურზე შეიყვანა. ამ უკანასკნელებმა კი პირველივე წუთებში დახოცეს ყარაულები და მათი ადგილები დაიკავეს. ამის შემდეგ **„ფეხოსნები“ უხმაუროდ შეიპარნენ სახლში, სადაც გერმანელ ოფიცრებს ეძინათ. გერმანელები ამოხოცეს, უნგრელებს კი საწყობიდან გამოტანილი სურსათი გაატანეს და გაუშვეს. ამის შემდეგ ისღა რჩებოდა, დაენაღმათ და აეფეთქებინათ სადგურის უკლებლივ ყველა ნაგებობა, რაც „ფეხოსნებისთვის“ სირთულეს აღარ წარმოადგენდა — ცოტა ხანში სარკინიგზო სადგური რაჩა აღარ არსებობდა.** მის აღსადგენად გერმანელებს არაერთი თვე დასჭირდებოდათ. სარკინიგზო ხაზი ოვრუჩ-ჩერნიგოვის პარალიზება კურსკის გაცხარებულ ბრძოლას დაემთხვა.



გერმანელებს ამ სადგურზე აღდგენითი სამუშაოების ჩატარება აღარც უცდიათ. უნგრელთა პოლკის უფროსის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო. ბატალიონი დაშალეს. **ფაშისტები მთელი სერიოზულობით განიხილავდნენ ვერსიას, რომ უნგრელებმა თავად ამოხოცეს სადგურზე მყოფი გერმანელი ოფიცრები, შემდეგ კი პარტიზანთა თავდასხმის იმიტაცია მოაწყვეს.**

**ამის შემდეგ „ფეხოსნები“ ისე მუშაობდნენ, თითქოს მათ დივერსიების ფაბრიკას ჩვეულებრივზე გადატვირთული გრაფიკი ჰქონდა. 1943 წლის გაზაფხულის მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ჩამონათვალში ხუთი პუნქტი ჩაიწერა: 1 მაისი — განადგურდნენ კომენდანტი და სამი ჟანდარმი; 4 მაისი — ჟიტომირიდან 8 კილომეტრში განადგურდა ცოცხალი ძალის ეშელონი; 7 მაისი — განადგურდა ჯარისკაცებით სავსე ორი სატვირთო მანქანა; 8 მაისი — ქალაქიდან 3 კილომეტრში განადგურდა საბრძოლო მასალებით დატვირთული ეშელონი; 19 მაისი — დაიცხრილა მექანიზებული კოლონა, ოფიცრების მსუბუქი მანქანა და ჯარისკაცებით სავსე რამდენიმე სატვირთო მანქანა განადგურდა; ამასთანავე განადგურდა სარემონტო ბაზა და 49 ავტომანქანა.**

1943 წლის მაისი გამონაკლისი არ იყო, ევგენი მირკოვსკის ყოველი თვე ანალოგიურ ჩამონათვალს მოიცავდა.



**ამ ყოველივეს უნდა დაემატოს ისიც, რომ „ფეხოსნების“ რაზმის ამფეთქებლებმა ოცზე მეტჯერ გამოიყვანეს მწყობრიდან მიწისქვეშა საკომუნიკაციო კაბელი, რომლითაც გერმანელების შტაბი ბერლინს უკავშირდებოდა.**

1943 წლის შემოდგომაზე მირკოვსკის რაზმი უკრაინიდან დასავლეთ ბელორუსიაში გადავიდა და თითქმის ორწელიწად-ნახევრის მანძილზე მტრის ზურგში ყოფნის შემდეგ, 1944 წლის ზაფხულში ბრესტთან განლაგებულ წითელი არმიის ნაწილებს შეუერთდა. **რაზმის მტრის ზურგში საქმიანობის საერთო მონაპოვარი შედგებოდა მოწინააღმდეგის სამი ათასზე მეტი მოკლული ჯარისკაცისა და ოფიცრისგან, 50-ზე მეტი განადგურებული ეშელონისგან, ხმელეთზე განხორციელებული დივერსიების შედეგად განადგურებული ორი ფაშისტური თვითმფრინავისგან და ცენტრში გაგზავნილი უდიდესი რაოდენობით უმნიშვნელოვანესი ინფორმაციისგან. არადა, „ფეხოსნების“ საერთო რაოდენობა ხომ სულ ოდნავ აღემატებოდა 300 ადამიანს.**



1944 წლის დასასრულს ევგენი მირკოვსკი დასავლეთ უკრაინის ტერიტორიიდან მოსკოვში დაბრუნდა. მხოლოდ დედაქალაქში დაბრუნების შემდეგ გაიგო, რომ ხელმძღვანელობას მისთვის პოდპოლკოვნიკის წოდება მიუნიჭებია. იქვე მიიღო თავისი საბრძოლო ორდენები. მაშინ შეხვდა საკუთარ ოჯახსაც, რომელიც ფრონტის ხაზს მიღმა გამგზავრების დროიდან — 1942 წლის მარტიდან — არ ენახა.

**ვასილ ხრისტოფოროვი, რფ-ის უშიშროების ფედერალური სამსახურის რეგისტრაციისა და საარქივო ფონდების სამმართველოს უფროსი:**

— მირკოვსკის ოჯახი, ისევე როგორც ოპერატიული ჯგუფების სხვა წევრებისა და მეთაურების ოჯახთა უმეტესობა, ევაკუირებული იყო ქვეყნის სიღრმეში. ყოველ შემთხვევაში, საამისოდ ზომების მიღებას იმხანად ყველანაირად ცდილობდნენ. მირკოვსკის ოჯახი ყაზახეთის ტერიტორიაზე გაასახლეს და ბელორუსიის გათავისუფლებამდე იქ ცხოვრობდა.

მაგრამ პოდპოლკოვნიკი მირკოვსკისთვის ომი ამით არ დასრულებულა. 1945 წლის თებერვალში იგი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის სპეც-ჯგუფს ხელმძღვანელობდა და კვლავ გაიგზავნა დასავლეთ უკრაინასა და ბელორუსიაში. მიუხედავად იმისა, რომ წითელმა არმიამ ჯერ კიდევ 1944 წლის ზაფხულში გაათავისუფლა ეს ტერიტორიები გერმანელებისგან, იქ ომი გრძელდებოდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

**იგი 1990-2000-იან წლებში ჩეჩნეთის ტერორისტული მოძრაობის აქტიური მონაწილე და ბანდფორმირების ერთ-ერთი ლიდერი იყო. 2006-2007 წლებში „იჩქერიის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტად“ მოიხსენიებდნენ, 2007 წლის ოქტომბერში კი ორგანიზაცია „კავკასიური ემირატის“ ამირად გამოაცხადა თავი. მკვლელობების, გამოსასყიდის მიღების მიზნით ადამიანთა გატაცების, უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებში მონაწილეობისა და ტერორისტული აქტების დაგეგმვის გამო ფედერალურ ძებნაში იმყოფებოდა. ჩეჩნეთის სახელმწიფო მეთაურის — რაზმან კადიროვის განცხადებით, იგი პირადად იტაცებდა და ხვრეტდა ადამიანებს.**

# დოკუ უმაროვი — ყველა არამუსლიმანი ჩვენი მტერია!







დოკუ უმაროვი იმხანად ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შატოის რაიონის სოფელ ხარსენში 1964 წლის 13 აპრილს დაიბადა. გროზნოს ნავთობის ინსტიტუტი მშენებელი-ინჟინრის სპეციალობით დაამთავრა და რუსეთის სხვადასხვა რაიონში მუშაობდა.

მისი ცხოვრება 1980-იანი წლებიდან გართულდა. **ყველაფერი იმით დაიწყო, რომ გაუფრთხილებლობის გამო მკვლელობისთვის გაასამართლეს. 1992 წლის 13 ივლისს კი ტიუმენის ოლქის პროკურატურამ მას კვლავ წაუყენა მკვლელობის ბრალდება, ოღონდ ამჯერად გაუფრთხილებლობა აღარაფერ შუაში იყო. პროკურატურის მასალების მიხედვით, უმაროვმა და მისმა თანამზრახველმა მუსა ატაევმა, მეტსახელად მოსოლმა, ტიუმენის ოლქის პატრუშევოს დასახლებაში ორი ადამიანი მოკლეს.**

მოზარდებთან კონფლიქტის შემდეგ უმაროვი და ატაევი სუბოტინების ოჯახში შევარდნენ და ოჯახის უფროსს მოსთხოვეს, ანგარიშსწორებისთვის მათთვის თავისი შვილი მიეცა. ცხადია, ამ მოთხოვნას არავინ დათანხმდებოდა. შედეგად ოჯახის უფროსს ესროლეს, მისი მეუღლე და შემთხვევითი მოწმე კი მოკლეს.

სამართალდამცავი ორგანოებისგან თავის დაღწევის მიზნით, უმაროვი ჩეჩნეთში გაემგზავრა და ჩეჩნეთის პირველი ომის დაწყებამდე რუსლან გელაევის მეთაურობით პოლკ „ბორზში“ მსახურობდა. შემდეგ მონაწილეობდა ჩეჩნეთის პირველ ომში და რუსეთის ჯარის წინააღმდეგ იბრძოდა. **1994 წლის დასასრულს დოკუ უმაროვი ბოევიკების ერთ-ერთ რაზმს ჩაუდგა სათავეში, 1996 წლისთვის კი ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის ბრიგადის გენერალი გახდა.**

1996 წლის დასასრულიდან დოკუ უმაროვმა არბი ბარაევთან ერთად სარფიან საქმეს მიაგნო — გამოსასყიდის მიღების მიზნით ადამიანთა გატაცება დაიწყო. სამართალდამცავი ორგანოების მონაცემებით, იგი უშუალოდ მონაწილეობდა 1999 წლის მარტში ჩეჩნეთში რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური წარმომადგენლის — გენადი შპიგუნის გატაცებაში. ამ მძევლის გათავისუფლების სანაცვლოდ უმაროვი 15 მილიონ დოლარს ითხოვდა.

1997 წლის 1 ივლისიდან დოკუ უმაროვი იჩქერიის პრეზიდენტის, ასლან მასხადოვის მთავრობაში ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი იყო, იმავე წლის ნოემბრიდან კი სათავეში ჩაუდგა დანაშაულთან ბრძოლის საკოორდინაციო შტაბს. **1998 წელს, იმავე მასხადოვმა ბრძანებით გაათავისუფლებულა ყველა თანამდებობიდან. ბრძანებას მწვავე მიზეზები ჰქონდა — უმაროვს ბრალი ედებოდა ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის პროკურატურის თანამშრომლებზე თავდასხმასა და ადამიანების გატაცებებში მონაწილეობაში.**

უმაროვმა სახალხოდ დადო პირობა, რომ პირადად დახვრეტდა მასხადოვს, თუ ეს უკანასკნელი რუსეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების გამართვას გადაწყვეტდა.

ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყებისთანავე უმაროვი აქტიურად ჩაერთო საბრძოლო მოქმედებებში და, ცხადია, ბოევიკების მხარეს იბრძოდა. 2000 წლის იანვარში დოკუ მძიმედ დაიჭრა თავში. ამ დროისთვის ის უკვე ხელმძღვანელობდა რამდენიმე ასეული ბოევიკისგან შემდგარ მსხვილ დაჯგუფებას, რომლის რიგებიც 2004 წელს კიდევ უფრო შეივსო მოკლული რუსლან გელაევის რაზმის წევრებით.

2002 წლის აგვისტოდან მასხადოვმა უმაროვი „დასავლეთ ფრონტის“ სარდლად დანიშნა, იმავე დღეებში დოკუმ მონაწილეობა მიიღო ვედენისა და ურუს-მარტანის რაიონების დასახლებული პუნქტების მიტაცებაში, მომდევნო წლის სექტემბერში კი — მაგასში და კისლოვოდსკში უშიშროების ფედერალური სამსახურის სამმართველოს შენობების აფეთქებაში.

**2002 წლის 27 დეკემბერს გროზნოდან მოზდოკის აეროპორტისკენ მიმავალ გზაზე დოკუ უმაროვის მონაწილეობით ჩეჩნეთის რესპუბლიკის პროკურატურის ორი თანამშრომელი — ალექს კლიმოვი და ნადეჟდა პოლოსოვი გაიტაცეს.**

მათი გათავისუფლება მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მოხერხდა უშიშროების ფედერალური სამსახურის სპეცოპერაციის შედეგად. **2003 წლის სექტემბერში მან კისლოვოდსკის მატარებელი და ინგუშეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის შენობა ააფეთქა. ამ ტერაქტებს ათი ადამიანი ემსხვერპლა, 70-ზე მეტი კი დაშავდა.**

2004 წლის მარტში დოკუ უმაროვმა თავი მოკლული რუსლან გელაევის მემკვიდრედ გამოაცხადა და რამდენიმე რაიონში ბოევიკების რაზმების კონტროლი გადაიბარა. იმავე წლის 22 ივნისს ინგუშეთში ბოევიკების რეიდი მოაწყო, 21 აგვისტოს კი გროზნოზე თავდასხმას სათავეში ჩაუდგა.

**2005 წლის 2 ივნისს ჩეჩნეთის რესპუბლიკა — იჩქერიის ხელმძღვანელის, აბდულხალიმ სადულაევის გადაწყვეტილებით, დოკუ უმაროვი იჩქერიის ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა და მანამდე დაკავებული თანამდებობა „ნაციონალური უშიშროების სამსახურის“ დირექტორობაც შეუნარჩუნდა.**

**2006 წლის 17 ივნისს, საიდულაევის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, დოკუ უმაროვი ჩეჩნეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკა იჩქერიის პრეზიდენტი გახდა. თავისი პირველივე ბრძანებით, მან ტერორისტი შამილ ბასაევი ვიცე-პრემიერის თანამდებობიდან გაათავისუფლა და ვიცე-პრეზიდენტად დანიშნა.**

2006 წლის 23 ივნისს ტერორისტების ინტერნეტსაიტებზე გამოქვეყნდა დოკუ უმაროვის მიმართვა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „ჩეჩნეთის კოლონიზაციის“ წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ტერორისტები არსებული ექვსი „ფრონტის“ გარდა კიდევ მთელ რიგ „ფრონტებს“ გახსნიდნენ და „რუსეთის რეგიონებში“ ბრძოლას გააფართოებდნენ. გარდა ამისა, დოკუ უმაროვმა პირობა დადო, რომ ყველი არსებული „ფრონტის“ სტრუქტურაში შექმნიდა ქვედანაყოფებს, რომელთა ამოცანაც ოკუპაციური ფორმირებებიდან ყველაზე ოდიოზური ნაციონალ-გამყიდველებისა და სამხედრო დამნაშავეების ლიკვიდაცია იქნებოდა. მათ შარიათის სასამართლომ სასჯელის უმაღლესი ზომა შეუფარდა.

**2007 წლის 3 ოქტომბერს უმაროვმა გარდაცვალების შემდეგ დაუბრუნა წოდება ბრიგადის გენერალ არბი ბარაევს, რომელიც აქტიურად იყო დაკავებული გამოსასყიდის მიღების მიზნით ადამიანთა გატაცებით. ასევე სიკვდილის შემდეგ მიანიჭა გენერალისიმუსის წოდება ტერორისტ შამილ ბასაევს.**

2007 წლის ოქტომბერში უმაროვმა „კავკასიის ემირატის“ შექმნის შესახებ გამოაცხადა და თავის მომხრეებს მოუწოდა, მხოლოდ რუსეთის კი არა, სხვა ქვეყნების წინააღმდეგაც ებრძოლათ: **„ჩვენ ისლამური საზოგადოების განუყოფელი ნაწილი ვართ. მე გულს მტკენს იმ მუსლიმანების პოზიცია, რომლებიც მტრად მხოლოდ უშუალოდ მათზე თავდამსხმელ კაფირებს აცხადებენ. ამასთანავე, თანაგრძნობასა და მხარდაჭერას ელიან სხვა კაფირებისგან და ავიწყდებათ, რომ ყველა არამორწმუნე ერთი ეროვნებაა. დღეს ავღანეთში, ერაყში, სომალში, პალესტინაში ჩვენი ძმები იბრძვიან. ყველა, ვინც კი თავს დაესხა მუსლიმანებს, სადაც არ უნდა იყვნენ, ჩვენი მტრები არიან, საერთო მტრები. ჩვენი მტერია არა მხოლოდ რუსეთი, არამედ ამერიკა, ინგლისი, ისრაელი — ყველა, ვინც ომს აწარმოებს ისლამისა და მუსლიმანების წინააღმდეგ“.**

ისლამური იდეოლოგის, მოვლადი უდუგოვის მიერ წამოწყებული ამ ხაზის წინააღმდეგ ახმედ ზაკაევი გამოვიდა. ზაკაევის მომხრეთა მტკიცებით, ეგრეთ წოდებული იჩქერიის პარლამენტის წევრთა სატელეფონო ხმის მიცემის შედეგების მიხედვით, ზაკაევი ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის პრემიერ-მინისტრად აირჩიეს. თავის მხრივ, კავკასიის ემირატის ხელმძღვანელობამ ზაკაევის მოღვაწეობა ანტისახელმწიფოებრივად გამოაცხადა. ამ საკითხის მოგვარება შარიათის სასამართლოსა და უშიშროების სამსახურს „მუხაბარატს“ დაევალა. ზაკაევს ბრალად სდებდნენ იჩქერიის პრეზიდენტების მასხადოვისა და საიდულაევის მკვლელობებში მონაწილეობას.

**უმაროვმა საკუთარ თავზე იწვნია ის სიმწარე, რაც თავად აგემა უამრავ ადამიანს: 2005 წლის 5 მაისს მისი 70 წლის მამა ხამადი, მეუღლე დაუდა და ექვსი შვილიდან ყველაზე პატარა, რომელიც მაშინ მხოლოდ 6 თვის იყო, ისევე გაიტაცეს, როგორც თავად დოკუ იტაცებდა ხალხს. ამ შემთხვევამდე რამდენიმე თვით ადრე გაიტაცეს დოკუს ძმა 43 წლის ახმადი, რომელსაც ოთხი არასრულწლოვანი შვილი დარჩა. 2003-2004 წლებში დოკუს ბიძაშვილები გაიტაცეს, 2005 წლის 12 აგვისტოს — მისი და ნატალია.**

ჩეჩნეთის სახელმწიფო მეთაურმა რაზმან კადიროვმა დოკუ უმაროვს არაერთხელ მოუწოდა, სამართალდამცავ ორგანოებს ჩაბარებოდა, ერთხელ კი განაცხადა: **„დაჟინებით მოვუწოდებ დოკუ უმაროვს, დაიჩოქოს და თვალზე ცრემლით სთხოვოს ხალხს პატიება. შენი მეგობარი ტერორისტები დასავლეთში გაიქცნენ, შენც გირჩევ, ასევე მოიქცე, თუ ხალხის წინაშე მუხლებზე დასადგომად ძალა არ გყოფნის... უმაროვისთვის ღირსეულ გამოსავალს ვხედავ — თავად დაიხალოს ტყვია ან წარსდგეს სასამართლოს წინაშე, თუ თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს“.**

კადიროვმა არაერთხელ განაცხადა, რომ უმაროვი სერიოზულად ავადმყოფობდა, პირში ერთი კბილიც აღარ ჰქონდა, გადაციებისგან ფეხები ულპებოდა და ზამთარს ვერ გადაიტანდა. ჩაბარების შემთხვევაში იგი ტერორისტს სრულფასოვან სამედიცინო დახმარებას ჰპირდებოდა, მაგრამ უმაროვს ჩაბარება არც უფიქრია.

**2010 წლის 31 მარტს დოკუ უმაროვის 29 მარტით დათარიღებული მიმართვა გავრცელდა. მან საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა 2010 წლის 29 მარტს მოსკოვის მეტროში განხორციელებული ტერაქტისთვის.**

მისი გარდაცვალების შესახებ ძალოვანმა სტრუქტურებმა და მასმედიამ შვიდჯერ განაცხადეს. ამ განცხადებებიდან ექვსი ოფიციალურად უარყვეს, არც მეშვიდე დადასტურდა.





გვერდები მოამზადა **მაია სვიანაძემ**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## პორნოგრაფია დეპუტატებისთვის



**ინდონეზიელ პარლამენტარებს პარლამენტის შენობაში პორნოგრაფიული ვიდეო უჩვენეს. როგორც ადგილობრივი მედია იუწყებოდა, პარლამენტის პრეცენტრში მსხდომი ჟურნალისტები თავად შეესწრნენ აღნიშნულ ფაქტს.** პორნოვიდეოს ტრანსლირება მიდიოდა დიდ ეკრანზე, სადაც, როგორც წესი, კენჭისყრის შედეგებს აქვეყნებენ ხოლმე. უხამსი კადრები პრესცენტრში არსებულ იმ მონიტორებზეც გავიდა, რომელთა საშუალებითაც ჟურნალისტები სხდომის მიმდინარეობას აკვირდებიან. პოლიცია ვარაუდობს, რომ ეს ჰაკერული შეტევა პირდაპირ პარლამენტის შენობიდან განხორციელდა. დამნაშავეები ჯერჯერობით ვერ იპოვეს. სავარაუდოდ, ჰაკერებმა პარლამენტის საიტი გატეხეს, საიდანაც სხდომის მიმდინარეობის ტრანსლირება დიდ ეკრანზე ხდება ხოლმე. გატეხილ საიტზე კი პორნოვიდეო ატვირთეს. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები სათვალთვალო ვიდეოკამერების ჩანაწერის შესწავლას გეგმავენ. შეტევის მიზეზი ინდონეზიაში პორნოსაიტებზე ხელმისაწვდომობის აკრძალვის გამო პროტესტის გამოხატვა გახდა.

## რობოტი ოფიციანტები



**ჩინეთის ჩრდილოეთით გაიხსნა მსოფლიოში პირველი რესტორანი, სადაც მომხმარებლებს რობოტი ოფიციანტები მოემსახურებიან.**

მექანიკური პერსონალი მუდმივ ღიმილსა და თავაზიან მომსახურებაზეა დაპროგრამებული. რესტორანში ასევე, ათამდე ანდროიდია, რომლებიც ფილმ „ვარსკვლავური ომების“ პერსონაჟებს ასახიერებენ. რობოტებს ჩამონტაჟებული აქვთ სენსორები, რომლებიც მოძრაობაზე რეაგირებს; ეს მათ ლანგრების ტარების საშუალებას აძლევს. ამასთან, სენსორების მეშვეობით რობოტები რესტორნის სტუმრებს არ ეჯახებიან.

## ყველაზე ძვირფასი ნაძვის ხე



**13-მეტრიანი ნაძვის ხე, რომელიც თვალისმომჭრელად არის განათებული, ტრადიციული სათამაშოების ნაცვლად, ზურმუხტის, ფირუზისა და ბრილიანტის სათამაშოებითაა მორთული.** ნაძვის ხის ტოტებზე სამაჯურები, მძივები და ექსკლუზიური საათები ჰკიდია. ზღაპრული ნაძვის ხის ღირებულება 11 მილიონი დოლარია. მის უსაფრთხოებაზე მუდმივად ზრუნავს რამდენიმე მცველი და სათვალთვალო კამერაც აკონტროლებს. დიდებული ნაძვის ხე, რომელსაც ყველა პირობა აქვს, რომ გინესის რეკორდების წიგნში მოხვდეს, აბუდაბის სასტუმრო Emirates Palace-ის ჰოლში დგას. ეს ის სასტუმროა, სადაც ოქროს ზოდებს ავტომატი ყიდის.

# მსოფლიოს ამერიკის ჰეგემონია მოსწყინდა

**ცოტა ხნის წინათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინგლისურენოვანმა გამოცემამ „China Daily and Peoples Daily Online“-მ გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ ჩინეთისა და რუსეთის შეთანხმების მიხედვით, ერთმანეთში ვაჭრობისთვის ამერიკული დოლარის ნაცვლად იუანსა და რუბლს გამოიყენებენ. რუსები და ჩინელები ამ ნაბიჯს საკუთარი ეკონომიკის დოლარის, როგორც სარეზერვო ვალუტის სტატუსთან დაკავშირებული რისკებისგან დაცვის აუცილებლობით ხსნიან. ამ უმნიშვნელოვანეს ფაქტს ამერიკულ პრესაში არავინ გამოხმაურებია — სირაქლემას თავი კვლავ მიწაში აქვს ჩარგული.**



მანამდე ჩინეთმა ანალოგიური შეთანხმება გააფორმა ბრაზილიასთან და, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყანა საერთაშორისო ვაჭრობისთვის სულ უფრო მეტ დოლარს ღებულობს, რუსული რუბლი და ბრაზილიური რეალი ურჩევნია. ამერიკული პრესა თავს იმით იმშვიდებს, რომ ევროპაში დეფოლტების საფრთხით დაშინებული ინვესტორები ევროსა და ფუნტ სტერლინგს დოლარს ამჯობინებენ, მაგრამ ეს სავალუტო ტრანზაქციები მხოლოდ ევროპული ვალების კურსს ამცირებს და სულაც არ ნიშნავს დოლარის კურსის გამყარებას.

**დოლარის, როგორც მსოფლიო სარეზერვო ვალუტის სტატუსი აშშ-ის ფინანსური ჰეგემონიის ერთერთი უმთავრესი ინსტრუმენტია. ევროპას დოლარი აღარ სჭირდება და, როგორც კი ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები დოლარზე, როგორც ნავთობისთვის ანგარიშსწორების ვალუტაზე უარს იტყვიან, მისი ჰეგემონიაც დასრულდება.**

ამერიკული ჰეგემონიის მეორე საყრდენი საერთაშორისო სავალუტო ფონდია. როგორც კი რომელიმე ქვეყანა ამერიკული ბანკებისთვის ვალის დაბრუნებას ველარ ახერხებს, ის საქმეში ერთვება და გადასახადების გაზრდით, ასევე, განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების დაფინანსების შემცირებით ამ ქვეყნის მოსახლეობისთვის ცხოვრების დონეს დაბლა სწევს. ასე გრძელდება, ვიდრე ბანკირები თავიანთ ფულს არ დაიბრუნებენ. ასე დაემართა ირლანდიას, ასე დაემართება პორტუგალიას, ესპანეთს და, შესაძლოა, საფრანგეთსაც. მაგრამ **მას შემდეგ, რაც ამერიკამ მსოფლიოს ფინანსური კრიზისი მოსდო, მსოფლიო სავალუტო ფონდის როლი სულ უფრო ნაკლებად ამართლებს და მალე, შესაძლოა, ქვეყნების ხელისუფლებებმა ველარ გაყიდონ საკუთარი ხალხი ამერიკული ბანკების გადასარჩენად.**

**მთელი რიგი ქვეყნები უკვე ღიად გამოხატავენ, რომ დაიღალნენ აშშ-ის ჰეგემონიისგან. მაგალითად თურქეთი მრავალი წლის მანძილზე ცხოვრობდა თურქული არმიის წნეხქვეშ, ეს არმია კი აშშ-ის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.** ახლახან ამ ქვეყნის მთავრობამ მკაცრი ზომები მიიღო პუტჩის მზადებაში ბრალდებული მაღალჩინოსნების მიმართ. ქვეყნის პრემიერმა კი განაცხადა, რომ თუ ისრაელი ლიბანს დაესხმება თავს, თურქეთი აქტიურ კონტრზომებს მიმართავს, ასე რომ, **თურქეთი ნელ-ნელა თავისუფლდება ამერიკის გავლენისგან და, შესაძლოა, მას მალე გერმანიამაც მიბაძოს.**

ამავე დროს, აშშ-ის ამერიკული ჯოგი თავისი მბრძანებლების მორჩილი რჩება. ობამას ადმინისტრაციამ მოახერხა, შეექმნა კომისია, რომელიც ტრილიონებს გადაიხდის ომისთვის და ფინანსური სისტემის გადარჩენისთვის სოციალური უზრუნველყოფის შემცირებისა და საპენსიო ასაკის გაზრდის ხარჯზე, უმრავლესობისთვის გადასახადების გაზრდისა და ზემდიდრებისთვის მათი შემცირების ხარჯზე. **აშშ-ის მთავრობას ფული მხოლოდ აგრესიული ომებისთვის, პოლიციური აპარატის გაძლიერებისა და უმდიდრესი ბანკირების გადარჩენისთვის აქვს. მმართველი ოლიგარქები ამერიკელ მოქალაქეებს უკანასკნელ სისხლს სწოვენ.**

**პოლ კრეიგ რობერტსი,**
**დისიდენტი, წარსულში აშშ-ის ფინანსთა მინისტრის მოადგილე, „Wall Street Journal“-ის ერთ-ერთი რედაქტორი, უმსხვილესი უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომელი**

*left.ru*

# 2010 წლის კატასტროფები 222 მილიარდი დაჯდა

**2010 წლის ეკონომიკურმა დანაკარგებმა სტიქიური უბედურებებისა და ანთროპოგენური კატასტროფების გამო 222 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც სამნახევარჯერ აღემატება 2009 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს — 63 მილიარდ დოლარს.**

წელს კატასტროფებისა და სტიქიური უბედურებების გამო სადაზღვევო სააგენტოებმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით 36 მილიარდი დოლარი გადაიხადეს, ეს კი 34%-ით აღემატება 2009 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

**გარდაცვლილ ადამიანთა რაოდენობამ 1976 წლის შემდეგ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია: 2010 წლის კატასტროფებსა და სტიქიურ უბედურებებს 260 ათასი ადამიანი ემსხვერპლა, 2009 წელს ეს მაჩვენებელი 15 ათასს არ აღემატებოდა.**

სიკვდილის შემთხვევათა უმეტესობა ჰაიტიში იანვარში მომხდარ მიწისძვრაზე მოდის. მაშინ საერთო ჯამში 222 ადამიანი დაიღუპა. ამას დაემატა რუსეთის ანომალური სიცხეები, რასაც საერთო ჯამში — 15 ათასი, ჩინეთისა და პაკისტანის წყალდიდობებს კი — 6 225 ადამიანი შეეწირა.

თებერვალში ჩილეში 8,8-ბალიანი მიწისძვრის შედეგად 800 ადამიანი დაიღუპა. სამი ათასი ადამიანი შეიწირა, 100 ათასი კი უსახლკაროდ დატოვა ჩინეთში, ცინხაის პროვინციაში, აპრილში მომხდარმა მიწისძვრამ. ოქტომბერში მსხვერპლმა 500-ს გადააჭარბა ინდონეზიაში 7,7-ბალიანი მიწისძვრის შემდეგ სანაპიროზე თავსდატეხილი ცუნამის გამო.

ნოემბერში კუნძულ იავაზე ვულკანის ამოფრქვევის გამო ასობით ადამიანი დაიღუპა.

**ყველაზე ძვირადღირებული ჩილეს მიწისძვრა აღმოჩნდა.**



წინასწარი მონაცემებით, სადაზღვევო ინდუსტრიას ის 8 მილიარდი დოლარი დაუჯდა. ახალ ზელანდიაში მიწისძვრა 2,7 მილიარდი დაჯდა, ქარიშხალმა „სინტიამ“ კი ევროპაში 2,8 მილიარდ დოლარად ღირებული დაზღვეული დანაკარგები განაპირობა.

გაცილებით რთული დასათვლელია დანარჩენი კატასტროფებისგან გამოწვეული ეკონომიკური ზარალი. აპრილში ისლანდიაში ამოფრქვეული ვულკანის გამო მთელს დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპაში ავიამიმოსვლები რამდენიმე კვირის განმავლობაში, ფაქტობრივად, ვერ ხორციელდებოდა. იმავე პერიოდში აფეთქდა „British Petroleum“-ის საბურღი კოშკურა და დაიწყო აშშ-ის ისტორიაში ნავთობის გაჟონვის ყველაზე კატასტროფული ისტორია. გაჟონვის შეჩერება მხოლოდ სამი თვის შემდეგ — ივლისში მოხერხდა, ჭაბურღილის დახურვა კი — სექტემბერში.

**ახალ მოხსენებაში მსოფლიო ბანკი და გაერო ხაზს უსვამენ, რომ ეფექტური პროფილაქტიკური ზომები სტიქიური უბედურებებისგან მოყენებულ ზარალს შეამცირებს. 1970-დან 2008 წლამდე სტიქიამ 3,3 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.**

პროგნოზების მიხედვით, კლიმატი რომც არ შეიცვალოს, 2100 წლისთვის ამინდთან დაკავშირებით დანახარჯები ყოველწლიურად 185 მილიარდ დოლარს შეადგენს, კლიმატის ცვალებადობის გამო კი ტროპიკული ციკლონების ზარალის ასანაზღაურებელ 68 მილიარდს კიდევ 28 მილიარდი დაემატება.

*„Monsters&Critics“*

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# იუვენალური იუსტიცია, პედოფილია და ევროპის დეგრადაცია



**ცივილიზებულ ქვეყნებში ნამდვილი საოცრებები ხდება. რამდენიმე წლის წინათ შეიკრიბა ევროსაბჭოს ეთიკის კომისია, აწონ-დაწონა ყველა გარემოება და დაადგინა: არაფერია არაეთიკური იმაში, რომ ადამიანის სხეული ბიოკონსტრუქტორად იქნეს გამოყენებული და კიბერ-მოწყობილობად გადაკეთდეს. სულ ცოტა ხნის წინათ ევროსაბჭომ განსახილველად წარმოადგინა მიცვალებულთა რაციონალური უტილიზაციის პროექტი. თურმე ეკოლოგიას გაფრთხილება სჭირდება და გაცილებით რაციონალური იქნება, თუ მიცვალებულს მარილებში გავხსნით და კანალიზაციაში ჩავუშვებთ, ან სასუქად გადავამუშავებთ და ყვავილებს დავუყრით.**



არავინ უარყოფს, რომ ხანდახან სახელმწიფო უსამართლოა და საზოგადოებისთვის ზოგჯერ სულერთია თავისივე წევრთა ბედი, ადამიანები კი არასაკმარისად კეთილნი არიან. და რაც უფრო ნაკლებად ქმედუნარიანია ადამიანი, მით უფრო მეტად საჭიროებს იგი სოციალური დაცვის მექანიზმებს. უპირველესად, ეს მოხუცებსა და ბავშვებს ეხება. თუ ამ ლოგიკით იუვენალურ იუსტიციას განვიხილავთ, მის წინააღმდეგ რაიმე პრინციპული წინააღმდგობის არსებობა გამორიცხულია, XX საუკუნის დასაწყისში საბჭოთა კავშირშიც იყო ბავშვებისადმი გაცილებით ჰუმანური სასამართლო და სასჯელაღსრულების დაწესებულებები.

**მაგრამ ფოკუსი იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებაში მისი წარმოშობისა და გავრცელების აუცილებლობის გამართლებას არაფერი აქვს საერთო ევროპის სახელმწიფოებში მის რეალიზაციასთან. „ბავშვების ბოროტებისგან დასაცავად“ მოწოდებული სისტემა სინამდვილეში იქცა ათასგვარი თითიდან გამოწოვილი მიზეზით მშობლებისთვის შვილების წართმევის განვითარებულ ქსელად, რომელიც საზოგადოებაში შიშს, პირად უპასუხისმგებლობას, ადამიანების ატომიზაციასა და სოციალური სტრუქტურების რღვევას განაპირობებს.**

სოციალურ საქმეთა გენერალური ინსტრუქტორის — პიერ ნავესას და იურიდიული განყოფილების გენერალური ინსტრუქტორის — ბრიუნო კატალას მოხსენებების თანახმად, **არასრულწლოვანთა სასამართლოებმა და სოციალურმა სამსახურებმა 2000 წლისთვის მშობლებს ორი მილიონი ბავშვი წაართვეს, ამ შემთხვევათა ნახევარს იურიდიული საფუძველი არ გააჩნდა. გერმანიაში ყოველწლიურად 28 ათასამდე ბავშვს აშორებენ საკუთარ ოჯახს, სულ რაღაც 5-მილიონიან ფინეთში — 11 ათასს.**

ამასთანავე, არსებობს იუვენალური სახელმწიფო საკუთრების სისტემაც. ბავშვების დაცვის მხრივ, „მზრუნველობისა და მეურვეობის“ ობიექტები, როგორც წესი, ხდებიან ხოლმე უზრუნველყოფილნი და, საერთო ჯამში, კანონმორჩილი საშუალო კლასის ოჯახები, მაშინ, როდესაც სინამდვილეში ევროპული სტანდარტების დამრღვევი მრავალშვილიანი აზიური ან აფრიკული ქვეყნებიდან წამოსულ მიგრანტთა ოჯახები სახელმწიფო ჩინოვნიკებს არც აინტერესებთ.

**ბავშვთა დაცვის სამსახურების თანამშრომლები ქალალდებში არიან ჩაფლულნი. მათ, როგორც წესი, ცუდი განათლება აქვთ — მაქსიმუმ სოციალური პედაგოგიკის ოთხი სემესტრი.**

ამასთანავე, ისინი ერთდროულად უნდა იყვნენ პოლიციელებიც, ფსიქოლოგებიც და სოციალური თანამშრომლებიც. სულაც არაა გასაკვირი, რომ მცდარი გადაწყვეტილებები რეგულარული მოვლენაა. **პირველი და ხშირად ერთადერთი მათი რეაქცია ნებისმიერ პრობლემაზე ბავშვის ოჯახისთვის წართმევა და საქმის დახურვაა.**

თუ ოჯახის ქცევაში ერთხელ მაინც დაფიქსირდა რაიმე შეცდომის ეჭვი, ეს სამსახური სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდება ამ ოჯახს.

ამ ყველაფრის პარალელურად, ბავშვების წინაშე მდგარ რეალურ პრობლემებს პედოფილების მხრიდან განხორციელებულ ძალადობებს, სასტიკ დამოკიდებულებას თვითმკვლელობამდეც კი, იუვენალური იუსტიციის სამსახურები უბრალოდ ვერ აგვარებენ. **ისინი მხოლოდ მშობლებისა და საერთოდ ოჯახის ინსტიტუტისადმი, საბოლოოდ კი თავად ბავშვებისადმი ტერორის განხორციელებით შემოიფარგლებიან.** ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითით გერმანულ ქალაქ ვორმს შეუძლია იამაყოს. **1993 წელს იქ იუვენალელებმა 27 მშობლისა და ბებია-ბაბუისგან შემდგარი „პედოფილების“ მთელი ქსელი აღმოაჩინეს. 15 არასრულწლოვანი „მსხვერპლი“ უმალ გაამწესეს ინტერნატში, „დამნაშავეები“ კი დააპატიმრეს.** ოთხწლიანი სასამართლო პროცესის მანძილზე ბრალდებულთა უმეტესობამ დაკარგა სამსახური, გაკოტრდა, გაეყარა მეუღლეს, ერთ-ერთი საერთოდაც გარდაიცვალა. ოთხი წლის შემდეგ კი სასამართლომ დაადგინა, რომ ამ ადამიანებს დანაშაულის შემცველი ქმედება არასდროს განუხორციელებიათ. ამ ისტორიის მთელი ტრაგიზმი კი ისაა, რომ **სინამდვილეში პედოფილი აღმოჩნდა იმ ინტერნატის დირექტორი, რომელშიც ზემოხსენებული 15 ბავშვი გაამწესეს და რომლის გამოაშკარავება მხოლოდ 2007 წელს მოხერხდა.** უნდა აღინიშნოს, რომ არც მაშინ და არც ბავშვების წინააღმდეგ ჩადენილი უამრავი სხვა მსგავსი დანაშაულისას ჩინოვნიკთაგან არასდროს არავინ დასჯილა. **ეს სისტემა არის სადამსჯელო რაზმი, რომელიც ოჯახის ინსტიტუტის წინააღმდეგ მოქმედებს.**

ოჯახის ინსტიტუტისა და ბიოლოგიური მშობლების წინააღმდეგ მოქმედებს განათლების დეზორიენტირებული სისტემაც, რომლის მიხედვითაც სწავლება აგებულია არა მსოფლიოს სისტემური სახით ფორმირების პრინციპზე, არამედ უსარგებლო და ხშირად საზიანო ხმაურზე, რომელიც აბსოლუტურად უსარგებლო და ხშირად საზიანოცაა ბავშვებისთვის, ვინაიდან მათ ასაკს არ შეესაბამება. **საუბარია, უპირველეს ყოვლისა, სექსუალურ საკითხთა ნაადრევ და ჭარბ სწავლებაზე, არაკომპეტენტურ ფსიქოტრენინგებზე, უფლებების სწავლებაზე პასუხისმგებლობებთან მათი კავშირის განუმარტავად და ასე შემდეგ.** ამ სისტემას სადამდეც მიჰყავს საქმე, საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ ლამის პირდაპირი გაგებით საკუთარ თავზე იწვნია, როდესაც ერთ-ერთი „იუვენალური დაცული“ ცენტრის სტუმრობისას ლამის ბოთლი მოხვდა თავში. **არადა, „ბავშვობის დამცველთა მზრუნველობისგან“ თავის დაღწევა უმკაცრესად ისჯება როგორც მშობლების, ასევე თავად ბავშვებისათვისაც და, შესაძლოა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სამუდამოდ გამოკეტვითაც დასრულდეს.**

ევროპაში იუვენალური იუსტიციის მიზანი ძირძველი ევროპელების მიმართ სავსებით თვალნათელია — **უზრუნველყოს საზოგადოების მიყვანა ოჯახისა და პიროვნების ინსტიტუტების სრულ რღვევამდე. ამის მიზანი ქრისტიანულ მორალურ ღირებულებებზე დაფუძნებული ევროპული კულტურის მიზანმიმართული განადგურებიდან ადამიანის კიბერ-ნახევარცხოველად ქცევამდე ყველაფერს მოიცავს. ამგვარი ადამიანის ერთადერთი ფუნქცია და დანიშნულება კი „ახალ მსოფლიო წესრიგში“ მონად მისი გამოყენებით შემოიფარგლება.** ეს ტენდენცია სულაც არაა ფანტასტიკის სფერო, მით უფრო, თუ ჯერ კიდევ გვახსოვს, რომ ადამიანს ცხოველისგან სწორედ მორალი განასხვავებს. წაართვით ადამიანს მორალი და მის ნაცვლად მეტ-ნაკლებად გაწვრთნილი მხეცი შეგრჩებათ ხელთ.



*fondsk.ru*

## 19 ქალი — ერთ მანქანაში




**პაკისტანელმა სტუდენტებმა მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. მცირე ზომის Smart-ის ავტომობილში 19 გოგონა მოთავსდა.**

გოგონებმა ავტომობილის სივრცე მაქსიმალურად გამოიყენეს და შედეგად გინესის რეკორდების წიგნშიც მოხვდნენ. რეკორდი არაბეთის ზღვის სანაპიროზე მდებარე საპორტო ქალაქ ყარაჩის ერთ-ერთი სპორტული კლუბის ტერიტორიაზე დამყარდა. მსგავსი რეკორდი 2010 წლის იანვარში ავსტრალიელმა სტუდენტებმაც დაამყარეს. 25 იანვარს 18 ავსტრალიელი Smart-ის ფირმის ავტომობილში მოთავსდა. ახლა მათი რეკორდი ერთი გოგონათი გაუმჯობესებულია.

## არატრადიციული სექსი ბავშვებისთვის




**ბერლინის სკოლებში დაიწყო პროექტი „90 წუთი სექსუალური მრავალფეროვნების შესახებ“, რომლის მიზანია, არასრულწლოვნებს სიყვარულის არატრადიციული ფორმები გააცნოს.** გაკვეთილები იმ კლასებში ჩატარდება, რომლებშიც მიგრაციული ფესვების მქონე მოსწავლეები სჭარბობენ. პროექტის „90 წუთი სექსუალური მრავალფეროვნების შესახებ“ მეთოდიკა ბერლინისა და ბრანდერბურგის სექსუალური უმცირესობების კავშირმა შეიმუშავა და მას ბერლინის სენატმა არამარტო მხარი დაუჭირა, სასწავლო სახელმძღვანელოს მომზადებაში ფინანსური დახმარებაც გაუწია. გაკვეთილზე მასწავლებელი ილუსტრაციისთვის სამ ფოტოს იყენებს. მათზე გამოსახულია როგორ კოცნის გოგო ბიჭს, ბიჭი — ბიჭს და გოგო — გოგოს.

## ყველა პრეზიდენტი ერთად



**ვაშინგტონში, მადამ ტუსოს მუზეუმში, ერთდროულად აშშ-ის 44 პრეზიდენტის ცვილის ფიგურას დადგამენ. პროექტი ორ მილიონ დოლარზე მეტი დაჯდება.** ტურისტებისა და სტუმრებისთვის ქალაქის გალერეა 17 თებერვალს გაიხსნება. 21 თებერვალს კი აშშ-ში პრეზიდენტების დღე აღინიშნება და ეს დღე ჯორჯ ვაშინგტონისა და აბრაამ ლინკოლნის ხსოვნას მიეძღვნება. გალერეის ორგანიზატორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს იქნება ერთადერთი ადგილი მსოფლიოში, სადაც დამთვალიერებლებს შეეძლებათ აშშ-ის ყველა პრეზიდენტის ცვილის ფიგურა იხილონ. ერთი სკულპტურის შექმნისთვის საშუალოდ სამი-ოთხი თვეა საჭირო. სახეების შექმნისთვის სკულპტორებს ასობით ფოტოს შესწავლა და ვიდეოჩანაწერების ნახვა მოუწევთ. ფიგურების ნაწილი უკვე მზადაა. აშშ-ის ამჟამინდელი პრეზიდენტის ბარაკ ობამასა და მისი მეუღლის ცვილის ფიგურა მუზეუმში 2009 წელს განათავსეს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ჯგრაგ ბამბლუაშ
## ქვემო სვანეთი

**სანამ ჩოლურიდან ლაშხეთის თემში გადავინაცვლებდეთ, ლეუშერში შევდივართ, რომელიც ჩვენი მასპინძლის — ჯოყოლა ჩეგიანის მშობლიური სოფელია (ისე, ჩეგიანების ბუდე ადიშის თემი და სოფელი ხალდეა). ლეუშერის ძველი საყდრის თაობაზე წინა მოგზაურობისას გამოვთქვით ვარაუდი, რომ მამის (თეკალის) მაცხოვრის ეკლესიის XIV საუკუნის ერთი ხატის წარწერაში ნახსენები „ლშრის მაცხოვარი“ სწორედ ამ სოფლის მაცხოვრის ეკლესია უნდა ყოფილიყო. მის ადგილზე ამჟამად ახლახან აშენებული „თარინგზელი“ (მთავარანგელოზი) დგას.**


ხერიის „წმ. გიორგი“ და მისი ხატი



ლეუშერის მერე სოფელ ფანაგას გავდივართ, სადაც ჩვენს ყურადღებას იქცევს ძალიან ლამაზი, ძველებური ნალია. ფანაგის მოპირდაპირედ, ცხენისწყლის გაღმა ნასოფლარი დეცილია, საიდანაც ლატფარის უღელტეხილით ზემო სვანეთში, კერძოდ კი კალის თემში გადადის გზა. ეს საურმე გზა ახლა გაფუჭებულია, არადა უწინ ენგურის ხეობაში გადასასვლელ ყველაზე მოხერხებულ გზად სწორედ იგი მიიჩნეოდა და არა ყორულდაშიდან უშგულში, ზაგაროს უღელტეხილით, მიმავალი დღევანდელი სამანქანო გზა.

ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში რომ ლატფარის გზა დომინირებდა, ამას, სხვა თუ არაფერი, გრაფინია უვაროვას და პოლიექტორ კარბელაშვილის ორი მოგზაურობის მარშრუტიც ადასტურებს.

ნასოფლარ დეცილის შემდეგ, ცხენისწყლის იმავე, მარჯვენა სანაპიროზე, სოფელი ჭველფია. ლაშხეთი ამის შემდეგ, ბობოქარი შენაკადის ხეშკურის მეორე ნაპირიდან, იწყება. აქ პირველი სოფელი ლუჯია.

სანამ სოფლის ზედა უბანში მდგარ ეკლესიამდე მივიდოდით, მთაში რომ იცის, ისეთმა მოულოდნელმა, კოკისპირულმა და ხანმოკლე წვიმამ ერთიანად გაგვლუმპა.

ლუჯის ეკლესია წმინდა გიორგის სახელობისაა. იგი სიგრძეში 9,4 მ-ია, სიგანეში — 6,1 მ, ნაგებია შეძლებისდაგვარად კარგად გათლილი შირიმის ქვით და გარედან, საბედნიეროდ, შელესილ-შეთეთრებული არ არის (მგონი, ლაშხეთში წესად არ ჰქონდათ ტაძრების ფასადების შელესვა და მოხატვა).

ტაძარს, ერთის მხრივ, სიმაღლეში ქვათა წყობის რამდენიმე რეგისტრი აკლია, მეორეს მხრივ კი მიწაში აქვს ჩამჯდარი ფუძე. ამის გამო იგი დაბალი და არაპროპორციული ჩანს, მაგრამ რას იზამ — ადგილობრივ რესტავრატორებს მეტი ვერ მოუხერხებიათ, ტაძარი ამ დონეზე დაუტოვებიათ და ჩვეულებრივი, ორფერდა სახურავით გადაუფარავთ. ერთი სიტყვით, ტაძარში წვიმა არ ჩადის. ეკლესია ნათდება 3 სარკმლით, რომელთაგან ყველაზე ვიწროს, საკურთხევლისას, საკლიტურის ფორმა აქვს. ფასადებზე ორი პრიმიტიული რელიეფია. სამხრეთ კედლის დასავლეთ მონაკვეთში ხელია ამოკვეთილი, ხოლო ერთადერთი, დასავლეთის, კარის გამჭვარტლულ ბალავარზე — უცნაურ რკალებში ჩასმული ჯვარი და კიდევ უფრო უცნაური ორი მითოსური ნადირი. მარჯვენა მხეცი, ფართის სიმცირის გამო, შვეულადაა დაყენებული, მარცხენა ნადირი — ჩვეულებრივად, მაგრამ მას ზღაპრული თავი და გიგანტური ჭანგები აქვს. ეკლესიის შიგნით, გრძივი კედლების ცენტრში ჩადგმულია მსხვილი და ტლანქი, 2-საფეხურიანი პილასტრები, რომელთა ნაპირებიდან ასევე ტლანქი ყრუ თაღედები გადადის. ტაძარში შემორჩენილია ოდინდელი, 6 სვეტიანი ქვის კანკელი. ძველთაძველი ჩანს შირიმის ქვით აწყობილი ტრაპეზის ქვაც. საყდარი IX-X საუკუნეთა ნაგებობა უნდა იყოს.

ლუჯიდან დროებით ცხენისწყლის მარცხენა სანაპიროზე ვბრუნდებით და სოფელ საშაშში შევდივართ, სადაც ფანაგის მსგავსი 2 ძალიან ლამაზი ნალია იქცევს ჩვენს ყურადღებას. ამის მერე მიტოვებულ და გაპარტახებულ კურორტ მოაშში ავდივართ. ახლო წარსულს რომ თავი დავანებოთ, აი რას წერდა მოაშის თაობაზე 1903 წლის „ივერიაში“ პ. კარბელაშვილი: **„ავედით, სამკურნალო წყალზედ, მაღლა ტყეში... ღმერთმა შეარცხვინა ქალაქებში ევროპიული სასმელი წყლები — ზელტერი, ლიმონადი და სხვ. მის მშვენიერ, გემრიელ სიმჟავესთან — პირს შუშხამს და ცხვირითგან მწვავედ გამობლდა... საითაც გადავდგი ფეხი, რკინის წყალი გამოჩხრიალებს... მუაშის აღმოსავლეთით, უფრო მაღლა, არის გოგირდის საბანებელი წყალი. ზაფხულობით კარგა ბლომად დაიარება ხალხი ამ წყლებზედ — ლეჩხუმიდან, იმერეთიდან“.** აი, ასეთი კურორტი დავაქციეთ „დემოკრატიის“ მშენებლებმა.

მოაშიდან ჩამოსულებმა სოფელ ხერიაში გადავწყვიტეთ შევლა და კიდევ ერთ მორყეულ ხიდზე რის ვაივაგლახით გადავედით.

ამ პატარა და კოხტა სოფელში სულ 9 სახლია, მაგრამ უმეტესობის კარი გამოკეტილია. მხოლოდ ოთხი ოჯახი დგას მყარად: **თედორაძეები, ლობჟანიძეები და ნიჩბიანები. როგორც დაზმირ ნიჩბიანი გვეუბნება, ისინი ძველად მიჩბუანები ყოფილან და მათი არც თუ ისე შორეული წინაპარი ზემო სვანეთიდან, მულახიდან ჩამოსახლებულა. ხერიაში მიჩბუანებსაც და თედორაძეებსაც ლობჟანიძეები დახვედრიან.**


გაუკაცრიელებული კურორტი მოაში

დაზმირ ნიჩბიანის სახლის გვერდზე დგას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელთანაც დაკავშირებულია ხალხური კალენდრის დასაწყისის, 14-15 იანვრის სვანური რიტუალი.

**ძველ სვანეთში ახალწლის პირველ დღეს ასეთი ტრადიცია იყო: კაცები ტყეში მიდიოდნენ დიდი ხის მოსაჭრელად. მერე ამ ხეს მორად აქცევდნენ (გასხიპავდნენ) და სოფელში ჩამოიტანდნენ. სოფლად შემოსულებს მორზე აუცილებლად პატარა ბიჭი უნდა შემოესვათ და სავედრებელი სიმღერაც დაეგუგუნებინათ: „ბამბლუაშ, ბამბლუაშ ჯგრაგ!..“** — ე.ი. სიკეთის ტვირთი გვატარებინე წმინდა გიორგიო. ჩნდება მოსაზრება, რომ **ამ რიტუალის ქვედა პლასტებში წარმართული წარმოდგენა თვლემს: ბიჭი ნაყოფიერების მამრ სიმბოლოს ჰგავს, ხოლო თავად გასხეპილი ხე, ანუ მორი — სულხან-საბას განმარტებით, მამაკაცის სარცხვინელ ასოს. ამდენად, წმინდა გიორგისადმი აღვლენილ ვედრებაში „ბამბლუაშ!.. ბამბლუაშ!..“ სიცოცხლის გამრავლების სურვილი იგულისხმება, ხოლო მორზე შემოსკუპებული ბიჭი სინამდვილეში მორიანი ბიჭია, ერთგვარი „ამურია“.** მაგრამ, მოდით, ჩვენ ისევ რიტუალის ზედა პლასტებს დავუბრუნდეთ. აშკარაა, რომ ტყეში ხის მოსაჭრელად მიმავალ და იქიდან დაბრუნებულ ვაჟკაცებს ეკლესიაშიც უნდა შეევლოთ და ლოცვა წარმოეთქვათ მთავარმოწამის მისამართით. ასეთი ვარაუდის უფლებას გვაძლევს, მაგალითად, ადიშის თემში ჯიხვებზე და არჩვებზე მონადირეთა რიტუალური ლოცვები „ლიჩანიშისა“ და „ქაშვეთის“ წმ. გიორგის ეკლესიებში. ასევე უნდა ყოფილიყო ამ შემთხვევაშიც, რასაც სწორედ ხერიის ეკლესია ადასტურებს. მას „ჯგრაგ ბამბლუაშის წმინდა გიორგი“ ჰქვია. შესაძლოა, ასეთი ეკლესია სხვაგანაც იყო, მაგრამ, რაკი დღეს ერთიან სვანეთში


სოფელ საშაშის ნალია

მხოლოდ ეს ეკლესიაა ამ სახელით შემორჩენილი, ისღა დაგვრჩენია, რომ 14-15 იანვრის მორის მოჭრის ტრადიციული რიტუალის წარმომავლობა სწორედ სოფელ ხერიას დავუკავშიროთ.

აღსანიშნავია სხვა გარემოებაც: ქვემო სვანეთში შემორჩენილ ტაძართა შორის სწორედ ხერიის ეკლესიაა ერთ-ერთი ყველაზე ძველი — იგი VIII საუკუნეს განეკუთვნება.

„ჯგრაგ ბამბლუაში“ სიგრძეში 7.1 მ-ია, სიგანეში — 5,1 მ. იგი აშენებულია კლდის ქვით, რომელსაც ზედაპირი ზერელედ აქვს მოსწორებული. ტაძარში მხოლოდ ერთი სარკმელი (აღმოსავლეთის) და ერთი კარია (სამხრეთის). კარი ორსავე მხრიდან არქიტრავულია, ხოლო სარკმელს უხეშად გამოყვანილი ზუსტი ნახევარწრიული თაღი გადაუდის თავზე. ასეთივე უხეშია ისედაც ტლანქი პილასტრის ორსავ მხარეს გადარკალული ნახევარწრიული ყრუ თაღები, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ეს თაღები მხოლოდ ჩრდილოეთ კედელზეა. რამ შეუშალა ხელი ან რამ გადააფიქრებინა კალატოზს სამხრეთ კედელზეც შეექმნა ასეთი ყრუ თაღები, დაუდგენელია.

ტაძრის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია საკურთხევლის სწორკუთხა კედელი, რითაც იგი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზოგიერთ ეკლესიას მოგვაგონებს.

„ჯგრაგ ბამბლუაშს“, ლუჯის საყდრისა არ იყოს, ზედა ნაწილში ქვათა წყობის რამდენიმე მწკრივი აკლია და მისნაირადვე უბრალო, ორფერდა თუნუქის სახურავი იცავს წვიმისაგან.

ის საეკლესიო სიწმინდეები, რომლებიც ექვთიმე თაყაიშვილს უნახავს ტაძარში (მათ შორის, XIII-XIV საუკუნეების წმ. გიორგის უმთავრესი ხატი), ახლა ადგილზე არაა...

პატარა მდინარეს, რომელიც ხერიას ჩამოუდის აღმოსავლეთიდან, ტვიბერი ჰქვიაო, — ამბობს ექვთიმე თაყაიშვილი, სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით კი, ცხენის წყლის გაღმა, რომ გიჟმაჟი შენაკადი მოჰქუხს, ფიშკორი ეწოდება. მის ხეობაში ერთმანეთის მიყოლებით 2 სოფელი: ჟახუნდერი და ჩუკული მოჩანს.

მომავალი ჩვენი მარშრუტი სწორედ ამ ხეობაზე გაივლის.

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**



სოფელ ლუჯის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტრავის რელიეფითა და ძველი ქვის კანკელით

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რუსეთ-ოსმალეთის ომი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №41-47



**პირველი ეტაპი წარმატებით დასრულდა. ახლა უფრო რთული და ძნელი მეორე იყო — სომეხთა ურმების ეს უზარმაზარი ქარავანი უკან დაებრუნებინათ, რადგან მოსალოდნელი იყო, რომ გონსმოგებული თურქები შეტევაზე გადმოსულიყვნენ. მაშინ სომეხთა დაცვა ძალიან გაჭირდებოდა, რადგან ურმების ქარავანი რამდენიმე ვერსის სიგრძეზე გაიწელებოდა, განსაკუთრებით, — ვიწრო ხეობებში.**

თავადმა გადაწყვიტა, ჯერ ეს აყრილი მოსახლეობა გაეტარებინა და თავად უკან ჯარით დარჩენილიყო. ქვეითებსა და არტილერიას ნაბრძანები ჰქონდა იმ გზაზე ჩასაფრება, რომელზეც ურმებს უნდა გაევლოთ; ცხენოსნები კი უკან უნდა გაჰყოლოდნენ, რათა მოწინააღმდეგის პირველი დარტყმა თავად მიეღოთ.

დაიწყეს ამ გეგმის განხორციელება, მაგრამ საქმე წინ ნელა მიდიოდა. ზარმაცი ხარები ძლივსძლივობით ადგამდნენ ნაბიჯებს, გაჭირვებით მიათრევდნენ საყოფაცხოვრებო ნივთებით დატვირთულ ურმებს. **ჯარის წინ ჩასვლისას მამაკაცები ფაფახებს იხდიდნენ და თავს მდაბლად უკრავდნენ ჯარისკაცებს, ქალები პირჯვარს იწერდნენ... ყველა თავისებურად ცდილობდა მადლიერების გამოხატვას.**

**და, აი, ურმების უკან იქუხა იარაღმა და გაჩაღდა სროლა. შიშმა შეიპყრო სომხები. მამაკაცების ნაწილი ცდილობდა, შორს გაერეკა საქონელი, ნაწილი ურმებს ეძაჩებოდა, ზოგმა არ იცოდა, რა ექნა, ისე იყო დაბნეული. მხოლოდ ცოტა ვინმემ თუ მოჰკიდა ხელი იარაღს.**

უბედური სომხის ქალები ბავშვებთან ერთად გარბოდნენ, არც კი იცოდნენ, საით; ზოგი გახევებული იყო და მუხლებზე დამხობილი ლოცულობდა.

„მე ვნახე, — წერს ერთი თვითმხილველი, — **სასოწარკვეთილი ახალგაზრდა ქალი, რომელიც ხელებს იმტვრევდა და უყურებდა მასზე მიტმასნილ პატარებს, ვერ გადაეწყვიტა, რომელი მათგანი გადაერჩინა და ცრემლები ნიაღვარივით ჩამომდიოდა“.**

სომეხ ცხენოსანთა რაზმი, რომელიც სამოცდაათი კაცისგან შედგებოდა, ყველაზე ახლოს იყო მოწინააღმდეგესთან, გაატარა რა ურმები, დაიწყო უკან დახევა. ამ დროს არდაღანის მხრიდან მას თავს დაესხა თურქთა მხედრიონი. **სომხებმა ვერ გაუძლეს შემოტევას, მაგრამ მათ წამოეშველა კაზაკთა ასეული. სანამ ხელჩართული ბრძოლა ჰქონდა თურქთა ერთ ნაწილს, დანარჩენები ურმების გაქურდვით იყვნენ დაკავებულნი.** საბედნიეროდ, ხალხმა მიატოვა ურმები და გარბოდა თავის გადასარჩენად. თურქთა მსხვერპლი მხოლოდ ორი მოხუცი და ერთი ქალი გახდა.

თავად ბიკოვიჩი არ მოელოდა თურქთა ასეთ სწრაფ დარტყმას. ეგერებს ჩასაფრებაზე ფიქრის დრო აღარ ჰქონდათ. ისინი გარბოდნენ კაზაკების დასახმარებლად. საუბედუროდ, ვერ ისროდნენ, რადგან შესაძლო იყო, ტყვია სომეხ ლტოლვილებს მოხვედროდათ. **„ნუ გეშინიათ! ნუ გეშინიათ!“ — უყვიროდნენ ხალხს ჯარისკაცები და გარბოდნენ მოწინააღმდეგისკენ, რათა დაეცვათ ეს უმწეო ადამიანები, თუნდაც, საკუთარი სიცოცხლის ფასად.**

დროული იყო ეგერთა გამოჩენა. ამაოდ ცდილობდნენ თურქები წინააღმდეგობის გაწევას, ბოლოს და ბოლოს, ბეკოვიჩის გათვლა სწორი აღმოჩნდა. გაქცეულმა თურქმა ცხენოსნებმა არდაღანს გვერდი აუარეს და ხეობაში გაუჩინარდნენ. მხოლოდ დახოცილთა გვამები მოწმობდნენ მოწინააღმდეგის დამარცხებას. **თურქი ტყვეები არ ჰყავდათ, რადგან გამხეცებული ჯარისკაცები არავის ინდობდნენ. დახოცილებში რუსებმა ერთი დაჭრილი ქურთი აღმოაჩინეს. მისგან შეიტყვეს, რომ ამ ბრძოლაში ქურთთა მხედრიონი მონაწილეობდა, თურქები კი დაიტოვეს რეზერვში. ისინი ბრძოლაში ქურთი ცხენოსნების წარმატებული შეტევის შემდეგ ჩაებმებოდნენ. მაგრამ რუს ქვეითთა გამოჩენისთანავე გაშორდნენ იქაურობას.**

ქურთები ბოლომდე იდგნენ, დაეღუპათ თექვსმეტი კაცი ცხენიანად, მოკლული იყო მუშის ფაშას ვაჟიც, მისი ცხენი მთელს ქურთისტანში ძნელად თუ ჩამოუვარდებოდა პოპულარობით საკუთარ პატრონს. ყველაფერი იმაზე მიანიშნებდა, რომ თავდამსხმელი რაზმის საუკეთესო ცხენოსნებისგან შედგებოდა. მოკლულ ცხენებს შორის არც ერთი არ იყო 500-600 მანეთზე იაფი. დანაკარგი მნიშვნელოვანი ჰქონდა რუსულ მხარესაც. დაახლოებით მეოთხედი ცხენოსნებისა მწყობრიდან გამოვიდა. სომხების ანგარიშით, 15, კაზაკების აზრით, 40 კაცი დაიღუპა და დაიჭრა.

**როცა ბრძოლა დამთავრდა, სომეხთა ქარავანი უკვე შორს იყო. მიუხედავად ურმების სიმძიმისა, კამეჩების სიზარმაცისა, პირუტყვის მრავალრიცხოვნობისა, ისინი ისე ჩქარა მიდიოდნენ, რომ ჯარი ძლივს დაეწია. მერე ერთ ადგილას გაჩერდნენ, რათა დანარჩენ ურმებს, რომლებიც სხვა ხეობებიდან მოდიოდნენ, დალოდებოდნენ.**

მზე ჩადიოდა. თავადი ბეკოვიჩი უკვე ცხენზე ჯდებოდა და წასასვლელად ემზადებოდა, როცა თათრული სოფლებიდან რამდენიმე მხედარი მოვიდა მფარველობის თხოვნით. რაკი ღამდებოდა, გაჩერებასა და ლოდინს ჯობდა, თავად თათრები აჩქარებულიყვნენ და დაწეოდნენ წინ წასულ რუსებს. მაგრამ თათრები ვერ ბედავდნენ ადგილიდან დაძვრას იმის შიშით, რომ, თუ რუსებს ვერ დაეწეოდნენ, თურქები მაშინვე გაქურდავდნენ.

მეტი გზა არ იყო, არიერგარდს გაჩერება უბრძანეს და თათრებს დაელოდნენ. როცა ეს უკანასკნელნი რუსებს შეუერთდნენ, უკვე ღამე იყო.

გათენებისთანავე გზა განაგრძეს. ისევ აჭრიალდა ურმები, ისევ გაისმა ათასობით ადამიანის შეძახილი და ხმაური. ადამიანთა ამ უზარმაზარ ბრძოლაში ძლივს შეიმჩნეოდა რუსული ასეულები. **„რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ,** — აღნიშნავდა ერთი თვითმხილველი, — **საკმარისნი ვიყავით მთელი აზიური თურქეთის დასაპყრობად“.**

**გამოცდილებამ აჩვენა, რომ მშვიდობიან მოსახლეობას არ შესწევდა დამოუკიდებლად თავდაცვის უნარი. მიუხედავად იმისა, რომ საფრთხე არ ემუქრებოდათ, შორს, ნისლში თვალებით მაინც ეძებდნენ თურქებს, მაგრამ ეს შიში თანდათან გაუნელდათ. ჯარები მოდიოდნენ ხალისით და სიმღერით. უკვე ახლოს იყო ყარსის ბანაკი. ლაშქრობა დასრულდა.**

ამგვარად, გათავისუფლდა ოცდასამი სოფელი. დაბრუნდა თუ არა ბეკოვიჩის რაზმი, იმწამსვე მოვიდა ცნობა ახალციხის აღებაზე და პასკევიჩმა გენერალ-მაიორ ბერხმანს არდაღანის დაპყრობა აუწყა. რამდენადაც შესაძლებელი იყო, რომ არდაღანში მოწინააღმდეგის გარკვეული ძალები ჯერაც ყოფილიყო, ახალციხიდან მეორე რაზმი გენერალ მურავიოვის მეთაურობით დასახმარებლად გამოემართა.

ჯარები ყარსიდან 21 აგვისტოს გამოვიდნენ, რომლის შემადგენლობაში იყო სამი ქვეითთა ბატალიონი, რვა ქვემეხი და ოთხასი კაზაკი ბერხმანის მეთაურობით. ღამე მათ მთის ულამაზესი ტბის მახლობლად გაათიეს. ეს აგირგელის ტბა იყო, რომელზეც უცნაური ლეგენდა არსებობს:

**ღამღამობით, თურმე, ამ ტბიდან ამოდის წყლის უცნაური ცხენი და ველზე ადამიანის თვალისგან უჩინარ ბალახს ძოვს. და ვაი მას, ვინც მას დაინახავს, ვისაც იგი გამოეცხადება. იმ კაცს აუცილებლად უბედურება ელის. ადგილობრივი მცხოვრებნი ამიტომ იშვიათად ათევენ ღამეს ამ ადგილებსი. ტბის წყალი კი სუფთა და გამჭვირვალეა, იმდენად, რომ შეგიძლია მასში თევზების დათვლა.**

22 აგვისტოს განთიადმა რუსულ რაზმს აგირ-გელის შორიახლოს მოუსწრო. აი, გამოჩნდა ბოლო სიმაღლეები, რომელთა მიღმაც უკვე არდაღანია. რაზმი კი მიდიოდა და არ იცოდა, წინ რა ელოდებოდა — სისხლისმღვრელი ბრძოლა თუ მშვიდობიანი შეხვედრა. უცებ შეამჩნიეს მათკენ მომავალი კაზაკი მხედარი. მან ამბავი მოიტანა, რომ მთებს იქით დიდი თურქული არმია მოჩანდა დაბანაკებული. რაზმი შეჩერდა. კაზაკთა ასეული დასაზვერად წავიდა. თხუთმეტ წუთში ახალი მომამბე მოვიდა — ცრუ განგაშიაო: **მთის აქეთ თურქები კი არა, ათასობით გასახლებული სომეხიაო. მალე მათი წარმომადგენლები გამოცხადდნენ ჯარის უფროსთან და აცნობეს, რომ დამარცხებულმა თურქებმა გაქურდეს ოცდაცამეტი სომხური სოფელი და ყველა მცხოვრები არზრუმისკენ გარეკეს.**

**ცნობამ იმის შესახებ, რომ მცირერიცხოვანი მოწინავე რაზმის უკან რუსების მთავარი ძალები იმალებოდა, თურქები იძულებული გახადა, მიეტოვებინათ სომხები, სასწრაფოდ გასცლოდნენ იქაურობას და სოღანლუღის მთებს იქით გადასულიყვნენ.**

პირველ წუთებში სომხები ხეობაში დაიმალნენ, სადაც რამდენიმე დღე დაჰყვეს და მხოლოდ მაშინ გამოვიდნენ, როცა დარწმუნდნენ, რომ თურქები აქ აღარ იყვნენ. ახლა ისინი ყარსისკენ მიემართებიან. ყველას გასაოცრად, სომხებს არ აღმოაჩნდათ ერთი კარავიც კი. მიუხედავად ამისა, კაზაკები ამტკიცებდნენ, რომ დაინახეს ბანაკი. როგორც გაირკვა, შორიდან კარვებივით მოჩანდა სომხის ქალების გრძელკალთებიანი გაშლილი ჩადრები. მათგანვე შეიტყვეს, რომ 40 მხედრის თანხლებით კიოს ფაშა რამდენიმე დღის წინათ არზრუმში გაემგზავრა.

მათ გაჰყვა არდაღანის მთელი გარნიზონიც. ბოლოს და ბოლოს, თავად არდაღანის ბეგმაც დატოვა ქალაქი და მუსლიმანური მოსახლეობის დიდ ნაწილთან ერთად მთებს შეაფარა თავი. ეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ზუსტად შუადღისას რუსები უკვე არდაღანის კედლებთან მდგარიყვნენ. **ციხესიმაგრიდან გამოვიდა სომეხთა სასულიერო პროცესია და გენერალს ციხესიმაგრის გასაღები ჩააბარა. ასე უსისხლოდ და უდანაკარგოდ ერგოთ რუსებს მოწინააღმდეგის ოცდათერთმეტი ერთეული იარაღიც.**

არდაღანის ციხესიმაგრე მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირს ებჯინება და გაშლილი ვაკის კუთხეში დგას, გარშემოვლებული სამარშინიანი ქვის კედლებით. **ძველად, როდესაც სახელწოდებით „არტაუნი“ ქალაქი ქართველი ერისთავების რეზიდენციას წარმოადგენდა, მასში არსებობდა უფრო ძლიერი ციხესიმაგრე კლდეზე აგებული, მაგრამ პასკევიჩის დროს მისგან ნანგრევებიღა იყო დარჩენილი. ნანგრევებში იდგა უძველესი ქრისტიანული ტაძარი, ამ ქალაქის ძველი დიდების ერთადერთი მოწმე.** პატარა საცოდავი ბაზარი, ირგვლივ არსებული სიღარიბე და ტალახი, უბადრუკი სახლები — ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ არდაღანი ამ დროისთვის ნამდვილად არ იყო აყვავებული ქალაქი. გამოირჩეოდა მხოლოდ ბეგის სახლი. მასში, თანამედროვეთა გადმოცემით, ოთახებზე ბევრად უკეთესი საჯინიბოები იყო.

არდაღანის აღების მეორე დღეს მოქმედი კორპუსის ნაწილთან ერთად აქ ჩამოვიდა გენერალი მურავიოვი, ხოლო ბერხმანის რაზმი, დატოვა რა ციხესიმაგრის გარნიზონში ეგერთა პოლკის ერთი ბატალიონი, ყარსში გაბრუნდა. მურავიოვის ფეხდაფეხ იმავე გზით ახალციხიდან სხვა ჯარებმაც იწყეს მსვლელობა. ამგვარად, არდაღანთან შეიქმნა მოწინავე რაზმი, რომლის მიზანი იყო, თვალყური ედევნებინა არზრუმისთვის და, ამასთან, დაეცვა ყარსის ოლქი, თუკი მოწინააღმდეგე სოღანლუღის მთებიდან გამოჩნდებოდა.

**18 სექტემბერს პასკევიჩი თავად ჩავიდა არდაღანში. სურსათის შეგროვებაზე ზრუნვის გარდა აქ მას შავ ჭირთან ბრძოლაც მოუხდა, რომლის პირველი ნიშნებიც ქართულ გრენადერთა პოლკში გამომჟღავნდა. აქაც, ისევე, როგორც ყარსში, ჭკვიანურად მიღებული ზომებითა და ჯარების იზოლირებით რამდენიმე ცალკეულ ბანაკში შესაძლებელი გახდა ავადმყოფობასთან გამკლავება.**

**ვასილი პოტო**

ხუთტომეული ნაშრომიდან **„კავკასიის ომი“**

გაგრძელება შემდეგ ნომერში





გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეცამეტე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# პლანეტის ყველაზე ახალგაზრდა პროფესიონალები

## არფა კარიმ რანდხავა




**არფა კარიმ რანდხავა, მაიკროსოფტის დანართის სერთიფიცირებული სპეციალისტი, 1995 წელს დაიბადა და 13 წლის იყო, როდესაც უკვე ფლობდა ზემოხსენებულ დონეს. იგი პაკისტანიდანაა და 10 წლის ასაკში გახდა ყველაზე ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელმაც შეძლო გამოცდების ჩაბარება კომპანია მაიკროსოფტის პროფესიონალური კვალიფიკაციის მისაღებად.**

არფამ კომპიუტერი პირველად 5 წლის ასაკში ნახა და მამა დაითანხმა, ეყიდა მისთვის საკუთარი პერსონალური კომპიუტერი და იმდენად კარგად აითვისა, რომ პაკისტანის გამოყენებითი ტექნოლოგიების ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო ინსტიტუტში სამუშაოდ მიიღეს.

სერთიფიკატის აღების შემდეგ, არფა კარიმ რანდჰავა მამასთან ერთად ამერიკაში გაფრინდა და თავად ბილ გეიტსს შეხვდა. გოგონამ მას ორი შეკითხვა დაუსვა: რატომ მუშაობენ მაიკროსოფტში ასე ცოტა ქალები და რატომ არ იღებენ სამუშაოდ ბავშვებს. ბილმა უპასუხა, ქალებს ნაკლებად აინტერესებთ ტექნოლოგიები, ხოლო ბავშვებმა სკოლაში უნდა ისწავლონ და არა იმუშაონ.

## სუხას გოპინატი



**1986 წელს დაბადებული სუხას გოპინატი მხოლოდ 21 წლის იყო, როდესაც კომპანია Globals Inc-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე მუშაობდა.**

14 წლის ასაკში სუხასი უკვე კერძო მეწარმე იყო, საკუთარი კომპანია დააარსა და წარმატებით ხელმძღვანელობს ვებ-დიზაინზე, ვებ-დანართების შექმნაზე, სკოლის საპროგრამო პროდუქტების დამზადებასა და სხვა მსგავს მომსახურებებზე სპეციალიზირებულ ტრანსნაციონალურ კომპანიას.

კომპანიის წლიური ბრუნვა 100 მილიონ დოლარზე მეტს შეადგენს, მთელს მსოფლიოში მათ თანამშრომელთა რაოდენობა 400 ადამიანამდეა. ინდური წარმოშობის ბიზნესმენი მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მსხვილი საერთაშორისო კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა.

## ვიქტორ მ. დე ლეონ მესამე



**1998 წელს დაბადებული ვიქტორ მ. დე ლეონ მესამე პროფესიონალი კიბერსპორტსმენია.** იგი კომპიუტერული თამაშებით ჯერ კიდევ ორი წლის ასაკში დაინტერესდა და იმ დროიდანვე დაიწყო მამასთან ერთად ვირტუალურ მონსტრებთან ბრძოლა. ოთხი წლისამ პირველად მიიღო მონაწილეობა მოთამაშეთა შეჯიბრებებში, ხოლო ხუთი წლისამ პროფესიონალი კიბერსპორტსმენების ლიგაში გადაინაცვლა. გაოცებული მენეჯერები მასთან კონტრაქტის გაფორმებას ჩქარობდნენ. 7 წლის ასაკში ვიქტორი მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა კიბერსპორტსმენი გახდა.

## რუთ ლოურენსი



**მას არასოდეს უვლია სკოლაში. სამაგიეროდ მამის, გარი ლოურენსის მიერ სპეციალურად მისთვის შექმნილი მეთოდიკით სახლში მიიღო განათლება. შედეგად, 13 წლის ასაკში რუთი ოქსფორდის უნივერსიტეტის ყველაზე ახალგაზრდა კურსდამთავრებული გახდა.** ამასთან, მან მხოლოდ ორი წელი მოანდომა იმ პროგრამის ათვისებას, რასაც უნივერსიტეტის სტუდენტები ხუთი წლის მანძილზე სწავლობენ. 13 წლის იყო მაშინაც, როდესაც პირველად ჩაატარა გაკვეთილი. რუთი თავიდან ჰარვარდის, ხოლო შემდეგ მიჩიგანის უნივერსიტეტებში ასწავლიდა.

## გრეგორი რობერტ სმიტი



1989 წელს დაბადებულმა გრეგორი რობერტ სმიტმა 10 წლის ასაკში დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო 14 წლისამ წარმატებით დაასრულა ქალაქ აშლანდში მდებარე კოლეჯი რანდოლფ-მაკონი. საქველმოქმედო ფონდ International Youth Advocates-ის დამაარსებელი პენსილვანიაში დაიბადა.

## ენგუენ ნგოკ ტრუონგ სონი



მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა გროსმეისტერმა ჭადრაკის თამაში 3 წლის ასაკში დაიწყო. უკვე 2004 წელს, როდესაც მხოლოდ 14 წლის იყო, ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ გროსმეისტერის სტატუსი მიანიჭა.

## ეთან ონგი



**ეთანმა დოლზე დაკვრა 2 წლის ასაკში დაიწყო, მაგრამ ისე, რომ პროფესიონალი მუსიკოსები უსმენდნენ და გაოცებას ვერ მალავდნენ. ბავშვისთვის ეს არავის უსწავლებია — რთული რითმების გამოცემა მან სათამაშო დოლზე დაიწყო.**

4 წლის ეთანი მშობლებმა თან წაიყვანეს სავაჭრო ცენტრში. სწორედ იქ ნახა პირველად ნამდვილი დასარტყამი ინსტრუმენტები, მიირბინა და დაკვრა დაიწყო. ბავშვს შემთხვევით მოუსმინა ხმის ჩამწერი ადგილობრივი კომპანიის მენეჯერმა. ამის შემდეგ პატარა ეთანი დიდ კონცერტებზე გამოდის. ახლა იგი 11 წლისაა.

## აბიგალ სინი



**პირველად ფორტეპიანოს 4 წლის ასაკში მიუჯდა. ახლა კი ახალგაზრდა სინგაპურელი პიანისტი უკვე 7 დიდი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულია.** მუსიკალური ტალანტის გარდა, აბიგელმა საკუთარ თავში აღმოაჩინა, ასევე, ენების შესწავლისა და მათემატიკური ნიჭი. მაგრამ უარი თქვა ყველა წინადადებაზე, მონაწილეობა მიეღო ნიჭიერი მოზარდებისთვის განკუთვნილ რომელიმე საგანმანათლებო პროგრამაში, რადგან მთელი დრო თავისი საყვარელი ინსტრუმენტისთვის სჭირდებოდა.

## ჩჟო ტიმოტი იანო





**იგი უკვე სამი წლის ასაკში ავლენდა ფორტეპიანოზე დაკვრის საოცარ შესაძლებლობებს, ხოლო 9 წლისამ ჩააბარა ლოილას უნივერსიტეტში, რომელიც სამ წელიწადში ფრიადებზე დაამთავრა.**

მისი IQ გენიალურობის დონეზე მეტია, მაგრამ ჩჟო თავს არ კარგავს წარმატებებისგან და ამტკიცებს, რომ ტალანტი და გენიალობა ჯერ კიდევ არაფერია, მთავარია, მათი სწორად გამოყენება იცოდე.

# ამერიკელ ქალს ცხოვრებაში არასოდეს შეშინებია



**მეცნიერებმა აღმოაჩინეს ქალი, რომელსაც საფრთხის შემცველ ვითარებებშიც კი არასდროს არაფრის შეშინებია. მან, ფაქტობრივად, არც კი იცის, რას უწოდებს ამ სახელს დანარჩენი კაცობრიობა.**

გაოგნებულმა მეცნიერებმა რა გზას არ მიმართეს — უცნაური ქალის წინაშე საშიში ქვეწარმავლებისა და საშინელებათა ფილმების დემონსტრირებას ახდენდნენ. ცდის ობიექტი კი აცხადებდა, რომ ის შიშის გარდა ყველაფერს გრძნობდა. ან კი როგორ უნდა შეეშინებინათ საშინელებათა ფილმებით ქალი, რომელსაც ეკრანიდან კი არა, რეალურ ცხოვრებაში დამუქრებიან დანითაც და ცეცხლსასროლი იარაღითაც, მაგრამ შიშად წოდებული განცდა არც მაშინ ჰქონია. **მეცნიერების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, მათთვის მსგავსი შემთხვევა პირველია, აქამდე შიშის გრძნობას აბსოლუტურად მოკლებული ადამიანის შესახებ არავის არაფერი სმენია, მათ კი საკუთარი თვალითაც ნახეს.**

**საბოლოოდ მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ქალბატონს ტვინში შიშის განცდაზე პასუხისმგებელი ნივთიერება საერთოდ არ გააჩნია.**

ექსპერიმენტმა დაადასტურა, რომ ამ ნივთიერების ცხოველების ტვინიდან ამოღება მათ უშიშარ მონსტრებად აქცევს.

ექსპერიმენტის ხელმძღვანელის, ჯასტინ ფეინშტეინის განცხადებით, გასაკვირია, რომ ეს ქალბატონი ჯერ კიდევ ცოცხალია. მეცნიერებს იმედი აქვთ, რომ ექსპერიმენტების წყალობით, ისინი შიშის გამომწვევი მექანიზმისა და ტვინის მიერ ნერვული იმპულსების გადამუშავების ამოცნობას შეძლებენ. ამან კი, შესაძლოა, პოსტტრავმატული დაავადებების მკურნალობას დიდი სარგებლობა მოუტანოს.



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# 2010 წლის ყველაზე ძვირადღირებული შენაძენები




**ჟურნალმა „ფორბსმა" მსოფლიოს მილიარდერების 2010 წლის ყველაზე ძვირადღირებული შენაძენები დაასახელა. სიის სათავეში რომან აბრამოვიჩია.**

გამოცემის მონაცემებით, **მან სანკტ-პეტერბურგში კუნძული ახალი ჰოლანდია 400 მილიონ დოლარად შეიძინა.** კუნძულზე აბრამოვიჩი სამხატვრო გალერეების აგებას გეგმავს, თუმცა სასტუმროებისა და რესტორნების მოწყობაც აქვს განზრახული. ოლიგარქის ქონებას ჟურნალი 11,2 მილიარდ დოლარად აფასებს.



**პაკისტანელმა მილიარდელმა მიან მუჰამედ მანშამ** რეიტინგში მესამე ადგილი დაიკავა. მან ლონდონის სასტუმრო „St.James Hotel & Club"-ი შეიძინა. ყოველი ოთახი მილიარდელს 1,5 მილიონი დოლარი დაუჯდა, მთლიანი შენაძენი კი — 95 მილიონ დოლარად ფასდება.




სიაში **მეორე ადგილზე ჰეჯ-ფონდის უფროსი და სურათების ცნობილი კოლექციონერი სტივენ კოენია.** მან 2010 წელს თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების შეძენაში 145,4 მილიონი დოლარი გადაიხადა. კოენმა ჯასპერ ჯონსის „დროშა" და ენდი უორჰოლის „კოკა-კოლა" იყიდა.




**უძრავი ქონება შეიძინა მსოფლიოში ყველაზე მდიდარმა ადამიანმა კარლოს სლიმმა.** მან ნიუ-იორკში, მეხუთე ავენიუზე, მეტროპოლიტენ მუზეუმის მოპირდაპირე მხარეს 44 მილიონ დოლარად სახლი იყიდა.




**ბრიტანელმა იუველირმა ლორენს გრაფმა** ყველაზე ძვირფასი ბრილიანტების კოლექცია გაამდიდრა. მისი წლის შენაძენი 25-კარატიანი ვარდისფერი ბრილიანტია. ძვირფას ქვაში გრაფმა 46 მილიონი დოლარი გადაიხადა.



**უძრავ ქონებაში დახარჯა ფული ნავთობმაგნატმა კელსი უორენმაც,** რომელმაც კოლორადოში აშშ-ში ყველაზე დიდი რანჩო 46,5 მილიონ დოლარად იყიდა.



**ჰონგკონგელმა მაგნატმა ჯოზეფ ლეიმ** 16,7 მილიონი ორ ანტიკურ სკულპტურაში გადაიხადა. სკულპტურა ჩიტების გამოსახულებას წარმოადგენს, რაც ჩინეთის ტრადიციის მიხედვით, დღეგრძელობასთან ასოცირდება.



**დოღის სიყვარულით შეპყრობილმა შეიხმა მუჰამედ ბინ რაშიდ ალ მაქტუმმა** 5,4 მილიონი დოლარი დახარჯა ლონდონის აუქციონზე. მან დოღის ცხენების მთელი რემა შეიძინა.




**ყველაზე უცნაური შენაძენი მაკაოში კაზინოს მფლობელმა სტენლი ჰომ გააკეთა.** მან 330 ათასი დოლარი „ტრუფელის" ორ სოკოში გადაიხადა. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ გადაბერებული სოკოები საკვებად უვარგისი იყო. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ჰო მათ გამოყენებას კულინარიული მიზნებისთვის არც გეგმავდა. კითხვაზე, რატომ შეიძინა სოკოები, მან უპასუხა: „კეფის მოსაფხანად".

# უცნაური კანონები

## ტეხასი

**ტეხასის შტატში** აკრძალულია ფეხზე დგომით ზედიზედ სამი ყლუპი ლუდის დალევა და სასტუმროს მეორე სართულიდან კამეჩებისთვის სროლის ატეხვა. საკმარისია, ქალი სამჯერ წარუდგინოთ მეგობრებს როგორც ცოლი და იგი ყოველგვარი დოკუმენტების გარეშე ავტომატიურად ჩაითვლება თქვენს ოფიციალურ მეუღლედ. ფეხსაცმლის გარეშე სიარულისთვის სპეციალური ნებართვაა საჭირო, ეს ნებართვა კი 5 დოლარი ღირს.

აღნიშნული კანონები ტეხასს ძველი დროიდან შემორჩა, მაგრამ შემდგომში **ამერიკის პრეზიდენტის — ჯორჯ ბუშის გუბერნატორობისას შტატში მიიღეს კანონი, რომლის შესაბამისად დამნაშავე ვალდებულია, მსხვერპლს წერილობით ან სხვა ფორმით შეტყობინოს მოსალოდნელი დანაშაულის შესახებ მის ჩადენამდე 24 საათით ადრე.** ამ წესის დარღვევას სასამართლო განიხილავს დამამძიმებელ გარემოებად.




## ფლორიდა



**ფლორიდაში** გაუთხოვარ ქალებს კვირაობით პარაშუტით ხტომა ეკრძალებათ. საცურაო კოსტუმში გამოწყობილი ადამიანისთვის მკაცრადაა აკრძალული სიმღერა; აკრძალულია სკეიდით სეირნობა სანომრე ნიშნების გარეშე, შხაპის მიღება გაშიშვლებულ მდგომარეობაში, დღეში სამზე მეტი თეფშის გატეხვა. ქალაქ პენსაკოლაში ქალმა, რომელიც აბაზანაში ელექტრომოწყობილობების გაუფრთხილებლად გამოყენების გამო დაიღუპა, უნდა გადაიხადოს ჯარიმა 100 დოლარი.



# გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 2011 წლის 19 იანვარს





## უნივერსალური წყალი „ისიდა“



### მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგეგნლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21.**
**890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**

**საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო**
საქინფორმი
www.saqinform.ge

## წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.



ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru

საქართველო
**ესტუმრეთ ჩვენს საიტს**
**http://www.geworld.net**


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net